N29 (580) 21/VII-27/VII-2011 ფასი 1 ლარი

„გზა“

ჩემი რჩეული

გალაკტიონ ტაბიძე

ხუთტომეული
ტომი V

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ
მიხეილ ჯავახიშვილი
ტომი I

წინანდალში დაგრიალებული ტრაგედიის დეტალები

რისი უფლება მისცა ალენ დელონმა ქრისტინე ძიძიგურს

„ფრანგები შეცდომას არ გაპატიებენ“

„შვილი ჰაეროვანი კოცნით დამემშვიდობა“

ოტია იოსელიანის უკანასკნელი ინტერვიუ

„საქართველოს იმ ქვეყნიდანაც არ მოვაკლებ ლოცვას“

ექსკლუზივი

სალომე გოგიაშვილის დაფარული LOVE STORY

„ვახო ჩემი მეორე ნახევარია“

„მზარეულად ვმუშაობდი...“

„ქუჩის ბიჭის“ ამერიკული თავგადასავალი

ISSN 1987 - 5029

ექვსი საზაფხულო საფრთხე

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები



დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია

ფასი: 32.99

გვ. რაოდ.: 620 გვ.
ფორმატი: 20X30.5
ყდა: მაგარი

ამ უხვად ილუსტრირებულ წიგნში განხილულია 250-ზე მეტი დაავადების აღწერილობა, დაწვრილებით არის ახსნილი მათი გამომწვევი მიზეზები, განვითარების, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხები. წიგნის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს ამა თუ იმ დაავადების შესახებ.

დიდი მხატვრები და მათი შედევრები

ფასი: 19.99

ქაღალდზე და ლენტიანებზე!

გვ. რაოდ.: 12 გვ., მუყაო
ფორმატი: 25X45
ყდა: მაგარი

ამ წიგნით თქვენი შვილები **6 დიდ მხატვარს** გაეცნობიან და შეძლებენ პაზლებით ააწყონ მათი გენიალური ნახატები.

სალამოობით საკითხავი ლამაზ-ლამაზი ამბები

ფასი: 22.99

გვ. რაოდ.: 372 გვ.
ფორმატი: 18.5X21
ყდა: მაგარი

ეს შესანიშნავად ილუსტრირებული, სალამოობით საკითხავი ლამაზ-ლამაზი ამბების კრებული თქვენი პატარას საყვარელი წიგნი გახდება.

თხუპნია ცუგა

ფასი: 19.99

გვ. რაოდ: 16 გვ.
ყდა: მაგარი
ფორმატი: 20X26

წაუკითხეთ პატარებს ეს საყვარელი, მოძრავი ნახატებით გაფორმებული წიგნი, რომლითაც ისინი შეიტყობენ, როგორ გამოაცხო თხუპნია ლეკვმა თავის მეგობარ გოჭუნასთან ერთად ტალახის ღვეზელი.

ბაჭიების ძილისპირული

ფასი: 14.99

გვ. რაოდ.: 69 გვ.
ფორმატი: 25.5X25.5
ყდა: ბალიშა

ძილის წინ თქვენი პატარები ამ ცელქი ბაჭიების თავგადასავალს რომ მოისმენენ, სიზმარშიც მათთან ერთად განაგრძობენ თამაშსა და გართობას.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

SALMARIS — საგანძური თქვენი თმისთვის

Mon Platin — მკვდარი ზღვის მინერალებითა და წყალმცენარეებით გამდიდრებული კოსმეტიკური საშუალებების ფართო ასორტიმენტი. **Mon Platin**-ის კოსმეტიკური პროდუქცია მზადდება ისრაელში, მაღალი სტანდარტებით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს არის „პრემიუმ კლასის“ პროდუქცია, რომელიც ცივადგამოწურვის მეთოდით არის დამზადებული და შენარჩუნებული აქვს ყველა სასიკეთო თვისება. ეს უნიკალური კოსმეტიკური პროდუქცია მოსახლეობის ყველა სოციალურ სეგმენტზეა გათვლილი და ხელმისაწვდომ ფასად იყიდება.

Mon Platin-ის კოსმეტიკის ერთ-ერთი ხაზია მრავაფეროვანი შამპუნები სახელწოდებით — შალმარის. ეს კოსმეტიკური პროდუქციაც დამზადებულია ისრაელში პროფესიონალური ფორმულის საფუძველზე, რომლის შემადგენლობაშიც შედის მკვდარი ზღვის მინერალების, მარილებისა და ვიტამინების კომპლექსი. **Salmaris**-ის შამპუნებში აღმოაჩენთ ყველა ტიპის თმისთვის შესაფარის ვარიანტს. მაგალითად, ასორტიმენტში არის სამკურნალო-მინერალური შამპუნი, რომელიც შექმნილია თმის ცვენის საწინააღმდეგოდ და ეფექტურად უმკლავდება მას. **Salmaris**-ის შამპუნებში აღმოაჩენთ ისეთ ფორმულასაც, რომელიც აღადგენს და იცავს თმას მავნე გარემო ფაქტორების ზემოქმედებისგან, არის ასევე ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი, რომლის ეფექტურობა დადასტურებულია კლინიკურად. **Salmaris**-ის კოლექციაში შეხვდებით შამპუნს მშრალი თმისათვის, ქოქოსის შეუდარებელი არომატით. ამავე კოლექციაში აღმოაჩენთ აღმოსავლური ვარდის შამპუნს ცხიმიანი თმისათვის და კონდიციონერს ყველა ტიპის თმისათვის. „ისრაელის კოსმეტიკურ ჯგუფი“, რომელიც **Mon Platinis**-ის პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში, თავის ერთგულ მომხმარებელს მომავალში კიდევ უფრო მეტ სასიამოვნო სიახლეს ჰპირდება და გაიზრდება როგორც შამპუნების, ასევე ტანის მოვლის, მათ შორის დასაბანი საშუალებების ასორტიმენტი.

ისრაელის კოსმეტიკური ჯგუფი

მის: თბილისი; თევდორე მღვდლის №15. ბინა 17

ტელ : 222-69-90

www.icg.com.ge

www.nbcosmetic.com

როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

დაიკელი თვეში 9 კილომდე
მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს სხიმების ბოლომდე დანვას
- აკვეთებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- წოროამდე დაჭყავს სიმსუქნის ჭორომონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ოპანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

როდენი



მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ჯი პი სი“-ს საფოსტიაძო ქსელს,
და სხვა ძალაძის აფთიაძებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
293 19 87; 230 97 52
მობ: 595308405;

e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

მილების წინ გაიცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისალებად მიმართეთ ექიმს

„ბომონდის“ ივლისის ნომერი

ლაზოლექსი®

კანის ინფექციების სამკურნალო საშუალება

1 ანტივირუსული 2 ანტისოკოვანი 3 ანტიბაქტერიული

✤ სწრაფად აქროლს ქავილის, წვის და ტკივილის შეგრძნებას

✤ აძლიერებს კერატინიზაციის პროცესს აჩქარებს ეპითელიზაციას

✤ საგრძნობლად ამცირებს რეციდივების სიხშირეს და მათ ხასიათს

IVERIAPHARMA
ივერიაფარმა
Nature - Technology - Health

წარმოებულია Hartington Pharma Ltd (UK) თანამშრომლობით

გამოყენების ჩვენებები

✤ **კანისა და ლორწოვანი გარსების ვირუსული ინფექციები**
- მარტივი ჰერპესი (ლაბიალური და გენიტალური ფორმები)
- სარტყლისებრი ჰერპესი (ჰერპეს ზოსტერი)

✤ **კანის სოკოვანი დაავადებები**
- დერმატოფიტოზები
  (გამოწვეული Trichophyton, Epidermophyton და Microsporum სახეობებით)
- სხვადასხვაფერი პიტირიაზი
- კანდიდოზი
- ონიქომიკოზი

✤ **კანის ბაქტერიული ინფექციები**
- სტაფილოდერმიისა და სტრეპტოდერმიის ნებისმიერი ფორმები
- აკნე

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისალებად მიმართეთ ექიმს. მოყვანილი მკურნალობის ვადები მოცემულია საშუალოდ, ინდივიდუალურ შემთხვევაში ვადა უნდა განსაზღვროს კლინიკური მაჩვენებლების დინამიკის მიხედვით.

№29 (580)
21 — 27 ივლისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

■ მინიატიურები 5
აღიარებითი ჩვენება
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 7
■ კრიმინალი 12
წინანდალში ნათლისმცემლობას დატრიალებული ტრაგედია
■ არდადეგები 16
ბათუმის ხიბლი — ზღვა, ფასები და სიახლეები აჭარაში
■ წყვილი 18
დამალული სიყვარულის ამბავი
■ ამპლუა 20
„ქუჩის ბიჭის“ თავგადასავალი ჩიკაგოში ანუ „პურის ცხობა ძალიან ადვილია“
■ ტანდემი 22
რატომ უკეტავდა ზალიკო ბერგერი ნინო ორდენიძეს ჩემოდანს?
■ მუსიკოსი 24
„სადაც საჭირო იყო თუ არ იყო, ყველგან ვმღეროდი და გამრიცხეს“...
■ მოდელი 26
„ჩემი ასაკის ადამიანისათვის პარიზში ყოფნა იდეალური მგონია“
■ დანაკლისი 28
ოტია იოსელიანის სიტყვის სიბრძნე და ანდერძად ქცეული სიმართლე

ქვეყანა

ევროპული ფასები და ქართული გაჭირვება

„მარშრუტკის“ მძღოლებთან პატრულის თანამშრომელი მისულა და გაუფრთხილებია, — მგზავრობის საფასურად 80 თეთრს თუ არ დააწესებთ, ჯარიმას დაგაკისრებთო“.

7

სახე

რატომ უკეტავდა ზალიკო ბერგერი ნინო ორდენიძეს ჩემოდანს?

„პირველი დანახვისთანავე ისე მომეწონა, ლამის გავგიჟდი. გაცნობის წუთებიდან დავმეგობრდით, „ჩავსასტავდით“... მერე წყნეთში ვისვენებდი და ჩემთან დავპატიჟე, რაღაცები მოვამზადე და დავახვედრე“.

22

ცხოვრება

„არწივის ბუდიდან“ აფრენილი ლეკი

„გოგონა, რომელმაც ჩამოსვლის პირველ-სავე დღეებში ხელი ჩამომართვა და გამიცნო, ჩემს მეუღლედ, ჩემი ცხოვრების ნამდვილ, მარადიულ სიყვარულად იქცა, ეს იყო ქალბატონი მზია იაშვილი — ქალი არისტოკრატთა ოჯახიდან“...

34

გზა ფინალები

„როცა სისხლი ღელავს, ენა ფიცით არ ილლება“

„ვერ გავიგე, სხვისი რჩევა რაში გჭირდება ან საერთოდ, იმ ბიჭს შენ თუ უყვარხარ, რატომ გგონია, რომ ეს დაქალის ღალატია? ისე, ძალიან რომ უყვარდე, შესარიგებლად პირველ ნაბიჯს თავადვე გადმოდგამდა. დაფიქრდი“.

69

■ ობიექტივი 30

„რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ ანუ „ყველანი წახვალთ იურასთან და გაიხდით!“

■ თაობა 33

აბუ-დაბიში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ერთადერთი ქართველი სტუდენტი

■ ძმადნაფიცი 34

„არწივის ბუდიდან“ აფრენილი ლეკი და მისი სათაყვანებელი საქართველო

■ ემიგრანტი 36

„შეიძლება, ჩემმა შვილებმა თქვან, რომ ამერიკელები არიან, მე კი ქართველი ვარ!..“

■ თინეიჯერული პონტები 37

„ექსტაზის“ მიღება „სვეტსკობა“ არაა...“

■ მატიანე 40

რა განძს ინახავს ლიტერატურის მუზეუმი

■ ავტო 43

■ ტაძარი 44

„მწყემსი კეთილი თავის სულს გაწირავს ცხვართათვის“

■ ერუდიტი 46

„საიდუმლო კუნძულზე“ დიდხანს ვცხოვრობდი“

■ ისტორიის ლაბირინთები 48

„ბადაბერის აჯანყების გამო განგაში 5-6 საათს გრძელდებოდა“

■ ჯანმრთელობა 49

■ ანტიდეპრესანტი 50

■ წვეთი პოეზია 52

■ საგანძური 53

■ რეალური 54

მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (დასასრული)

■ მისტიკური დეტექტივი 56

რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

■ რომანი 60

სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

■ გზავნილები 64

უჩვეულო თავგადასავალი

■ ყველა ერთისათვის 68

■ მობილი-ზაცია 70

■ ქართული სპორტის ლეგენდები 74

ფეხბურთელი თერთმეტნომრიანი მაისურით

■ ეს სამყაროა 76

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ საფირმო კროსვორდი 82

სამყარო

ორგანიზმის გაუწყლოება

ზოგიერთი ცდილობს, სიცხეში ცოტა წყალი დალიოს, რომ არ გაოფლიანდეს. ეს შეცდომაა — თქვენ მაინც გაოფლიანდებით, თანაც ორგანიზმი სითხის გამოდევნას სასიცოცხლო მარაგიდან დაიწყებს.

49

ბიბლუსი

ხაფანგი

— რა ვქნათ? — დამნაშავესავით აიჩეჩა მხრები ლეკიშვილმა. — ისეთი პროფესია გვაქვს, რომ...

— რას გეტყვი იცი, ჩემო კარგო? — ხმა გაიმკაცრა ქალმა. — იმის წინააღმდეგი კი არ ვარ, რომ კაცმა თავისი საქმე კარგად აკეთოს...

56

ტაიმ-აუტი

ზაფხულის სასმელი

ამერიკელმა მწერალმა — ჰენრი ლუი მენკენმა კანადურ კინოკომპანიას საკუთარი ნაწარმოების ეკრანიზაციისათვის უცნაური პირობა წაუყენა. კინოკომპანიას მწერლისთვის, მთელი ცხოვრების მანძილზე, ყოველთვე 2 ყუთი ლუდი უნდა გაეგზავნა.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

ალიარებითი ჩვენება

შესავლის ნაცვლად ენვერის არ ვიცნობ, — რაც მართალია, მართალია! სამაგიეროდ, ვაღიარებ, რომ ნესტორს ვიცნობდი — პორტ-არტურის შპიონს! მთელი უბანი ასე ეძახდა: ნესტორ, შე პორტ-არტურის შპიონოო!.. სახლშიც კი ვარ მასთან ორჯერ ნამყოფი და ერთხელ ჩურჩხელა მაჩუქა, ერთხელ ყვავილების ქოთნების ჩატანაში მივეხმარე.

იმასაც ვაღიარებ, რომ ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი. ანუ: ჩურჩხელაში იდო გადამცემი, რომელიც ჩურჩხელის შეჭმის შემდეგ ჩემმა ორგანიზმმა „შეიწოვა“ და ახლა ჩემი ყველა საუბარი კრემლში ისმინება, რადგან პორტ-არტური აღარ არსებობს. რაც შეეხება ქოთნის ყვავილებს — ეს სინამდვილეში ქოთნის კი არა, მინდვრის ყვავილები იყო და ნესტორა, როგორც პროფესიონალი მავნებელი, ქართული ფლორის განადგურებაზე მუშაობდა...

ჩემო საყვარელო შსს-ვ და ჩემო მშობელო ხალხო, უნდა ვაღიარო აგრეთვე, რომ მიუხედავად ენვერის არცნობისა, ვიცოდი, რომ ნესტორას ძმას ენვერი ერქვა და კონსპირაციის მიზნით, ის მსოფლიო ომში დაღუპულად ასაღებდა თავს; ასევე კონსპირაციის მიზნით ყოველი წლის 9 მაისს დადიოდა ბელორუსიის ქალაქ გომელში — თავისი ვითომდა გარდაცვლილი ძმის ვითომდა საფლავზე, სინამდვილეში კი მისგან იღებდა დირექტივებს, რომლებიც „მოსკოვის კანფეტების სახით“ ჩამოჰქონდა ჩვენთან — ეზოს ბავშვებთან.



იმ ბავშვთაგან რომელი იყო ანაზღაურებადი აგენტი — ახლა ვერ გეტყვით, მე მხოლოდ იურა ბალოიანთან მქონდა კავშირი, რომელიც მუდმივად მეუბნებოდა, რომ ნესტორა „მაგარი ტიპია“ და მეც, სამწუხაროდ, ვეთანხმებოდი...

ჩემი აგენტურული საქმიანობა შემდეგშიც გაგრძელდა. სკოლაში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში მუდმივად კარგად ვსწავლობდი რუსულ ენასა და ლიტერატურას (ისე, მართლა რა ჯანდაბად მინდოდა?!), რითაც ძირს ვუთხრიდი საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობას; ასევე კარგად ვსწავლობდი სხვა საგნებსაც, ქიმიის გარდა (განსაკუთრებით, ფიზიკასა და მათემატიკას), რათა შემდეგ გვირაბი გამეთხარა ნესტორას სარდაფიდან ბრეჟნევის ტუალეტამდე.

ქიმიის სწავლა, ეტყობა, იურას ჰქონდა დავალებული, რათა ბომბები და ბაქტერიული იარაღი დაემზადებინა. მერვე კლასამდე პატიოსნად იჩალიჩა, მაგრამ ვეღარ გაქაჩა, რადგან, როგორც ნესტორი ამბობდა, „ტუპოი“ იყო. ამიტომ ქიმიას შეეშვა და მისი ქიმიური ექსპერიმენტები მხოლოდ „ხიმიის ხარშვით“ შემოიფარგლა, რასაც საბოლოოდ შეეწირა კიდეც — ვითომ „კაიფში გაიპარა“, სინამდვილეში კი ალბათ ასევე „ვითომ“ ომში დაღუპულ ენვერთან — ნესტორის ძმასთან წავიდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სტუდენტობა განსაკუთრებული ხანა იყო ჩემი აგენტურული კარიერის განმავლობაში: ხშირად ვთვრებოდი, რათა ჩემთან უფრო მოურიდებლად ელაპარაკათ ჩემს თანაკურსელებს; ისე კი, ურიგოდ არ ვსწავლობდი და ყურადღებით ვუსმენდი ლექტორებს, რადგან, როგორც ახლა ვფიქრობ, ყველანი „ნესტორები“ იყვნენ, ერთი — განსაკუთრებით, რადგან მართლა ნესტორი ერქვა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მაშინ ჩემი აგენტობა არავინ იცოდა, ხოლო ჩემი ორი თანაკურსელი, რომლებზეც მართლა მთელმა უნივერსიტეტმა იცოდა, რომ აგენტები იყვნენ, ახლა მთავრობაში არიან.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დღემდე აგენტი ვარ. ზუსტად არ ვიცი, ვისი აგენტი, მაგრამ ვინც საჭიროა, იმან იცის და როცა საჭირო იქნება, მეტყვის და ვაღიარებ.

რაც მთავარია, მოვუწოდებ ყველა არსებული და არარსებული ქვეყნის აგენტებს, განსაკუთრებით, ვანუატუს, ვენესუელისა და ნიკარაგუის შპიონებს, აღიარონ დანაშაული, არა აქვს მნიშვნელობა — ჩაიდინეს თუ არა ეს დანაშაული, ეს ხომ არ არის მთავარი, არამედ — როგორც ის ნესტორი გვეტყოდა ხოლმე, ნამდვილი ნესტორი, — მთავარია გაგება!

P.S. გადავწყვიტე, ჩემი აღიარების გარდა, კიდევ ერთი სამსახური გავუწიო სამშობლოს და კოლეგაც ჩავუშვა: აქ, ჩვენს მედიასახლში შემავალ გაზეთ „ლელოში“ ერთი ჟურნალისტი მუშაობს, რომელიც ტოტალიზატორში სტაბილურად დებს ლარიანს „ხუთკუშიან“ თამაშებზე და ყოველთვის იგებს. ყველანი აღტაცებული ვიყავით მისი გამჭრიახობით, მაგრამ ფეხბურთის გაგებაში არმყოფმა ვენესუელამ ჩილეს რომ მოუგო „კოპა ამერიკაზე“ და ამან 7 „კუში დასვა“, მაშინ გაიშიფრა: ვენესუელა ხო ჩავესია? ჩავესი ხო პუტინის ძმაკაცია და აფხაზეთ-ოსეთი აღიარა? ოსეთში ხო აბდალაძე დაავერბოვკეს?! რაღას მალაპარაკებთ, ხომ მიხვდით, რომ ეს კაცი ვენესუელის აგენტია და ის 7 ლარი აგენტობის ფაქტობრივი გასამრჯელოა?! აბა, აბდალაძესავით ანგარიშზე ხომ არ გადმოარიცხვინებდა არიფულად?!

ახლა მოძებნეთ ყველა ქვეყანა, რომლის ნაკრებზეც ფული აქვს მოგებული და მისი გადამბირებლების სიაც მზად გექნებათ — გრძელი სია გამოვა, კარგა ხანს გეყოფათ...

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

პრესსკანდალი ბრიტანეთში

შონ ჰოური

გაზეთის — News of the World შოუბიზნესის განყოფილების ყოფილი რედაქტორი შონ ჰოური ქალაქ უოტფორდში საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. როგორც გაზეთი The Guardian იტყობინება, ჰოური პირველი იყო, ვინც News of the World-ის თანამშრომლების მიერ სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ შეიტყო. მან პირველმა განუცხადა ამერიკულ გაზეთ The New York Times-ს, რომ News of the World-ის თანამშრომლები უკანონოდ ისმენდნენ მაღალჩინოსანთა სატელეფონო საუბრებს. ჰოურიმ ისიც თქვა, რომ მისი გაზეთის ექსრედაქტორმა ენდი კოულსონმა არა მხოლოდ იცოდა სატელეფონო საუბრების შესახებ, არამედ ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებული ექსკლუზიური მასალების მოპოვების მიზნით, საკუთარ თანამშრომლებს სატელეფონო საუბრების მოსმენას თავად ავალებდა. გამომცემლობის — News of World გარშემო სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუპერტ მერდოკის კუთვნილი გაზეთის ჟურნალისტები 2005 წლის ივლისში უკანონოდ ისმენდნენ ლონდონში მომხდარი ტერაქტების მსხვერპლთა ნათესავების ხმოვან ფოსტას. გამოცემას პოლიციელების მოსყიდვაშიც ადანაშაულებენ. გარდა ამისა, ისმინებოდა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერისა და პრინც უილიამის მეუღლის, ქეით მიდლტონის სატელეფონო საუბრები. სკანდალის გამო რუპერტ მერდოკმა გაზეთი News of World დახურა. ■

ყველაზე იაფი — სტამბოლში, ყველაზე ძვირი — მოსკოვში...

ყველაზე იაფი სასტუმროები სტამბოლში, ყველაზე ძვირი კი მოსკოვშია. რუსეთის დედაქალაქის სასტუმროში გატარებული ერთი ღამე ტურისტს დაახლოებით 173 ევრო უჯდება. ფასში სულ მცირედი სხვაობით, მას ოსლო ჩამორჩება და რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს, ხოლო პირველი ხუთეულის დანარჩენი 3 დედაქალაქია: სტოკჰოლმი, ლონდონი და კოპენჰაგენი. მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმროების მქონე ქალაქებად ასევე — ნიუ-იორკი, ტოკიო და სინგაპური აღიარეს. დაჯავშნის ონლაინსერვისის, „ჰოტელ ინფოს“ მონაცემებით, მსოფლიოს უიაფესი სასტუმროები სტამბოლში, ბუენოს-აირესსა და შანხაიშია. ■

ინგლისში ამობრუნებული ცისარტყელა გამოჩნდა

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა იშვიათი სანახაობის მომსწრე გახდა — ცის კაბადონზე ამობრუნებული ცისარტყელა გამოისახა. ინგლისელებმა ეს უნიკალური მოვლენა ფირზე აღბეჭდეს და მას „ღიმილი ცაში“ დაარქვეს. ის ტრადიციული ცისარტყელასგან განსხვავებით, უღრუბლო ცაზე გამოჩნდა და გაცილებით კაშკაშა იყო. თვითმხილველთა გადმოცემით, „ღიმილი ცაზე“ მხოლოდ 8 წუთის განმავლობაში იყო, შემდეგ კი მთლიანად გაქრა. ■

დათვს მდინარეში ნადირობის დროს ჩაეძინა

მურა დათვმა (რომელსაც ფოტოგრაფებმა მოგვიანებით, იოლანდა შეარქვეს) მდინარეში ორაგული დაიჭირა, წყალში ჩაჯდა, თევზი მაგრად მიისუტა და... ჩაეძინა. ამ ამბის შემსწრე, ცნობილი ფოტოგრაფი რიკ შერემეტა ალასკაზე ყოფნის დროს გახდა. ის მურა დათვების ყოველდღიურ ცხოვრებას 4 დღის განმავლობაში აკვირდებოდა და საკმაოდ საინტერესო ფოტოების გადაღებაც მოახერხა. „ყველაზე საინტერესო — იოლანდაზე დაკვირვება იყო. ის გუნდში გამოკვეთილი ლიდერი იყო, ნადირობისთვის საუკეთესო ადგილებს ირჩევდა და ყველაზე მეტ თევზს

იჭერდა. ნადავლის შესაჭმელად იოლანდა წყალმარჩხ ადგილზე მიდიოდა. დათვი ამ რიტუალს დღეში რამდენჯერმე იმეორებდა და არასდროს მინახავს დასასვენებლად ნაპირზე გამოსულიყო, როგორც ამას მისი „გუნდის წევრები“ აკეთებდნენ“, — ჰყვება ფოტოგრაფი.

როგორც ჩანს, ასეთმა აქტიურმა ნადირობამ ცხოველი დაქანცა და მას თათებში ნადავლით ჩაეძინა. „ასეთი წუთების გადაღების შანსი ფოტოგრაფებს ძალიან იშვიათად აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, მთელი სცენის გადაღება მოვასწარი“, — ამბობს რიკ შერემეტა. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ
ambebi.ge-ს მასალები

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲝ ᲢᲐᲥᲡᲘᲗ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ?!

„ეს თქვენი ბოლო მგზავრობაა ამ ფასად“, — ნახევრად ხუმრობით მითხრა ძველი, საბჭოური ტიპის სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა და როცა მგზავრობის საფასური მივაწოდე, ნაძალადევად გამიღიმა. — კი, მაგრამ რატომ, რა მიზეზით? ეს მაინც არ არის ახალი მანქანა, — ვკითხე გაოცებულმა. — კონკრეტული მიზეზი არა აქვს... იმიტომ, რომ ყველაფერი გაძვირდა. დილას 122 ნომრის „მარშრუტკის“ მძღოლებთან პატრულის თანამშრომელი მისულა და გაუფრთხილებია, — მგზავრობის საფასურად 80 თეთრს თუ არ დააწესებთ, ჯარიმას დაგაკისრებთო. — რომელი კანონის საფუძველზეო, არ ჰკითხეს? — აღშფოთდნენ ჩემ უკან მსხდომი მგზავრები, მაგრამ მძღოლმა მოკლედ უპასუხა, — ვისაც ეს ფასი არ მოგწონთ, ამ „მარშრუტით“ ნუ იმგზავრებთო... ჩემთან ერთად, შუახნის მამაკაცი ჩამოვიდა და კარი ისეთი სიბრაზით გამოიხურა, მოყანყალებული მანქანა კინაღამ დაიშალა...

ᲚᲐᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘ

ამ მანქანას კრედიტით გვაძლევენ ანუ 10 წლის განმავლობაში თვეში 470 ევრომდე გადახდა გვიწევს

იქიდან №4 ყვითელ „მარშრუტკაში“ გადავჯექი. ახლა სუფთა, კონდიციონერიან და სალარო-აპარატით აღჭურვილ კომფორტულ მანქანაში მყოფს, სხვა სამყაროში მეგონა თავი, უბრალოდ, გარემო იყო ძალიან „ქართული“: მძღოლი — დაძაბული, მგზავრები კი — გაბრაზებულები ისხდნენ. მართალია, უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი მგზავრობის გაზრდილი საფასური იყო, რასაც ყველა ერთიანად აპროტესტებდა, იყვნენ ისეთებიც, ვისთვისაც ელექტრონული ბარათით გადახდის წესიც მიუღებელი აღმოჩნდა და ამან რამდენიმე კურიოზიც გამოიწვია:

— ფულზე ვიხდი თუ ბარათზე? — *შემოყო თავი მძივებასხმულმა ქალმა ერთ-ერთ გაჩერებაზე.* — თქვენი ნებაა, ქალბატონო, — *ჩაილაპარაკა მძღოლმა და პასუხს თავი აარიდა. გაბრაზებულ მგზავრებს სახეზე ღიმილმა გადაურბინა:* — ორივე, — უპასუხეს ერთხმად. ქალი ამოვიდა თუ არა, მაშინვე მძღოლს ეცა:

— ყვითელი მაისური კი ჩაგიცვიათ, ჰალსტუხი რატომ არ გიკეთიათ?!. რამხელა ხმაზე აღრიალებთ ამ მუსიკას, რა გენაღვლებათ, რა!..

— რა გიკვირთ, ქალბატონო? ქართველები ხომ ერი აღარ ვართ, ნამდვილი ცხვრის ფარა ვართ, — მხარი აუბა ჩემ გვერდით მჯდომმა.

— კარგი, რა, ხალხო, რა ვქნათ აბა?! 30 თეთრს გადავაყოლოთ სამშობლო? არ გახსოვთ, მტერი აქედან 30 კილომეტრში რომ დგას?!

— ვინ არის მტერი? რუსეთია მტერი და სააკაშვილი — ჩვენი პატრონი, არა?!.

— ვაცადოთ ამ კაცს ცოტა ხანი, ხალხო, თქვენ რა იცით, რა ძალისხმევა დასჭირდა ჩვენს მერს იმისთვის, რომ 80 თეთრი ყოფილიყო და არა — 1 ლარი, — *არ ცხრებოდა ხელისუფლების დამცველი, თუმცა მალევე მიხვდა, რომ აშკარა უმცირესობაში იმყოფებოდა და სამარშრუტო ტაქსი სასწრაფოდ გაჩერებინა...*

ხანდაზმული ქალბატონი, რომელსაც მთელი გზა ხელში სოციალურად დაუცველი მოქალაქის ელექტრონული ბარათი ეჭირა, თავის აზრს ხმამაღლა გვიზიარებდა:

— შეღავათი გეკუთვნით, 65 თეთრს იხდითო, გვეუბნებიან. ნებისმიერ სამარშრუტო ტაქსიში 50 თეთრს, აქეთიქით კი — 1 ლარს ვიხდიდი; ამ ბარათით მგზავრობა კი 1.20 ლარი მიჯდება, რანაირად არის შეღავათი?! ამათ ჩვენ მართლა სულელები ხომ არ ვგონივართ?!

— უკვე მერამდენე დღეა, ასეთ დღეში ვართ. ყოველდღე ლანძღვა-გინებისა და წყევლა-კრულვის მოსმენა გვიწევს. გასაგებია, რომ ძვირია და ხალხს ფული არა აქვს, მაგრამ რაღაც, უცნაური ხალხი ვართ ქართველები: ზოგი გადახდის აპარატის არსებობას აპროტესტებს, ზოგიც — „მარშრუტკის“ ფერს, რაღა ყვითელი აირჩიეთო?!. — შემომჩივლა მძღოლმა, როგორც კი მგზავრები შეთხელდნენ.

— **ძველი მძღოლები დაგტოვეს თუ ახლები უნდა შემოიყვანონ?**

— ჯერ-ჯერობით ძველები ვართ, მაგრამ პირობებია ისეთი, მგონი, სჯობდა, აქამდე დამენებებინა თავი. აწი არაფრის შეცვლა აღარ შემიძლია: ამ მანქანას კრედიტით გვაძლევენ ანუ 10 წლის განმავლობაში თვეში 470 ევრომდე გადახდა გვიწევს, რაც მთლიანობაში 50 ათასი ევრომდე გვიჯდება. ყოველთვე ამხელა თანხა ბანკს რომ გადავუხადო, სახლში რაღა მივიტანო, არ ვიცი... სამაგიეროდ, მერე სულ თქვენი იქნებაო. როდის მერე — 10 წლის მერე 65 წლის ვიქნები და ვიმუშავებ თუ არა, ისიც არ ვიცი... ჩვენც მოტყუებულები ვართ და მგზავრებიც, მაგრამ ხმას ვინ ამოიღებს, ან რაღა აზრი აქვს?!. ყველა

Berta

„ბერტას“ საზაფხულო აქცია დაიწყო, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდება, ქართველ მომხმარებელს საშუალება ეძნება, „ბერტას“ ახალი ბრენდის — „მარტას“ ყველა ტიპის საწმენდი საშუალება წარმოუდგენელ დაბალ ფასად შეიძინოს, ასევე „ოვაციოს“ ოთხი თერაპია მხოლოდ 1 ლარად! ასეთი მასშტაბური აქცია „ბერტამ“ პირველად წამოიწყო.
„ბერტას“ პრიორიტეტი მომხმარებელზე ზრუნვა და მისი მოთხოვნის გათვალისწინებაა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ გრანდიოზული ფასდაკლების აქციის მოწყობა მთელი საქართველოს მასშტაბით: „მარტას“ ყველა ტიპის საწმედი საშუალება ნახევარ ფასად და მყარი საპონი „ოვაციოს“ ოთხი თერაპია მხოლოდ 1 ლარად“ — აცხადებენ კომპანიაში.
„ბერტას“ ყველა პროდუქცია უკვე ონლაინ გაყიდვაშია, www.goodwilldelivery.ge-ის მეშვეობით დიასახლისებს შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად შეიძინონ „ბერტას“ ყველა ბრენდი.

მძღოლს თითო კაცი მიგვამაგრეს, რომელიც დღის განმავლობაში მგზავრთა რაოდენობას აღრიცხავს. არ ვიცი, ამით რის გარკვევას ცდილობენ, მაგრამ დროც შეგვიმცირეს...

— **ეს რას ნიშნავს?**

— იმას, რომ დროში შეზღუდულები ვართ. მგზავრები ფეხზე არ უნდა იდგნენ და ასე, გეგმით დაკისრებული თანხის გადახდას ვერ შევძლებთ... ერთ დღეს გავიფიცეთ, მაგრამ რამდენიმე ხანში ავტოფარეხში შესაბამისი სამსახურებიდან მოვიდნენ და პირდაპირ ასე გაგვაფრთხილეს, — ხომ არ გინდათ, სამუშაოს გარეშე დარჩეთო?!.

არადა, ჯერ კიდევ 25 თებერვალს, თბილისის მერიაში აცხადებდნენ, დღეს უკვე განხორციელებულ ცვლილებასთან ერთად, მგზავრობის საფასური არ გაიზრდებოდა, რომ მგზავრობის ფასი 50 თეთრი იქნებოდა, მაგრამ პირველი დღიდან 80 თეთრი დაანესეს, ოღონდ ეს არის, ელექტრონული ბარათების გამოყენების შემთხვევაში, მგზავრები ფასდაკლებით ისარგებლებენ და მეორედ მგზავრობისას 65 თეთრს გადაიხდიან, სოციალურად დაუცველი პირები კი — 50%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებენ... ჯერჯერობით 36 ახალი მანქანა გაუშვეს ხაზზე და მერიის მიერ გაკეთებულ იმავე განმარტებაში ნათქვამია, რომ მგზავრობის გაძვირება სამარშრუტო ტაქსების სხვა ხაზებს არ შეეხებოდა, მაგრამ უკვე რამდენიმე დღის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და საბჭოთა წარმოების მანქანების მფლობელებმაც 80-თეთრიანი ტარიფი დააწესეს.

თინა ხიდაშელი, *რესპუბლიკური პარტიის დედაქალაქის საქმეთა მდივანი, საკრებულოს წევრი:*

— ჩვენ ხელთ გვაქვს არაერთი მძღოლის მიმართვა, სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორ აიძულებენ კომპანია „თბილლაინის“ წარმომადგენლები მათ ხელშეკრულებების გაფორმებას... მოვითხოვთ, გადაისინჯოს ამ კომპანიის მიერ მძღოლებისთვის შეთავაზებული პირობები და საზოგადოებას აუხსნან, რამდენად შეესაბამება ისინი სამართლიანობისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მოსახლეობას ისიც აუხსნან, როგორ მოხდა, რომ სხვადასხვა კომპანია, რომელიც ერთიმეორის კონკურენტი უნდა იყოს, ერთი და იმავე შინაარსის ხელშეკრულებებს სთავაზობს მძღოლებს. თუმცა აქვე გეტყვით — იმედი არა მაქვს, რომ ჩვენს კითხვებზე პასუხს მივიღებთ, რადგან ხელშეკრულება კორუფციული, კაბალური და უსამართლოა. საქმე ის არის, რომ მძღოლები ალტერნატივის გარეშე არიან დარჩენილი, რადგან დედაქალაქში მოქმედი ყველა სამარშრუტო ხაზი ერთი კომპანიის ხელშია. იმის მიუხედავად, თუ ვინ არის ლოტის ფორმალური გამარჯვებული, მოლაპარაკებებს ყველასთან „თბილლაინის“ წარმომადგენლები მართავენ.

— **კონკრეტულად რა პირობებს სთავაზობს აღნიშნული კომპანია მძღოლებს?**

— იჯარის გადასახადის გარდა, მძღოლებს მარშრუტზე მოძრაობის ღირებულების — ყოველდღიურად 10 ლარის გადახდა უწევთ, რაც თვეში საშუალოდ, 300 ლარს შეადგენს და ეს გაგრძელდება 1-ელ ოქტომბრამდე, ხოლო 1-ელი ოქტომბრიდან მარშრუტზე მოძრაობის ღირებულების გადასახადი დაზუსტდება, ოღონდ მოიმატებს თუ დაიკლებს, ან რა პროპორციაში იქნება სამარშრუტო ტაქსის ფასთან, ამაზე ხელშეკრულებაში არაფერი წერია. ამასთან, მძღოლები ვალდებული არიან, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კომპანიის ანგარიშზე საგარანტიო თანხა — 500 ევრო შეიტანონ. ხელშეკრულების თანახმად, აგრეთვე, მძღოლს უფლება აქვს, ერთი წლის შემდეგ სრულად გამოისყიდოს მანქანა და ნარჩენი ფასი ერთბაშად გადაიხადოს, თუმცა თვით ფასის შესახებ ინფორმაცია ხელშეკრულებაში მოცემული არ არის.

მძღოლები ალტერნატივის გარეშე არიან დარჩენილი, რადგან დედაქალაქში მოქმედი ყველა სამარშრუტო ხაზი ერთი კომპანიის ხელშია

— **ცნობილია, რომ მძღოლს მანქანის საფასურის ივჯარით გადახდა მოუწევს...**

— დიახ, 10 წლის განმავლობაში ყოველთვიურად, 463 ევროს გადახდა მოუწევს, რაც საბოლოოდ, 50 ათას ევრომდე ჯდება, — მაშინ, როცა კომპანიას თითოეული მანქანა 18 ათასი ევრო დაუჯდა... გარდა ამისა, ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში, პრაქტიკულად ყველა ხარჯის დაფარვა (დაზიანება იქნება ეს, ზეთის გამოცვლა თუ სხვა საექსპლუატაციო ხარჯები) მძღოლმა თავად უნდა უზრუნველყოს. საქმე ის არის, რომ მძღოლი საკუთარი ხარჯით ასხამს საწვავს და უხარისხო საწვავით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში, ფინანსურ ვალდებულებას საკუთარ თავზე იღებს. არადა, საჭირო საწვავის ერთობლივად შეძენის შემთხვევაში, კომპანიას ის გაცილებით ნაკლები დაუჯდებოდა, რაც მგზავრობის საფასურზეც აისახებოდა.

რატომ შეცვალა მერიამ თებერვალში მიღებული გადაწყვეტილება? რატომ იხდის მძღოლი მანქანისთვის ივჯარით სამჯერ მეტს, ვიდრე კომპანიამ გადაიხადა? როცა ამ და სხვა შეკითხვებით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მამუკა ახვლედიანს მივმართე, მიპასუხა, რომ მერიამ ოფიციალური განმარტება უკვე გააკეთა და მას მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი არ ესმის, ვინაიდან მგზავრობა უფრო კომფორტული გახდა და შეღავათებსაც ითვალისწინებს. ბატონმა მამუკამ ძველი პირობების შეცვლაზე კომენტარისგან თავი შეიკავა და ცხადია, არც იმ შეკითხვაზე გამცა პასუხი, თუ რატომ გაიზარდა მანქანის ივჯარით შესყიდვის 5-წლიანი ვადა 10 წლამდე?..

არავინ დაობს იმაზე, რომ მომსახურება და კომფორტი ფული ღირს და თუ უსაფრთხოდ მგზავრობა გსურს, მეტის გადახდაც არ უნდა დაგენანოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეჭვები ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როცა ახალი მიკროავტობუსები ერთ-ერთმა კერძო კომპანიამ შემოიყვანა და თბილისის მერიის ტენდერი კონკურენციის გარეშე მოიგო. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანია „თბილ-ლაინის“ ზურგს უკან მაღალჩინოსნები იდგნენ. შედეგად, ვიღაცამ ბევრი ფული, საზოგადოებამ კი — გაძვირებული ტრანსპორტი მიიღო. ეს, რაც შეეხება იმას, თუ ვის ვუხდით... მავანთ ალბათ ეს, ჩვენი ქვეყნის ევროპული განვითარების ერთ-ერთი დადასტურებაა. ჩვენც დავეთანხმებოდით, რომ არა ის საეჭვო ტენდერი და უეცრად დაწესებული ახალი ფასი, რომლის გადახდაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ბიუჯეტს დაუძლეველ ტვირთად მოევლინა.

ასე და ამგვარად, თბილისი ნელ-ნელა მართლაც ემსგავსება ევროპის ქალაქებს, ოღონდ ერთი განსხვავებით — მხოლოდ გარეგნულად. მოსახლეობის ცხოვრების პირობებსა და ზოგადად სოციალურ ფონზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არა მგონია, რომელიმე განვითარებული ქვეყნის მუნიციპალურმა ხელისუფლებამ გაბედოს ყველა სფეროს მონოპოლიზება და ფასების უსაშველო ზრდით ათასობით მოქალაქე ასე ძლიერ დააზარალოს. ■

რა აღიარა გია აბდალაძემ
და რატომ არ იჯერებენ მის ჯაშუშობას?

მიუხედავად იმისა, რომ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულმა ფოტორეპორტიორებმა — ირაკლი გედენიძემ, გიორგი აბდალაძემ და ზურაბ ქურციკიძემ სამართალდამცველებს აღიარებითი ჩვენება მისცეს, საზოგადოების ნაწილი მათ უდანაშაულოდ მიიჩნევს. საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა 70%-ს არ სჯერა, რომ დაკავებულები უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობდნენ, 16% ფიქრობს, რომ შესაძლოა, ისინი მართლაც იყვნენ დამნაშავეები, 11 პროცენტს კი დასკვნის გაკეთება უჭირს. რატომ არ სჯერა საზოგადოების უმეტეს ნაწილს „ფოტოგრაფების საქმის“ რეალურობისა და შესაძლებელია თუ არა, რომ დაკავებულების აღიარებითი ჩვენება საბრალდებო დასკვნის საფუძველი გახდეს — ამის გარკვევას ყოფილ გენპროკურორ გია მეფარიშვილთან და კონსტიტუციონალისტ ვახტანგ ხმალაძესთან საუბრისას შევეცადე.

ᲙᲐᲗᲣᲜᲐ ᲒᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ

ᲒᲘᲐ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

— მოსამართლე მხოლოდ ბრალდებულების აღიარებით ჩვენებაზე დაყრდნობით განაჩენს ვერ დაადგენს, რადგან ამას კანონმდებლობა კრძალავს. ჩვენი კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, პასუხისგებაში მიცემასა და მსჯავრდადებას ითვალისწინებს მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე. კანონის თანახმად კი ასეთი მტკიცებულება მინიმუმ ორი მაინც უნდა იყოს. აღიარებითი ჩვენება მხოლოდ ერთ-ერთი მტკიცებულებაა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის განაჩენის დადგენისათვის.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲔ:

— აღიარებითი ჩვენება მართლაც, არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას, რადგან სამართალდამცველებმა ის შესაძლოა, დაკავებულზე სხვადასხვა სახის ზემოქმედების შედეგადაც მოიპოვონ. ნებისმიერი სახის იძულება კანონის დარღვევაა.

— ფიქრობთ, რომ სამართალდამცველებმა ფოტორეპორტიორებზე რაიმე სახის ზეწოლა განახორციელეს?

— არაფერს ვამტკიცებ, თუმცა გამორიცხული არაფერია...

— სახალხო დამცველმა გიორგი აბდალაძის მონახულების შემდეგ განაცხადა, რომ მას ფიზიკური ზეწოლის კვალი არ აღენიშნებოდა.

— ჯერ ერთი, გრიმის საშუალებით ძალიან იოლად შეიძლება სახეზე არსებული დაზიანებების შენიღბვა (გასათვალისწინებელია ისიც, რომ წამების უამრავი ისეთი მეთოდი არსებობს, რომელიც კვალს არ ტოვებს). გარდა ამისა, ფიზიკური ზეწოლის გარდა, არსებობს ფსიქოლოგიური და მედიკამენტური ზემოქმედების საშუალებებიც. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საზოგადოება ხელისუფლებას არ ენდობა, „ფოტოგრაფების საქმე“ ასე საგულდაგულოდ გასაიდუმლოებული არ უნდა იყოს. უკიდურეს შემთხვევაში, ადვოკატებს მაინც უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ ყველაფერი ნახონ, გადაამოწმონ და საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტიზაც დანიშნონ... ფოტორეპორტიორების ჯაშუშობის ამბავს არგუმენტირებული მტკიცებულებების გარეშე არავინ დაიჯერებს. ეს მტკიცებულებები კი გამოძიებამ უნდა წარმოადგინოს. მე რომ ვთქვა, კაცი მოვკალი-მეთქი, მხოლოდ ამის საფუძველზე ვერავინ დამიჭერს. გამოძიებამ უნდა დაამტკიცოს, ნამდვილად მოვკალი თუ — არა, მე კი არ უნდა ვამტკიცო საკუთარი უდანაშაულობა.

— ვანო მერაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქმის მხოლოდ 10 პროცენტია გასაიდუმლოებული; თქვენ თუ მიგიწვდებათ ხელი დანარჩენ 90%-ზე?

— არაფერზეც არ მიმიწვდება ხელი. ადვოკატები ამბობენ, რომ მათ ხელი მოაწერინეს ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც, უმცირესი წვრილმანიც კი არ უნდა გაამხილონ. ჩნდება კითხვა — მერაბიშვილი იტყუება თუ ადვოკატები? ადვოკატების ინტერესებში ამ ინფორმაციის გასაიდუმლოება ნამდვილად არ შედის, შესაბამისად, ისინი ტყუილად არ იტყოდნენ, რომ უმცირესი ინფორმაციის გამჟღავნების უფლებაც არა აქვთ. გამოდის, რომ მინისტრი იტყუება... აშკარაა, რომ ხელისუფლებამ დაკავებულების საჯარო აღიარება მათი დისკრედიტაციის მიზნით მოაწყო. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ნამდვილად არ იცის, რომ აღიარებითი ჩვენება (სხვა მტკიცებულებების გარეშე) არაფერს ნიშნავს. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, ბევრმა იფიქროს, — ეს ხალხი თავისი პირით აღიარებს დანაშაულს და მე რატომ არ უნდა დავიჯეროო?!

— აბდალაძის აღიარებითმა ჩვენებამ პირადად თქვენ რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ?

— აბდალაძის საუბრიდან ისეთი ვერაფერი მოვისმინე, რაც ბრალდებას კომპრომატად გამოადგება.

— როგორც თავად თქვა, რუსებმა ის ერგნეთში დაპატიმრების დროს გადაიბირეს. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება?

— რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ მართალია, თუ არგუმენტირებული მტკიცებულება არ იქნება დადებული? არც ის არის დანაშაული, რომ ფოტორეპორტიორები ფოტოებს იღებდნენ და შემდეგ ყიდდნენ. აბდალაძე იმასაც ამბობს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთი

რადიო
თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

კომპიუტერიდან საიდუმლო ინფორმაცია მოიპარა, დიპლომატიური შეხვედრის სტენოგრამაც გააკეთა და ქურციკიძეს გადასცა. კანონში პირდაპირ წერია, რომ ინფორმაციის დაცვა უნდა უზრუნველყონ პრეზიდენტმა, რომელიც ადგენს ნუსხას, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ყველა უწყების სპეციალურმა სამსახურმა. საგარეო საქმეთა სამინისტროში, პირველ რიგში, მინისტრია პასუხისმგებელი იმაზე, რომ უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფდეს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაცვას. თუ ასე იოლად შეიძლებოდა ამ ინფორმაციის მოპოვება, თუ კორესპონდენტი ესწრება ქვეყნის პირველი პირებისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალურ შეხვედრებს, თანაც იმდენ ხანს, რომ სტენოგრამები აკეთოს, სად არის ვაშაძის პასუხისმგებლობა? სხვათა შორის, მე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ უახლოეს მომავალში ექსპერტები სასამართლოს მივმართავთ, რათა გააუქმონ ის არაკონსტიტუციური მუხლი, რომლითაც ფოტორეპორტიორები არიან დაკავებულნი.

— კონკრეტულად რას მიიჩნევთ არაკონსტიტუციურად?

— სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლს. ეს მუხლი ითვალისწინებს სანქციებს ჯაშუშობისთვის და ორი ნაწილისგან შედგება: 1. უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა, ანდა გამოძალვა, ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

2. ჯაშუშობა, ჩადენილი ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან რამაც საქართველოს ინტერესებისთვის მძიმე შედეგი გამოიწვია — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე.

ეს მუხლი არის ძალიან ბუნდოვანი და ხელისუფლებას შეუძლია, ამ მუხლით გაასამართლოს ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც აქვს უცხოურ ორგანიზაციასთან ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, ეს ორგანიზაცია მედიასაშუალებას წარმოადგენს, რაიმე სხვა ორგანიზაციას თუ მართლა სადაზვერვო სამსახურს. ეს ნიშნავს იმას, რომ მეცნიერმა, რომელიც წერს ეკონომიკურ საკითხებზე, შეაგროვა ლეგალური მასალა და გამოუვიდა კრიტიკული პუბლიკაცია, ხოლო მავანთა აზრით, ეს პუბლიკაცია ქვეყნის ინტერესების საზიანოა; ჰოდა, ეს მეცნიერი ციხეში აღმოჩნდება?!. იქნებ ვინმემ ახსნას, რას ნიშნავს ფორმულირება — „სხვა ინფორმაცია“ ან „საქართველოს ინტერესების საზიანოდ“? რა შეიძლება ჩაითვალოს ზიანის მომტანად? ჩვენ გვაქვს ასეთი კლასიფიკაცია — რომ არსებობს სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მქონე ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, მაგალითად: კომერციული საიდუმლოება, პირადი საიდუმლოება და ეს ყველაფერი არის ძალიან მკაფიოდ განსაზღვრული. მაგრამ ის, რომ ნებისმიერი სახის ინფორმაციის გადაცემა თუ გავრცელება სახელმწიფოსთვის ზიანის მომტანია, უბრალოდ, აბსურდამდე მივა. მიმაჩნია, რომ მუხლის ეს ნაწილი აშკარად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის იმ მუხლს, რომელიც იძლევა ინფორმაციის გავრცელების და მიღების თავისუფლების გარანტიას. ამიტომაც, ეს მუხლი უნდა გაუქმდეს. ევროპის ქვეყნებში ძალიან მკაფიოდაა განსაზღვრული, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ადამიანი მსჯავრდადებული ამ ნორმით. პროცესები კი ბევრად უფრო ღიაა და საზოგადოებას არ რჩება პასუხგაუცემელი კითხვები. ■

უზუსტობა აღიარებით ჩვენებაში

ფოტორეპორტიორ გიორგი აბდალაძის აღიარებით ჩვენებაში უზუსტობა აღმოჩნდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტმა ზვიად გურულმა განუცხადა, ერგნეთში ფოტორეპორტაჟის გადასაღებად გიორგი აბდალაძე 2000 წელს წავიდა და არა 2002 წელს, როგორც ის ამას პროკურატურის მიერ გავრცელებულ აღიარებით ჩვენებაში ამბობს.

„ეს იყო 2000 წლის მაისის დასაწყისი. მე ვმუშაობდი ჟურნალ „გზაში“ ჟურნალისტად. მაშინ ერგნეთის ბაზრობა ძალიან აქტუალური თემა იყო, იქ კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობდნენ. ჩამოვიტანე რეპორტაჟი და ერგნეთში გაიგზავნა ფოტორეპორტიორი მძღოლთან ერთად, ფოტოების გადასაღებად“, — აცხადებს ზვიად გურული.

მისივე თქმით, აბდალაძე ერგნეთიდან იმავე დღეს უნდა დაბრუნებულიყო, რადგან მასალა მეორე დღის ნომერში უნდა დაბეჭდილიყო. მოგვიანებით, რედაქციამ მიიღო ინფორმაცია აბდალაძისა და მძღოლის დაკავების შესახებ.

„შეუსაბამობა რატომ მოხდა აბდალაძის ჩვენებასა და ამ ამბავს შორის, არ ვიცი. ჩემთვის, მაგალითად, წარმოუდგენელია, ადამიანის ცხოვრებაში ამხელა რამე მოხდეს, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურზე მუშაობა დაგავალონ და არ გახსოვდეს, რომელ წელს იყო ეს“, — აღნიშნავს ზვიად გურული.

ფოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე აღიარებით ჩვენებაში ჰყვება, თუ როგორ დაითანხმეს რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე.

აბდალაძე ამბობს, რომ 2002 წელს, როდესაც გაზეთ „კვირის პალიტრის“ ფოტოკორესპონდენტი იყო, რედაქციიდან ერგნეთში მივლინებით გაგზავნეს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა მძღოლთან ერთად, ნეიტრალურ ტერიტორიაზე დააკავეს და სცემეს. წაიყვანეს ცხინვალში, სადაც გაჩხრიკეს და პრეზიდენტის კანცელარიის აკრედიტაცია, ასევე, დიქტოფონი აღმოუჩინეს, რომლითაც მის დაკავებას იწერდა.

აბდალაძის თქმით, ამის შემდეგ უარესად სცემეს. გადასცეს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ის ბრალდებული იყო ჯაშუშობასა და ცხინვალის ტერიტორიაზე დივერსიული ოპერაციის ჩატარებაში. ჩვენების მიხედვით, გამთენიისას იგი სხვა ადგილზე გადაიყვანეს, სადაც ორი რუსი სამხედრო დახვდა. მათ უთხრეს, რომ მძიმე მუხლი ჰქონდა წაყენებული, რომელიც 9-წლიან პატიმრობას ითვალისწინებდა. ამასთან, აბდალაძე აღნიშნავს, რომ თუ არ ითანამშრომლებდა მათთან, დაუდეს ძმების, დედის ფოტოები და მათი ლიკვიდირებით დაემუქრნენ. თანამშრომლობის შემთხვევაში კი გასამრჯელოს დაჰპირდნენ.

გამოსვლისას დე ფაქტო უშიშროების მინისტრმა უთხრა, რომ თავისუფალი იყო და ერგნეთთან ჟურნალისტები დახვდებოდნენ.

ერთი წლის შემდეგ კი, როდესაც სამსახური შეიცვალა და სხვა რედაქციაში გადავიდა, მეტრო „რუსთაველთან“ უცნობი პირი შეხვდა, რომელმაც ცხინვალის ხელშეკრულება შეახსენა და უთხრა, რომ იგორ გიორგაძის პარტიას უნდა დახმარებოდა. მან პარტიის მისამართი მისცა და უთხრა, რომ იქ უნდა მისულიყო.

გიორგი აბდალაძის აღიარებითი ჩვენების ვიდეოჩანაწერი გუშინ გავრცელდა. ■

ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐ: „ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲡ“

ადვოკატი ეკა ბესელია ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტორეპორტიორის, გიორგი აბდალაძის დაკითხვის სრული ჩანაწერის გამოქვეყნებას მოითხოვს. ბესელიას განცხადებით, გიორგი აბდალაძეზე ზეწოლა ხორციელდება და ბრალდებული მზადაა, ნებისმიერი რამ დაიბრალოს, რათა პატიმრობიდან გათავისუფლდეს. გთავაზობთ ეკა ბესელიას სააგენტო „ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუს, მცირედი შემოკლებით.

— მას შევხვდი ჩვენების მიცემის შემდეგ. პირველ რიგში, უნდა ვთქვა, რომ როგორც ჩანს, მას სთხოვენ, რომ მე არ ვილაპარაკო იმ გარემოებებზე, რომლებიც ჩემთვის ცნობილი ხდება. არ გამიკვირდება და ალბათ, არც მედიას უნდა გაუკვირდეს, თუ მას ამ დღეებში ჩემთან დაკავშირებით აცილება დააწერინეს. ეს მინიშნება მე მისგან მივიღე. მან მითხრა, ნუ მიმატოვებთო. მე ვუთხარი, რომ ვცდილობ, მას დავეხმარო და ამიტომაც, უნდა მიიღოს ის რჩევები, რომლებსაც მე ვაძლევ. თუმცა, როგორც ჩანს, უჭირს იმ სიტუაციაში, რომელშიც იმყოფება, იმოქმედოს ისე, როგორც მიგვაჩნია, რომ მისთვის უკეთესია. ფაქტია, რომ მას გუშინ გამართული შეხვედრისას ჩვენთან საუბარი არ შეეძლო. ეს კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილებას მიქმნის. ის მინიშნებით, თვალების მოძრაობით ან მიმიკით ცდილობდა, აეხსნა რაღაცები ან კითხვებზე პასუხი გაეცა. იქ, სადაც ჩვენ ვხვდებით მას, კამერაა დამონტაჟებული და დარწმუნებული ვარ, ჩაწერა მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ეს მანაც იცის და გუშინ, ფაქტობრივად, ვერც ერთ კითხვაზე ხმამაღლა ვერ საუბრობდა. მას ვკითხე, მართალი იყო თუ არა, როცა ეს ჩვენება მისცა გამოძიებას. მან თქვა, რომ ყველაფერს სასამართლო პროცესზე ილაპარაკებს და განხილვის დროს სრულ სიმართლეს იტყვის.

— ანუ შესაძლებელია, რომ გიორგი აბდალაძემ სასამართლოზე დღეს გავრცელებული ჩვენებისგან განსხვავებული ჩვენება მისცეს?

— შეიძლება, მართლაც განსხვავდებოდეს. მე ბევრი რამის გამო ვიყავი გაოცებული. ჯერ კიდევ 10 წუთით ადრე მან მითხრა, რომ არ აპირებდა აღიარებითი ჩვენების მიცემას და 10 წუთის შემდეგ დაიწყო ჩვენების მიცემა. დაკითხვის დასაწყისშივე მოხდა კამათი ჩემსა და გამომძიებელს და პროკურორს შორის. ვიდეომასალა, რომელიც გავრცელდა, არის დამონტაჟებული, აჩვენეს მხოლოდ 20 წუთი იმ დროს, როცა დაკითხვა 3 საათზე მეტხანს მიმდინარეობდა. მოვითხოვ, რომ გამოქვეყნდეს სრული ჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ დაკითხვის დასაწყისში გიორგი აბდალაძე არ აღიარებს ბრალს და ამბობს, რომ არ ცნობს თავს დამნაშავედ. მერე ცვლის ის პოზიციას და სამი სხვადასხვა პასუხი გასცა ერთი და იმავე კითხვას, რაც უკვე ნიშნავდა იმას, რომ იგი არ იყო ადეკვატური. მე მას რამდენჯერმე შევაწყვეტინე ჩვენების მიცემა, რამდენჯერმე გავაპროტესტე და ვუთხარი, რომ ბევრი რამ იყო არასწორი და ვცდილობდი, მიმეცა სწორი მიმართულება. მე მას ვკითხე, მიდასტურებდა თუ არა, რომ ერთი დღით ადრე კატეგორიულად გამორიცხავდა ჯაშუშობაში მონაწილეობას; მიდასტურებდა თუ არა, რომ არ აპირებდა ამის დაბრალებას? ეს ვიდეოკადრებში უნდა იყოს, რადგან სამივე კამერა ამას იწერდა. გიამ პასუხად მითხრა, რომ მიდასტურებდა ამ ყველაფერს. ასევე დამიდასტურა, რომ დაკითხვამდე 10 წუთით ადრე ამბობდა, რომ არ აპირებდა აღიარებითი ჩვენების მიცემას. ეს ყველაფერი კადრებშიც არის და ოქმშიც. სწორედ ამიტომ ვითხოვ, ვიდეომასალა სრულად აჩვენონ და გადმოგვცენ ჩვენც. დაკითხვის ოქმზე არის ჩემი საკმაოდ ვრცელი შენიშვნა გაკეთებული. შენიშვნაში მიწერია, რომ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩვენება ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად იყო მიღებული.

— რამ შეგიქმნათ ამგვარი შთაბეჭდილება?

— პირველ რიგში იმან, რომ დაკითხვამდე ერთი დღით ადრე მას სრულიად განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ასევე, ეს შთაბეჭდილება გააძლიერა იმან, რომ გიორგი აბდალაძემ ღამის 11 საათზე მოითხოვა გამომძიებელთან შეხვედრა. მესამეც — მან მითხრა, რომ არ აპირებდა ჩვენების მიცემას. როგორც ჩანს, მას ამ ჩვენებაში ბევრი რამ აქვს შეთხზული და ახლა უკვე მრჩება შთაბეჭდილება, რომ დაიბრალა ის, რაც არ ჩაუდენია, რადგან მისგან აღიარებას ითხოვდნენ და რაღაც თავისი ვერსია მოიფიქრა. ეს ჩვენება რომ გადამოწმდეს, დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ არ იქნება სწორი. მაგალითად, მე მას ვკითხე, 2002 წლის რომელ თვეში იყო დაკავებული ცხინვალში? მან თქვა, რომ არ ახსოვდა. არ ახსოვს, ზაფხულში მოხდა ეს თუ ზამთარში. დაკითხვის ბოლოს ადვოკატებმა დასვეს კითხვები და აბდალაძემ თქვა, რომ ცუდად არის და არ შეუძლია კითხვებზე პასუხის გაცემა. და ბოლო მიზეზია თავად გუშინდელი შეხვედრა, რომელმაც ჩემზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. აბდალაძეს შეხვდა სახალხო დამცველი და ვკითხე, რატომ არ უთხრა სახალხო დამცველს, თუ რა მდგომარეობაში იყო? აბდალაძემ მიპასუხა, რომ ტუღუშს ვერაფერს ვერ ეტყოდა. დღეს მას ჩემთანაც გაუჭირდა საუბარი, ადვოკატებს სთხოვდა, რომ არაფერი არ ელაპარაკათ ჩვენებასთან დაკავშირებით. მე ვკითხე აბდალაძეს, შენ პირადად გეშინია-მეთქი. მან მიპასუხა, „ჩემ გამო — არაო“. როგორც ჩანს, აბდალაძეს სხვა ადამიანების, შესაძლოა, ოჯახის წევრების გამო აქვს შიში. მე ვუთხარი, რომ ჩემი მონაწილეობა შოუს სახეს იღებს, რომ საქმეში ვარ მხოლოდ იმიტომ, რომ მას დავეხმარო და თუ არ ვილაპარაკებ, ჩემი ყოფნა აზრს დაკარგავს-მეთქი. პასუხად მითხრა: „ერთადერთი თხოვნა მაქვს — არ დამტოვოთ და არ მიმატოვოთ“. აბდალაძემ მედიასთან დაგვაბარა ძალიან დიდი მადლობა. მან თქვა, ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც თქვენ აკეთებთო. მას არ უთქვამს, რომ შეწყდეს სოლიდარობის აქციები. როგორც ჩანს, მას სთხოვენ პასუხს ჩემი, თუნდაც მასთან დაკავშირებული განცხადებების გამო და დღეს ვუხსნიდი, რომ არ მჯერა, რომ მისი ჯაშუშობა სიმართლეა და არ მინდა, საზოგადოებას შეექმნას ასეთი შთაბეჭდილება. გიორგი აბდალაძემ მითხრა, რომ მზადაა, ყველაფერი დაიბრალოს, ოღონდ იქიდან გამოვიდეს. მე როგორც ვიცი, გამოძიებას არანაირი უტყუარი მტკიცებულება არა აქვს. ამიტომაც უნდოდათ მათ ამ აღიარებითი ჩვენების მიღება — თუნდაც ასეთი აბსურდულის, ასეთი კომიკურის და დაუჯერებლის. მათ ეს სჭირდებათ, რომ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანი ჯაშუშობას აღიარებს და ეს მიაწოდონ საერთაშორისო ორგანიზაციებს და საელჩოებს. მოვითხოვ ყველა ფაქტის გადამოწმებას. ოფიციალურმა დოკუმენტმა უნდა დაადასტუროს, იყო თუ არა გიორგი აბდალაძე 2002 წელს ცხინვალში დაკავებული. რადგან ეჭვი გამიჩნდა, რომ მის ჩვენებაში არის ბევრი მოგონილი ფაქტი, დავიწყებ ამ ფაქტების ოფიციალურად გადამოწმებას.

მანანა მჭედლიშვილი

წინანდალში ნათლისმცემლობას დატრიალებული ტრაგედია

სამართალდამცველის მხეცობას შეწირული ახალგაზრდები

თელავის რაიონის სოფელ წინანდალში 7 ივლისის ღამეს დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელი სოფელი შეძრა. მთვრალმა თანასოფლელმა ხალხის თვალწინ ორი ახალგაზრდა უმოწყალოდ, ქუჩაში ჩახოცა. მოკლული ბიჭების მეგობარი გიორგი დათუკიშვილი გაავებული თანასოფლელის ნასროლ ტყვიებს შემთხვევით გადაურჩა. დამნაშავემ ტაბელური „მაკაროვიდან“ მათ საკონტროლო ტყვიებიც დაახალა და მიიმალა. ძალოვნებმა დანაშაულში მათი კოლეგა, კუდის სპეცრაზმელი, ყოფილი სპორტსმენი, 30 წლის დავით ჩოთალიშვილი ამხილეს. ის მკვლელობიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მას ბრალი 19-109-ე მუხლის III ნაწილით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 109-ე მუხლის III ნაწილით (განზრახ მკვლელობა) წაუყენეს.

თეა ხურცილავა

დეტალების გასარკვევად თელავისკენ გავემართე. ისნიდან ტაქსით წავედი. ჩემი მძღოლი, მათი თანასოფლელი აღმოჩნდა და კახეთში ჩემი წასვლის მიზეზი რომ გაიგო, დანანებით მითხრა: „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბიჭები დახოცა. ნახავთ, მთელი სოფელი როგორ ტირის... მკვლელობაში ბრალდებული დიდი ხანია, სოფელში არ მინახავს. თბილისში მუშაობდა და იშვიათად ჩამოდიოდა. მას ბავშვობიდან ვიცნობ. ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო. კრივზე დადიოდა. ალბათ 5 ბიჭს უპრობლემოდ მოერეოდა. ბევრჯერ ჩემი მანქანითაც წამიყვანია. ახლა ვიხსენებ, უცნაური მოძრაობები ჰქონდა, მანქანაში ადგილს ვერ პოულობდა, სულ ცქმუტავდა. ეტყობა, ნერვები მწყობრში არ ჰქონდა. მამამისი პატიოსანი კაცია. მომხდარით შეძრულები ვართ, უდანაშაულო ბიჭები დახოცა, არ ვიცით, ასე რამ გააბოროტა“. იგი მთელი გზა მოკლული ბიჭების, შოთიკო ბატიაშვილის და გიგია გემაზაშვილის წესიერებაზე საუბრობდა.

7 ივლისს, სოფელში ნათლისმცემლობა აღნიშნეს. სავარაუდოდ, ამ დღესასწაულზე ჩავიდა წინანდალში დავით ჩოთალიშვილიც. მკვლელობა სოფლის ცენტრში, ჩოთალიშვილის სახლიდან 100 მეტრში მოხდა. თვითმხილველების თქმით, დამნაშავე მეგობართან ერთად იყო და სახლში მთვრალი ბრუნდებოდა. თანასოფლელ ბიჭებს გამოელაპარაკა. ისინი გიგია გემაზაშვილის გარდაცვლილი დის, თათიას საფლავიდან იყვნენ დაბრუნებულები და ქუჩაში საუბრობდნენ. მათგან მხოლოდ ერთს, გიორგი მესხიშვილს იცნობდა. ჩოთალიშვილი ადრე მას კრივში ავარჯიშებდა. სხვებიც გადაკოცნა. უკითხავს, — ბიჭებო, თქვენ ბოლქვაძეების ძმაკაცები ხომ არ ხართო (ძმები ბოლქვაძეები წინანდალში ცხოვრობენ, ერთ-ერთი მათგანი მოკლულების თანაკლასელია. — ავტ.)? — ძმაკაცები არა ვართ, მაგრამ მათთან ვახლობლობთო, — მიუღია პასუხად. — ვინც მათი ძმაკაცი არ არის და ვისაც ეს ბიჭები არ უყვარს, იმათი დედაო!.. — შეუგინია ჩოთალიშვილს. — დედას რატომ გვაგინებ?! — უკითხავს გიგიას. ამის შემდეგ პირადად გიგიასთვის შეუგინებია დედა. როგორც ამბობენ, სწორედ ამ ფაქტს მოჰყვა შელაპარაკება. თვითმხილველების თქმით, დამნაშავემ წამებში ამოიღო „მაკაროვი“ და პირველად გიგიას ესროლა. სროლის ხმაზე ბიჭები სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ. გაქცეული შოთიკო ბატიაშვილი ძირს დავარდნილი მეგობრის მისაშველებლად უკან მიბრუნდა. სწორედ ამ დროს დაახალა მას მკვლელმა ტყვია. შემდეგ გიორგი დათუკიშვილს გაეკიდა...

უახლოესი მეგობრების ცხედრები ტაძარში ერთმანეთის გვერდით ესვენა. უამრავმა ადამიანმა მიაგო მათ პატივი. მათ შორის, სამხატვრო აკადემიის რექტორი გია ბულაძეც იყო. იგი წარჩინებული სტუდენტის, გიგია გემაზაშვილის მკვლელობის გამო წუხდა. წინანდალში ორი განუყრელი მეგობარი ჰეტრეპავლობას დაკრძალეს, ესეც ალბათ, სიმბოლურია. მართლაც მთელი სოფელი შეძრულია მომხდარით და ყველა თვალცრემლიანია.

...პირველად შოთიკო ბატიაშვილის სახლში მივედი. ოთახი ბიჭის ფოტოებით იყო სავსე. კუთხეში კანდელი და სანთელი ენთო. იქვე იყვნენ თვალცრემლიანი ბებო ნათელა, შოთიკოს გულმოკლული მშობლები, მისი ერთადერთი და და მამიდა, ნონა ბატიაშვილი.

ლევან ბატიაშვილი, *მოკლულის მამა:*

— 27 ივლისს შოთიკო 21 წლის გახდებოდა. იგი საერთაშორისო უნივერსიტეტში, ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე სწავლობდა. ძალიან შრომისმოყვარე იყო. ბოლო დროს, თბილისში, ჩემთან ერთად, ფირმა „ვით ჯორჯიაში“ მუშაობდა. ლიფტების აღდგენას ვახდენდით. ძალიან წესიერი, მოწესრიგებული შვილი მყავდა. ბავშვობაშიც ზომიერად ცელქი იყო. იუმორით სავსე. ახლა ვაჟკაცდებოდა. მაღალი და ტანადი იყო. ბოლო პერიოდი სულ ვარჯიშობდა. — გამხ-

დარი ვარ და კუნთები მინდა მქონდესო. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, სიკვდილის შემდეგ მივხვდი, როგორი ვაჟკაცი მყავდა. მიკვირს, ასე ახალგაზრდამ როგორ შეძლო ამხელა სიყვარულის მოპოვება. მთელმა საქართველომ დაიტირა. გოგონებს მისი ფოტოები თურმე მობილურში „უყენიათ“... გიგია მისი თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი იყო. ერთად გაიზარდნენ. უწესიერესი ბიჭი იყო. რამდენიმე დღეა მათ შორის სხვაობა. დედები სამშობიაროშიც ერთად იწვნენ. გიგია ხელმოკლედ ცხოვრობდა, ამიტომ შოთიკო სულ გვერდში ედგა. ძალიან უყვარდა, ხელფასს როგორც კი აიღებდა, გიგიასთან გარბოდა. იმ საბედისწერო დღეს მითხრა, — მამა, სამი ლიტრი ღვინო მინდა, გიგიას დის დაბადების დღეა და ბიჭები მის საფლავზე ავდივართო. საღამო ხანს 10 ბიჭი წავიდა თათიას საფლავზე. ყოველთვის მშვიდად ვიყავი, ვიცოდი, უკონფლიქტო შვილი რომ მყავდა და არასოდეს მეშინოდა. კონფლიქტი არასდროს ჰქონია, ამიტომ არც ვაკონტროლებდი. სამმაკაცოც სამაგალითო ჰყავდა. შოთიკოს სიგარეტიც არ მოუწევია, არც დალევა უყვარდა. მკვლელს უთქვამს, დანები დააძვრესო; ეს აბსურდია. იმ დღეს ბიჭები საფლავზე რომ ავიდნენ, საზამთრო რომ დაეჭრათ, დანა არ ჰქონიათ და მძღოლისთვის უთქვამთ, — მიშა ძია, დანა ხომ არ გაქვთ, გვათხოვეო... საფლავიდან გვიან წამოვიდნენ და სოფლის ცენტრში საუბრობდნენ. მკვლელი მათ მიუახლოვდა. პირველად გიგიას ესროლა, ჩემმა შვილმა წაქცეული მეგობარი რომ დაინახა, მისკენ მიბრუნებულა, ამ დროს შოთიკოსთვისაც უსვრია. როგორც ჩანს, შოთიკოს ხელი წინ ჰქონდა გაშვერილი და მკვლელს სთხოვდა, მისთვის არ ესროლა, მაგრამ მაინც ესროლა, ამიტომ აქვს ერთი თითი გახვრეტილი... ამის შემდეგ, თურმე ტკივილისგან იქვე ჩაიკეცა და დაიყვირა, მიშველეთო. ამ დროს მკვლელმა სასიკვდილო ტყვია გულმკერდში დაახალა და აორტა დაუზიანა. მერე იარაღი ისევ გადატენა და გიორგი დათუკიშვილსაც გაეკიდა. მან, საბედნიეროდ, გაქცევა მოახერხა. უდანაშაულო გიგიას ოთხი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ერთი — გულში და ამის მერე მკვლელმა საკონტროლო გასროლები გააკეთა. ორივე ადგილზევე გარდაიცვალა. მათ საშველად მანქანით მეზობლის ბიჭი მისულა. თურმე მანქანაში მომაკვდავების ჩასმასაც შეეწინააღმდეგა, ამჯერად მძღოლს დაუმიზნა, — არ გაბედო, ჩემს მტრებს ხელი გაუშვი, თორემ შენც მოგკლავო. თვითმხილველები ამბობენ, იარაღი მასაც დაუმიზნა, ჩახმახს ხელი გამოჰკრა, მაგრამ „მაკაროვში“ ტყვიები აღარ აღმოჩნდაო. ბიჭები თელავის საავადმყოფოში მაინც გადაიყვანეს, მაგრამ ისინი ადგილზევე იყვნენ დახოცილები. მკვლელს ვიცნობდი. წლებია, ის სოფელში არ მინახავს. ჩემს შვილს მასთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია. შოთიკოზე ასაკით დიდია და ერთმანეთს არც იცნობდნენ. რატომ მომიკლა უდანაშაულო შვილი?! ამ კითხვაზე პასუხი მინდა. პოლიცია კი მკვლელის ოჯახს იცავდა. მანქანები დააყენეს, სახლი რომ არ გადაგვწვა. ვნახოთ, რას იზამენ სამართალდამცველები. თუ ბიჭების მკვლელს სამუდამო პატიმრობას არ მიუსჯიან, ვერ მოვისვენებ. ერთს ცალსახად ვიტყვი — მასთან არანაირი დაპირისპირება და ურთიერთობა ამ უდანაშაულო ბიჭებს არ ჰქონიათ.

მოკლულები მორწმუნეები იყვნენ. იმ დილით ორივე წირვას დაესწრო. „შოთიკო დილით წირვაზე წავიდა, მერე სახლში მობრუნდა და გვიან საფლავზე გავიდა. მკვლელზე ამბობენ, — რომ დალევდა, ხელში სულ იარაღი ეჭირაო. ერთხელ ისიც უთქვამს, — ამ იარაღმა უნდა დამღუპოსო... სანამ ამ ტრაგედიას დაატრიალებდა, თურმე სუფრაზეც ატრიალა იარაღი და იმუქრებოდა, — ვინც მაგიდიდან ადგება, მას ვესვრიო. ეტყობა, სისხლი სწყუროდა და უდანაშაულო ბიჭები დახოცა. მოსიყვარულე შვილი მომიკლა. ბებო ბოსტანში თუ იყო და წვიმა დაიწყებოდა, ქოლგით გაიქცეოდა მის მოსაყვანად და ჩახუტებული მოჰყავდა. არ გავჩუმდებით — საქართველოს ღირსეული შვილები მოუკლეს... შს მინისტრის გასაგონად ვიტყვი, — სანამ პოლიციაში მიიღებენ ადამიანებს, სჯობია, მათი ფსიქიკური მდგომარეობა კარგად შეისწავლონ. გასაგებია, რისთვის წვრთნიან, მაგრამ გაუწონასწორებელ ადამიანებს იარაღს ნუ აძლევენ. ხომ უნდა შეამოწმონ, რომ ამ ხალხმა დედები ასე არ გაამწარონ და უდანაშაულო შვილები არ დაუხოცონ“, — გვითხრა შვილმოკლულმა დედამ.

შოთიკოს და ნათია, სიყვარულით საუბრობს გიგიასა და მისი ძმის უსაზღვრო მეგობრობაზე:

— საოცარი მეგობრობა ჰქონდათ. გიგიას დის სიკვდილის შემდეგ განსაკუთრებით ზრუნავდა მასზე, ეცოდებოდა. მეც ავად მყავს უფროსი შვილი, ვერ დადის და ექიმთან ის დამყვებოდა. მზრუნველი ბიძა იყო. ტაძარში ბავშვები დაჰყავდა. განიცდიდა ბავშვის ავადმყოფობას და მამხნევებდა. გიგიას კი საოცარი მომავალი ჰქონდა. მართლა უნიჭიერესი იყო. საქართველოს ღირსეული ბიჭები დაუხოცა გარეწარმა, წიგნიერი ახალგაზრდები.

ბატიაშვილების სახლში შევიტყვე, რომ გიგია გემაზაშვილს ერთადერთი და სარკომით გარდაეცვალა და მის სახლში გაუბედურებული დედა დამხვდებოდა. ქალბატონი მარინა მანგა-

შუაში გიგია, ქვევით შოთიკო, მეგობრებთან ერთად

ძის ტირილით მოყოლილმა ამბავმა კი სულით ხორცამდე შემძრა და ცრემლების შეკავება ვეღარ შევძელი.

მარინა მანგაკაძე:

— ქალ-ვაჟი მყავდა. ძალიან გაჭირვებით ვზრდიდი, რადგან მათი მამა სამუშაოდ რუსეთში წავიდა და 10 წელიწადზე მეტხანს მასზე არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა. მთელი სიმძიმე მარტო დარჩენილს დამაწვა. პროფესიით ჟურნალისტი ვარ, მერე ტექნოლოგიური დავამთავრე, მაგრამ შვილების რჩენა მიჭირდა და ამიტომ ფიზიკურად ვშრომობდი. სამუშაოდ ვენახებში დავდიოდი, შვილებს საჭმელი რომ ჰქონოდათ. გიგია პატარაობიდანვე გამორჩეული იყო. სულ პატარამ დაიწყო ხატვა. ძალიან ჭკვიანი, ნიჭიერი და თბილი შვილი მყავდა, სიყვარულით სავსე. 6 წლის იყო, პირველი ლექსი თავის მასწავლებელს რომ უძღვნა. ბევრს კითხულობდა, ლექსებს წერდა. გაზეთებში მისი ლექსები იბეჭდებოდა. სკოლა რომ დაამთავრა, თელავში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ

საბუთები ისევ უკან გამოიტანა. — დედა, სამხატვრო აკადემიაში მაინც უნდა წავიდე, ეს ჩემი სამყაროაო. ბავშვობიდან მხატვრობაზე ოცნებობდა, მაგრამ ვიცოდით, თბილისში მისი რჩენა ძალიან გაგვიჭირდებოდა. მითხრა, — დედა, არაფერი მინდა, ოღონდ ბავშვობის ოცნება ავისრულოო. სულით ხელოვანი იყო, ძალიან მგრძნობიარე. მის ლექსებს ჟრუანტელის გარეშე ვერ წაიკითხავ. ამ პატარა ბიჭს ამხელა სული საიდან ჰქონდა?!. სიმწრით გავზარდე. თათია ცეკვაზე დამყავდა, საოცრად ლამაზი, შოლტივით გოგო იყო. 14 წლის რომ გახდა, დაბადების დღე გადავუხადე, ასეთი კარგი დაბადების დღე არასოდეს მქონიაო, — თქვა. მეგობრებთან ერთად ბაღში გაისეირნა და სახლში

ტრაგედიის ადგილი

რომ დაბრუნდა, მითხრა, — მუხლი მტკივა, სიარული ვერ შევძელი, სახლამდე ძლივს მოვედიო. ექიმმა ონკოლოგიურში გამგზავნა. ბავშვს ფეხი შესივებულიც არ ჰქონდა და ფეხი მოსაჭრელიაო, — მითხრეს. ქიმიოთერაპია დაუნიშნეს, მაგრამ მალე ფეხი მოჰკვეთეს. გიგია გვერდიდან არ სცილდებოდა. თათია 14 წლის იყო, გიგია — 15-ის. უცებ, დაზე ნერვიულობით, გიგია სულ გამიჭაღარავდა... მკვლელობამდე ხუთი დღით ადრე რომ ჩამოვიდა თბილისიდან, უფრო გაჭაღარავებული იყო. ვკოცნე, — დედიკო, თმა როგორ გაგჭაღარავებია-მეთქი!.. დამამშვიდა, — უფრო სიმპათიური ბიჭი ვარო... დარდისგან გაჭაღარავებული შვილი დავკრძალე. დამხმარე მხოლოდ ძმა მყავდა და ისიც გარდამეცვალა. დის სიკვდილის შემდეგ გიგია ძალიან შეიცვალა, გულზე ხელს დაიდებდა და იტყოდა, — დედი, ამ ოხერ გულში ჟანგბადი არ ჩადისო. ჩემს ტირილს ვერ იტანდა, ბოლოს სულ მასზე ვფიქრობდი, ოღონდ ის კარგად მყავდეს და თათიას აღარ ვიტირებ-მეთქი.

— იმ საბედისწერო დღეზე რას იტყვით?

— 7 ივლისს თათიას დაბადების დღე იყო, 20 წლის გახდებოდა. დილის 5 საათზე სახლიდან საფლავზე გავეპარე, რადგან ჩემს ცრემლებს ვერ იტანდა. უკან ვბრუნდებოდი, არხის პირზე რომ შემხვდა. ჩემთან მოდიოდა. მისაყვედურა, — მარტო რატომ წამოხვედიო?!. ხელი გადამხვია და სახლში წამოვედით. ნათლისმცემლობაა, ტაძარში სანთელს დავანთებო, — მითხრა და ეკლესიაში წავიდა. იქიდან მეორე ტაძარში წირვაზე წავიდა. მერე საღამომდე სახლში იყო... საოცარი ხმა ჰქონდა და თბილისში დაწერილ ახალ ლექსებს გამოთქმით მიკითხავდა. თბილისიდან გახარებული დაბრუნდა. 20 ივლისს უკრაინაში მაგისტრანტებთან ერთად მიდიოდა სამუშაოდ: კონკურსში გაიმარჯვა და სამნი უნდა წასულიყვნენ, ტაძარი უნდა მოეხატათ. პასპორტიც გააკეთა. იმდენად უხაროდა, ღამეც არ ეძინა. მითხრა, — დედა, ცოტაც გავიჭირვოთ და ყველაფერი კარგად იქნებაო. სადაც უნდა წასულიყო, სახლში წერილს მიტოვებდა და ყველას ასეთი მინაწერი ჰქონდა: „მიყვარხარ, დედიკო“. იმ დღეს მეგობრებთან ერთად დის საფლავზე წავიდა და ქუჩიდან ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა. მერე შვილი მომისვენეს. მესამე კურსი დახურა. გია ბუღაძე დაკრძალვაზე ჩამოვიდა და თქვა, — ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო, დიდი მომავალი ჰქონდაო. სულ წერდა ლექსებს და მაკითხებდა. მისი ლექსები და ნახატები სულ სევდით იყო სავსე. თათიას სიკვდილამდე სულ სხვა სული ჰქონდა, სხვაგვარ ლექსებს წერდა. ხშირად ვეუბნებოდი, — მეშინია, ასეთ მძიმე ფერებში რომ ხატავ ყველაფერს, ნათელი ფერები იხმარე-მეთქი. — არა, დედა, მაშინ გიგია არ ვიქნებიო. ბოლოს მითხრა, მხატვარზე მეტად, მგონი, პოეტი ვარო. ფურცლებზე დაწერილი მისი ლექსები რვეულში გადამქონდა. ხუმრობით მეტყოდა, ყველა ფურცელი ფასს დაიდებსო. ამ პატარა ბიჭს ასეთი აზრები რატომ გაქვს, მეშინია-მეთქი. ჩავიკრავდი გულში. საოცარი მოფერება იცოდა. გახარებული მიყვებოდა, იმდენ ხალხში სამების ტაძარში პატრიარქმა ხელი ჩემკენ გადმოწია, შემახო და მომეფერაო. იმ დღეს უქადაგია პატრიარქს, სისხლია მოსალოდნელი და გაფრთხილდითო. არ ვიცი, შეიძლება, მისმა წმინდა სულმა იგრძნო ჩვენი მოსალოდნელი ტრაგედია.

— თბილისში ნაქირავებში ცხოვრობდა?

— ბუღაძემ თქვა, მატერიალურად ასე თუ უჭირდა ამ ბიჭს, ამას ვერ ვატყობდით, ვერც წარმოგვედგინაო. სიმართლე უნდა ვთქვა, დასამალი არაფერი მაქვს — ძალიან უჭირდა. ბინის ქირის ფული არ გვქონდა. პირველ კურსზე ძალიან იწვალა. თავი რომ ერჩინა, დუტას კაფეში მიმტანად დაიწყო მუშაობა. ღამის 3-4 საათზე ამთავრებდა სამუშაოს, წასასვლელი არსად ჰქონდა და ხშირად იქ რჩებოდა. რამდენჯერ გაუთევია ღამე აკადემიაში!.. ბიძაჩემი აეროპორტის დასახლებაში ცხოვრობდა და იქ მისვლას ვერ ახერხებდა. მერე ბარნოვზე პატარა ბინა იქირავა. რომ ჩავაკითხე, სინესტეში, სველ სარდაფში იწვა. ღამე რომ გაეთია, იმიტომ აიღო ის ბინა. ოღონდ ესწავლა — ეს იყო მისთვის მთავარი. უსახსრობის გამო თბილისში მასთან ჩასვლასაც ვერ ვახერხებდი. ბოლო ორი წელი მეგობარმა წერეთელზე შეიფარა და იქ ცხოვრობდა. ვეტყოდი, — ეს სიკეთე მათ როგორ უნდა გადავუხადოთ-მეთქი?.. სწავლის ქირა წელიწადში 1.000 ლარი მქონდა გადასახდელი. ეს ძალიან დიდი თანხა იყო. ამის გადახდას კი ვახერხებდი, მაგრამ მე და ჩემს შვილს არც ჩასაცმელი გვქონდა, არც დასახური და არც საჭმელი. დიდხანს სოფელში ვერ ჩამოვიდა, გზის ფულიც რომ არ ჰქონდა, იმიტომ. მონატრებული შვილი 5 დღის ჩამოსული იყო, საუბარიც ვერ შევძელი. ნახევარს იქით გავედით, დედი, ცოტაც გავიჭირვოთ და გვეშველებაო. ბავშვობიდან ამბობდა, — ჩემში დიდი პოტენციალია და ჩვეულებრივი ცხოვრებით არ ვიცხოვრებ, ჩემი სახელი უნდა დარჩესო. კარგი ლექსები ჰქონდა და მინდოდა, პრესაში დაებეჭდა. — არა, ჯერ ჩემი დრო არ დამდგარა, არ მინდა გამოვჩნდე და უცებ გავქრე; ისეთ დონეზე არა ვარ, ჯერ უნდა ვისწავლო, მერე მინდა სულ ვიბრწყინოო. კითხვა ძალიან უყვარდა. სახლში „ეს-

პანური ბალადა“ დარჩა გადაშლილი. მისი ბევრი ნახატი არა გვაქვს. აგერ, ნახატი რომ კიდია, ალბათ იმ ნახატის ქვეშ ორი ნახატია მოქცეული.

— **რატომ?**

— ტილო რომ ეყიდა, ხშირად ამის საშუალება არ გვქონდა. ფერწერაში სულ 100 ქულას იღებდა. მეორე დავალების შესასრულებლად ტილო რომ არ ჰქონდა, იმ შემშრალ ნახატზე ახალს ხატავდა და ის მიჰქონდა ლექტორთან. ძალიან ენანებოდა თავისი ნაშრომები, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. შარშან, ანაკლიის ბანაკში ერთი თვე იმუშავა. ბავშვებმა ბანაკი მოხატეს და ცოტა გასამრჯელოც მისცეს. იქიდან წამოსულმა ეს ნახატი დახატა და აქ დაკიდა. ბაზრობა „ლილო მოლიც“ მოხატა, თავისუფლების მოედანზეც მოუხატავს გარკვეული ტერიტორია. უკრაინაშიც ფულს მისცემდნენ და ეს უხაროდა. ამ თანხას სწავლისთვის გამოიყენებდა. ყველაფერს მიყვებოდა. ახლა შეყვარებულიც იყო და იმ გოგოსადმი მიძღვნილი ლექსებიც წამიკითხა. ჩემს თათიას მაგონებს, ისეთი გოგო გავიცანი აკადემიაში და ძალიან შემიყვარდაო. ხუთი შვილი უნდა მყავდეს, დაგეხვევიან შვილიშვილები და სევდისთვის დრო არ გექნებაო. არ შემიძლია, ასე გათეთრებულს რომ გიყურებ, საღებავი უნდა მოგიტანო და შეგღებო, უარი არ მითხრაო. ნუ გეშინია, ისევ ისეთი ლამაზი მარინა იქნებიო. ახლა კიევში ვიმუშავებ, ცოტა ფულს ვიშოვი და ცოლსაც შევირთავო. საოცრად თბილად ჩამეხუტა. რომ დავიძინებდი, ხშირად მისი ტკბილი მოფერება მაღვიძებდა. ასეთი შვილი მომიკლეს. ოცნებები დაუმსხვრიეს და მარტო, სულ მარტო დავრჩი ამქვეყნად. ფეხსაცმელიც კი არ ჰქონდა ჩემს შვილს. მეგობრის ნაჩუქარი ფეხსაცმლით მოვიდა, ისიც გვერდზე გახეოდა, ჩემი ხელით გავუკერე და ისე გავუშვი თბილისში. ცოტა ფული მოვაკოწიწე და ფეხსაცმელის საყიდლად გავუგზავნე. 12-ლარიანი კედებით ჩამოვიდა. მითხრა, — დედიკო, საღებავების ყიდვა ვამჯობინე ფეხსაცმელსო. თქვენ არ იცით, რამდენი რამ აკლდა. ცოტა მოვითმინოთ, ცოტა მოვითმინოთ და ყველაფერი მექნებაო. ამ იმედით დადიოდა და დასრულდა ყველაფერი. ბევრი რამ აკლდა, მაგრამ ამას ვერავინ ატყობდა, უბრალოდ, მისმა მეგობრებმა იცოდნენ... მეგობრებს მათ სახელზე სასაფლაოს ეზოში ტაძრის აგება სურთ. ეს რომ გავიგე, იმედი გამიჩნდა, იქ დავიდებ ბინას-მეთქი. მითხრეს, ეს არ შეიძლებაო. სხვა რა გზა დამრჩენია, ახლა ვეცდები ჩემი შვილი მთელ საქართველოს გავაცნო თავისი ლექსებითა და ნახატებით. გია ბუღაძე დაგვპირდა, დაგეხმარებით ფერადი კატალოგისა და ლექსების გამოცემაშიო. მადლობის მეტი რა მეთქმის?!. მერე ალბათ, მონასტერში წავალ.

ამ ბიჭებს სოფელი პატარაობიდან იცნობდა; განსაკუთრებით, გიგიას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. პატარა ბიჭის ნახატები და ლექსი დაბეჭდილია წიგნში „წინანდალი და წინანდლელები“. გიგიას ლექსს წინანდალზე ასეთი წინასიტყვაობა აქვს: „ჩვენმა პატარა გიგია გემაზაშვილმა, ჩვენი სოფლის ხვალინდელმა სახემ, ასე გამოხატა თავისი სიამაყე წინანდლელობით“:

„როგორ მიხარია და
მეამაყება,
რომ ვარ წინანდლელი ბიჭი,
უსაზღვროდ მოყვარული
ჩემი ცის და
ჩემი მშობლიური მიწის.
ნეტავი შემეძლოს,
მოგხვიო ხელი და
მაგრად დაგიკოცნო გული,
ჭავჭავაძეების და
ტატოს ნათელით
გაბრწყინებული სული.
ჩემო წინანდალო,
ჩემო სიამაყევ,
მინდა გავიზარდო მალე,
მინდა გემსახურო,
მინდა გამოგადგე,
მინდა უკეთესი ხვალე!“

გიგია დასთან, თათიასთან ერთად

მისი მეგობარი შოთიკოს ფოტოც ამშვენებს ამ წიგნს. მეცხრეკლასელმა შოთიკო ბატიაშვილმა მეგობართან ერთად, მაშინ კახეთის ყველა სოფელი ველოსიპედით შემოიარა და ჩანაწერები გააკეთა.

გიგიას 200-ზე მეტი ლექსი აქვს დაწერილი. მისი ლექსების კითხვისას ჟრუანტელმა დამიარა. ოთახები მისი ნამუშევრებითაა მოფენილი. კედელზე ერთმანეთის გვერდით კიდია მოსიყვარულე და-ძმის ფოტო. ლექსებიდან და ნახატებიდან ახალგაზრდა ბიჭის სპეტაკი სული ჩანს. ლექსები სევდითაა გაჟღენთილი. გიგიას განსაკუთრებით ჰყვარებია ტერენტი გრანელი და მისთვის ლექსიც უძღვნია. ამ სევდასთან ერთად, მომავლის იმედიც გამოსჭვივის, განსაკუთრებით — შეყვარებულისადმი მიძღვნილ ლექსებში. თითქოს წინათგრძნობაც ჰქონდა. დის სიკვდილის შემდეგ პატარა ბიჭს ქელეხი შესძულებია და ლექსიც დაუწერია, რომელიც ასე მთავრდება:

„დღეს კი ანდერძად
დამიტოვია,
დამიწერია ჩემი ხელებით,
როდესაც წავალ,
დაიმახსოვრეთ —
არ მიმაყოლოთ სუფრა
ქელეხის“.

შოთიკო ბატიაშვილის დედამ ისიც მითხრა, — ამის შემდეგ ვფიქრობდით, ქელეხის სუფრა არ გაგვეშალა, თელავში სუფრა გაიშალა, მაგრამ იქ თითქმის არავინ მისულაო...

გიგიას დედასთან ინტერვიუს ვასრულებდი, როცა ოთახში შოთიკოს და, ნათია შემოვიდა. ძალიან მძიმე საყურებელი იყო ქალბატონ მარინასთან მისი შეხვედრა. „დედას უთხარი, — შენ რომ ჰყავხარ, ეს არის მთავარი. ამას გიგიას სიკვდილის შემდეგ მივხვდი. მართლა დამთავრდა ახლა ყველაფერი. მე არავინ მყავს. შენ კი გთხოვ, ბევრი, ძალიან ბევრი შვილი გააჩინე, შვილო“.

მთელი გზა ამ ქალის უსაშველო ტკივილზე ვფიქრობდი, მის სევდიან თვალებს, სასოწარკვეთილ ხმასა და სიტყვებს ვერ ვივიწყებდი და ყურში მისი აკვიატებული კითხვა ჩამესმოდა, — რატომ მომიკლა სიმწრით გაზრდილი, ჩემი უდანაშაულო შვილი?!

მკვლელობაში ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება ძალოვნებს ჯერ არ გაუვრცელებიათ. ამიტომ უცნობია, რას ამბობს თავად დამნაშავე. მისი მშობლები სოფელში აღარ ჩანან. მათი სახლის კარი კი გამოკეტილი დამხვდა. ■

ბათუმის ხიბლი — ზღვა, ფასები და სიახლეები აჭარაში

„აქ სხვა „ტურისტულ პროდუქტს" შეიძენ, რომელიც მეზობელ თურქეთში არ შეგხვდება"...

„სეზონის გახსნა" სრულიად ამოვიღეთ ჩვენი ლექსიკონიდან: აჭარაში სეზონი იხსნება 1-ელ იანვარს და 31 დეკემბერს 12 საათზე იხურება..." — მითხრა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსმა ვაჟა დიასამიძემ.

ელენე ბასილიძე

მართლაც, მისასალმებელია, რომ ბათუმში ჩასასვლელად ადამიანებს არა მარტო ზაფხულში, არამედ წლის ნებისმიერ დროს მოეძებნება საბაბი, მაგრამ მაინც ვიტყვი — ბათუმში საზღვაო სეზონი ძალას იკრებს და ქალაქსაც უკვე ბევრი დამსვენებელი სტუმრობს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღეა, „ღრუბლიანობს", პლაჟზე ხშირად, ნემსის ჩასაგდები ადგილიც აღარ რჩება.

ვისაც დასასვენებლად გამგზავრება ჯერჯერობით არ მოუსწრია და მხოლოდ ახლა გეგმავს შვებულებას, მათ ალბათ ყველაზე მეტად ფასები აინტერესებთ. შემიძლია გითხრათ, რომ დიაპაზონი საკმაოდ დიდია. დავიწყოთ ყველაზე ძვირად ღირებული ვარიანტით: სასტუმროს ტიპის დასასვენებელ სახლებში ცხოვრება დღე-ღამეში 40-დან 100 ლარამდე დაგიჯდებათ. აი, კერძო სახლში საწოლის მინიმალური ფასი კი 10 ლარია. რაც შეეხება კვებას — ახალს არაფერს გეტყვით, თუ აღვნიშნავ, რომ ფეშენებელურ რესტორნებში სადილობა ძვირი ღირს და მასობრივ დამსვენებელს „ნაკლებად იზიდავს", ჩვეულებრივი კაფეები კი შედარებით იაფია. კიდევ უფრო „იოლად გამოხვალთ", თუ გაირჯებით და თავად მოამზადებთ სადილს. ბაზარში პროდუქტი არც ისე ძვირია და ამ ხერხით საკმაო ეკონომიის გაკეთებასაც შეძლებთ. არიან ისეთებიც, ვინც არც სასტუმროს აკითხავს და არც კერძო ბინას ქირაობს: ქალაქში ხშირად ნახავთ კარავმოკიდებულ უცხოელებს, რომლებიც ბინის ფულს ზოგავენ; ამაზე ბოლო დროს არც ქართველები ამბობენ უარს და თუ კარავში ცხოვრება და საძილე ტომარაში ძილი დიდ დისკომფორტს არ შეგიქმნით, დაზოგილი თანხით გასართობი საშუალებებითაც ისიამოვნებთ. ამ მხრივ კი, ალბათ დამერწმუნებით, ბათუმში დღეს საქმე არცთუ ურიგოდაა.

ვაჟა დიასამიძე, *აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსი:*

— მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი ივნისი შარშანდელთან შედარებით წვიმიანი იყო, ტურისტების სიმრავლე მაინც შეინიშნება. ამ თვეში 5000 ადამიანი ჩამოვიდა. მთელი წლის განმავლობაში გვსტუმრობენ დამსვენებლები და სხვათა შორის, ეს მარტიდან დაიწყო. ამასთან ერთად, ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ, ბევრი ტურისტი ამ ქვეყნიდან ესტუმრა საქართველოს. სასიამოვნო სიახლეა ის, რომ არაერთი ჩარტერული რეისი ხორციელდება ისრაელიდან, აზერბაიჯანიდან და ირანიდან. სულ მალე ბათუმისკენ ფრენა უკრაინის რამდენიმე ქალაქიდანაც დაიწყება.

— ბატონო ვაჟა, რა სიახლეებით შეხვდით საზღვაო სეზონს?

— ვცდილობთ, დამსვენებლებს არაერთი განსხვავებული გასართობი შევთავაზოთ, როგორიცაა: ექსკურსიები მაღალმთიან აჭარაში, ნაციონალურ პარკებში, ვაპირებთ ღვინის ტურების მოწყობას ქედაში: ამ რაიონში ღვინის კულტურის დიდი ტრადიცია არსებობს, რომლის აღდგენაც მოვახერხეთ. დამსვენებლებს შეუძლიათ აღმოაჩინონ, რომ საქართველოში ღვინის სამშობლო არა მარტო კახეთი და იმერეთია, არამედ — აჭარაც. უცხოელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სასოფლო და ეკოტურები მაღალმთიან აჭარაში, ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური ყოფის, ეთნოგრაფიის, სამზარეულოს გაცნობა და ამ მომსახურებით უკვე რამდენიმე უცხოურმა ჯგუფმა ისარგებლა. სხვათა შორის, ქართველებიც ცდილობენ, აჭარას უფრო ახლოს გაეცნონ და აღმოაჩინონ, თუ რა კულტურისა და ტრადიციების მატარებელია მაღალმთიანი რეგიონი. რაც მთავარია, ბათუმს დაუბრუნდა დელფინარიუმი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა გახდება. ამასთან ერთად, დამსვენებლებს შეეძლებათ ბათუმში მუნიციპალიტეტის ველოსიპედებით გადაადგილდნენ. ველოსიპედების მინისადგურები ბულვარში რამდენიმე ადგილზეა მოწყობილი. ამასთანავე ფასიც ხელმისაწვდომია (*1 საათი 2 ლარი ღირს. — ავტ.*)

— უკვე არაერთი წელია, ბათუმის ქუჩები გადათხრილია და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რაც საკმაოდ დიდ დისკომფორტს უქმნის დამსვენებლებს. საბოლოოდ როდის მოხერხდება განახლებულ ბათუმში დასვენება?

— შარშან მართლაც ძალიან არაკომფორტული იყო დამსვენებლებისთვის როგორც ბათუმი, ასევე ქობულეთიც. წელს ქობულეთში სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულდა, რაც შეეხება ბათუმს — ძირითადი უბნები უკვე დასრულებულია. თუ შარშან ძველი ბათუმის დათვალიერება შეუძლებელი იყო, წელს ის უკვე ყველაზე მიმზიდველი ადგილია. ივლისის ბოლომდე ძველი ბათუმის ტერიტორია და ზღვისპირა ზოლი საბოლოოდ შეკეთდება. აჭარაში ჩამოსულ სტუმრებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდება: „მირიქალ პარკის"

სახით. ეს პარკი ძველი მინისტრთა საბჭოს ტერიტორიაზე შენდება, დედაენის ძეგლის, „კემპინსკისა“ და „რედისონის“ მეზობლად. რამდენიმე წლის განმავლობაში ქალაქის წყლის, კანალიზაციისა და სხვა სისტემების რეაბილიტაცია ხდებოდა. დღეს კანალიზაცია ზღვაში კილომეტრ-ნახევრის მოშორებით, 40 მეტრის სიღრმეზე ჩაედინება და ბათუმისთვის ეკოლოგიურ საფრთხეს აღარ წარმოადგენს. კიდევ, ცვლილებებია გარე ვაჭრობის მხრივ: დამსვენებლებს სპეციალურ მაისურებში გამოწყობილი ადამიანები მოემსახურებიან (მოვაჭრეებს ყვითელი მაისურები აცვიათ წარწერით: „მე მიყვარს ბათუმი“). ამასთანავე, ქალაქის ყველა გაჩერებაზე დაიდგმება მონიტორები, რომლებზეც ავტობუსისა და სამარშრუტო ტაქსების გრაფიკები იქნება ნაჩვენები, აგრეთვე — ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღირსშესანიშნაობების



უცხოელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სასოფლო და ეკოტურები მაღალმთიან აჭარაში

ნახვაა შესაძლებელი ამა თუ იმ მარშრუტით მოძრაობისას.

— **ხშირად აღნიშნავენ, რომ აჭარაში დასვენება გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე თურქეთის რომელიმე კურორტზე წასვლა.**

— მართლაც, ხშირად მესმის, — ბათუმი ძალიან ძვირი ქალაქიაო. ადრე თუ ერთადერთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო — „ინტურისტი“ გვქონდა, ახლა ბევრი ფეშენებელური სასტუმროა და ფასმაც საკმაოდ დაიწია. ქალაქში ისეთი ტიპის სასტუმროებიც გაჩნდა, სადაც ღამის გათევა 20-25 ლარი ჯდება; კერძო სახლები საკმაოდ ხელმისაწვდომია... შესაძლოა, აჭარაში არ იყოს ისეთი სერვისი, როგორიც დიდი ტურისტული გამოცდილების მქონე თურქეთშია, მაგრამ ბათუმი განსხვავებული დასასვენებელი ადგილია, სადაც სხვა „ტურისტულ პროდუქტს“ შეიძენ, რომელიც მეზობელ თურქეთში არ შეგხვდება.

— **დაბოლოს, შარშანდელთან შედარებით, აჭარა გაცილებით მეტ ტურისტს ელის. წლევანდელ მონაცემებთან დაკავშირებით როგორია თქვენი პროგნოზი?**

— შარშან აჭარაში დაახლოებით 975000 სტუმარი ჩამოგვივიდა, წელს უკვე 1 მილიონ 400-450 ათასს ველით. ■

სახე

დამალული სიყვარულის ამბავი

„ვახო ჩემი მეორე ნახევარია“

ჩვენი შეთანხმება ასეთი იყო: „ყოფილი ცოლების კლუბის“ წამყვანს, სალომე გოგიაშვილს ერთ-ერთ კაფეში უნდა შევხვედროდი და რუბრიკა „ერუდიტისთვის“ ჩამეწერა. დათქმულ დროს მისულს, მასთან ერთად ვახო ნიკოლაიშვილი დამხვდა — ადამიანი, რომელზეც სალომეა შეყვარებული. ამ შემთხვევას ხელიდან არც ერთი ჟურნალისტი არ გაუშვებდა. წყვილი სიყვარულის ამბავს დიდი ხნის მანძილზე საგულდაგულოდ მალავდა. ვახო ნიკოლაიშვილი მამუკა გამყრელიძის ყოფილი სიძეა (უფროსი ქალიშვილის ქმარი). თავდაპირველად ინტერვიუს ჩაწერაზე უარი მითხრა: „ძალიან გთხოვ, ნურაფერს მკითხავ, თუ სურვილი აქვს, სალომემ ილაპარაკოსო“, მაგრამ გადაწყვეტილება მალე შეცვალა. ჩემი და სალომეს დიალოგი კი ასე დაიწყო...

არ მივიჩნევდი საჭიროდ, ამ გრძნობაზე ასე საჯაროდ მელაპარაკა

თამუნა კვინიკაძე

— **სალომე, დიდი ხანია, რაც ვახოს იცნობ?**

— ბავშვობიდან ვიცნობ. ის დიდი ხნის მანძილზე თბილისში არ ცხოვრობდა, მესამე წელია, რაც საქართველოში დაბრუნდა. ვახო ჩემი ოჯახისთვის უცხო ადამიანი არ არის. მამასთან მეგობრობდა. მე მაშინ პატარა ვიყავი. ახლა მეუბნება, ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ მამაშენი ცოცხალი არ არისო.

— **თქვენი სიყვარულის ამბავი როდის დაიწყო?**

— დაახლოებით, 1 წლის წინ (*იცინის*). ძალიან ბედნიერი ვარ, იმედია, ვახოსაც ასეთივე განცდა აქვს.

— **ვკითხოთ. ვახო, ბედნიერი ხარ?**

— ბედნიერი ვარ (*იცინის*), ხომ გთხოვე, ინტერვიუს ჩაწერა არ მინდა. სალომე კარგად ლაპარაკობს.

— **სალომე, ამ ხნის მანძილზე ურთიერთობას ასე საგულდაგულოდ რატომ მალავთ?**

— არ ვმალავთ, უბრალოდ, ბევრ ბოროტ თვალს ვერიდებით. ქართველები შურიანები ვართ. ადამიანებს ერთმანეთის კარგი იშვიათად უხარიათ. როგორც კი ფეხი დაგიცდება და ცუდი პერიოდი დაგიდგება, მაშინ ხარობენ. ძალიან საწყენია, მაგრამ ასეა.

— **შენ ეს საკუთარ თავზე გამოგიცდია?**

— რა თქმა უნდა, გამომიცდია, თან — არაერთხელ. უმეტესობა მიიჩნევს, რომ თავად არის ყველაზე ნიჭიერი, კარგი, ყოვლისშემძლე. როცა რაღაცას აღწევ, შურით გიყურებენ. ჰგონიათ, რომ მათი ადგილი დაიკავე. ამიტომაც არ მივიჩნევდი საჭიროდ, ამ გრძნობაზე ასე საჯაროდ მელაპარაკა. დარწმუნებული ვარ, ბევრი იტყვის: რატომ ამას და მე — არა?

— **ვახო საჩუქრებით განებივრებს?**

— მართლა მანებივრებს. აი, ეს ბრილიანტისთვლებიანი, გულის ფორმის ბეჭედი მან მაჩუქა. თუ დაინახა, რომ არ მიკეთია, მეჩხუბება, რატომ მოიხსენიო. ძალიან მზრუნველი ადამიანია.

— **როგორ ფიქრობ, ეს ის ურთიერთობაა, რომელიც შეიძლება, ქორწინებით დაგვირგვინდეს?**

— არ ვიცი, ეს ვახოს უნდა ჰკითხო.

— **თუ რამეს გვიპასუხებს, ვცადოთ. ვახო:**

— მაინც არ მეშვები, არა?

— **ამ შემთხვევაში, ეს ჩემზე მეტად სალომეს აინტერესებს.**

— (*იცინიან*) ჩვენი ურთიერთობა რა თქმა უნდა, ქორწინებით დაგვირგვინდება, მაგრამ როდის და რა გარემოებაში — ეს ჯერ არ ვიცი. კარგი, მკითხე, კიდევ რა გაინტერესებს?

— **მადლობა, რომ ინტერვიუზე დამთანხმდი.**

სალომე:

— ერთად ინტერვიუ არასდოს მიგვიცია. ჟურნალისტები ცალ-ცალკე გვირეკავდნენ, ხან მე, ხან — ვახოს და ცდილობდნენ, გაერკვიათ, ჩვენ შორის რა ხდებოდა.

ვახო:

— სალომეს ოჯახს დიდი ხანია, ვიცნობ. თანატოლები არ ვართ, რომ ერთად გავზრდილიყავით. მასზე 8 წლით უფროსი ვარ. ჩვენი დაახლოება მას შემდეგ მოხდა, რაც მეუღლეს გავეყარე. ერთმანეთს საერთო მეგობართან შევხვდით.

სალომე:

— იმ დღის შემდეგ რამდენჯერმე

ინტერნეტით შევეხმიანეთ, ერთმანეთი მოვიკითხეთ. მერე ტელეფონის ნომერი გამომართვა. ყავაზე დამპატიჟა. მითხრა, თავგასას ასეთი ლამაზი გოგო თუ ჰყავდა, არ ვიცოდიო. ეს სიტყვები მესიამოვნა, გავიპრანჭე (*იცინის*)...

— შენ არაერთ ინტერვიუში ამბობდი, რომ ოჯახის შექმნაზე აღარ ფიქრობდი. რა დაინახე ამ ადამიანში ისეთი, რამაც აზრი შეგაცვლევინა?

— როცა ჩემს განვლილ ცხოვრებას გადავხედე (*სალომეს ოჯახი ორჯერ დაენგრა — ავტ.*), აღარ მინდოდა, იგივე ტკივილი კიდევ ერთხელ გადამეტანა. ვახოს ვუთხარი, რომ ახალი ურთიერთობის დასაწყებად მზად არ ვიყავი. ერთი პერიოდი მის ზარსაც აღარ ვპასუხობდი. არადა, ძალიან მომწონდა, ჩემს თავს ვებრძოდი.

— ვახო, ამ დროს რას ფიქრობდი?

— ეს ადამიანი ამ წვალებად მიღირდა.

სალომე:

— ვახო ძალიან მიზანდასახული აღმოჩნდა. მას ასე რომ არ ეაქტიურა, ჩვენი ურთიერთობა არ შედგებოდა. იდეალური ურთიერთობა არ არსებობს. რაც მთავარია, ჩვენს ურთიერთობაში ჰარმონიაა, მასთან თავს კომფორტულად ვგრძნობ. ერთმანეთის გვესმის და კარგად ვუგებთ. ვახო თავისი სიყვარულით, სიძლიერით, გონიერებით მავსებს. შინაგანად ვგრძნობ, ის ჩემი მეორე ნახევარია.

— ვახო, სალომემ რა თვისებებით მოგხიბლა?

— უზომოდ თბილი ადამიანია. სიცოცხლე უყვარს და უხარია, ხალისიანია, მისი ამ თვისებებით „ვიკვებები“. სალომესგან ყოველთვის დადებითი ენერგია მოდის.

— გადაღებებზე, ჩაწერებზე მის გვერდით ხარ? როგორც ვიცი, დღეს მარნეულში ახლდი.

სალომე:

— მინდა, სულ ჩემ გვერდით იყოს. ჩემი ხათრით საქმეებს გადადებს და მომყვება, მაგრამ მასაც ბევრი საქმე აქვს და სულ ვერ მიატოვებს. ვახო ძალიან განათლებული ადამიანია, ბევრი რამ იცის, სასიამოვნოა, როცა ჭკვიან კაცთან გაქვს ურთიერთობა.

ვახო:

— მართალია, დაკავებული ადამიანი ვარ, მაგრამ სალომეს როცა დავჭირდები, ყოველთვის მის გვერდით ვიქნები. ამ ადამიანში კიდევ ის მომწონს, რომ უამრავი საქმის მიუხედავად, დაღლილობას ვერასდროს შეატყობ. ზოგჯერ მიკვირს, ამდენის გაკეთებას როგორ ახერხებს. ჩემს საქმეებს იმიტომ გადავდებ, რომ მას ეს ტვირთი ცოტათი მაინც შევუმსუბუქო.

— თავად რას საქმიანობ?

— ბიზნესი მაქვს. დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში ვცხოვრობდი და ბანკირი ვიყავი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ჩემი ბიზნესი ავაწყვე, რუსთავში ტყავის გადამმუშავებელი ქარხნის მეპატრონე ვარ. რუსეთში ალბათ აღარ წავალ. იმ ქვეყანაში 25 წელი ვიცხოვრე და იმიტომ წამოვედი, რომ მინდოდა, ჩემი შვილები საქართველოში გაზრდილიყვნენ, თან აქაურობა ძალიან მომენატრა...

რუსთავში ტყავის გადამმუშავებელი ქარხნის მეპატრონე ვარ

— საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მამუკა გამყრელიძის სიძე იყავი. შეიძლება გკითხო, რა იყო შენი და რუსოს ოჯახის დანგრევის მიზეზი?

— მოდი, ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ.

— სალომე, რუსოს შენ თუ იცნობ?

— არა. მე თუ ადამიანთან ვმეგობრობ, მის ყოფილ ქმრებთან ურთიერთობას არ ვაბამ. რუსოს ერთხელ შევხვდი, ისიც — ბავშვობაში, მას შემდეგ, ერთმანეთი დიდი ხნის მანძილზე აღარ გვინახავს.

— თქვენი ურთიერთობის შესახებ იცის?

ვახო:

— რუსო ჩემი შვილების დედაა. შეუძლებელია, მასთან ცუდი ურთიერთობა მქონდეს. ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის საყვარელ ადამიანად დარჩება. მასთან 12-წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. ძალიან მიყვარს რუსოს ოჯახი. ერთმანეთს რატომ დავშორდით, ეს მხოლოდ ჩვენი, ორის საქმეა. გადაწყვეტილებაც ერთად მივიღეთ.

— ბოლო პერიოდში ხმა გავრცელდა, რუსო და გეგა ფალავანდიშვილი დაქორწინდნენო, მართალია?

— ეს თავად რუსოს ჰკითხეთ.

მითხრა, თავგასას ასეთი ლამაზი გოგო თუ ჰყავდა, არ ვიცოდიო

— თქვენი შვილები ერთმანეთს იცნობენ?

სალომე:

— იცნობენ და მეგობრობენ.

— მადლობა ინტერვიუსთვის, ბედნიერებას გისურვებთ!

■

თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად
წიგნი №6
გამოვიდა



სერიის მომდევნო თემები:

№7 ყველაფერი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების შესახებ
№8 ყველაფერი ფსორიაზის, ეკზემისა და ჯანის სოკოვანი დაავადებების შესახებ

უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

„ქუჩის ბიჭის“ თავგადასავალი ჩიკაგოში ანუ „პურის ცხობა ძალიან ადვილია“

ლალი ფაცია

წლების წინ პოპულარული და შემდეგ დაშლილი ჯგუფი — „ქუჩის ბიჭები“ ისევ შეიკრიბა და ცოტა ხნის წინ კონცერტიც გამართა. შეკრების ინიციატორი მისი წევრები — გურამ ლომიძე და ზურა ხაჩიძე იყვნენ და ამ საქმისთვის ორივემ საჭირო თანხაც გაიღო (სიმღერები ჩაწერეს, კლიპები გადაიღეს). აღსანიშნავია, რომ დღეს-დღეობით გურამსაც და ზურასაც საზღვარგარეთ უწევთ ცხოვრება. გასულ კვირას რედაქციაში სტუმრობა გურამ ლომიძეს ვთხოვე.

— **როგორც გავიგე, „ქუჩის ბიჭების“ კონცერტმა წარმატებით ჩაიარა.**

— კი, კმაყოფილები ვართ.

— **ამდენწლიანი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ სცენაზე დაბრუნება არ გაგიჭირდათ?**

— ადვილი ნამდვილად არ იყო — სცენაზე გასვლის წინ ყველანი ვღელავდით. თითქმის ისეთივე განცდა გვქონდა, როგორიც 1-ელ კონცერტზე, მაგრამ სცენაზე გასვლის შემდეგ, მღელვარება გაქრა. ვმღეროდით როგორც ძველ, ისე ახალ სიმღერებს.

— **ამ ზაფხულს რა გეგმები გაქვთ?**

— ცოტა ხანში ტელეეთერში ახალი კლიპი გავა, რომელიც ჩვენმა მეგობარმა, ზურა მენთეშაშვილმა გადაიღო; სიმღერის ტექსტი და მუსიკა აჩი ფურცელაძეს ეკუთვნის. მელოდიასა და ტექსტში ცოტა ცვლილებები შევიტანეთ. კლიპის პრეზენტაციის შემდეგ დავიწყებთ მუშაობას მეორე ვიდეორგოლზე, რომელიც აგვისტოს დასაწყისისთვის უნდა გვქონდეს მზად. გადაღებების შემდეგ აჭარაში გადავინაცვლებთ, სადაც უფრო დიდი მასშტაბის კონცერტს ვგეგმავთ. რამდენიმე საკლუბო კონცერტის ჩატარებაც გვინდა. აგვისტოს 20-ში კი ზურა ხაჩიძე ჰოლანდიაში მიემგზავრება. მერე ცოტას დავისვენებთ და სექტემბერში მეც ვბრუნდები ამერიკაში, მაგრამ საახალწლოდ ისევ ვაპირებთ შეკრებას და კონცერტებს; ახალი სიმღერების ჩაწერასაც.

— **ეი. სეზონურად მუშაობა გადაწყვიტეთ?**

— კი, ჩვენი შესაძლებლობებითა და ფინანსებით სეზონურად ვიმუშავებთ. ამასთან, თუ ვინმეს სურვილი ექნება და ამა თუ იმ კონცერტში მიგვიწვევს, მეც და ზურაც ჩამოვალთ საქართველოში, ოღონდ, ის ღონისძიება მგზავრობის ხარჯებს უნდა ანაზღაურებდეს.

— **გურამ, რას იტყვი ჯგუფში პიკასოს დაბრუნებაზე? თავის დროზე მისი წასვლა გარკვეულ უსიამოვნებასთან იყო დაკავშირებული. იყო გულისტკენაც...**

— ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო და სწორედ დრომ განსაზღვრა პიკასოს ჩვენს ჯგუფში დაბრუნება. ბოლოს და ბოლოს, მოგვენატრა კიდეც. თან, პიკასო „ჩვენი სახლის“ ერთ-ერთი „კედელი“ იყო, რომელიც ჩამოიშალა... ასეთივე მტკივნეული იქნებოდა „ქუჩის ბიჭების“ ძირითადი ოთხეულიდან (ვინც თავიდან ვიყავით), ნებისმიერის წასვლა. მართალია, პიკასოს ნაცვლად პაატა ცეცხლაძე დაგვემატა, რომელმაც უფრო გაამრავალფეროვნა ჩვენი ჯგუფი, მაგრამ მას დღესდღეობით ბევრი საქმე აქვს — პატრიარქის გუნდში გალობს, მღერის ანსამბლ „ბასიანში“. მასთან ჩვეულებრივად ვაგრძელებთ ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

— **როგორ ცხოვრობ იქ? არ გაგიჭირდა ამერიკაში თავის დამკვიდრება?**

— მოკლედ, ჩემმა ბიძაშვილმა, დედაჩემის ძმისშვილმა მიწვევა გამომიგზავნა (ის უკვე 10 წელია, რაც ჩიკაგოში ცხოვრობს). ვიზის აღებაზე პრობლემა არ შემქმნია. ჩიკაგოში სასტუმრო ვიზით გავემგზავრე და შემდეგ იქ დავიწყე საბუთების გაკეთება — 6-თვიანი ვიზა გამიხსნეს. ბიძაშვილებმა მანქანა, სახლი და სამუშაო დამახვედრეს. მართალია, ბევრი რამით უზრუნველყოფილი ვიყავი, მაგრამ თავიდან მაინც გამიჭირდა, რადგანაც სცენიდან პირდაპირ სრულიად უცხო სამუშაოზე აღმოვჩნდი, მაგრამ იმასაც შევეგუე.

— **მძიმე სამუშაო იყო?**

— საკმაოდ. 3 წლის განმავლობაში ძალიან ვიწვალე.

— **არ გვეტყვი, რას აკეთებდი?**

— ბიძაშვილს რესტორანი ჰქონდა და იქ ვმუშაობდი — მზარეული გახლდით.

— **ეი. მზარეულობა გამოგდის?**

— კი, საკმაოდ კარგი კულინარი ვარ. თავიდან ენაც არ ვიცოდი. სადღაც 2 წელი დამჭირდა, რომ ენა ამეთვისებინა. 3 წელიწადში კი უკვე ნორმალურად მოვიკიდე ფეხი. საკუთარი ბიზნესიც ავაწყვე. ახლა უკვე ფეხზე მყარად ვდგავარ და ჩემს ბიზნესს ვავითარებ.

— **რა ბიზნესია?**

— ყიდვა-გაყიდვა-გადაზიდვა. თავიდან ჩემს ბიძაშვილთან დავიწყე მუშაობა, მერე მანქანების ყიდვა-გაყიდვაზე გადავედი. საქართველოშიც, მეგობრებს რამდენიმე მანქანა გამოვუგზავნე. ამ ბიზნესს ბევრი მოგება არ მოჰქონდა და სხვაგან გადავინაცვლე. ახლა კი საკუთარი კომპანიის მფლობელი ვარ. ჯერჯერობით მცირე ბიზნესად ითვლება, მაგრამ ინტენსიურად ვმუშაობ, რომ საქმე წინ წავიდეს.

— **ამერიკაში არ გიცდია, რომელიმე კლუბში, ბარში ან რესტორანში მუსიკოსად გემუშავა?**

— კი, ვცადე. გარკვეული პერიოდის მანძილზე რესტორანში სიმღერამაც მომიწია და ძალიან არ მომეწონა ეს საქმიანობა. ამიტომაც, თავი დავანებე. როდესაც რესტორანში სიმღერას იწყებ, მერე იქ რჩები და როგორც მუსიკოსი, ვეღარ ვითარდები.

— **ჩიკაგოში სახლი ხომ არ შეიძინე?**

„გზის“ წინა ნომერში დაბეჭდილ ინტერვიუში სათაურით — „ქართველი პიტკინის ფანი და ქალბატონი, რომელთანაც „შუა ქალაქის“ მსახიობები იხსნებიან“ გაიპარა უზუსტობა. იქ, სადაც რესპონდენტი — ირინა იამანიძე ლაპარაკობს მამაზე — ცნობილ ქართველ ფეხბურთელ შოთა იამანიძეზე, დაიბეჭდა ფრაზა: „ამ ქვეყნიდან მისი უდროოდ წასვლა დიდ ბედნიერებად მივიღე...“ მის ნაცვლად უნდა იყოს: „ძალიან კარგი მამა მყავდა, რაც დიდ ბედნიერებად მივიღე“.

— სახლი არც თბილისში მაქვს და არც — ამერიკაში. ქირით ვცხოვრობ.

— ძალიან ჭკვიანი და საყვარელი შვილი გყავს — ნიკუშა, რომელსაც არაერთხელ უთქვამს — მამიკო ამერიკაში იმიტომ არის წასული, რომ მე დამეხმაროსო.

— თავისთავად. სხვანაირად არც შეიძლება. ბავშვს ყველაფერს ვუგზავნი, რაც სჭირდება. ნიკუშასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს.

— ყოფილ მეუღლესთან — ხატია შამუგიასთანაც რომ კარგი ურთიერთობა გაქვს, ესეც ვიცით...

— კი, ყოფილ მეუღლესთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ნიკუშა კი უკვე იმხელაა, რომ ერთმანეთთან ძმებივით ვართ... IX კლასის შემდეგ სასწავლებლად ამერიკაში წავიყვან. კარგად სწავლობს. ყველაფერი მშვენივრად გამოსდის.

— ისე, შენ და ხატიამ როგორ მოახერხეთ, რომ ასეთი მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნეთ?

— ვფიქრობ, რომ ჩვენ იმ დროს შევწყვიტეთ თანაცხოვრება, როცა საჭირო იყო და ოჯახური ურთიერთობა არ გადაიზარდა სერიოზულ სკანდალში, რაც ორივეს დაგვაზიანებდა. დღესდღეობით ჩვენი ურთიერთობის ყველაზე დიდი და მყარი საფუძველი ნიკუშაა — ჩვენი შვილი.

— ხატია ამ თქვენი კონცერტისწინა პერიოდში მხარში დაგიდგათ, ბევრ რამეში დაგეხმარათ.

— ყოველთვის გვეხმარებოდა, გვეხმარება და იმედი მაქვს, მომავალშიც მოგვეხმარება. ის ჩვენი ჯგუფის ყველა წევრის მეგობარია, ყველანი პატივს ვცემთ და გვიხარია, რომ ჩვენ გვერდითაა.

— ამერიკაში როცა დამოუკიდებლად, მარტო იკვლევდი გზას, რა იყო შენთვის მთავარი სირთულე?

— ყველაფერი. როცა უცხო ქვეყანაში ჩადიხარ და ყველაფერს თავიდან იწყებ, ძნელია. მით უმეტეს, რომ აქ პოპულარულ „ქუჩის ბიჭს“ ჩიკაგოში არავინ გცნობს. თუმცა არა, ქართველები ვინც იქ არიან, ყველანი არაჩვეულებრივად შემხვდნენ და პატივს მცემენ. ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ აქ დირექტორი და უფროსი არასდროს მყოლია. ჩემს ნებაზე ვიყავი, ვაკეთებდი იმას, რაც მინდოდა, იქ კი მენეჯერისა და უფროსისთვის უნდა დამეჯერებინა....

— ახლა მენეჯერი თვითონ ხარ. მკაცრი ხარ?

— ძალიან მკაცრი არა, მაგრამ მომთხოვნი ვარ — საქმე უპირველეს ყოვლისა!

— საქართველოში რომ ჩამოხვედი, შენი კომპანია ამერიკაში ვის დაუტოვე?

— 2 კომპანიონი მყავს და ახლა ისინი მუშაობენ. ისე, ჩემი აქ ყოფნით გარკვეულ ზარალსაც ვნახულობ, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო...

— ეს „ქუჩის ბიჭი“ ჩიკაგოში პირველად რამ გაგაცა?

— ცათამბჯენები რომ დავინახე, გაოცებისგან მეტყველების უნარი წამერთვა. ძალიან ლამაზია ჩიკაგო, მოწესრიგებული ხალხი ცხოვრობს, ამას გზებზე მოძრაობისასაც იგრძნობ. იქ ცხოვრება საათივითაა აწყობილი.

— სოციალური ქსელის („ფეისბუკი“) საშუალებით შენი ფოტოები მაქვს ნანახი, სადაც პატარა ბავშვთან ერთად ხარ გადაღებული. მერე ხმაც გავრცელდა, გურამიკომ ამერიკაში ცოლი მოიყვანაო. რას გვეტყვი ამაზე? ის ბავშვი მართლაც შენი შვილია? ოფიციალური ქორწინებით გაჩნდა თუ...

— ეს თემა დახურული მაქვს და მასზე არ ვსაუბრობ.

— მაშინ სურათები რატომ განათავსე „ფეისბუკზე“?

— ვაღიარებ, რომ სურათები დევს...

— მეორედ დაქორწინებაზე აღარ ფიქრობ?

— ვეძებ ისეთ ქალს, რომელიც ბოლომდე გამიგებს. მნიშვნელობა არა აქვს, რა ეროვნების იქნება. ისე კი დიდი სურვილი მაქვს, რომ ქართველი იყოს.

— უცხოელ გოგონებს თავს როგორც პოპულარული ჯგუფის „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთი წევრი, ისე აცნობდი?

საკმაოდ კარგი კულინარი ვარ

— კი, და ამით ბევრი გოგო მოვხიბლე იქ. ასე რომ, პოპულარობა იქაც მეხმარება.

— როგორები არიან ამერიკელი გოგონები?

— რომ გითხრა, ფანტასტიკურები და მომწონს მათი ცხოვრება-მეთქი, მოგატყუებ. ამერიკაში რაც არ მომწონს, ის არის, რომ ქალების უფლებები უფრო მაღლა დგას, ვიდრე — მამაკაცების. ეს ამერიკელი გოგონების საქციელში გამოიხატება. ლიდერობა სურთ, რაც კავკასიელ მამაკაცებთან ურთიერთობისას არ გამოსდით.

— ამერიკაში რა გენატრება ხოლმე?

— ყველაფერი — ქართული...

— აქ რომ ჩამოხვედი, პირველად ვინ მოინახულე?

— ჩემი ძმა, ხატია, ნიკუშა და შემდეგ უკვე ყველა... მეორე დღეს კი ხინკლის საჭმელად წავედი — ძალიან მომენატრა.

— იქ არ აკეთებენ ხინკალს?

— კი, მეც გამიკეთებია, მაგრამ იქ ისეთი პროდუქტი არ არის, როგორიც ჩვენთან.

— ისე, შენმა კულინარიულმა მონაცემებმა გამაოცა. სად ისწავლე?

— დედაჩემიც კარგი კულინარია. 14 წლის ასაკიდან დამოუკიდებლად ვცხოვრობდი და ცხოვრებამ მასწავლა. რაღაცებს დედაჩემს ვეკითხები. ბებიაჩემმაც ბევრი რამ მასწავლა. პურის ცხობა მისგან ვიცი. სხვათა შორის, ძალიან ადვილია... ■

საახალწლოდ ისევ ვაპირებთ შეკრებას და კონცერტებს

რატომ უკეტავდა ზალიკო ბერგერი ნინო ორდენიძეს ჩემოდანს?

რა მომასვენებდა, ასეთი გოგონა ჩემი მეგობარი არ გამხდარიყო?!

ნინო ორდენიძე და ზალიკო ბერგერი გამორჩეული მეგობრები არიან. უკვე არაერთი წელია, ერთმანეთს იცნობენ და ჭირსა თუ ლხინში ერთმანეთის იმედი აქვთ. მართალია, აღარ ახსოვთ, პირველად სად გაიცნეს ერთმანეთი, მაგრამ ეს მათ მეგობრობას ხელს სულაც არ უშლის. მეგობრებს ზალიკოს სტუდიაში შევხვდი და სიმართლე გითხრათ, ჩემმა ხალისიანმა რესპონდენტებმა იმდენი მაცინეს, კარგი განწყობილება დიდი ხნის განმავლობაში გამყვა.

ელენე ბასილიძე

— თუ გახსოვთ, ერთმანეთი როდის გაიცანით?

ნინო:

— სიმართლე გითხრა, ბოლომდე მაინც არ გვახსოვს, როდის გავიცანით ერთმანეთი.

ზალიკო:

— ერთი ის გვახსოვს, რომ „ელიტ კლუბში“ შეეხვდით ერთმანეთს და იმის შედეგ დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

ნინო:

— პირველი დანახვისთანავე ისე მომეწონა, ლამის გავგიჟდი. გაცნობის წუთებიდან დავმეგობრდით, „ჩავსასტავდით“... მერე წყნეთში ვისვენებდი და ჩემთან დავპატიჟე, რაღაცები მოვამზადე და დავახვედრე. იმავე საღამოს, ზალიკო სახლში რომ დაბრუნდა, მთელი სამი საათის განმავლობაში ტელეფონზე ვლაპარაკობდით.

ზალიკო:

— ხასიათებით უმალ შევეწყვეთ ერთმანეთს და მაშინ ავტეხე ნინო, რომ პოდიუმზე გამოსულიყო. სხვათა შორის, დავითანხმე კიდეც. მახსოვს, ნინო ერთ-ერთ საზაფხულო ჩვენებაში მონაწილეობდა, ფუი, ფუი, ფუი და (*მაგიდაზე სამჯერ აკაკუნებს*) დღესაც ისევე გამოიყურება, როგორც მაშინ (*იცინიან*).

ნინო:

— ზალიკო, კიდევ ერთი საზაფხულო ჩვენება მოაწყვე რა, რომ მეც მივიღო მონაწილეობა. შენი წინა ჩვენება ჩემი სტილი არ იყო, თორემ მონაწილეობას ვაპირებდი. სიმართლე გითხრათ, თბილისში ზალიკოს გარდა 1-2 დიზაინერის ჩვენებაზე თუ გამოვსულვარ. ამან მომწამლა პოდიუმით!

— ზალიკო, ნინომ აღნიშნა, ზალიკო პირველად რომ ვნახე, გადავრიეო. შენ რა იფიქრე მასზე პირველი შეხვედრისას?

— ნინო უნივერსიტეტში სწავლობდა და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გოგონა გახლდათ. მაშინ შლაქსი იყო მოდაში და ნინოს სულ მოდურად ეცვა, მუდამ ფორმაში იყო, ქუსლებზე „იდგა“, გრძელი თმა გასწორებული ჰქონდა... ძალიან ეფექტური გოგონა იყო, ყველა მას უყურებდა. მახსოვს, „ელიტ კლუბში“ ყველას ნინო ორდენიძე ეკერა პირზე და რა მომასვენებდა, ასეთი გოგონა ჩემი მეგობარი არ გამხდარიყო?! ჰოდა, გახდა კიდეც...

— წელან აღნიშნეთ, ხასიათებით კარგად ვეწყობით ერთმანეთსო...

ნინო:

— მე ძალიან რბილი ხასიათი მაქვს, ისევე, როგორც ზალიკოს. ერთადერთი, რაშიც სტამბოლში ცხოვრებისას ვერ ვრიგდებოდით, ეს ძილი იყო. მე ძილს ვერ ვიტან, ზალიკო კი ძილის მონაა. დილით რვის ნახევარზე ვდგები, ზალიკოს შეუძლია, საღამოს რვა საათამდე ეძინოს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მემართებოდა, როცა ზალიკოს ეძინა? სერიოზული სკანდალი გვქონდა! სტამბოლში ცხოვრებისას, დედაჩემი ყოველ დილით, ძალიან ადრე მირეკავდა, მე საერთოდ ხმამაღლა ვლაპარაკობ და როცა დედაჩემს ველაპარაკებოდი, მთელი ხმით ვკიოდი. მოკლედ, ზალიკო დილას ჩემი წყევლით იწყებდა: — ნინო ორდენიძე, შენ არ გაიხარო, დაკიდე, ქალო, ტელეფონიო! — მიკიოდა მეორე ოთახიდან. ერთხელ, მახსოვს, სტამბოლში ძალიან მაგარი დისკოთეკა იყო. მაშინ პატარები ვიყავით, დისკოთეკაზე წასვლა დიდი ამბავი გვეგონა. მთელი კვირა ვემზადებოდი იქ წასასვლელად და როგორც იქნა, მოვიდა ჩემი სანატრელი შაბათი დღე.

ზალიკო:

— მართლა ძალიან მაგარი კლუბი იყო და რაც მთავარია, დაპატიჟებულები ვიყავით. ერთ დღეს თუ დავლევ და დავთვრები, მერე სამი დღე მძინავს და ეს ჩვევა მაშინაც მქონდა. მოვიდა შაბათი საღამო და ნინოს გამოვუცხადე, — მე მძინავს-მეთქი! მართალია, ჩემს ძილს ძილი არ ერქვა, რადგან ყოველ თხუთმეტ წუთში ნინოს დედამისი ურეკავდა და ესეც მთელ ხმაზე კიოდა, მაგრამ წასვლა არ მინდოდა. ვაიმე, უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა! — ზალიკოოო, ახლავე ადექიიიი! — დამკიოდა და მწოლიარეს გარშემო მირბენდა.

ნინო:

— სტამბოლში როცა სახლი ვიქირავეთ, არ გვქონდა იმდენი ფული, რომ ძალიან ლამაზი საძინებლები დაგვედგა. ორსაწოლიანი მატრასი პირდაპირ იატაკზე გვედო და იმაზე გვეძინა. ზალიკო იმ მატრასზე იწვა, მე ქუსლებზე „შემხტარი“ შევვარდი ოთახში და მის მატრასს კივილით ვურბენდი გარშემო, მაგრამ მაინც არ წამომყვა იმ საღამოს.

ზალიკო:

— რა ვქნა, ვერ ავდექი, ვერაფრით შევძელი და...

ნინო:

— ზალიკო რომ იღვიძებს, მისი ადგომის რიტუალი 2 საათზე მეტხანს გრძელდება... სიგარეტი უნდა მოსწიოს, ყავა დალიოს, ჭამოს, ნება-ნება ჩაიცვას... არ არსებობს, ამან რამე სწრაფად გააკეთოს. ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალია, გაღვიძებისთანავე უნდა დაათრო! მთვრალი ყველგან მოდის.

— ძილის გარდა, არაფერზე კამათობთ?

ზალიკო:

— არა, შეიძლება ცოტა წავკამათდეთ, მაგრამ მეორე წუთს ვრიდგებით. ძირითადად, სადმე წასვლაზე ვდაობთ. დღესაც, სახლიდან ძლივს გამოვიყვანე — „ქუჩის ბიჭების“ კონცერტია და იქ მივდივართ.

— მოდი, რამდენიმე სიტყვით დაახასიათეთ ერთმანეთი.

ᲜᲘᲜᲝ:

— ძალიან საყვარელი, ჭკვიანი, ძალიან განათლებული, სასწაული იუმორის მქონე, საინტერესო ადამიანი, ვაჟკაცი, კეთილი...

ᲖᲐᲚᲘᲙᲝ:

— ნინო ძალიან ჭკვიანი და განათლებულია, ადამიანში ამას დიდ ყურადღებას ვაქცევ. ულამაზესია... ძალიან მიხარია, ლამაზი რომაა და თავისი სილამაზით ყურადღებას იქცევს. არაჩვეულებრივი ოჯახის შვილი, ერთგული და კარგად აღზრდილია, მეგობრის გულისთვის შეუძლია, ვიღაც მოკლას. არაჩვეულებრივი მეოჯახე, დიასახლისი, სადილების მკეთებელი, სტუმრების მიმღები, ჩახოხბილი, ჩალაღავჯი, სუკის მწვადი, ჩაქაფული (*იცინიან*)...

— ძალიან ბევრს მოგზაურობდით ერთად და ალბათ ბევრი ამბავი გექნებათ გასახსენებელი...

ᲜᲘᲜᲝ:

— რა თქმა უნდა, იმდენი ფული არ გვქონდა, რომ ყველაფერი თავზე დაგვემხო, ისე კი ძალიან მაზალო ამბები გვაქვს თავს გადახდენილი. კლუბში რომ მივდიოდით, ცოტა ხომ მაინც უნდა დაგვეღია? ჩვენ ისეთ კლუბში დავდიოდით, სასმელი ასტრონომიული თანხა ღირდა და გვაკოტრებდა. ამიტომაც, მაღაზიაში ერთ იაფფასიან არაყს ვიყიდდით, სამზარეულოში სულ ჩქარ-ჩქარა, ყლუპ-ყლუპით დავლევდით, „ჩავითხლიშებოდით“ და მერე კლუბში გავრბოდით.

ᲖᲐᲚᲘᲙᲝ:

— ერთ-ერთ, ძალიან ძვირიან და პოპულარულ დისკოთეკაზე დავდიოდით და ბოლოს უკვე გვცნობდნენ და „პოსლეზე“ იწერდნენ ყველაფერს (*იცინიან*).

ᲜᲘᲜᲝ:

— ერთად ცხოვრებისას სახლში პატარა სარკე გვქონდა, სადაც მთელი ტანით არ ვჩანდით და ბინის ლიფტთან ჩამოკიდებულ სარკეში ჩასახედად დავრბოდით. რაც მთავარია, მე სიგარეტი არასოდეს მქონდა — არასდროს ვყიდულობდი, ზალიკო კი ამ მხრივ ძალიან მოწესრიგებულია. ტაქსიში რომ ვსხდებოდით, ჩემი პირველი სიტყვები იყო, — ზალიკო, სიგარეტი მომეცი, რააა! — აჰაა, შენ არ გაიხარე, ქალო! კიდევ არ გაქვს? იყიდე ერთი კოლოფი, რატომ არ ყიდულობო?! — მებუზღუნებოდა. ხურდებს აგროვებდა, ბოლოს უკვე იმდენი ხურდა ჰქონდა მოგროვებული, თავისუფლად შეგვეძლო ბინა გვეყიდა. რაც თავი მახსოვს, ჯიბეში სულ ხურდა უჩხრიალებს და თურქეთში ერთი ჩემოდანი ჰქონდა, რომელსაც ბოქლომით კეტავდა (*ხარხარებენ*). იცოდა, რომ ბოლო „კაპიკებს“ დაუნანებლად დავხარჯავდი. ერთხელ მახსოვს, ბოლო 100 დოლარი გვქონდა და ალუჩა ვიყიდე. ცოტა გზაში დამეხარჯა ფული და სახლში რომ მოვედი, თეთრიანიც აღარ მქონდა. ზალიკომ გაიღვიძა და ვახარე, — ფული აღარ გვაქვს, მაგრამ ნახე, ალუჩა ვიყიდე-მეთქი. ამომხედა და — ქალო, 100 დოლარის ალუჩა რამ გაყიდვინა, შენ არ გაიხარეო!

ᲖᲐᲚᲘᲙᲝ:

— ნინომ სანამ 2 შვილი არ გააჩინა, დედამისს უმალავდა, რომ სიგარეტს ეწეოდა. ერთხელ მახსოვს, დედამისმა გამოგვიარა და მანქანაში რა სიგარეტის სუნიაო?! — ნინოს მიადგა. ჩემგან რა გინდაა, ზალიკომ მოსწია ამდენიოოო! — კიოდა.

ᲜᲘᲜᲝ:

— ზალიკო, გახსოვს, ერთი მობილური ტელეფონი რომ გვქონდა? ბოლოს უკვე ცოცხალ-მკვდარი იყო და გაფუჭდა კიდეც.

ᲖᲐᲚᲘᲙᲝ:

— ჯერ ერთი, ის ჩემი მობილური იყო! ნინო არასოდეს უვლის თავის ნივთებს, ის საწყალი ტელეფონიც ამან გააფუჭა, სახეზე მაკიაჟს რომ ისვამდა, ნახევარზე მეტი იმ ტელეფონს ეცხო. სულ მოთხუპნილი იყო, აღარც ეკრანი ჩანდა და აღარც — კლავიატურა!

ᲜᲘᲜᲝ:

— მოკლედ, გაფუჭდა ეს ტელეფონი და მაშინ ატყდა რეკვა და მესიჯების გზავნა. არადა, ეკრანს ვერ ვხედავდით და ვერ ვხვდებოდით, ვინ გვეხმიანებოდა. ტაქსიში ჩავსხდებოდით, მოგვივიდოდა მესიჯი, ჩიქორთული თურქულით ვუხსნიდით ამ ტაქსის მძღოლს, ტელეფონი გვათხოვე, კარტა გადაგვადებინეო. გამოვგლეჯდით ხელიდან ტელეფონს, ჩავდებდით კარტას, ახლა მესიჯის კითხვისას იყო ერთი წივილ-კივილი და ემოციების ფრქვევა და ეს საწყალი მძღოლი, გადარეული, — აააალაჰ, ალაააჰ! — ყვიროდა. შოკში გვყავდა თურქები.

— ნინო, დიდი ხანია პოდიუმს ჩამოშორდი, არ გენატრება?

— ხანდახან ვარ ხოლმე ისეთ ხასიათზე, რომ სიამოვნებით გამოვიდოდი პოდიუმზე, მაგრამ ახლა სხვა ინტერესები მაქვს და ვერც კი წარმომიდგენია. გავლით როგორ ვერ გავივლი, დარბაზშიც რომ ვიჯდე, შემიძლია, პოდიუმზე ავიდე და გავიარ-გამოვიარო. ამის კომპლექსი არ მაწუხებს, მაგრამ არასოდეს მქონია პოდიუმის ნოსტალგია.

ᲖᲐᲚᲘᲙᲝ:

— სიმართლე გითხრა, მე ძალიან მომენატრა ნინო პოდიუმზე. „ჯორჯიან ფეშენ ვიკზე“ ზამთრის კოლექცია წარმოვადგინე და ეს ნინოს სტილი არ იყო, თორემ ახალი თაობის მოდელებს არაფრით ჩამოუვარდება. მიხედავად იმისა, რომ 2 შვილის დედაა, არაჩვეულებრივ ფორმაშია.

— ზალიკო, როგორ მოირგო ნინომ დიასახლისის ამპლუა?

— ძალიან მაგრად! საქართველოში ბევრი ვერ დაიკვეხნის, რომ შეუძლია, ნინოსნაირი მაგარი ცოლი იყოს. ეს და თავისი ქმარი თვალებში შესციცინებენ ერთმანეთს, ნინო ერთი შეხედვით ატყობს ლევანს, ჩაი უნდა, ლუდი თუ ძილი. სხვათა შორის, სტუმრების სახლში მიღება ძალიან უყვართ. ნინოს შეუძლია, 12-კაციანი სუფრა გაშალოს, აალაგოს და ორი ამდენი სტუმარი კიდევ მიიღოს. 1 კვირა ვცხოვრობდი ამათთან სახლში და დღეში სტუმრების რამდენიმე პარტია მიდი-მოდიოდა. არაჩვეულებრივ კერძებს ამზადებს, მისი გაკეთებული „ჟარკოვიც“ მომწონს, ჩანახიც და ყველაფერი!

ᲜᲘᲜᲝ:

— ოჯახში ყველაფერი შემიძლია სხვას გადავაბარო, მაგრამ სადილებს არავის გავაკეთებინებ! 26 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი და გათხოვების შემდეგ გადავწყვიტე, კარგი დიასახლისი ვყოფილიყავი. არ არსებობს ქალი, რომელიც ძალიან მაგარი მოდელიც იყოს და ამავე დროს კარგი მეუღლეც. როცა ოჯახურ ცხოვრებას იწყებ, ან ცოლი უნდა ცხოვრობდეს ქმრის ცხოვრებით, ან — პირიქით. მე ისეთ კაცს არ გავყვებოდი, რომელიც ჩემი ცხოვრებით იცხოვრებდა და გადაღებებსა თუ ჩაწერებზე შირმის იქიდან მიგულშემატკივრებდა. ჩემი მეუღლე ნამდვილი ქართველი, ტრადიციული მამაკაცია, რომელიც ძალიან მიყვარს და მინდა, მისთვის კარგი მეუღლე ვიყო.

— რამხელები არიან შენი შვილები?

— სამი წლის და 4 თვის და ათი თვის.

ᲖᲐᲚᲘᲙᲝ:

— რამდენიმე თვეა, მეორე ბავშვი გააჩინა და არაფერი ეტყობა. სხვათა შორის, ორსულად რომ იყო, არც მაშინ ემჩნეოდა არაფერი, თუ ზურგიდან შეხედავდი (*ილიმის*). თან აჩენდა და თან სამშობიაროდან რეკავდა, — აიი, გავაჩინეო!

— ნინო, იყო დრო, როცა

დავლევდით, „ჩავითხლიშებოდით“ და მერე კლუბში გავრბოდით

ჟურნალი „გზისთვის“ ბიკინებში პოზირებდი, დღეს თუ დათანხმდებოდი მსგავს შემოთავაზებას?

— გადამიხადოს „გზამ“ 50 მილიარდი გირვანქა სტერლინგი და კი, ბატონო! მე ყოველთვის აქტიური ტიპი ვიყავი, დღეს ბიკინებით პოზირება არაფერს ნიშნავს, მაშინ კი, ერთ ამბავს ტეხდნენ. ვისაც ჩემს ბიკინზე პრეტენზია ჰქონდა, მათ ჩაიცვან ახლა და თუ ისევე მოუხდებათ, როგორც მე მიხდებოდა, ხმას აღარ ამოვიღებ.

ზალიკო:

— სხვა მოდელების ფონზე ნინო ყველაზე თავისუფალი ჩანდა, სხვები დღეს შეიძლება დიდი სიამოვნებით დათანხმდნენ საცურაო კოსტიუმით პოზირებას, მაგრამ ნინომ უკვე დიდი ხანია, ეს მოახერხა. ჩემი მეგობარი ძალიან გულწრფელი ადამიანია.

ნინო:

— სხვათა შორის, 1 კვირის გათხოვილი ვიყავი, როცა ერთ-ერთი ჟურნალის ყდაზე ჩემი ბიკინიანი ფოტო დაბეჭდეს და ჩემს გათხოვებასთან დაკავშირებით რაღაც არასასურველი ტექსტიც დაურთეს. ვიღაც კეთილისმსურველებმა ჩემს მეუღლესაც მოუტანეს ეს ჟურნალი. ალბათ ეგონათ, ოჯახი დაგვენგრეოდა. მახსოვს, ძალიან დავითრგუნე და ოთახში შევიკეტე. ლევანი ჩემს ოთახში შემოვიდა და — გშიაო? — მკითხა. — არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე. — წამო, მეგრელებში წიწილა ვჭამოთო, მითხრა. ეს იყო მისი კომენტარი იმ ფოტოსა და ტექსტზე.

— **ალბათ იშვიათია, თქვენნაირი მეგობრები...**

ზალიკო:

— ძალიან რთულია, ასეთი გულწრფელი და საინტერესო მეგობარი იპოვო. ლხინშიც ერთად ვართ და ჭირშიც. ფეხი რომ მქონდა მოტეხილი, ნინო მივლიდა. სანამ ნინო არ მოვიდოდა, არაფერს ვჭამდი.

ნინო:

— სუდნოსაც კი ვუდგამდი. მასთან მისვლა თუ დამაგვიანდებოდა, გიჟდებოდა.

ზალიკო:

— ნინო სულ იმას მეჩიჩინება, ცოლი მოიყვანეო. მე კი მინდა, რომ ოჯახური ბედნიერება ვუსურვო. ჯანმრთელი იყოს და უბედნიერესი.

ნინო:

— ზალიკოს ძალიან დიდი „ბაგაჟი“ აქვს და კიდევ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. დარწმუნებული ვარ, რომ ერთ დღეს ზალიკო ძალიან განსხვავებულ ამპლუაში მოგვევლინება. მინდა, ცოლი და შვილები ჰყავდეს და ოჯახებთან ერთად რომელიმე კუნძულზე ვისვენებდეთ.

— **სურვილების ახდენას გისურვებთ.**

— (*ერთბაგ*) ვიმე, დიდი მადლობა! ■

„სადაც საჭირო იყო თუ არ იყო, ყველგან ვმღეროდი და გამრიცხეს“...

ხალხში გამოჩენა არასდროს ხიბლავდა. იმითაც კმაყოფილდებოდა, მის სიმღერებს რადიოტალღაზე თუ მოუსმენდნენ, თუმცა ყველაფერი სხვანაირად აეწყო, თანაც ისე მოულოდნელად, რომ დღემდე უკვირს — რა უცებ შეიყვარა მსმენელმა და ამას ღვთის ნებას მიაწერს. სატრფიალო სიმღერების შესრულება უყვარს და ჰგონიათ, რომ შეყვარებულია. შეყვარებული ნამდვილად არის, ოღონდ — ფოლკლორზე... „შენმა სურვილმა დამლია“ — ეს იყო დათო კენჭიაშვილის პირველი სიმღერა, რომლითაც ყველამ გაიცნო.

ნინო ჯავახიშვილი

— **ქართველ ხელოვანებს დაფასება და პერსპექტივა არა აქვთო, მითხარი. შენ მაინც მოახერხე, მსმენელისთვის საკუთარი შემოქმედება გაგეცნო. რა ეტაპი გაიარე?**

— თავდაპირველად ხალხში გამოჩენისაც კი მეშინოდა, რადგან არ მინდოდა, კრიტიკის ობიექტი გავმხდარიყავი. ეს ძალიან მტკივნეული იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ მაინც გავრისკე. ადამიანი დროთა განმავლობაში ივსება და ბოლოს იღვრება, რადგან ბევრი სათქმელი უგროვდება. მეც ასე დამემართა და 3-4 წლის წინ გადავწყვიტე, ჩამეწერა ლელა თათარაიძის სიმღერა — „შენმა სურვილმა დამლია“. მივიტანე ერთ-ერთ რადიოში, მაგრამ უარი ისე მითხრეს, არც კი მოისმინეს, დატრიალებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ჩემი სახელი და გვარი არაფერს ეუბნებოდა და ალბათ იფიქრეს, რომ მორიგ უნიჭო მომღერალთან ჰქონდათ საქმე. გული დამწყდა. ძალიან დათრგუნვილი ვიყავი. მახსოვს, ნერვიულობისგან 5 კილო დავიკელი. ჯერ იმაზე ვნერვიულობდი, მსმენელი როგორ მიიღებდა ჩემს ნამღერს და ერთმა კაცმაც რომ არ მომაქცია ყურადღება და უარით გამომისტუმრა, წარმოიდგინე, რა დამემართებოდა. ამის შემდეგ ალბათ ღვთის წყალობად უნდა მივიჩნიო ერთი კეთილი ადამიანის — ზაზა ქაშიბაძის გამოჩენა, რომელიც დაინტერესდა ჩემი სიმღერით, მოისმინა და მოეწონა.

— **დათო, ფოლკლორით შენი დაინტერესება რამ განაპირობა?**

— ჩემს ოჯახში, ჩემი უმცროსი დისა და ბებიაჩემის გარდა, ყველა მღერის. მარტო ისინი ვერ ავამღერეთ (*იცინის*). მამა სამხედრო პირია, დედა — დიასახლისია. ქართული სიმღერა კი ყველას გვიყვარს. მე არ მახსოვს ჩემი დიდი ბებია. თურმე უნიკალური შემსრულებელი ყოფილა, მაგრამ ძალიან მკაცრი მეუღლე ჰყოლია და თავის წარმოჩენის საშუალება არ მიუცია. არტოს ბაღში დავდიოდი, ხალხური საკრავების წრეზე, სიმღერაზე არც მიფიქრია. ერთხელ, მეცადინეობის დაწყებამდე, წავიღიღინე — „თუ ასე ტურფა იყავი“. იქვე მდგარმა ვალერი კუტიძემ — ლოტბარმა მომისმინა და ანსამბლ „მართვეში“ სიმღერა შემომთავაზა. სამწუხაროდ, ოჯახური პრობლემების გამო ვეღარ მოვახერხე „მართვეში“ სიმღერა და თავი მალევე დავანებე.

— **სკოლის დამთავრების შემდეგ კი სამუსიკო სასწავლებელში ჩააბარე, ხომ?**

— კი, მაგრამ პირველი კურსიდანვე გამომრიცხეს.

— ასეთი რა დააშავე?

— ვმღეროდი... ლექციების დროს, შესვენებაზე, დერეფანში, აუდიტორიაში... მოკლედ, სადაც საჭირო იყო თუ არ იყო, ყველგან ვმღეროდი და გამრიცხეს. ამას წინათ მითხრეს, რომ მაშინდელ დირექტორს მუსიკალურ ზუმერად ტელეფონზე ჩემი სიმღერა აქვს. ამის შემდეგ საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტი დავამთავრე.

— „მართვეში“ გაიცანი თეონა ქუმსიაშვილიც, რომელთან დუეტიც მისთვის ბოლო სიმღერა აღმოჩნდა...

— მე და თეონა „მართვეში“ ერთად ვმღეროდით. თეონა ხვიჩა ღვთისიაშვილთან ფანდურზე დაკვრას სწავლობდა. ჩემი პირველი დუეტი ბავშვობაშიც და ახალგაზრდობაშიც თეონას უკავშირდება. მასთან ერთად შევასრულე „ნუ გიყვარს ქალაუ“. მაშინ ალბათ 11-12 წლისანი ვიყავით. მერე კი „შენ ჩემო დიდი ტკივილო“ ჩავწერეთ. თავდაპირველად არ მთანხმდებოდა — ვიცი, რომ შენ კარგად გამოგივა და მინდა, მარტომ იმღეროო. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით მის გარეშე არ ვიმღერე. ისიც ჩემსავით ნერვიულობდა, როგორი გამოვიდოდა სიმღერა. „შენ ჩემო დიდო ტკივილო“ მართლა ერთი ამოსუნთქვით ჩავწერეთ. ტექსტი ტარიელ ხარხელაურს ეკუთვნის, მუსიკა — თავად თეონას. ამ სიმღერაში ტკივილიცაა ჩაქსოვილი, სიხარულიც, სიყვარულიც... ალბათ ამიტომაც შეიყვარა ხალხმა, ბევრ რამეზე რომ დაგაფიქრებს. გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე დამირეკა და მითხრა: რა კარგი სიმღერა გამოვიდა, ხალხმა უცებ შეიყვარა და აიტაცაო. გახარებული და ბედნიერი იყო ამით. მეც გამიხარდა, რომ მოეწონა. ბენდის ბიჭები, ვისთან ერთადაც ვმუშაობდით — მიხეილ წითელაშვილი, ზაზა კეჭაღმაძე და კახა კარელიძე ნიჭიერი ხალხია და მათი დამსახურებაცაა, ჩვენს ნამღერს ასეთი წარმატება რომ ხვდა წილად. რეპეტიციების გარეშე ვიწერთ სიმღერებს, რატომღაც ასე უფრო გვეადვილება. რაც შეეხება ტექსტებს, ძირითადად, სატრფიალო სიმღერებს ვარჩევ.

როდესაც მოვუსმინე, გადავწყვიტე, დავხმარებოდი

— ბევრ ინსტრუმენტზე უკრავ?

— ფანდურზე და — მოყვარულის დონეზე, აფრიკულ საკრავზე — ტამტამზე. დუდუკზე დაკვრას ვსწავლობ. ძალიან ძნელია, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს.

— ბენდზეც მითხარი რამე. როგორ შეხვდით ერთმანეთს?

— ბენდს ჯერჯერობით, სახელი არა აქვს. ისინი ჩემი მეგობრები არიან, ყოველთვის გვერდით მიდგანან და მათი დამსახურებაა, თუ რამეს მივაღწიე.

— კარდანახელი ვანოს გამარჯვება კი შენი და ბენდის ბიჭების დამსახურებაა. ამიტომაც თქვა: მაგ ბიჭების გარდა, თავს კარგად ვერავისთან ვგრძნობ.

— ვანომ უნდა იცოდეს, რომ არჩევანში თავისუფალია — იქნებ მე ის ვერ შევასწავლო, რისი სურვილიც აქვს. მას აქვს იმის რესურსი, რომ უკეთესად იმღეროს. მეგობარმა მთხოვა, რომ ინტერნეტში მისი გამოსვლა მენახა. როდესაც მოვუსმინე, გადავწყვიტე, დავხმარებოდი და ბენდის საშუალებით, მუსიკალური ფონი გამეკეთებინა. თავიდან ცოტა დააბნია ხმებისა და საკრავების მრავალფეროვნებამ, მაგრამ მალევე „მოერგო“ ბენდს. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს — „ვანო და მისი მეგობრები“ საკუთარი ძალებით ვგეგმავთ ტურნეს საქართველოს რამდენიმე რეგიონში. კონცერტიდან შემოსული თანხის ნაწილს იმ ბავშვთა სახლს გადავურიცხავთ, რომელშიც ადრე ვანო ცხოვრობდა... თუ ყველაფერი კარგად იქნება, სექტემბრიდან მოსწავლეების აყვანასაც ვაპირებ და არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც, რათა იქაური ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი იყოს. მოთხოვნილება არის — აშკარაა, რომ ახალი თაობა ფოლკლორით დაინტერესდა და შეუყვარდა.

ახლო მომავალში კი სოლო კონცერტს და კლიპის გადაღებას ვგეგმავ

— ამჟამად რას საქმიანობ?

— „წითელ ჯვარში“ ვმუშაობ. ახალგაზრდული ჯგუფის კოორდინატორი ვარ. სხვადასხვა სოციალური პროგრამისთვის დონორებს ვეძებთ.

— რაც შეეხება მუსიკას?

— ალბომზე ვმუშაობ, ახლო მომავალში კი სოლო კონცერტს და კლიპის გადაღებას ვგეგმავ. ალბომში 10-11 ახალი სიმღერა შევა. ისეთი სიმღერები ჩავწერე, აუცილებლად შეგაყვარებს ვინმეს (*იცინის*)... მასში შევა ერთი ახალი სიმღერაც — „დარიალს მთაში“, რომლის მუსიკა ჩემია, ტექსტი კი მამამ დამიწერა. შუაღამისას მომივიდა თავში ამ მუსიკის შესავალი და დღე-ნახევარში დავამთავრე მასზე მუშაობა. ასეა — თუ მუსიკა და მელოდია მაწუხებს, ვერ ვისვენებ ხოლმე...

■

„ჩემი ასაკის ადამიანისათვის პარიზში ყოფნა იდეალური მგონია“

წელიწადზე მეტია, რაც ქართველი მოდელი, ქრისტინე ძიძიგური პარიზში მუშაობს. ის საქართველოს მოდის კვირეულს სტუმრის ამპლუაში ესწრებოდა, როცა ფრანგული სამოდელო სააგენტო „ელისის“ წარმომადგენლებმა შენიშნეს და თანამშრომლობა შესთავაზეს. 1-წლიანი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, ქრისტინემ კონტრაქტი იმავე ვადით სხვა სამოდელო სააგენტოსთან — „სლაიდთან“ გააფორმა. „ელისში“ მისი გადაწყვეტილება სწორად გაიგეს...

კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ არჩევანის საშუალება მომცეს

ეთო ყორღანაშვილი

ქრისტინე ძიძიგური:

— „სლაიდში“ ჩემი „ბუქერი“ ყველაფერს აკეთებს, რომ „გამქაჩოს“, მოდის სფეროში უკეთ ჩამრთოს. მას ჩემი სჯერა. მართალია, „ელისში“ გზა გამიკაფეს, მაგრამ კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ არჩევანის საშუალება მომცეს. მეც უფრო ძლიერი სააგენტო ავირჩიე.

— კიდევ რა მნიშვნელოვანი სიახლეა შენს კარიერაში?

— ფეხსაცმელის ფრანგულმა ფირმამ თავის ვიდეოკლიპში გადასაღებად ამირჩია. ეს ახალი ფირმა გახლავთ, რომელიც საკმაოდ ცნობილ და წარმატებულ მოდელ გოგონასთან თანამშრომლობდა, მაგრამ ის გოგო პარიზში არ იმყოფებოდა და მის შემცვლელს ეძებდნენ — 1 თვის განმავლობაში კასტინგს ატარებდნენ. ამასობაში, პარიზში მეც ჩავედი (საქართველოში ვიყავი). როგორც მერე შევიტყვე, თავად ფირმის წარმომადგენლებმა მიპოვეს, ჩვენი სააგენტოს „საიტზე“. შემდეგ შეხვედრა დამინიშნეს. თურმე ზუსტად ჩემნაირ გოგონას ეძებდნენ, მაგრამ მთავარი გარეგნული იმიჯის მორგება კი არა, ვიდეოკამერასთან მუშაობა იყო. გადამიღეს, ათასი რაღაც ჩაწერეს და ამირჩიეს. ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან ფრანგულ ფირმასთან თანამშრომლობა ჩემთვის მნიშვნელოვანია. გადაღებული მასალის ნაწყვეტები სააგენტოში გაგზავნეს (ვიდეოკლიპი ჯერ არ გამოსულა). ჩემი მთავარი „ბუქერი“ თვალს არაფერზე ხუჭავს — შენიშვნას ყოველთვის მაძლევს და მასწავლის. ჩემში ბევრ შრომას „დებს“ და სურს, ჩემგანაც ბევრი მიიღოს. გამიკვირდა, რომ ვიდეოკლიპის ნაწყვეტების ნახვის შემდეგ შენიშვნა საერთოდ არ მოუცია. თავდაპირველად, ფირმის დამფუძნებელს უთქვამს: წინათ ქართველ გოგონასთან არ გვიმუშავია და ძალიან გვეშინიაო. გადაღებაზე წვრილმან მითითებებს არავინ მაძლევდა, დამოუკიდებლად გავართვი თავი... საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. ჩემს თავზე ლაპარაკი მიჭირს ხოლმე (*იცინის*).

თურმე ზუსტად ჩემნაირ გოგონას ეძებდნენ

წინათ ქართველ გოგონასთან არ გვიმუშავია და ძალიან გვეშინიაო

— ვიდეოკამერასთან მუშაობის გამოცდილება არ გქონდა?

— კი, როგორ არა! ჰოლივუდისთვის ფილმი — „დიდგორი“ რომ გადაიღეს, მასში ვმონაწილეობდი. მიღებული გამოცდილება ფრანგული ფირმის კლიპზე მუშაობისას დამეხმარა.

— ქრისტინ, როგორც ვიცი, პარიზის მაღალი მოდის კვირეულშიც მონაწილეობდი. იქ როგორ მოხვდი?

— პარიზის მაღალი მოდის კვირეული მსოფლიო მოვლენაა, რადგან მოდის დედაქალაქში იმართება. თავად დიზაინერებს (ივია შტოიანოვა და ესსენ შამოუილოვი) მოვეწონე და თავისთან დამიბარეს. სამოსი კარგად მოვირგე, სიარულის მანერაც მომიწონეს...

— კვირეულზე საკუთარი თავი მაქსიმალურად კარგად წარმოაჩინე?

— მიუხედავად იმისა, რომ მოდის სამყაროში უდიდეს სცენაზე ვიდექი, არ დავბნეულვარ, პირიქით — თავდაჯერებული და პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე ვიყავი. ვცდილობდი, ყველაფერი იდეალურად ყოფილიყო. თავად დიზაინერები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. მათთან პირველად

ვითანამშრომლე, პირველი შთაბეჭდილება კი ძალიან მნიშვნელოვანია.

— თმის ფერი ისევ შეგიცვლია...

— ასეთი საკითხების გადაწყვეტა სააგენტოს გარეშე არ შემიძლია. ზამთარში მითხრეს, რომ თმა ყავისფრად უნდა შემეღება. ამ პერიოდში, პარიზში ყავისფერი თმა და მწვანე თვალები ძალიან მოდურია. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ჩემთვის თმის ბუნებრივი ფერი დაებრუნებინათ.

— კმაყოფილი ხარ? მახსოვს, ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილი იყავი, როცა თმა ქერად შეგიღებეს.

— (*იცინის*) უკვე ყურადღებას აღარც ვაქცევ, მე რა მომწონს... როგორც სააგენტო მირჩევს, ისე ვიქცევი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე კარგად არ გაკეთდება. პროფესიონალების რჩევებს უნდა მივყვე. შემიძლია, რაღაც შევთავაზო, მაგრამ საბოლოო პასუხი მათგან უნდა მივიღო.

— სააგენტოში მუშაობა რთულია?

— ფრანგები ისეთი მაქსიმალისტები არიან, რომ მცირე შეცდომასაც არ გაპატიებენ. სამაგიეროდ, მიზერულ წარმატებასაც არ დაგიკარგავენ. ზოგადად, მათთან ურთიერთობა ცოტა რთულია...

— ახლა ალენ დელონთან ერთად გადაღებულ ფოტოზეც მოგვიყევი.

— მე და ჩემი მოდელი მეგობრები სხვადასხვა კარგ ადგილას ხშირად დავდივართ. მონტენის ქუჩაზე ბრენდების („დიორის“, „შანელის“...) სახლები გვერდიგვერდაა განლაგებული. იქვეა ერთ-ერთი პრესტიჟული სასტუმრო — Plaza Athenee, რომელსაც ცნობილი ადამიანები ხშირად სტუმრობენ. სასტუმროს ბარ-რესტორანი აქვს, სადაც დახვეწილი და სასიამოვნო გარემოა. ერთხელაც იქ ალენ დელონი ვნახე. მისკენ რომ მივიწიეთ, დაცვამ წინააღდეგობა გაგვიწია. შემდეგ თავად ალენ დელონმა დაუძახა, გამოუშვითო და საშუალება მომცა, მასთან ერთად ფოტო გადამეღო... სულ ეს იყო.

— პარიზულ ცხოვრებაში აქტიურად ხარ ჩართული?

— მუშაობის გარდა, ვსწავლობ (ფრანგულ ენას), ვერთობი, ფრანგულ „ივენთებს“ ხშირად ვსტუმრობ... ამ ქალაქის ცხოვრებაში ჩავები. ძალიან მომწონს. ჩემი ასაკის ადამიანისთვის აქ ყოფნა იდეალური მგონია. საქართველოსაც ხშირად ვსტუმრობ. ოჯახის, ახლობლების ნახვის შემდეგ, პარიზში ახალი ენთუზიაზმით ვბრუნდები.

— საქართველოში „ფეშენ ვიკი“ ისე ხშირად იმართება, რომ სამშობლოში შენი ერთ-ერთი ვიზიტი მაინც დაემთხვეოდა ქართული მოდის კვირეულს...

— კი, მიხარია, რომ საქართველოში მოდის ბიზნესი ვითარდება. ახალი მოდელები, დიზაინერები, ფოტოგრაფები გამოჩნდნენ... როცა პარიზში იმ ფრანგებს ვხვდები, რომლებიც საქართველოში, მოდის კვირეულზე ყოფილან, ჩვენს ქვეყანაზე ყოველთვის აღფრთოვანებით საუბრობენ. აღნიშნავენ, რომ ქართველ დიზაინერებს მოდის სფეროში დამკვიდრების დიდი შანსი აქვთ. ძალიან სასიამოვნოა, როცა ჩემი ქვეყნის წარმომადგენლებს ასე დადებითად ახასიათებენ. ■





ოტია იოსელიანის სიტყვის სიბრძნე და ანდერძად ქცეული სიმართლე

მწერლის უკანასკნელი ინტერვიუ

ინგა ჯაყელი

შეიძლება, ეს ბოლო ინტერვიუც იყო, რომელიც ჟურნალისტს მასთან ჩაუწერია. დაბადების დღის მილოცვა მინდოდა, ვუთხარი კიდევაც, რომ დიდი პატივი იყო ჩემთვის, ამისი უფლება და საშუალება რომ მქონდა... ოტია იოსელიანი არ იყო არც რიგითი მწერალი და არც — რიგითი ქართველი. ბედის დიდ საჩუქრად მივიჩნევ, რომ არასოდეს მეუბნებოდა შეხვედრაზე უარს და თავისთან ახლობელივით მეპატიჟებოდა... ერთი თვეც აღარ უცოცხლია ამ საუბრის შემდეგ — 16 ივნისს ველაპარაკე, 14 ივლისს აღესრულა...

...ბოლოს იმ დღეს ველაპარაკე, 81 წლის რომ გახდა...

ოტია იოსელიანთან რომ მიმესვლებოდა, ამით ყოველთვის ვამაყობდი და სიცოცხლის ბოლომდე მადლიერი ვიქნები ამ ბუმბერაზი ადამიანის, რომ შეეძლო საათები დაეთმო ჩემთვის და ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიმეღო. თუ რომელიმე კითხვა არ მოეწონებოდა, მისთვის ჩვეული პირდაპირობით მეტყოდა:

— ეგ სისულელე საიდან მოგივიდა თავში... შენ მე ჭკვიანი ქალი რომ მგონიხარ, ამიტომ გელაპარაკები ამდენს!..

არასოდეს მწყინდა მისი შენიშვნები. პირიქით, ყურადღებით ვისმენდი, ვაანალიზებდი და ვხვდებოდი, რომ ის ყოველთვის მართალი იყო. მხოლოდ მიმდინარე მოვლენებს კი არ აფასებდა სწორად, თითქოს ნათელმხილველობის უნარიც ჰქონდა და რასაც იტყოდა, სწორედ ისე აეწყობოდა და მოხდებოდა ყველაფერი. როცა გაოგნებული ვკითხავდი, — ასე ზუსტად როგორ იწინასწარმეტყველეთ, ბატონო ოტია, მოვლენების განვითარება-მეთქი?! — ხელს სინანულით ჩაიქნევდა:

— გადამრევ შენ, რად უნდა წინასწარმეტყველება იმას, რომ თუ ორს ორს მიუმატებ, ყოველთვის ოთხს მიიღებ, არც მეტს და არც ნაკლებს... არც წინასწარმეტყველი ვარ, არც გულთმისანი და არც ბრძენთა ბრძენი. ქართველი ვარ, ჩემი ქვეყანა და ყველაფერი ქართული მიყვარს — მიწა, ცა, წყალი და რაც მთავარია, ადამიანები... ღმერთის მწამს და მეშინია, რადგან ვიცი, მას ვერავინ მოატყუებს და მის მოთმინებასაც აქვს საზღვარი. რომ ვტრაბახობთ — საქართველო სამოთხეა, უფალს თავისთვის ჰქონდა შეგულებული და ის გვაჩუქა ქართველებსო — ასე დავუფასეთ, რომ ჯოჯოხეთად ვაქციეთ აქაურობა და პირველ რიგში, საკუთარ თავს მოვუწყვეთ კუპრით სავსე, ცოდვით ადუღებული ყოფა?!

სამოთხეში არც პური ჭირს, არც წყალი და არც სიყვარულის დეფიციტია... ჩვენ ერთმანეთი რომ აღარ გვიყვარს და თუ საკუთარი ცოლ-შვილი მაძღარი გვყავს, სხვის დამშეულ მოხუცს და ბავშვს რომ ვერ ვამჩნევთ, ესაა სიყვარული?!.

უმადური არ გეგონოთ, მარა — არ მინდა, არც გატკიცინებული გზა და მით უფრო, 2 პარლამენტი ამდენი გაზულუქებული პარლამენტარისთვის, თუ მოხუცს პენსია არ ექნა და უწამლობით მომიკვდა, ბავშვს რძე ვერ დავალევინე და დამიჭლექდა... საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში კი მასობრივად შიმშილობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი და ამას გვაპატიებს ღმერთი?! ქართველი ქალების ნახევარი სხვის ბებერს და მომავალს უვლის საზღვარგარეთ გადახვეწილი, მათი შვილები აქ უდედოდ იზრდებიან და გინახავთ თქვენ სადმე, უდედოდ გაზრდილ ადამიანს არასრულფასოვნების კომპლექსი არ ტანჯავდეს?!

...რეფორმებიო, რომ გაიძახით, რად მინდა მე ამერიკელისა და რუსის ნასწავლები უნარ-ჩვევები თუ რაცხა უბედურობა, რომელსაც კაპიკის საღირალი არა აქვს ჩემს ტრადიციასთან, მორალთან და ისტორიასთან შედარებით?!. გული მწყდება, რომ ვკვდები და წაღმა მოტრიალებულ საქართველოს ვერ მევესწარი — ისევ ამერიკელის და რუსის ხელის და ნების შემყურეები ვართ და იმდენი ღირსებაც არ გაგვაჩნია, რომ რუსს ჩვენი მიწა და წყალი არ მივყიდოთ და მერე გაზარმაცებულებმა ამერიკული პურის სამათხოვროდ არ გევიშვიროთ ხელი...

— **რა დროს სიკვდილზე ფიქრია, ბატონო ოტია** (*მაინც ვცადე მისი გამხნევება, მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიიდან ახალი დაბრუნებული, სადაც ქიმიოთერაპიის მორიგი კურსი ჩაიტარა, მართლა არ იყო კარგად და არც მის ხმას ჰქონდა ძველებურად ფოლადის სიმტკიცე*)?!

— სიკვდილზე ფიქრი სიბრძნის ნიშანია და ეს ჩემზე ჭკვიანმა კაცმა თქვა საუკუნეების წინ... ადრე 81 წლის კაცი უსაშველოდ დი-ი-დი მეგონა. გავხდი თავად ამხელა და ისევ ბოვშის შემრჩა გულიც, სულიც და გულუბრყვილობაც... სიცოცხლე კიდევ მეტად შემიყვარდა და არც იმას ვმალავ, რომ არ მინდა სიკვდილი — გული მწყდება აქოურობაზე... ვითომ ბევრი გავაკეთე, მარა ორი იმდენი დამრჩა გასაკეთებელი და დასაწერი... ახალგაზრდა რომ ვიყავი, მეგონა, დრო უსასრულო იყო და ბევრის მოსწრება შემეძლო... შენ რატომ ფლანგავ დროს, რამდენი ხანია, არც ჟურნალში და არც გაზეთში არაფერი წამიკითხავს შენი?! — *მისაყვედურა უცებ და გამიხარდა, რომ პრესის ფურცლებიდან ჩემი „გაუჩინარება“ ისეთმა ბუმბერაზმა ადამიანმა შეამჩნია, როგორიც ოტია იოსელიანია...*

— **დედა დამელუპა, ბატონო ოტია, მანამდე ცოტა ხანს იავადმყოფა და... დედა ვის არ დაუკარგავს, მაგრამ ასე მგონია, ჩემსავით არავის დაკლებია მშობელი. მართლა კარგი დედა მყავდა** (*მიწყდება ხმა*)...

თავადაც პაუზა გააკეთა. მერე მომეფერა:

— გულით ვიზიარებ შენს მწუხარებას... რას იზამ, ასეა ეს წუთისოფელი, მშობელი უნდა წევიდეს და შვილი უნდა დარჩეს. ღმერთმა ნუ ქნას, პირიქით მოხდეს... კაი გოგო ხარ შენ, ასე რომ განიცდი უდედობას და უფროსის გარეშე დარჩენას... რაც უნდა ჭკვიანი იყოს ადამიანი, უფროსის ნათქვამს რომ მიუგდებს ყურს და გეითვალისწინებს, თავის საქმესაც წაღმა წეიყვანს და ქვეყნისასაც... ჩვენს ქვეყანას რომ ასე უჭირს, ამისი ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ უფროსი ხალხის „ჩარეცხვა“ მეინდომა ახალმა თაობამ და ხელისუფლებამ. ისეთ ხალხს ჩააკმენდინეს ხმა, ოქროს ფასი რომ ადევს მათ სიტყვას და გამოცდილებას. საძირკვლის გარეშე ინდომეს ახალი სახლის აშენება და ამიტომ ინგრევა გოუმაგრებელი კედლები. არც რუსის სასწავლებელი გვქონდა რამე ქართველებს და არც — უისტორიო ამერიკელების, მეტი ჭკუა და ღირსება რომ გვქონოდა, მეტად რომ გვყვარებოდა და შურით დაბრმავებულებს არ წაგვექცია ერთმანეთი, კვანტის დადებით არ დაგვემტვრია ცხვირ-პირი ჩვენზე ჭკვიანისა და გამორჩეულებისთვის...



— **ხედავთ, ბატონო ოტია, ახლანდელ საქართველოში იმ რჩეულებს, ქვეყნის ბედ-იღბალს რომ წაღმა შემოატრიალებენ?!**

— არ მისმენ თუ რა გემართება — რას გეუბნები, აპა, ამდენი ხანია — გამორჩეულების ჩაქოლვაში რომ გავატარეთ საუკუნეები ქართველებმა, იმიტომ მევედით ამ მდგომარეობამდე და დავღუპეთ ქვეყანა...

— **ვითომ მართლა აღარ გვეშველება რამე?!**

— მე ცოცხალიც საქართველოსთვის ვლოცულობდი და იმ ქვეყნიდანაც არ მოვაკლებ ლოცვას, თუ ეს საკმარისი იქნა... კმარა ახლა, დევიღალე! — *მითხრა მერე და მივხვდი მართლა ცუდად იყო, თორემ სხვა დროს არასოდეს უხსენებია დაღლა...*

P.S. თუ წერას ვაგრძელებ და ვბედავ, ეს, პირველ რიგში, ბატონი ოტიას დამსახურებაა — რამდენიმე წლის წინ, ჩემი ნოველების წაკითხვის შემდეგ მომეფერა და მითხრა: „ამ გლახავ-გლახავში“ კი გისწავლია წერა!“ — ეს ჩემთვის უდიდესი შეფასება და სტიმული იყო, რისთვისაც სიცოცხლის ბოლომდე მადლიერი ვიქნები მისი...

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ, დიდო ადამიანო, ძალიან დაგვაკლდებით და მოგვენატრებით!..

■

„რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ ანუ „ყველანი წახვალთ იურასთან და გაიხდით!“

ჩვენ ფოტოგრაფად ვიცნობთ, პროფესიონალსაც ვუწოდებთ, მაგრამ ამ საქმიანობის დამადასტურებელი არც ერთი ოფიციალური საბუთი არ გააჩნია. დღეს „მაესტროს“ სკოლა-სტუდიაში ფოტოგრაფიას ასწავლის. ამბობს, რომ ბავშვებს ასწავლის ხელობასა და ხელოვნებას. მისი პირველი გაკვეთილი ასე დაიწყო: „ჩვენ არ ვიღებთ სურათებს! სურათებს იღებს ყველა, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს — ხელში მობილური ტელეფონი ან ფოტოაპარატი უჭირავს. ჩვენ ვქმნით გამოსახულებებს, ემოციითა და ვნებით დატვირთულ სურათებს“.

ნინო მჭედლიშვილი

— ბატონო იური, სულ თავიდან დავიწყოთ — როდესაც ფოტოგრაფიით დაინტერესდით...

— ფოტოგრაფია ჩემთვის პროფესია მერე გახდა, როცა უკვე ამ საქმით ფული ვიშოვე. მანამდე იყო მხოლოდ ინტერესი. როგორც ფოტოგრაფმა, საქმიანობა 30 წლის ასაკში დავიწყე — ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში. ხელფასს რომ ვიღებდი, უწყისში ჩემი სახელისა და გვარის გასწვრივ ეწერა — „ფოტოგრაფი“. სინამდვილეში, სამთო ინჟინერი ვარ. თქვენ შეიძლება ფოტოგრაფი დამარქვათ და ამ დარგის პროფესიონალი მიწოდოთ, მაგრამ მე არა მაქვს არც ერთი საბუთი, რომელიც დაადასტურებს ჩემს ოფიციალურ კავშირს ფოტოგრაფიასთან.

— წინათ როგორი აპარატები იყო?

— პატარა, უბრალო. პირველი აპარატი ბებიაჩემმა მიყიდა, თავისი პენსიით. მაშინ სამ აპარატს იყიდდი პენსიით. ახლა რამდენი წლის პენსია უნდა მოაგროვო, ფოტოაპარატი რომ იყიდო? მეცინება, როცა მეკითხებიან, ფოტოგრაფია ხელოვნებაა თუ არაო? როგორ შეიძლება, ფოტოგრაფია იყოს ხელოვნება? ფერწერა, რა, ხელოვნებაა? ფერწერა არის საშუალება, დახატო. იქნება ეს შემდეგ ხელოვნება თუ არა, დრო გვიჩვენებს.

ჩემთვის ჩარჩოებში ჩასმული ხელოვნება არ არსებობს

— ეი. არც ფოტოგრაფიაა თქვენთვის ხელოვნება?

— ფოტოგრაფია არის საშუალება, შექმნა გამოსახულება, მიანიჭო მას გარკვეული ღირებულება. კონკრეტულ შემთხვევაში კი შეიძლება ხელოვნებადაც იქცეს.

— რა არის თქვენთვის ხელოვნება?

— ხელოვნება არის შემოქმედებითი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, სამყაროსადმი სიყვარულის განვითარება. ხელოვანი არ არის ის ადამიანი, რომელიც ძერწავს, ხატავს, მღერის. შეიძლება, აკეთებდე ყველაფერს და ამავდროულად — არაფერს. ჩემთვის ჩარჩოებში ჩასმული ხელოვნება არ არსებობს. მიუღებელია ჩემთვის ქრისტიანული ხელოვნება. მესმის, რას ნიშნავს ქრისტიანული კულტურა, მაგრამ არ მესმის, რა არის ქრისტიანული ხელოვნება. ხელოვნებასა და კულტურას ჟურნალისტები ერთ კონტექსტში მოიხსენიებთ ხოლმე. სინამდვილეში, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდება. ჩემთვის შალვა რამიშვილი არის ხელოვანი.

— კიდევ ვის მიიჩნევთ ასეთად ქართული რეალობიდან?

— რობიკო სტურუას, მიუხედავად მისი ბოლოდროინდელი განცხადებებისა. სწორედ იმიტომ ვერ თქვა თავისი სათქმელი პოლიტკორექტულად, რომ ხელოვანია. არსება, რომელიც ჩარჩოებში ეტევა, რომელსაც პროტესტის გრძნობა არა აქვს, რომელიც ყველაფერს ეთანხმება, არის ადამიანის ფორმის მაიმუნი. ხელოვანი ადამიანი ჩარჩოებში ვერ ჩაეტევა. არც მე ვარ მთლად თავისუფალი. ასეთ შემთხვევაში უნდა მოსწყდე ამ სამყაროს, რეალობას. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების წინაშე ვალდებულებები მაქვს, განსაზღვრულ დროში უნდა ჩავეტიო; მაგრამ ყოველთვის ვაცნობიერებ იმას, რომ უნდა ვიყო გიჟი და არა — ჩარჩოში ჩასმული მაიმუნი. მაგალითად, თქვენ იყენებთ ფრაზას — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მე ვფიქრობ: იყო კი ის ეროვნული? იყო ის განმათავისუფლებელი? იყო ის ნამდვილად მოძრაობა? აი, ხედავთ, სამივე სიტყვაში ეჭვი შემაქვს.

— რაში არ შეგაქვთ ეჭვი?

— იმაში, რომ ახლა მე და თქვენ ვლაპარაკობთ. იყო ასეთი ინდოელი ფილოსოფოსი (სხვათა შორის, დიდი ტრაგედია მოხდა მსოფლიოში, ინდური და აღმოსავლური ფილოსოფია ცალ-ცალკე რომ დარჩა) კრიშნამურკი, რომელიც ამბობს, არაფერზე უნდა გქონდეს ზუსტი, თარგივით ჩამოყალიბებული აზრიო. პატარა მაგალითს მოგიყვანთ: მეზობელმა გაწყენინათ ან ცუდი რამ გაიგეთ მასზე. როცა ამ ადამიანს ხვდებით, გახსენდებათ, რომ ის არ არის კარგი ადამიანი. აბა, სხვა თვალით შეხედეთ, შეიძლება სულაც არ მოგეჩვენოთ ის მთლად ცუდი.

— ფილოსოფოსობაზე არ გიფიქრიათ?

— საქართველოში იმაზე უფრო სალანძღავი სიტყვა, ვიდრე „ფილოსოფოსი“ — არ არსებობს. „ფილოსოფია“ ბერძნული სიტყვაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „სიყვარულის სიბრძნის საზრდოს“. რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი ჩვენს რეალობაში? სიბრძნეზე — მით უმეტეს. ჩვენ სხვა ხალხი ვართ, შეგვიძლია, დამარცხება გამარჯვებად გამოვაცხადოთ, გამარჯვებას დავარქვათ დამარცხება. არეული გვაქვს ცნობიერება და არეულობაა ჩვენი რაობა! ხშირად მიფიქრია, რა კარგი იქნებოდა, ეს არეულობა, ეს სიგიჟეები რომ არ გვქონოდა-მეთქი, მაგრამ მერე ქართველი იქნებოდა ქართველი?! ჩემი ერთი მეგობარი მეუბნება ხოლმე, გაურკვეველი წარმოშობის ადამიანი ხარო... ბოლოს გავერკვიე ამ სიტუაციაში და ფანტასტიკური განმარტება გავაკეთე — რას ნიშნავს ეროვნული კუთვნილება. თუ ადამიანი ზურგზე მოკიდებულს დაათრევს თავისი ერის ირაციონალურ სიგიჟეებს, ის არის ამ ერის ღირსეული წარმომადგენელი. მაგალითად, ირაციონალური ფრაზაა — „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“. ამაზე უფრო ირაციონალური თუ გაგიგონიათ რამე? თუ შენ ამ ფრაზის მნიშვნელობას განიცდი, როგორც საკუთარ ღირსებას, ე.ი. ქართველი ხარ.



— თქვენ განიცდით?

— არა (*იცინის*).

— შორს წავედით, თქვენს საქმიანობაზე ვლაპარაკობდით. თუ გახსოვთ პირველი კადრი, რომელიც ფოტოობიექტივით გადაიღეთ?

— პირველად ჩემი 2 წლის ძმა გადავიღე. მასზე 8 წლით უფროსი ვარ. ომის დამთავრებიდან 5 წლის შემდეგ დავიბადე. საბჭოური წარმოება ძალიან მწირი იყო, ფუფუნების საგანს ბევრს ვერ ნახავდი. იმ დროს შემოვიდა ძალიან უბრალო, იაფფასიანი პატარა აპარატი; 13 მანეთი ღირდა, ფირი კი — 20 კაპიკი. ხელმისაწვდომი იყო, პენსიონერიც კი გაერთობოდა. სანამ პირველი გამოფენა არ გავაკეთე, საკუთარ თავს ფოტოგრაფად არ მივიჩნევდი. უბრალოდ, ვიყენებდი ფოტოაპარატს, როგორც რაღაცის ფიქსაციის საშუალებას. მაშინ ქსეროქსი არ არსებობდა. ამიტომ ზოგჯერ კონსპექტებს ვიღებდი აპარატით, ზოგჯერ აკრძალული წიგნების, მაგალითად, „კამასუტრას“ ფოტოასლებს. ასე რომ, ფოტოაპარატი გარკვეული დროის განმავლობაში ჩემთვის იყო ტექნიკური საშუალება სამყაროსთან ურთიერთობისთვის. პარალელურად ვიღებდი სახეებს: პაპას, დედას, მამას. პირველი გამოფენა 1978 წელს მოვაწყვე. აქედან იწყება ჩემი ფოტოხელოვნება.

— ქალის შიშველი ნატურის უამრავი ფოტო გაქვთ. როგორ ახერხებდით იმ პერიოდში ქალების გაშიშვლებას ფოტოობიექტივის წინ?

— დიდხანს ვფიქრობდი, რომ ამას ვერ შევძლებდი. მერე, როცა ბევრი სიყვარული ჩამესახა გულში (ჩემს ცოლს კი არ უყვარს, ამაზე რომ ვლაპარაკობ ხოლმე, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანს ბევრი სიყვარული „ემართება“), მივიჩნიე, რომ მომწიფდა ეს სიტუაცია. ჩემი მეგობარი სერგო ბელოუსოვივით, რომელიც მეორე ადამიანი იყო, ვინც საქართველოში გააკეთა შიშველი ნატურის გამოფენა, ქუჩაში სრულიად უცხო ადამიანს არ ვთხოვდი კამერის წინ გაშიშვლებას, მაგრამ რაღაცნაირად ვახერხებდი, სხვათა შორის — ძალიან ადვილად. მყავდა ნაცნობი რეჟისორები, რომლებიც თავიანთ სტუდენტებს „აბამდნენ“ ამისთვის. მაგალითად, ერთ-ერთმა რეჟისორმა პირდაპირ უბრძანა თავის სტუდენტებს — ყველანი წახვალთ იურასთან და გაიხდითო (*იცინის*). მოვიდნენ და გაიხადეს. ზოგჯერ სირცხვილის დასაძლევად თავადაც მიხდებოდა გაშიშვლება. არის ასეთი კადრი ჩემს კოლექციაში, რომელიც ერთ ეგზემპლარად გამოვუშვი და რომელსაც „შეფუთვის მიღმა“ ჰქვია. მაშინ ჩემს ასისტენტს ვთხოვე გადაღება. ამ ინგლისურენოვან გამოცემაში 2 მომენტია: სიშიშვლე, როგორც დაუცველობა და სიშიშვლე, როგორც სირცხვილი. ბუნებრივი სირცხვილი, რომელიც ადამიანს აქვს ფოტოგრაფთან ურთიერთობისას, იყო ამოსავალი წერტილი. ანუ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტისთვის სულერთი იქნებოდა ეს ურთიერთობა, ჩემთვის, როგორც ფოტოგრაფისთვის, ყველანაირი ინტერესი დაიკარგებოდა. ხშირად მეკითხებიან, — იმ გოგონებთან, ვისაც იღებდით, სექსუალურ კავშირს თუ ამყარებდითო? ამ კითხვაზე ასეთი პასუხი მაქვს: ყველასთან — ვერა (*იცინის*).

— ახლახან თქვენ გამოეცით საკმაოდ საინტერესო ალბომი — „101 პორტრეტი“. რისი თქმა გინდოდათ ამ წიგნით?

— ჩემი მთავარი საქმე სწორედ პორტრეტების გადაღებაა. ეს არის „თი-ბი-სი ბანკის“ პროექტი. როცა ჩემი კუთვნილი წიგნები მომცეს, გადავწყვიტე, იმ ადამიანებისთვის დამერიგებინა, ვინც მასშია თავმოყრილი. ახლახან ვიყავი ჭაბუა ამირეჯიბთან და მივართვი ეს წიგნი. ამ ალბომში ნახავთ რობიკო სტურუას, ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძეს, სოფიკო ჭიაურელს, კოტე მახარაძეს... შორს წაგვიყვანს ყველას ჩამოთვლა. წიგნი იწყება ლადო გუდიაშვილის სურათით, რომელიც გადაღებულია 1977 წელს. ეს არის ჩემი ყველაზე ძველი სურათი.

ჩემი მთავარი საქმე სწორედ პორტრეტების გადაღებაა

— მეუღლე ახსენეთ წელან, ბრაზობსო...

— ჰო, ქალები ხომ საშინელი მესაკუთრეები ხართ...

— მამაკაცები — არა?

— მამაკაცებიც, მაგრამ ერთი კარგი რუსული გამოთქმა არსებობს: „მუშჩინა სპასობენ ნა მნოგოე, ა ჟენშინა — ნა ვსიო“. ოჯახი დომინანტებზე, ვალდებულებებზეა აწყობილი.

— ახლა რაზე მუშაობთ?

— ახლა საკმაოდ საინტერესო გამოცემაზე ვმუშაობთ მე და კინორეჟისორი — თამარ სულამანიძე. ქალბატონი თამარი ფოტოგრაფიით დაინტერესდა და არის სულისჩამდგმელი პროექტისა — „ფოტოგრაფია საქართველოში“. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში არ გამოცემულა არც ერთი წიგნი, რომელიც განიხილავს ქართულ ფოტოგრაფიას, როგორც პროცესს და მის განვითარებას, ღირებული უნდა იყოს ჩვენი გამოცემა. უამრავი სახელი ამ კუთხით დავიწყებულია. ჩვენც რომ დავივიწყოთ, ის ადამიანები საერთოდ დაიკარგებიან. ეს იქნება დიდი ფორმატის, ექვსასგვერდიანი, ინგლისურ-ქართული წიგნი, რომელიც მიზნად ისახავს, გაარკვიოს, არის თუ არა ქართული ფოტოგრაფია ისეთივე განსაკუთრებული და ფენომენური, როგორიც — ქართული ცეკვა, სიმღერა, კინემატოგრაფია. ეს ყველაფერი დაგვირგვინდება დიდი გამოფენით და — არა მხოლოდ საქართველოში. ეს წიგნი დაიდება ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში, ყველა სასწავლებელში, რომელიც ფოტოგრაფიას სწავლობს.

— საკმაოდ რთულ საქმეს შეჭიდებიხართ. როდის იქნება მზად ეს გამოცემა?

— ოქტომბრისთვის ვაპირებთ პრეზენტაციას. აგრეთვე ვგეგმავ ჩემი ძველი პროექტის — „შეფუთვის მიღმა“ — კატალოგად გამოცემას და ამავდროულად, გამოფენა-გაყიდვას. ვნახოთ, რა იქნება. ■



ფოტოგრაფია არის საშუალება, შექმნა გამოსახულება, მიანიჭო მას გარკვეული ღირებულება

ეთო ყორღანაშვილი

19 წლის ბესიკ თურაზაშვილი აბუ-დაბიში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი სტუდენტია. მას სწავლას უნივერსიტეტი უფინანსებს. ამჟამად, ბესიკი ამერიკაშია: 6 კვირის განმავლობაში, მარკეტინგისა და პიარის მენეჯერად მუშაობას აპირებს (უნივერსიტეტის დახმარებით). მას ნიუ-იორკში გამგზავრებამდე თბილისში შევხვდი, სადაც 1 თვით, ნათესავების მოსანახულებლად გახლდათ ჩამოსული, პარალელურად კი — მუშაობდა...

— ჩემი მშობლები წარმოშობით გორიდან არიან. ერთმანეთი საქართველოში გაიცნეს, მაგრამ რუსეთში დაქორწინდნენ. მეც იქ დავიბადე. 5 წლის ვიყავი, როცა მამამ თქვა, — საქართველოში გავემგზავროთო. სკოლაში, პირველი 3 კლასი საქართველოში ვსწავლობდი. შემდეგ უკან, რუსეთში დავბრუნდით.

— საქართველოში რატომ ჩამოხვედით ან ისევ რუსეთში რატომ დაბრუნდით?

— მამას უნდოდა, რომ სწავლა ქართულ ენაზე დამეწყო, რუსეთში დაბრუნების მიზეზი კი მისი სამსახური იყო. X კლასი იქ დავამთავრე. შემდეგ იტალიის საელჩოს სტიპენდია მოვიპოვე და რუსეთის სახელით, 1 წლით იტალიაში, ქალაქ ბერგამოში (ლომბარდიის რეგიონში) გავემგზავრე. იტალიურმა ოჯახმა თბილად მიმიღო. „დედ-მამა“ და 2 „ძმა“ მყავდა. მათთან დღესაც ვურთიერთობ. 1 თვეში უკვე მათ ენაზე საუბარი შემეძლო. ძალიან რთული ენა არ არის. თან, სულ იტალიელების გარემოცვაში ვიყავი... მერე რუსეთში დავბრუნდი — XI კლასი უნდა დამემთავრებინა. უნივერსიტეტმა, სადაც ახლა ვსწავლობ, მთელ მსოფლიოში საუკეთესო სკოლები იპოვა. მათ შორის, ერთ-ერთი ჩემი სკოლა იყო, რომელსაც ინფორმაცია გაუგზავნა, რომ უნივერსიტეტში მისაღები 2 ადამიანის წარდგენა შეეძლო. სკოლამ გამოცდაზე გასვლის ნება დამრთო. ინგლისურისა და მათემატიკის საერთაშორისო გამოცდები ჩავაბარე. ბევრი თემა უნდა დამეწერა და დიდი პორტფოლიო გამეკეთებინა: მთელი ცხოვრების მანძილზე რას ვაკეთებდი, სად ვსწავლობდი... პირველი ტური გავიარე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში სწავლას შეძლებ, მაგრამ საკუთარი თავის წარმოჩენაც უნდა შეგეძლოს. ამიტომ მეორე ტურზე აბუ-დაბიში დამპატიჟეს. ყველა პროფესორი იქ იყო, ერთ სასტუმროში ვცხოვრობ-

აბუ-დაბიში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ერთადერთი ქართველი სტუდენტი

დით. გვაკვირდებოდნენ, როგორი ლიდერები ვართ, როგორ ვსაუბრობთ... აბუ-დაბიში ვიზიტმა 3 დღეს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში, ექსკურსიებზეც დავდიოდით... დეკემბრის შუა რიცხვებში, პასუხი გამომიგზავნეს — უნივერსიტეტში მიგიღეთო. სწავლა 100%-ით დამიფინანსეს.

— რომელ კურსზე ხარ?

— მეორეზე გადავედი. გუშინ მივიღე დოკუმენტი, რომ მეორე კურსზე სწავლასაც მიფინანსებენ. გამიხარდა, რადგან სწავლის საფასური ძალიან ძვირი — 64.000 დოლარია.

— სტიპენდიის შენარჩუნება რთულია?

— კი. ძალიან მაღალი ქულები უნდა გქონდეს, რომ საერთოდ, უნივერსიტეტში დარჩე. ბევრს ვსწავლობთ. დღეში მაქსიმუმ, 4 საათი გვძინავს. სწავლის გარდა, სტაჟირებას გავდივართ. ამერიკულ სისტემაში, სტუდენტობისას რაც მეტი სტაჟი გაქვს, ასპირანტურაში ჩაბარება უფრო იოლია. ამიტომ ყველა სტუდენტი ცდილობს, კარგი „სტაჟიროვკა“ მიიღოს. პირველი ადამიანი ვიყავი, ვინც უნივერსიტეტის გარეთ ვმუშაობდი. ეს უკეთესია, რადგან უნივერსიტეტზე დამოკიდებული არ ხარ.

— აბუ-დაბიში სად მუშაობდი?

— ერთ-ერთ დიდ კომპანიაში, „პიარისა“ და მარკეტინგის მენეჯერად.

— უნივერსიტეტში რა პროფესის ეუფლები?

— 2 ფაკულტეტზე ვსწავლობ: ეკონომიკისა და ტელევიზიისა და ახალი მედიის (რეჟისურა, ფოტოგრაფია). პატარა ფილმს ვიღებთ...

— ახალგაზრდა ბიჭს რთულ სასწავლო რეჟიმთან შეგუება არ გიჭირს?

— ჯერ ერთი, უფასოდ ვსწავლობ და უნივერსიტეტის მადლობელი ვარ, მეორე: სასწავლო პროგრამა საინტერესოა, საინტერესო ხალხი გვსტუმრობს და ლექციას გვიკითხავს, მაგალითად — სხვადასხვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრები... უნივერსიტეტი სამოგზაურო ტურებს აწყობს. 1 კვირით კენიაში ვიყავით, 4 დღე მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ცენტრში გავატარეთ... 1 თვით ნიუ-იორკშიც გამგზავნეს.

— აბუ-დაბის ცხოვრებაზეც გვიამბე.

— ბევრს ჰგონია, რომ აბუ-დაბიში ყველა არაბულ სამოსშია გამოწყობილი, იქ ადამიანს ვერ დაელაპარაკები. არაბთა გაერთიანებული საამიროები სულ სხვანაირია: ტურისტული ქვეყანაა და ჯერ 39 წლისაა. მოსახლეობის 80% ევროპიდან, აზიიდან და ამერიკიდანაა. წყნარი ქვეყანაა. შეგიძლია, ქუჩაში ღამის 3 საათზე მარტომ იარო. შარიათის კანონები მკაცრია და არ ქურდობენ. თუკი რამეს მოიპარავ, მთელი ცხოვრება ინანებ. თავდაპირველად, იქ ცხოვრებასთან შეგუება ადვილი მაინც არ იყო, მაგრამ აბუ-დაბიში თბილი ხალხია, მაღაზიებში კარგი სერვისია... არაბული ენის ცოდნა არც გჭირდება — ყველა ინგლისურად ლაპარაკობს, თუმცა კარგია, როცა არაბულიც იცი. მე მხოლოდ რამდენიმე ფრაზა ვიცი.

— ბესო, მშობლების ხშირად ნახვის საშუალება გაქვს?

— არა, წელს მხოლოდ ერთხელ (ზამთარში, 5 დღით) ვნახე. დედ-მამის ნახვა ზაფხულშიც შეიძლია, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე. მერე ნიუ-იორკში მივდივარ. მათთან ყოფნას აგვისტოში, 2 კვირით მოვახერხებ.

— ახლა საქართველოში შენი სტუმრობის ძირითადი მიზეზი რა არის?

— ნათესავები აქ მყავს. 5 წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ. მანამდე ზაფხულობით ჩამოვდიოდი ხოლმე... არ მინდოდა, რომ 1 თვის განმავლობაში სახლში ვყოფილიყავი. ამიტომ სამუშაო ვიშოვე: „ტიფლის ავენიუში“ პროექტების მენეჯერი ვიყავი. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, კვირადღეს ხალხს ხელოვნებაზე ფილმს ვუჩვენებდით. ბევრი გამოფენა მოეწყო. ამაზე პატარა ფილმებს ვიღებდით და ოფიციალურ „საიტზე“ ვათავსებდით, რომ ხალხს ენახა, გალერეა როგორ ცხოვრობს...

— ბესო, მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?

— სადაც თავს კარგად ვიგრძნობ. არ მავიწყდება, რომ რუსეთი და საქართველო ჩემი „სამშობლოებია“. იტალიაში ცხოვრებაც მომეწონა, მაგრამ ჯერჯერობით, არაბეთში დარჩენას ვფიქრობ, რადგან პერსპექტიული რეგიონია, იქ ბევრის მიღწევა შეიძლება. აბუ-დაბიში კომფორტულად ვარ, ბევრი მეგობარი მყავს... უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ, ცოტა ხანს იქ დავრჩები, მაგისტრატურზე კი ნიუ-იორკში ვისწავლი, მერე — ცხოვრება გვიჩვენებს... ■

იქ ცხოვრებასთან შეგუება ადვილი მაინც არ იყო, მაგრამ აბუ-დაბიში თბილი ხალხია

„არწივის ბუდიდან“ აფრენილი ლეკი და მისი სათაყვანებელი საქართველო

„ამ ქვეყანაში იმდენი გენიოსია, რამდენიც – ცაზე ვარსკვლავი“

ეთერ ერაძე

ქართველებს გვყავდა არაკეთილმოსურნენი, ასე ინება განგებამ — იმდენი სიკეთე მოგვცა, მოშურნეც ბევრი გამოგვჩენოდა. დაე, ასე იყოს, — ვისაც მტერი არ ჰყავს, არც ბრძოლა იცის, ვინც ბრძოლა არ იცის, ვერც გადარჩება და ვერც გაიმარჯვებს, მაგრამ, საბედნიეროდ, უამრავი მეგობარიც მრავლად მოგვეპოვება, ვინც შეგვიყვარა, გულით ვუყვარვართ, ამიტომაც უფრო დასაფასებლები არიან.

ამ მეგობრებში ერთი დაღესტნელი ლეკიც არის — საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსებისა და შამილის ორდენების კავალერი, თბილისი საპატიო მოქალაქე ალი ისაევ-ავარსკი.

როდესაც ბატონი ალი თავისი ცხოვრების შესახებ ჰყვება, არასოდეს გამორჩება ერთი რამის თქმა: მე საქართველოში ჩამოვედი ეული, მარტო, სამაგიეროდ, გულში მქონდა გრძნობა, რომ აქ აუცილებლად ბედნიერი ვიქნებოდიო. ასეც მოხდა, — ზოგჯერ გული უფრო დიდი მეცნიერია მომავლისა, ვიდრე ათასობით ლოგიკური აზრი. ახლა, ათეული წლების შემდეგ, როცა ალი ავარსკის უსმენ, გგონია, რომ მას შემდეგ, რაც მრავალს მიაღწია, თავისი წარსულის მოგონებები „გულით დააქვს“ — როგორც სიმბოლო იმ ქვეყანასთან შეხვედრისა, რომელმაც მისი მომავალი განსაზღვრა.

— დაღესტნის მთების შვილი ვარ, იმ მთებისა, რომელიც ჩემს წარმოსახვაში ყველაზე ახლოა ცასთან. მათ შორის არის ჩაკარგული ის აული, სადაც გავიზარდე. აულის თავზე კი, სალ კლდეებს შორის დაფრინავს არწივი — აი, ეს სურათი დამდევს მთელი სიცოცხლე იქაურობის გახსენებისას. ამიტომაც დავარქვი ალბათ ჩემს ბოლო წიგნს — „არწივის ბუდე“. ამ აულებში მამაცი, ბრძენი და მდიდარი კულტურის ხალხი ცხოვრობს. ეს ტრადიციები დღესაც აოცებს მნახველს: მიუვალ მთებში ჩემმა წინაპრებმა ჯერ კიდევ მრავალი ათასი წლის წინ გამოკვეთეს ბრწყინვალე დერბენდის ციხესიმაგრე. იგი დღესაც ისე დგას, თითქოს ვეებერთელა ქვები ათასწლეულების წინ კი არა, ჩვენს დროში გამოკვეთა, აზიდა და ააშენა რომელიმე თანამედროვე სასწაულმოქმედმა ხუროთმოძღვარმა... რატომ წამოვედი ამ სილამაზიდან? რატომაც ბიჭები მოდიან მთიდან — ობლობის და არცთუ ისე შეძლებულად ცხოვრებისა და სწავლისადმი წყურვილის გამო, მაგრამ დედამ, რომელიც ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, ერთი დიდი სიმდიდრე დამიტოვა, — შეგონება, რომელმაც ჩემი მომავალი განსაზღვრა... ჩვენი აულიდან ჩანდა ქვეყანა, რომელსაც საქართველო ერქვა. ქვეყანა, სადაც ჩემს წინაპრებს არაერთხელ ჰქონდათ ფეხი დადგმული... მის შესახებ დედამ სიკვდილის წინ მითხრა, — შვილო, ქვეყანა, სადაც მზის ჩასვლა აქედან ჩანს, საქართველოა; მას სამოთხეს უწოდებენ; თუ ოდესმე ამ სამოთხეში მოხვდები, ეთაყვანე მის მიწა-წყალს, პატივი ეცი ამ ქვეყანას და მის ხალხსო... ეს იყო და ეს... დედის დაღუპვის შემდეგ ჯერ კიდევ აულში მომწონდა ყოფნა, თუმცა არასდროს არ დამვიწყებია ეს სამოთხე — მაშინ მამაცი ვიყავი, ციცაბო კლდეებს შორის გაბმულ, ცაში დაკიდებულ ბოგირზეც კი გავივლიდი, თანაც — ცეკვა-ცეკვით. და ეს მომწონდა... მაგრამ ერთხელაც დადგა დრო, დიდ ქალაქში ჩავსულიყავი. ჩავიდე ჯიბეში ორიოდე „გროში“ და ჩავედი მახაჩყალაში. იქ ვნახე პირველად მანქანები... ამან იმდენად მომხიბლა, რომ თუმცა ჯიბეში ბილეთიც არ მქონდა, მართლა დიდ ქალაქში წასვლა მოვინდომე. ცარიელ-ტარიელი ავედი მატარებელში და ამოვყავი თავი მოსკოვში, სადაც ერთი ქუჩა ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩემი აული. დიდმა ქალაქმა ისე თავბრუდამხვევად გამიტაცა, რომ უკან დაბრუნება აღარც მიფიქრია. იქიდან ნოვოსიბირსკისკენ გავწიე. ამ ქალაქში, ჩემი აზრით, ვიპოვე ის, ვინც ჩემ გვერდით უნდა ყოფილიყო — შევირთე ცოლი და მივხვდი, რომ ეს ის არ იყო, რასაც ვეძებდი. ამ ქვეყნის ქალებს ნაკლებად შეუძლიათ გითხრან: „აიღე“, ისინი ყოველთვის ამბობენ — „მომეცი“!.. ასე მივხვდი, რომ იქ არც სიყვარული გამომივიდოდა, არც — არაფერი... შემდგომ კვლავ დედის სიტყვებს მოვუსმინე და მეც ამ ხმას გამოვყევი... დედის ხმა კი არასოდეს ცდება — უნდა ჩამოვსულიყავი! არსებობს რაღაც, რასაც არც სახელი აქვს, არც სახე, ისე გკარნახობს, რა არის სწორი და რა — არა. მე სწორად მოვიქეცი. თურმე საქართველოში ვიღაც ელოდა ჩემს ჩამოსვლას: გოგონა, რომელმაც ჩამოსვლის პირველსავე დღეებში ხელი ჩამომართვა და გამიცნო, ჩემს მეუღლედ, ჩემი ცხოვრების ნამდვილ, მარადიულ სიყვარულად იქცა, ეს იყო ქალბატონი მზია იაშვილი — ქალი არისტოკრატთა ოჯახიდან, შესანიშნავი მუსიკათმცოდნე. იმ დღეს ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ბნელი გვირაბიდან ლაჟვარდოვან ნაპირზე გამოვედი. მე მას ვუმადლი ყველაფერს, რაც ცხოვრებაში გამაჩნია, მათ შორის, ჩვენს ვაჟს ბექას, რომელიც მართლა კარგი ბიჭია. და დღესაც, როცა მზია ამ ქვეყნიდან წასულია, თუკი რაიმე მაცოცხლებს, ეს მისი დანატოვარია — ბექასა და მისი შვილების სიყვარული. ძალას კი ჩემი საქმე მმატებს: იმას, რაზეც ახალგაზრდობაში მიფიქრია, ახლა წიგნებად, ლექსებად, მოთხრობებად, სცენარებად გადმოვცემ და ფილმებს ვიღებ. ეს არ არის ადვილი საქმე, განსაკუთრებით — ეკონომიური კუთხით, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ჩემს ორ ხალხს — დაღესტნელებისა და ქართველების სიახლოვეს ხელი შევუწყო.

გივი ჩუგუაშვილი და ალი ისაევ-ავარსკი ფილმში „კავკასიელი ტყვე“

აქამდე როგორ მოვედი?

უკვე ვთქვი — ჩემი მეუღლე, ჩემი მზია დამეხმარა ყველაფერში. მან გამაცნო ქართული ხელოვნების კორიფეები: ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ელდარ შენგელაია, რეზო ჩხეიძე, ილიკო სუხიშვილი და სხვები — ამ ქვეყანაში ხომ იმდენი გენიოსია, რამდენიც — ცაზე ვარსკვლავი. ამ დიდმა ადამიანებმა მიჩვენეს გზა დიდი ხელოვნებისკენ... ერთხელაც დაღესტნიდან, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული დაღესტნელი პოეტი — რასულ გამზათოვი ჩამოვიდა და ჩემი თავი ირაკლი აბაშიძეს „ჩააბარა“. ამას ძმადნაფიცობა, „ყონაღობა“ ჰქვია — „ყონაღი“ გპატრონობს, გვერდით გიდგას. მთიელთა წესია ყონაღობა — ამით იყო და არის კავკასია ერთიანი ძლიერი და განუმეორებელი. მერე, ბატონ ირაკლის გარდა, სხვა დიდი ქართველებიც მექცნენ ყონაღებად — ასე ინება ჩემმა ბედმა და კავკასიურმა სისხლმა... აი, ამ ადამიანებმა მაქციეს კაცად... და მადლობა განგებას, რომ მათ შორის ბევრი კიდევ შემარჩინა. იმისთვისაც მადლობა, რომ მეც დამტოვა ამქვეყნად — რამდენიმე ხნის წინ ინსულტი გადავიტანე... არ ველოდი — თავს ისევ კარგად ვგრძნობ. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი საქმე უნდა ვაკეთო. აი, რა მოვასწარი ჯერჯერობით: როგორც მსახიობი, „ქართული ფილმისა“ და საზღვარგარეთის კინოსტუდიების 35 ფილმში ვარ გადაღებული; გამოვეცი პოეზიის კრებულები: „დაღესტნური რტო ქართულ მუხაზე“, „მთიელი ჭაბუკის ფიცი“, „არწივების ბუდე“ (ხუნძურ ენაზე შექმნილი ეს ნაწარმოებები თარგმნილია ქართულად და ინგლისურად); შემდეგ — ავტობიოგრაფიული რომანი — „ქვეყანა, სადაც სიყვარული მეფობს“, შემდგომ კიდევ ერთი წიგნი — „გულის ძახილი, სისხლის ყივილი“, სადაც ქართველი და დაღესტნელი ხალხის ძმური სიყვარულია გადმოცემული. ასევე გადავიღე სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი-ტრილოგია — „საქართველო-დაღესტანი — მიზიდულობის ფორმულა“. ეს ფილმი ჩემთვის დილემაც იყო და სიხარულიც. დილემა იმიტომ, რომ 10 წელიწადი ვიღებდი — საქმე ისე წავიდა, ფენომენური ქართული კინოს ქვეყანაში კინოს გადაღება პრობლემა გახდა, — სახსარი არ იყო. არადა, ეს ფილმი საჭირო იყო ქართველებისა და დაღესტნელებისთვისაც. თავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმიდესობამ ილია II-მ, ამ ბრწყინვალე ადამიანმა ბრძანა, როცა ფილმი დავასრულე: „მეტისმეტად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებთ, დაღესტნელები და ქართველები ერთმანეთის ახლობლები, ერთმანეთისთვის ძვირფასები არიან“. როგორ ვიღებდი? ისევ ჩემთვის ძვირფასი ადამიანების დახმარებით... ფილმის მეორე ნაწილი რომ დავასრულე, იძულებითი შესვენება მქონდა. სწორედ მაშინ მოხდა ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოცრება — აგვისტოს ომი სულ ორიოდე თვის დამთავრებული იყო, ამ ომის გამო თავზარდაცემული ვიყავი, როცა ქალაქის მერიიდან დამირეკეს და მითხრეს, — თბილისის საპატიო მოქალაქედ გასახელებთო. ძნელია, სიტყვებით აღვწერო ის გრძნობა, რომელიც 2008 წლის 26 ოქტომბერს მქონდა, როცა ქალაქის მერმა ბატონმა გიგი უგულავამ თბილისის სიმბოლური გასაღები გადმომცა, — თბილისი ხომ ჩემი სიცოცხლის განუშორებელი ნაწილია! ამან უდიდესი სიხარული მომანიჭა. შემდგომ იყო, როცა საზოგადოებრივი არხიდან დამირეკეს და მითხრეს, — მობრძანდით, გაძლევთ საშუალებას, თქვენი ფილმი დაასრულოთო. ასევე უდიდესი დახმარება აღმომიჩინა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტომ, უდიდესი მადლობა მათ. ეს ნამდვილი ბედნიერება იყო! ღმერთმა დალოცოს საქართველო, ჩემი მეორე სამშობლო!

მზია იაშვილი ჩემი ცხოვრების ნამდვილ, მარადიულ სიყვარულად იქცა...

რთულია და არც კი შემიძლია, სიტყვებით გადმოვცე, რა გადავიტანე იმ წლებში, როცა საქართველო დიდ განსაცდელში იყო. იმ საშინელ 1992-ში, აფხაზეთისთვის ომის დროს, მახაჩყალაში დაღესტნელ თანამემამულეთა მსოფლიო კონგრესი ჩატარდა. ვისაც კავკასიელთა ბედი აღელვებს, ყველამ იცის, რომ დაღესტნელები უახლოეს წარსულში (კომუნისტური ტოტალიტარიზმის ეპოქაში) და მანამდეც ცარიზმის დროს აყარეს და მთებიდან გადაასახლეს. კონგრესზე იმ ადამიანების შთამომავლები იყვნენ შეკრებილები. მეც მიმიწვიეს. საქართველოში ძალზე ცუდი ყოფა დავტოვე — ომი, სიბნელე, სიცივე... იქ კი ასე არ უჭირდათ. კონგრესზე დაღესტნის პრეზიდენტი გავიცანი. მიამბე, რა ხდება საქართველოშიო, — მითხრა ამ დიდებულმა ადამიანმა. და მოვუყევი, რომ ქართველები სინამდვილეში აფხაზებს არაფერს ერჩოდნენ და რომ ომი რუსეთის წამოწყებული იყო. პრეზიდენტმა მომისმინა და მშვიდად მითხრა სიტყვები, რომლებსაც სიკვდილამდე ვერ დავივიწყებ, — სადაც 2 ძმა ომობს, მესამე ძმა არ უნდა მივიდეს საბრძოლველად; პირობას გაძლევ, დაღესტნელები ამ ომში საქართველოს წინააღმდეგ არ ჩაერთვებიანო. ასეც მოხდა. ამისთვის მადლობელი ვარ დაღესტნისა. იქ იციან ვაჟკაცობისა და სიტყვის ფასი. ჩვენ ერთმანეთს ძალიან ვჭირდებით — შეიძლება, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ამიტომაც იწერება ჩემი ლექსები და წიგნები... ამიტომ დაიწერა — „არწივის ბუდეც“, რომელიც ასევე ჩვენს ურთიერთობას ეძღვნება. ახლა ამ ნაწარმოების მიხედვით, მინდა გადავიღო ისეთი მხატვრული ფილმი, როგორიც ქართველი კინემატოგრაფისტების მიერ გაზრდილ მსახიობსა და რეჟისორს ეკადრება, ისეთი, რომ არ თქვან, იაფფასიანიაო და ეს არცთუ ისე ადვილია დღეს, როცა უცხოური საშუალო დონის ფილმები მრავლადაა. ყველაზე მეტად კი ფინანსების მოძიება ჭირს. მაგრამ სულ ვფიქრობ, რომ ეს ისეთი საქმეა, აუცილებლად გულს შეუტოკებს მათ, ვისაც კავკასიის ერთიანობის მნიშვნელობა ესმის. ეს გულის შეტოკება კი კიდევ ერთხელ საერთო საქმისათვის იმის დადასტურება იქნება, რომ ჩვენ, კავკასიელები, მიუხედავად ყველაფრისა, ვიყავით, ვართ და ვიქნებით ერთი სისხლისანი და ერთმანეთის გულშემატკივარნი. ეს კი ჩვენი გადარჩენისთვის ჰაერივით აუცილებელია... რადგანაც ჩვენი ძმური ურთიერთობა ურყევი და მარადიულია!

■

„შეიძლება, ჩემმა შვილებმა თქვან, რომ ამერიკელები არიან, მე კი ქართველი ვარ!..“

„როცა ნიუ-იორკში გაიზრდები, მერე რთულია, სხვაგან გადასახლდე, ამ ქალაქს ყველაფერი აქვს“, — მითხრა დიჯეი თენგომ, იგივე თენგო სეფიაშვილმა. ის ახლახან World Dj Festival-ში საქართველოს სახელით მონაწილეობდა და წარმატებას მიაღწია...

ეთო ყორღანაშვილი

— ფესტივალი კორეაში გაიმართა. დიჯეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გავემგზავრეთ. 1-ელი ადგილი დავიკავე. იქ გაისადაც დამპატიჟეს, რომ დავუკრა...

— რეპერტუარში ქართული მუსიკის მიქსიც ხომ არ გქონდათ?

— არა, ჩემ მიერ შექმნილი მუსიკა წარვადგინე, ტექნოს ჟანრში.

— ძლიერი კონკურენცია იყო? გამარჯვება გაგიჭირდათ?

— უკვე წლებია, ამ საქმეს ვაკეთებ და რთული აღარაა (*იცინის*).

— მაინც რამდენი წელია?

— 15 წელია, რაც დიჯეი ვარ, მანამდე გიტარისტი ვიყავი. ჯგუფთან ერთად ნიუ-იორკის კლუბებსა და ბარებში ვუკრავდი... შემდეგ ჯგუფი დაიშალა.

— ამერიკაში როგორ მოხვდით?

— 3 წლის ვიყავი, როცა ჩვენმა ოჯახმა საქართველო დატოვა. მამას უნდოდა, მეტი ფული ეშოვა. ჯერ ისრაელში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ მეგობრებმა ურჩიეს — ამერიკაში ჩამოდიო... ასე რომ, მცირე ასაკიდან ამერიკაში ვცხოვრობ, მაგრამ დედმამა ქართულ ენაზე მელაპარაკებოდა, ყოველთვის ქართველი მეგობრები მყავდა. 7-8 წლის წინ, ამერიკაში ახალი ჩამოსული ქართველები გავიცანი. მათი საშუალებით მშობლიური ენა უკეთესად ვისწავლე...

— მშობლებმა პროფესიული არჩევანი მოგიწონეს?

— თავდაპირველად, არ მოსწონდათ. შემდეგ მიხვდნენ, რომ მუსიკოსობა მხოლოდ გოგონებისთვის თავის მოსაწონებლად არ მინდოდა და ამ საქმეს სერიოზულად ვეკიდებოდი. ამასობაში, სამუშაოც გამიჩნდა და მშობლები ცოტათი დაწყნარდნენ. ერთხელ მამა კლუბში შემოპარულა და უნახავს, როგორ ვუკრავდი. ეს ამბავი ჩემთვის მეგობრებს რომ არ ეთქვათ, დღესაც არ მეცოდინებოდა. ამჟამად, დიჯეი და პროდიუსერი ვარ. სხვების მუსიკასაც ვუკეთებ რეალიზებას — მსოფლიოს 300-ზე მეტ „საიტზე“ ვთავსებ.

— დიჯეის პროფესიის ასათვისებლად რაიმე სკოლა თუ გაიარეთ?

— რა თქმა უნდა, დიჯეობის შესასწავლად შესაბამისი სკოლები არსებობს, მაგრამ ყველაფერი თავად ვისწავლე: გიტარაზე, პიანინოზე დაკვრა, მუსიკის ჩაწერა... მუსიკა ნამდვილად მიყვარს; მაგალითად, 4 სიმღერას ვიღებ, სხვადასხვა კომპოზიციიდან ფრაგმენტებს ვამატებ, ვცვლი... დიჯეების უმრავლესობა კი ერთ სიმღერას „ატრიალებს“.

საქართველოში დავიბადე და ამერიკის სახელით რატომ უნდა გავსულიყავი?!

— საქმისადმი ასეთი შემოქმედებითი მიდგომის გამო, ალბათ, მსმენელების დიდი სიყვარული გაქვთ მოპოვებული...

— ძალიან!

— მათ შორის, ქართველები თუ არიან?

— დიახ. თუ საშუალება აქვთ, მოდიან და მესალმებიან. მათი ნახვა ყოველთვის მიხარია... ქართული დროშით ვხვდები, რომ ქართველები არიან.

— ბავშვობის შემდეგ, საქართველოში ყოფილხართ?

— კი. შარშან ვიყავი. ბათუმში, „აჭარამიუზიკჰოლში“ დავუკარი, საქველმოქმედო კონცერტში ვმონაწილეობდი. საქართველო ძალიან შემიყვარდა!

— თენგო, დაოჯახებული ხართ?

— ბრაზილიელი ცოლი და 2 ვაჟი (2 წლის და 3 თვის) მყავს. ამას წინათ, პიანინოზე ვუკრავდი და უფროსმა ბიჭუნამაც რაღაცის დაკვრა დაიწყო. გადავირიეთ (*იცინის*)!

— პატარებს რა ენაზე ელაპარაკებით?

— დედაჩემი მათ ქართულად ელაპარაკება, მე — ინგლისურად, ჩემი ცოლი — პორტუგალიურად, მომვლელი — ესპანურად (*იცინის*)...

— თქვენი ბრაზილიელი მეუღლე სად გაიცანით?

— კლუბში.

— ყურადღება რითი მიიპყრო?

— საჩუქრებს ვიღებდი, მაგრამ ვისგან — არ ვიცოდი. საჩუქრებს მხოლოდ ასეთი წარწერა ჰქონდა — „შეყვარებულისაგან“. მერე ყველაფერი გაირკვა...

— ქართველი კაცების დიდ ნაწილს არ უყვარს, როცა ურთიერთობის ინიციატორი ქალია.

— მე გულს ვუსმენდი!.. ერთმანეთი შეგვიყვარდა. უკვე 9 წელია, ერთად ვართ. ცოლად ყოველთვის ქართული ხასიათის ქალი მინდოდა. ბრაზილიელები გულიანი ხალხია. ცოლი ამიტომ გამომადგა.

— მოუცლელობის გამო ხომ არ გსაყვედურობთ?

— ჩემი სამუშაო გრაფიკი ცოტა აწუხებს — ამას ვერ უარვყოფ, მაგრამ კარგად მიცნობს და მიგებს. ისეთი კაცი არ ვარ, რომ დავთვრე და შინ 3 დღის შემდეგ მივიდე.

— თენგო, ამ ზაფხულს აჭარაში სტუმრობას ხომ არ გეგმავთ? ბათუმში საზღვაო სეზონზე აქტიური კლუბური ცხოვრებაა ხოლმე.

— 2 კვირით დასასვენებლად ჩამოსვლას ვაპირებთ. აუცილებლად შეგატყობინებთ, სად დავუკრავ.

— თენგო, როგორც ვიცი, კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის ნათესავი ხართ. ერთმანეთთან აქტიური კონტაქტი გაქვთ?

— კი, ჯემალთანაც და ცისანასთანაც აქტიურად ვურთიერთობ. ჯემალ სეფიაშვილი ჩემი ბიძაშვილია. მისი მამა და მამაჩემი ძმები არიან.

— მართალია, სხვა ჟანრში მუშაობთ, მაგრამ თანამშრომლობაზე არ გიფიქრიათ?

— კი, როგორ არა! ამ თემაზე გვილაპარაკია, თუმცა ჯერჯერობით, არაფერს ვგეგმავთ.

— თენგო, კონკურსზე ამერიკის სახელით რომ გასულიყავით, თქვენთვის უფრო მომგებიანი არ იქნებოდა?

— საქართველოში დავიბადე და ამერიკის სახელით რატომ უნდა გავსულიყავი?! შეიძლება, ჩემმა შვილებმა თქვან, რომ ამერიკელები არიან, მე კი ქართველი ვარ!.. ■

„ექსტაზის“ მილება „სვეტსკობა“ არაა...“

რამდენიმე წლის წინ, როცა მოზარდებს შორის გამოკითხვა ჩავატარე, უმეტესობა ამბობდა, რომ კაფე-ბარებში ჯდომით, ღამის კლუბებსა თუ დისკოთეკაზე სიარულით ერთობოდა, ახლა კი თინეიჯერების უმეტესობა საუკეთესო გასართობ საშუალებად ინტერნეტ-სამყაროს ასახელებს.

ლიკა ქაჯაია

ლუკა, *17 წლის:*

— ჩემი გასართობი ძირითადად, კომპიუტერი და ინტერნეტია. შემიძლია, მთელი დღე „ფეისბუკში“ „ვიძრომიალო“ და თვალი ვადევნო სხვის ნააზრევს, „ვჩითო“ ვიღაცების ფოტოები და რა თქმა უნდა, ველაპარაკო ნაცნობებსა თუ უცნობებს. თუმცა, ზოგჯერ სუფთა ჰაერზე „გაგულავებაც“ არ არის ცუდი და როცა შინ ყოფნა მბეზრდება, მეგობრებთან ერთად რესტორანში ან ლუდის ბარში მივდივარ ხოლმე, სადაც ზოგჯერ, ნაშებსაც „ვკერავთ“.

— რესტორანში ნაშების „დაკერვა“ იოლია?

— ცხადია, შედარებით იოლია, რადგანაც იქ „დასაკერი“ ქალები მხოლოდ საჭმლისთვის არ შედიან, ისინი ალკოჰოლსაც ბლომად მიირთმევენ, ნასვამ ქალს კი მოგეხსენება, ჭკუა არ მოეკითხება და შეუძლია, ერთი ღამაზი ღამე უანგაროდ გაჩუქოს...

— ისევე, როგორც მთვრალ კაცს შეუძლია, სისულელე ჩაიდინოს, არა?

— მთვრალ კაცს აზროვნება კიდევ შეუძლია, „ნაყლაპი“ ქალი კი ჩერჩეტდება, ის ყველაფერზე წამსვლელია.

— ეტყობა, კაი მოქეიფე ქალს არასდროს შეხვედრიხარ, რომელიც შენისთანა ბიჭებს „იღლიაში ამოიდებს“ და ისე დაათრობს, როგორც „ჩხიკვთა ქორწილის“ წრუწუნას.

— ვა, ასეთი მანდილოსნებიც არსებობენ? სადმე მსგავსი ქალი რომ შემხვდეს, მერწმუნე, „კერვას“ ნამდვილად ვერ დავუწყებ. ქალს, რომელსაც ღვინის სუნი ექნება და რომელიც ალკოჰოლს ქვევრივით „შეიწოვს“, მოფერებას ვერ დავუწყებ.

— მოდი, თემა შევცვალოთ. არ გეწყინოს, მაგრამ ასე მგონია, თინეიჯერს კი არა, ზრდასრულ კაცს, უფრო სწორად, ბერბიჭას ველაპარაკები... ღვინის სმის გარდა, გასართობი არაფერი გაქვს?

— როგორ არა, ბილიარდის თამაშიც მიყვარს, მაგრამ საბილიარდოში წასასვლელი ფული ყოველთვის ნამდვილად არ მაქვს.

— არა მგონია, რესტორანში ქეიფი საბილიარდოში წასვლაზე იაფი ჯდებოდეს...

— გაჩჩნია, რესტორანში ფულს ვინ იხდის (*იცინის*).

ანა, *16 წლის:*

— მართალია, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვარ, მაგრამ გაკვეთილების შემდეგ ვმუშაობ კიდეც.

— სად მუშაობ?

— ნათესავს სოციოლოგიური კვლევების ჩატარებში ვეხმარები და ამისთვის გასამრჯელოსაც მაძლევს ხოლმე.

— თავისუფალ დროს სად და როგორ ატარებ?

— ძირითადად, მეგობრებთან ერთად, სასეირნოდ მივდივარ, ზოგჯერ სახინკლეში გავრბივართ, იშვიათად კი ღამის კლუბსაც ვსტუმრობთ და „ვძიგძიგობთ“.

— როგორ ფიქრობ, იმისათვის, რომ ღამის კლუბში კარგად გაერთო, ექსტაზი აუცილებელია?

— ვინაიდან გართობა არ „მიტყდება“, ექსტაზის ახლოსაც არ ვეკარები, უფრო მეტიც, სიგარეტსაც არ ვეწევი. ექსტაზი მას სჭირდება, ვინც ვერ იხსნება, ვისაც ხალხთან ურთიერთობის კომპლექსი აქვს.

— ალკოჰოლს თუ „ეპრები“ ხოლმე?

— კი, ოღონდ — მცირე რაოდენობით გეახლებით, მაგრამ არა იმისთვის, რომ თავი უფრო ლაღად ვიგრძნო. უბრალოდ, ღვინის გემო მომწონს. თუ კონიაკი მომეწონა, არც მის დალევაზე ვიტყვი უარს... რატომღაც, ყველას ჰგონია, რომ თუ სიგარეტს მოსწევს და ექსტაზით გაითიშება, ეს „სვეტსკობაა“. ჩემი აზრით კი, სწორედ ესაა სიგოიმე. ვინც გართობას ასე ცდილობს, ის ბევრ შეცდომას უშვებს და პირველ რიგში, საკუთარ ჯანმრთელობას ვნებს.

სალი, *18 წლის:*

— ძირითადად, ფოტოების გადაღებით ვერთობი. მას შემდეგ, რაც დაბადების დღეზე ციფრული ფოტოაპარატი მაჩუქეს, ყველას და ყველაფერს „ვაკარტოჩკებ“, მერე კი „ფეისბუკზე“ ვდებ და ხალხსაც ვართობ. სხვათა შორის, ბოლო დროს ფოტოაპარატით სიარული და სურათების გადაღება მოდურ საქმედ იქცა. მოდას აყოლილი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ საინტერესო რაღაცეების დაფიქსირებაში მაგარ მუღამს ვპოულობ. ალბათ, მომავალში პროფესიონალ ფოტოგრაფად ჩამოვყალიბდები.

კესო, *18 წლის:*

— აბა, რა დროს გართობაა, როცა უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე „გვწურავენ“? სიმართლე გითხრათ, რამდენიმე გამოცდა ძალიან რთული მომეჩვენა.

— დავიჯერო, თავისუფალი დრო არ გაქვს?

— მაქვს, მაგრამ არა — გართობისთვის, თავისუფალ დროს ძირითადად, ძილში ვატარებ.

გოგა, *19 წლის:*

— ხან ძმაკაცებთან ერთად, საქეიფოდ მივდივარ, ხან ტოტალიზატორში „მაზიანებს“ ვდებ, ხანაც — უბრალოდ, მეგობრებთან ერთად „ბირჟაზე“ ვდგავარ და ერთმანეთს ახალ ამბებს, ანეკდოტებს ვუყვებით.

— დასასვენებლად წასვლას არ აპირებ?

— ზღვისპირა ქალაქები არ მიზიდავს. თვის ბოლოს სვანეთში ვაპირებ წასვლას.

— იქ როგორ უნდა გაერთო?

— სვანეთში ყოველდღე ხდება ჩემთვის ახალი და ძალიან საინტერესო ამბები. სხვა თუ არაფერი, იქაური ბუნებით დავტკბები მაინც. სხვათა შორის, იქ „დაბოლება“ დანაშაულად არ მიიჩნევა — პლანი თითქმის ყველა ოჯახში აქვთ დათესილი. ასე რომ, გართობაში „სასაცილო პაპიროსიც“ დამეხმარება.

P.S. ამჯერად გთავაზობთ თემას: გვარის გამო დაწუნებული სარძლო-სასიძოები. თუ თემასთან დაკავშირებული ამბის მოყოლის სურვილი გაგიჩნდებათ, დამიმესიჯეთ ნომერზე: 5(58) 25.60.81 ან მომწერეთ მეილზე: lika.qajaia@gmail.com. ■

რით სჯობს ქალად დაბადება კაცის ტვირთის ზიდვას

„სამყაროს ამოუცნობი, სახიფათო და გასაოცარი ქმნილებები"

რამდენიმე კვირის წინ შემოგთავაზეთ ფორუმზე გახსნილი თემა — „40 მიზეზი იმისა, რის გამოც კაცად ყოფნა სჯობს", სადაც Mr-პრეზიდენტი ფორუმის მკითხველებს თავის მოსაზრებას უზიარებდა და გთხოვეთ, ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარი აზრიც დაგეფიქსირებინათ. საინტერესო ისაა, რომ ჩვენ Mr-პრეზიდენტზე გაბრაზებული არა მარტო გოგონები, არამედ ბიჭებიც დაგვიკავშირდნენ, უმეტესობამ კი მის ამ მოსაზრებებს იუმორით შეხედა და თავადაც ხუმრობანარევი მესიჯები მოგვწერა, მაგრამ ძირითადად, გვწერდნენ იმაზე, თუ რით სჯობს ქალად ყოფნა კაცის ტვირთის ზიდვას, ერთ-ერთმა მგზავნელმა კი ისიც სცადა, რომ სპეციალურად ჩვენთვის (როგორც ეს თავად აღნიშნა) „ნამდვილი ქალის" სახე დაეხატა.

მერსი:

„Mr-პრეზიდენტს ძირითადად, ვეთანხმები, მაგრამ ქალად ყოფნასაც აქვს მუღამი და ამაზე დავა, მგონი, სისულელეა. მაგალითად, ქალს შეუძლია, გამოცდა ჩააბაროს ისე, რომ არაფრის გაგებაში არ იყოს; თუ კარგი გარეგნობა აქვს, მისთვის ყველა კარი ღია იქნება და ჩვენსავით არ მოუწევს იმის მტკიცება, რომ სამსახურში მისნაირი ადამიანი აუცილებლად გამოადგებათ. ჩვენს მსგავსად არ უწევთ საპირისპირო სქესის „დაკერვა", რადგან მათ თავად „კერავენ" (თუმცა, გამონაკლისებიც არსებობენ); არა აქვთ ურთიერთობა საძაგელ ქუჩის ქალებთან, რომელთა დანახვაზეც კი თავმოყვარე კაცს სახლში გაქცევა მოუნდება, მაგრამ როცა მამაკაცს სხვა გზა არ რჩება, ღვინით ილეშება და მერე ამ ქალებთან გართობასაც არ ერიდება... მოკლედ, ბევრი მიზეზი შეიძლება დავასახელო, თუ რით სჯობს ქალად ყოფნა კაცად დაბადებას, მაგრამ ახლა ამისგან თავს შევიკავებ... ამას წინათ სადღაც წავაწყდი, ვიღაც ბიჭი წერდა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქალი. მისი მოსაზრება ძალიან მომეწონა, ამაზე ბევრი ვიხალისე და მინდა, თქვენც გაგიზიაროთ, კარგ ხასიათზე დაგაყენოთ. მაშ ასე:

„1. ნამდვილი ქალი რადიო „არ დაიდარდოში" ბიჭებს სიმღერებს უნდა უძღვნიდეს;

2. ნამდვილი ქალი სამრეცხაოში ტანსაცმლის საყიდლად უნდა შედიოდეს;

3. ნამდვილ ქალს CD ბრელოკი უნდა ეგონოს, რომელსაც სამარშრუტო ტაქსიში ჰკიდებენ;

4. ნამდვილი ქალი თავს მარტო ყელს ზემოთ უნდა უვლიდეს;

5. ნამდვილი ქალი ისე მაინც უნდა გამოიყურებოდეს, რომ მასთან ფეხბურთის თამაში არ გაგიტყდეს;

6. ნამდვილ ქალს ჭკუაზე მოკლე კაბა და ინტელექტზე დიდი მკერდი უნდა ჰქონდეს;

7. ნამდვილი გაუთხოვარი ქალი თავს უნდა იმშვიდებდეს, რომ ყველა კაცი ნაგავია;

8. ნამდვილი ქალი სიტყვების — „მადლობის", „სანთებლისა" და „საღეჭი რეზინის" ნაცვლად უნდა იძახდეს: „სპასიბა", „ზაჟიგალკა", „ჟვაჩკა";

9. ნამდვილი ქალი ყველა რუსს პიდარასტს უნდა ეძახდეს და მერე უკვირდეს, საიდან იციან რუსებმა ქართული;

10. ნამდვილი ქალი უფრო ხშირად უნდა იცინოდეს და ნაკლებს ლაპარაკობდეს;

11. ნამდვილ ქალს მხოლოდ ვერტიკალური სიყვარული უნდა შეეძლოს;

12. ნამდვილი ქალი გამორთულ ტელევიზორს უნდა უყურებდეს;

13. ნამდვილი ქალი ბევრჯერ უნდა იყოს ქალიშვილი;

14. ნამდვილი ქალი მოდელი უნდა იყოს და პოლიტიკაში მოსვლა უნდოდეს;

15. ნამდვილ ქალს უამრავი პლასტიკური ოპერაცია უნდა ჰქონდეს გაკეთებული და წუწუნებდეს, თუ როგორი ძნელია ნამდვილი მამაკაცის პოვნა;

16. ნამდვილი ქალი ერთად გატარებული ღამის შემდეგ შენი ბინის დიზაინის შეცვლაზე უნდა იწყებდეს ფიქრს;

17. ნამდვილი ქალი ელექტროჩაიდანში წყალს უნდა ასხამდეს და შემდეგ მას ღუმელზე დგამდეს;

18. ნამდვილი უმაკიაჟო ქალი, სპეცეფექტების დაზოგვის მიზნით, საშინელებათა ფილმებში უნდა მონაწილეობდეს;

19. ნამდვილი ქალის საყვარელი კომპლიმენტი უნდა იყოს: „ვა, რა მაგარი ნაშა ხარ!"

20. ნამდვილი ქალი საკუთარი სახლისაკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსის „პროტივზე" უნდა ელოდებოდეს".

იმედია, მიხვდებით, რომ ეს ტექსტი ხუმრობაა და სხვა არაფერი. ჰოდა, ქალებო, ნუ დაიძაბებით, მე ხომ თქვენკენ ვარ..."

ნიკოლო:

— ალბათ, Mr-პრეზიდენტის მიერ ჩამოთვლილი 40 მიზეზი იმისა, თუ რა უპირატესობა აქვს კაცად ყოფნას, რაღაც მომენტში, გადამლაშებულია, თუმცა მამაკაცების უპირატესობა მაინც აშკარაა.

— ეს უპირატესობა რაში გამოიხატება?

— ჩვენ ყველაფერს უფრო მარტივად ვუყურებთ და ჩვენივე ემოციების მძევლები არა ვართ; არ გავიძახით, რომ ყველა ქალი ერთნაირია; სიდედრს „დედას" არ ვეძახით; წინასწარ არ ვოცნებობთ საკუთარ ქორწილზე და არ ვგეგმავთ, როგორი უნდა იყოს ის; არ ვსწავლობთ კერძების მომზადებას, მაგრამ მაინც, თქვენზე ბევრად კარგი მზარეულები ვართ; თავს უბედურად არ მივიჩნევთ მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხსაცმელი, რომელიც მაღაზიაში ვნახეთ და ძალიან მოგვეწონა, გაიყიდა; ძმაკაცებს არ ვატყუებთ, რომ კარგად გამოიყურებიან და არ გვშურს მათი, როცა ახალი ტანსაცმელი აცვიათ ან ახალი „პრიჩო" აქვთ; არ გვიხდება მალულად, საპირფარეშოში სიგარეტის მოწევა; არასდროს გვტყდება ფეხსაცმელზე ქუსლი; არ გვიწევს ბიუსტჰალტერისა და მაისურის ფერების შეხამება (*ისე, შეუხ-*

ამებლად იცვამთ? :)) — ავტ.); თუ ვინმესთან ერთად „ვგულაობთ“, ამას არ ვმალავთ და რადგანაც მისი უდიდებულესობა საზოგადოებრივი მორალი ჩვენს მხარესაა (და ეს სულაც არ მიმაჩნია ნორმალურად), არ ვიტყუებით, რომ ვაჟიშვილები ვართ; არ გვაქვს ე.წ. ქალური პრობლემები: არ ვოცნებობთ მკერდის გადიდებაზე, არასდროს ვართ ორსულად და ა.შ. მოკლედ, ეს ჩამონათვალი შესაძლოა, უსასრულოდ გაგრძელდეს.

— შესაძლოა, ბევრ რამეში არ გეთანხმებოდე, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს. შენი აზრით, ქალად ყოფნას თავისი პლუსები არა აქვს?

— როგორ არა და მოდი, ქალების „კოზირებსაც“ დავასახელებ, თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ჩვენთან შედარებით, ძალიან ცოტა უპირატესობა გაქვთ: ჩვენ არ შეგვიძლია მეუღლის ტანისამოსზე უცნაური თმის ღერის აღმოჩენა ან საეჭვო სუნამოს სურნელით ღალატის დადგენა; არ გვაქვს „მამური ინსტინქტი“ და უტყუარი ინტუიცია; არ შეგვიძლია მივხვდეთ, როდის აქვს ბავშვს სიცხე; არ გაგვაჩნია ნიჭი იმისა, რომ ვიტიროთ მაშინ, როცა ეს საქმეს სჭირდება და ჩვენი ასე გავიტანოთ; არ გვყოფნის ნერვები საიმისოდ, რომ მზეზე გასარუჯად საათობით ვიწვეთ; დაბოლოს, არ გვაქვს 8 მარტი ანუ საჩუქრებსაც არავინ გვიძღვნის მხოლოდ იმიტომ, რომ მამაკაცები ვართ...

— ვხვდები, რომ ხუმრობ...

— ამ ყველაფერს ნახევრად იუმორით, ნახევრად — სერიოზულად გეუბნებით (*იცინის*). დაბოლოს, მინდა ვთქვა: რაც უნდა იყოს, ქალები სამყაროს ყველაზე მშვენიერი და ამოუცნობი, სახიფათო და გასაოცარი ქმნილებები ხართ. მხოლოდ თქვენ გამო ღირს რისკზე წასვლა და გამართლებულია ყოველგვარი სისულელის ჩადენა.

ლუნა:

„ბატონი Mr-პრეზიდენტის მიერ გახსნილმა თემამ და იმ 40-მა მიზეზმა გამაოცა, თან — სიცილის გუნებაზე დამაყენა, მერე კი ავტორისთვის პასუხის გაცემის საღერღელიც ამიშალა. ჰოდა, თავს უფლება მივეცი, მისი სიტყვებისთვის კრიტიკული თვალით შემეხედა, საწინააღმდეგო აზრი დამეფიქსირებინა და მამაკაცებზე მისი უნიკალური წარმოდგენა დამემსხვრია. მაშ ასე:

1. იმაზე რაღას იტყვი, მამაკაცების 90% ტელეფონზე რომაა დაკიდებული და გოგონებს „კერავს“?

2. შიშველი კაცის დანახვა არა მგონია, სასიამოვნო იყოს, ქალებს კი ლამაზი სხეულის ფორმები აქვთ და მათ ამიტომაც იღებენ ფილმებში, შიშვლად.

3. საიდან მოიტანე, რომ გოგონები მეგობრების სექსუალურ ცხოვრებას ვადევნებთ თვალყურს? მგონი, ყველაფერი პირიქითაა, ასე კაცები იქცევით...

4. მამაკაცთათვის განკუთვნილ საპირფარეშოში რიგი 80%-ით „მოკლეა“ იმიტომ, რომ კაცების უმეტესობა თავს უფლებას აძლევს, იქ მოისაქმოს, სადაც „გაუსწორდება“.

5. ბოთლის გახსნა ქალებსაც შეგვიძლია, მაგრამ თქვენგან განსხვავებით, ამისთვის მაგიდის კუთხეს არ ვაფუჭებთ. ჩვენ ვიცით, რომ საამისოდ არსებობს სპეციალური გასახსნელი და მას ვიყენებთ.

6. ნურას უკაცრავად, ქალებს ღიპიანი კაცები არ გვხიბლავს და მეტიც, საკუთარი ღიპი თქვენც გაწუხებთ.

7. მეცხრე პუნქტში აღნიშნე: „იმისათვის, რომ სამსახურში მიგიღონ, არავინ ინტერესდება შენი უკანალით“ — ნუ, თუ უფროსი გეი აღმოჩნდა, მთლად ასეც არ იქნება კაცის საქმე.

8. ქალი არასდროს მოირგებს ნიღაბს (იშვიათი გამონაკლისის გარდა) და არ იყაჩაღებს.

9. როცა გვაკრიტიკებენ, უშვერი სიტყვებით არ ვიგინებით.

10. რომ გიხარია, დაქორწინების საქმეები თავისთავად გვარდებაო, იქნებ ბავშვის „გაკეთებაც“ ამავე მეთოდით გსურს?..“

კაცუნა:

„კაცად ყოფნა თუნდაც იმითაა მაგარი, რომ: 1. ქუჩაში ნებისმიერ დროს გახვალ და ამას არავინ დაგიშლის; 2. იმუშავებ, შენი ფული გექნება და არავის კისერზე არ „იჯდები“; 3. სამსახურიდან რომ დაბრუნდები, შინ დაგხვდება ცოლი, რომელიც საჭმელს მოგამზადებს და მოგართმევს, შენ კი შეჭამ და მერე ან ქალაქგარეთ გაისეირნებ, ან დაისვენებ... მოკლედ, ყველა ვარიანტში, კაცად ყოფნა მაგარია“.

Crazy girl:

„არ შემიძლია, Mr-პრეზიდენტს არ დავეთანხმო ზოგიერთ პუნქტში. მე ხომ, როგორც ჩემი მეგობრები ამბობენ, შემთხვევით ვარ გოგო :))“.

ნია:

— ქალად დაბადება მხოლოდ იმის გამოც ღირს, რომ გამოცადო, რა არის დედობა. მერწმუნეთ, მამაკაცი ვერასდროს იგრძნობს შვილის სითბოს ისე, როგორც ამას დედა გრძნობს. გარდა ამისა, ქალს შეუძლია, არ იმუშაოს, მაგრამ მაინც არ იშიმშილოს — მას უფლება აქვს, მეუღლეს მოსთხოვოს, — ოჯახი არჩინეო; სუსტი სქესი სულაც არაა სუსტი — თუ დაგვჭირდება, ისეთი ძლიერები და ამტანები გავხდებით, რომ ნებისმიერ მამაკაცს გადავუვლით. მოკლედ, ქალად ყოფნას ბევრი პლუსი აქვს და ეს კაცებმაც იციან, მაგრამ უმეტესობას ამის აღიარება არ სურს. ჰოდა, ამიტომაც ცდილობენ ასე თავგამოდებით, რომ თავიანთი უპირატესობა დაგვიმტკიცონ...

■

„ჩემს „ლოვეს“ გვარს უწუნებენ...“

უცნობი:

„გამარჯობა. მყავს შეყვარებული (ცნობისათვის, 17 წლის გახლავართ). ჩვენ ერთმანეთი მართლა ძალიან გვიყვარს და მიუხედავად იმისა, რომ მშობლებმა ეს იციან, მასთან ურთიერთობას მიკრძალავენ. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მას სომხური გვარი აქვს. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, არადა, „ლოვე“ მთხოვს, — ცოლად გამომყევიო. იქნებ მირჩიოთ, რა ვქნა?“ ■

„დაქალმა 2 შეყვარებული „ამახია“

NIGHTWISH:

„გამარჯობა. გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდეთ, თქვენი მკითხველების დახმარება ძალიან მჭირდება. მყავდა დაქალი, რომელმაც 2 შეყვარებული „ამახია“. პირველად ვაპატიე, მაგრამ ეს უკვე მეორედ მოხდა და მის პატიებას აღარ ვაპირებ. მინდა, მასზე შური ვიძიო, სამაგიერო გადავუხადო იმისთვის, რაც გამიკეთა — ის ამას იმსახურებს! არ ვიცი, ასეთი რა დავუშავე. ნუთუ, ჩემი შურს და ასე ამიტომაც მექცევა? რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას!“

■

P.S. მაშ ასე, თუ უცნობისა და NIGHTWISH-ს წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■



საუკარო

რა განძს ინახავს ლიტერატურის მუზეუმი და სად გაქრა რეპრესირებულთა დაკითხვის ოქმები

„მედიაპალიტრა“ კარგა ხანია, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმს დაუმეგობრდა. ჟურნალ „გზასთან“ ერთად განხორციელებული პროექტების — ჯერ „ქართული პროზის საგანძურის“, ახლა კი „ჩემი რჩეულის“ გამოსაცემად, ჩვენი კლასიკოსი მწერლების ხან ხმა გვჭირდება, ხანაც — ფოტოსურათი და მუზეუმის დირექტორი — ლაშა ბაქრაძე, მისი მოადგილე თეა თვალავაძე და ნებისმიერი თანამშრომელი მუდამ მზადაა დასახმარებლად. მუზეუმი მართლაც საგანძურს უნახავს საქართველოს, მაგრამ ახალგაზრდა თაობამ მის წარსულზე ცოტა რამ თუ იცის. ამიტომაც გადავწყვიტეთ, მუზეუმის ისტორიაზე სასაუბროდ არქივის აღრიცხვა-დაკომპლექტების განყოფილების თანამშრომელს, ქალბატონ ნინო ვადაჭკორიას შევხვედროდით.

ირმა ხარშილაძე

— მუზეუმში 1974 წლიდან ვმუშაობ. ფაქტობრივად, უხუცესი ვარ (*იღიმის*). ჩემი განყოფილება ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ დააარსა... ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორი მტკივნეული იყო ქართველი საზოგადოებისთვის საბჭოთა ეპოქის 30-იანი წლები, რომელმაც ქართველი ინტელიგენციის ნაღები საზოგადოება, მათ შორის — ჩემი და ალბათ, ყველა ქართველის დიდი ტკივილი, ტიციან ტაბიძე შეიწირა: სწორედ მის სახელს უკავშირდება ჩვენი მუზეუმის დაარსება, რომლის ისტორია 1929 წლიდან იწყება. იმ წელს ალექსანდრე გრიბოედოვის დაბადებიდან 100 წლისთავი უნდა აღენიშნათ. ცნობილმა სამუზეუმო მოღვაწემ, დავით არსენიშვილმა მწერლის საიუბილეო ღონისძიებისთვის ზღვა ფოტომასალა მოიძია, დაგროვდა ხელნაწერებიც და მოეწყო გრიბოედოვის საიუბილეო გამოფენა, რასაც მოჰყვა დადგენილებაც — „მთაწმინდაზე (*რადგან გრიბოედოვი იქ იყო დასაფლავებული. — ავტ.*) გაეკეთებინათ ალექსანდრე გრიბოედოვის სახლი“. მანამდეც და იმ პერიოდშიც, ჩვენი ინტელიგენცია ლიტერატურის პროფილის ეროვნული მუზეუმის დაარსებაზე ოცნებობდა; იმხანად საბჭოთა კავშირში მხოლოდ 2 ლიტერატურის მუზეუმი

ლეონიძის ავგორიგეტის წყალობით, ბევრმა წარჩინებულმა ოჯახმა მუზეუმს საარქივო მასალა გადასცა

არსებობდა და თუ მოძიებული მასალების საფუძველზე არა მარტო ქართველების სიძის — რუსი მწერლის, არამედ ქართველ მწერალთა მუზეუმიც დაარსდებოდა, კულტურის სფეროსთვის ძალზე მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამდით. მაგრამ ვინ შეცვლიდა კომუნისტების დადგენილებას?! ტიციან ტაბიძემ, რომელსაც არასდროს „უმღერია“, უერთგულია ბოლშევიკებისთვის და საბჭოთა ხელისუფლებისთვის, რომელიც ბევრი სხვა ქართველი მოღვაწის მსგავსად, კომუნისტებს მიზანში ჰყავდათ ამოღებული, დადგენილების შესაცვლელად ნამდვილი ბრძოლა დაიწყო... მთაწმინდაზე, პანთეონის გვერდით იდგა პატარა სახლი, სადაც მღვდელი ცხოვრობდა. გრიბოედოვის სახლის გასახსნელად ხელისუფლებამ მღვდელს იმ სახლის დათმობა, სანაცვლოდ კი ბინა შესთავაზა. მღვდლის ოჯახი საცხოვრებლად ქალაქის სხვა უბანში გადავიდა, მისი 2 თუ სამოთახიანი ბინა კი მუზეუმს დარჩა... ტიციანი გაბედულად იქცეოდა: თბილისის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის გამგეს ოფიციალური წერილი მისწერა, სადაც გრიბოედოვის მუზეუმის ქართველ მწერალთა მუზეუმად გარდაქმნის აუცილებლობაზე ლაპარაკობდა და საფუძვლიანი არგუმენტებიც მოჰყავდა; მოხსენებით გამოვიდა მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზეც (არქივში ყველა დოკუმენტია შემონახული), რასაც აღმასკომთან პრეზიდიუმის შუამდგომლობა მოჰყვა; 1930 წელს, მისივე თაოსნობით, საფუძველი ჩაეყარა „მთაწმინდის მწერალთა მუზეუმს“, რომელსაც 1931 წლის მარტიდან ტიციანის უმცროსი მეგობარი, ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე ჩაუდგა სათავეში. მუზეუმს 2 განყოფილება ჰქონდა: ქართული, რომელსაც ტიციანი ხელმძღვანელობდა და რუსული, რომლის გამგე მკვლევარი — ივანე ენიკოლოფოვი იყო... ალბათ გიკვირთ: თუ ტიციანს მუზეუმის შექმნაში ამდენი ღვაწლი მიუძღვის, რატომ არ ატარებს მის სახელს?..

ტიციან ტაბიძის ქალიშვილთან, ნიტასთან მუზეუმის ყველა თანამშრომელი ახლობლობდა; ჩემი ოჯახიც ახლოს იყო ტაბიძეების ოჯახთან. ერთხელ მან გაიხსენა: მამამ ხელი ჩასჭიდა გოგლას და კატეგორიულად უთხრა, — ამ მუზეუმის დირექტორი შენ უნდა იყოო. ამიტომაც გახდა მუზეუმის დირექტორი გიორგი ლეონიძე, რომელიც მართლაც, მუხლ-ჩაუხრელად შრომობდა და უამრავი მასალაც მოიძია, 3 წლის შემდეგ კი — 1933 წლის 14 სექტემბერს მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა. სწორედ ამის შემდეგ, ლიტერატურის მუზეუმთან დაკავშირებით ტიციანის სახელი აღარც იხსენიება... ის უიღბლო ადამიანი აღმოჩნდა, ვინაიდან მის მიერ ხელდასხმული მუზეუმის ახალ შენობაში დაბინავებასაც ვერ მოესწრო...

— 30-იან წლებში სამუზეუმო ექსპონატების მოპოვება იოლი არ იქნებოდა — არადა, თქვით, რომ გიორგი ლეონიძემ უამრავი მასალა მოიძია.

— გოგლა ლეონიძეს დიდი დამსახურება აქვს მუზეუმის და შესაბამისად, ქართველი საზოგადოების წინაშე. წარმოიდგინეთ, იმხანად რა მდგომარეობაში იყვნენ არისტოკრატული ოჯახები: ბოლშევიკები შემოსულნი არიან და ყველაფერს დაეპატრონნენ; გოგლა ლეონიძემ კარგად იცის, რომ მუზეუმს არც ერთი ოჯახი არ გადასცემს კარგ და საინტერესო ხელნაწერს, ფოტოს... ამიტომ ლეონიძემ შეიმუშავა ბარათის ფორმა, რომლითაც საზოგადოებას მიმართა: ჩვენი მუზეუმი ეძებს საინტერესო ხელნაწერებს და გთხოვთ ან უსასყიდლოდ შემოგვწირეთ, ან — შევიძენთო. სწორედ ლეონიძის ავტორიტეტის წყალობით, ბევრმა წარჩინებულმა ოჯახმა მუზეუმს საარქივო მასალა გადასცა. უპირველესად კი მინდა, დავასახელო ცნობილი ქართველი ექიმისა და ილია ჭავჭავაძის მეგობრის — მიხეილ გედევანიშვილის მდიდარი არქივი, სადაც ილიას ხელნაწერებიც ინახებოდა და რომელიც 1932 წელს, მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა მისმა ვაჟმა, დიდმა ბიოლოგმა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა და მსახიობ თამარ ციციშვილის მეუღლემ — დიმიტრი გედევანიშვილმა. ეს უდიდესი საჩუქარი იყო ქართველი საზოგადოებისთვის... ასე რომ, გოგლა ლეონიძემ მუზეუმი ფეხზე დააყენა და ის იყო პირველი ღირსეული დირექტორი 20 წლის განმავლობაში. მაგრამ მე, რიგით მოქალაქეს მაინც მწყდება გული, რომ ტიციან ტაბიძის ღვაწლი და სიმართლე — რომ მუზეუმის დამაარსებელი სწორედ ის გახლდათ — არსად ჩანს... კიბეზე რომ ამობრძანდით, უთუოდ შეამჩნევდით გვერდიგვერდ დაკიდებულ ტიციანისა და გოგლა ლეონიძის დიდ პორტრეტებს — ეს ქალბატონი იზა ორჯონიკიძის დამსახურებაა: დიახაც, ორივეს პორტრეტი უნდა ეკიდოს მუზეუმში და თანაც — გვერდიგვერდ! მე თუ მკითხავთ, დავით არსენიშვილისაც უნდა ეკიდოს, რადგან ამ ადამიანსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მუზეუმის დაარსებაში.

— ქალბატონო ნინო, ცნობილი ქართველი მწერლების მემკვიდრეებთან უშუალოდ გაქვთ ურთიერთობა. მუზეუმისთვის სახელოვანი წინაპრების არქივის გადმოცემა არ უძნელდებათ? ან ძირითადად, ასეთ საგანძურს რა მოტივით იმეტებენ?

— რასაკვირველია, ბევრ ადამიანთან, ცნობილ მწერალთა შვილებთან და შვილიშვილებთან გვქონია კონტაქტი და გვაქვს კიდეც. ჩვენთან წლების განმავლობაში მუშაობდა არაჩვეულებრივი, სპეტაკი ქალბატონი ლალი მარტაშვილი — ფონდების მთავარი მცველი. იმხანად ჩვენი — არქივების აღრიცხვა-დაკომპლექტების განყოფილება არ არსებობდა, ამიტომ უზარმაზარი სამუშაოს შესრულება სწორედ ამ ქალბატონს უხდებოდა და ცხადია, მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრის შესახებ ბევრი რამ ჰქონდა მოსაყოლი... მერწმუნეთ, არქივის გადმოცემას განსაკუთრებით მტკივნეულად შთამომავალთა პირველი ხაზი — შვილი განიცდის; შვილიშვილს ან მხოლოდ სმენია თავის სახელოვან წინაპარზე, ან სადმე წაუკითხავს, შვილს კი თავად ახსოვს. მაგალითად, ასეთი იყო ქალბატონი ნიტა ტაბიძე. ის მამას გარეგნობითაც ძალიან ჰგავდა და გამორჩეული მამაშვილობაც ჰქონდათ. ტიციანის სახლში, გრიბოედოვის №18-ში ინახებოდა საარქივო მასალების ნაწილი და როდესაც ფოტოების, ხელნაწერების წამოსაღებად ქალბატონ ნიტასთან მივედით, მან ერთ ლამაზ ბროლის ფუჟერს მოჰკიდა ხელი, გულში ჩაიხუტა და, — ეს მამას ჭიქაა, ამას ვერ გაგატანთო, — გვითხრა... საოჯახო არქივს, რომელსაც საგანგებო კომისია აფასებდა, ბევრი მხოლოდ იმიტომ იმეტებდა, რომ მატერიალურად ძალიან უჭირდა. კომისიაში მოწვეული წევრებიც გვყავდა: ხელნაწერთა ინსტიტუტში ახლაც მუშაობს არაჩვეულებრივი,

მუზეუმში 1974 წლიდან ვმუშაობ

ხანდაზმული მეცნიერი მიხეილ ქავთარია; იქვე მუშაობდა ქალბატონი ლამარა ქაჯაია, მხატვარი — ჯემალ ლოლუა და ა.შ. ბევრი და საინტერესო მასალა შემოდიოდა. მაგალითად, ცნობილი მხატვრის — სანდრო მრევლიშვილის შვილიშვილის, მწერალ მაყვალა მრევლიშვილის არქივი, სადაც გარდა ხელნაწერებისა, სანდრო მრევლიშვილის სურათებიც იყო... ლიტერატორი ალექსანდრე სიგუა ლადო გუდიაშვილის ოჯახთან ახლობლობდა და მისი არქივიდან ბატონი ლადოს არაჩვეულებრივი ფოტოები, ტილოები შევიძინეთ... ვიცი, რომ მუზეუმის წინაშე დიდი ამაგი აქვთ: სოლომონ ხუციშვილს, გივი მიქაძეს, ვანო ოლაშვილს, რომელიც აქ წლების განმავლობაში მუშაობდა; ასევე, ჩვენს თანამშრომლებს: გურამ ვანიძეს, ციცინო ბუქურაულს... ჩემი თაობა უკვე მათ მოსწავლეებად მივიჩნევით. იმ პერიოდში, როცა მუზეუმის დირექტორი ქალბატონი იზა ორჯონიკიძე იყო, აქ ძალზე საინტერესო კონფერენციები და ლიტერატურული საღამოები იმართებოდა. მახსოვს, ხშირად გვსტუმრობდა ვახუშტი კოტეტიშვილი. ერთხელ ბატონი ალექსი ჭინჭარაული მოვიწვიეთ, ბატონი ვახუშტიც აქ იყო და დარბაზშიც უამრავი მსმენელ-მაყურებელი მოგვაწყდა. არ მოეშვნენ ბატონ ვახუშტის, — „ის“ გვიამბეთო და მანაც, გვიამბო: „ბევრი ხალხი მაკითხავს, რაიონებიდან ჩამოდიან ლექსებით, ნაქარგებით, სიმღერებით, საკრავებითა და საკუ-

თარ შემოქმედებას მაცნობენ. ერთხელაც, დაღლილი, გვიან დავბრუნდი შინ და დილით გამოძინებას ვაპირებდი, უთენია მეუღლემ რომ გამაღვიძა, — ვიღაც კაცია რაიონიდან ჩამოსული, შენი ნახვა უნდაო. რაღას ვიზამდი? მივიღე. გამოვკითხე, ლექსებს თუ წერდა ან მღეროდა?.. მოკლედ, ყველაფერი იუარა. ბოლოს ჩავეკითხე, — აბა, მაშინ რას აკეთებ-მეთქი? — მენა, ვუშტვენო, — მორიდებით მიპასუხა; დაიწყო სტვენა და აღარ დაამთავრა. გავგიჟდი კინაღამ და გვიან გავიგე, ის კაცი საგანგებოდ გამოუგზავნიათ ჩემს მეგობრებს ტელევიზიიდან, პირველად იქ მისულიყო თურმე"... იმ დღეს მუზეუმის დარბაზში კარგად ვიმხიარულეთ... ალბათ თქვენც გახსოვთ, რაოდენ ენერგიული, შეუვალი ქალბატონი იყო იზა ორჯონიკიძე. მას კბილებით გაჰქონდა მუზეუმიცა და მისი თითოეული თანამშრომელიც. ამიტომაც შემოვინახეთ არაჩვეულებრივი და მდიდარი არქივი, თუმცა... რაღაც საინტერესო მასალა მაინც დავკარგეთ. ეს გახლდათ 80-90 საგამოძიებო საქმე — 30-იანი წლების ბოლოს რეპრესირებულთა და წამებულთა დაკითხვის ოქმები, რომელიც ქალბატონმა იზამ უშიშროების კომიტეტიდან დიდი ძალისხმევით მოიპოვა. აქ იყო ტიციანის, ვახტანგ კოტეტიშვილის, სანდრო ახმეტელის, გალაკტიონ ტაბიძის მეუღლის — ოლია ოკუჯავასა და სხვათა საქმეები, დაკითხვის ოქმები. ზვიად გამსახურდიამ, პრეზიდენტობისას, ოფიციალური წერილით მოითხოვა, რომ ეს საქმეები კვლავ უშიშროების კომიტეტისთვის გადაეცათ. მაშინ ქალბატონი იზა შვებულებაში იმყოფებოდა, მის მოვალეობას მოადგილე, ციცინო ბუქურაული ასრულებდა. ამ განკარგულების თაობაზე ქალბატონ იზას კი შევატყობინეთ, მაგრამ ფაქტია, მუზეუმი პრეზიდენტის ბრძანებას წინ ვერ აღუდგა. მახსოვს, 1991 წლის ოქტომბერში მუზეუმის „მარშრუტკითა" და შეიარაღებული პირების თანხლებით, ეს საქმეები მე და ხელნაწერთა ინსტიტუტის იმჟამინდელმა გამგემ, ციალა გაგნიძემ წავიღეთ, ოღონდ — უშიშროების კომიტეტში კი არა, პრეზიდენტ გამსახურდიას მისაღებში აღმოვჩნდით. თავად გამსახურდია შეგვხვდა და აგვიხსნა: — ამას წინათ სამხედრო მუზეუმს დაესხნენ თავს. ეს არქივი აქ უფრო საიმედოდ იქნება, რაღაც პერიოდის შემდეგ კი უშიშროების კომიტეტს გადავცემო. არადა, ექსპონატს თუ ნომერი ადევს, მისი გატანის უფლება არავის აქვს, თვით პრეზიდენტსაც კი. კარგად მახსოვს, საქმეები კანცელარიის უზარმაზარ რკინის სეიფში, ჩვენივე ხელით შეგვანახვინეს, დალუქეს, შემდეგ კი ოფიციალურ ქაღალდზე ხელის მოსაწერად სასწრაფოდ, ქალბატონ ციცინოსთანაც გაგვიყოლეს, მერე მე და ციალასაც მოგვაწერინეს ხელი და ყველა დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ გამოგვისტუმრეს. სხვათა შორის, მოგვიანებით ჩვენს ხელმოწერას უსიამოვნო გამოძახილიც მოჰყვა: პრეზიდენტის გამოგზავნილ ხალხს კარში რატომ არ გადაუდგნენო?!. მოკლედ, რაც იყო — იყო... სამოქალაქო ომის დროს მუზეუმის დირექტორად ბატონი გურამ შარაძე დაინიშნა. უნდა გენახათ, ტყვიების ზუზუნში, იმ საშინელებაში როგორ ვიცავდით ჩვენს მუზეუმს: შენობას ღამითაც კი არ ვტოვებდით. როცა გამსახურდია საქართველოდან წავიდა, ბატონი გურამის მეთაურობით, კანცელარიაში რამდენიმეკაციანი ჯგუფი იმ საქმეების საძებნელად მივედით — დარწმუნებული ვიყავით, რომ გამსახურდიას ის საბუთები თვითონ სჭირდებოდა და უშიშროებას არაფრით ჩაუგდებდა ხელში. უზარმაზარი სეიფი დერეფანში დაგვხვდა გამოგდებული, ოთახში კი უამრავი ფურცელი მიმოფანტულიყო. საგულდაგულოდ ვეძებდით დაკითხვის ოქმებს, მაგრამ ვერსად მივაკვლიეთ. ჩვენი თანამშრომლები კოლხურ კოშკში ხანძრის შემდეგაც ავიდნენ და იქაც ეძებდნენ, მაგრამ — ამაოდ. ასე გაქრა უნიკალური და უმნიშვნელოვანესი არქივი და ოქმებიდან დარჩა მხოლოდ რამდენიმე ამონარიდი, რომელსაც კითხვისას გზადაგზა ვიწერდი ხოლმე. მგონი, ოლია ოკუჯავას დაკითხვის ოქმების ის ნაწილი, რაც ამოვწერე, გალაკტიონის ძმისშვილმა, პუბლიცისტმა და პედაგოგმა, ბატონმა ნოდარ ტაბიძემ გამოაქვეყნა კიდეც... ადრე სკოლებიდან ხშირად გვსტუმრობდნენ მოსწავლეები, რომლებსაც ვუჩვენებდით ჩვენი სასიქადულო ქართველების ხელნაწერებს, მოვუთხრობდით მათ ამბებს, ახლა კი თითქმის აღარ დადიან; დასანანია, რომ ახალი თაობა მოკლებულია საკუთარ ფესვებს, კარგად არ იცის თავისი ლიტერატურის ისტორია. თარიღების დამახსოვრება კი არ არის სავალდებულო, არამედ მთავარია იცოდე, ვინ არის ვთქვათ, თამარ მეფე, რომ მერე იმასაც მიხვდე, აუგად რატომ არ უნდა მოიხსენიო. დიდი იმედი მაქვს მუზეუმის ახლანდელი დირექტორის, ბატონი ლაშა ბაქრაძის. გულწრფელად ვამბობ: ისეთი მამის შვილია, დარწმუნებული ვარ, ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს და მუზეუმის ტრადიციებსაც გააგრძელებს. მთავარია, ეროვნულობა არ მინავლდეს ჩვენში, თორემ წინ ვერ წავალთ.

კიბეზე რომ ამობრძანდით, უთუოდ შეამჩნევდით გვერდიგვერდ დაკიდებულ გიციანისა და გოგლა ლეონიძის დიდ პორტრეტებს

დავით არსენიშვილმა მწერლის საიუბილეო ღონისძიებისთვის ზღვა ფოგომასალა მოიძია

„სააბის“ გეგმა

2011 წლის აგვისტოში კომპანია „სააბი“ თავისი შვედური ქარხნის ამუშავებას აპირებს. ამასთან, ფირმა ისევ ცდილობს მიაღწიოს შეთანხმებას ავტოკომპონენტების მწარმოებლებთან, რომელთა მიმართ დავალიანების გამო, გასულ აპრილს იძულებული გახდა, კონვეიერი შეეჩერებინა. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, რიგ პარტნიორებთან შეთანხმებას უკვე მიაღწიეს, მაგრამ ზოგიერთ მათგანთან სირთულე შეექმნათ. გარდა ამისა, ავტოკომპონენტების თითქმის ყველა ევროპული მწარმოებელი ივლისში დაგეგმილ არდადეგებზე მიდის. ამ ფაქტების გათვალისწინებით, მარკა წარმოების განახლებას 9 აგვისტოსთვის გეგმავს. ადრე გავრცელებული ცნობით, „ს

„მწყემსი კეთილი თავის სულს გაწირავს ცხვართათვის“

შორენა მერკვილაძე

იოანეს სახარების მე-10 თავში მოცემულია მაცხოვრის იგავური სწავლება — „მე ვარ მწყემსი კეთილი“. უფალი მიმართავს თავის მსმენელთ — იუდეველებს: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც კარიდან არ შედის ცხვრის ფარეხში და სხვა გზით გადადის, ქურდი და ავაზაკია იგი. ვინც კარიდან შედის, ცხვრის მწყემსია. მეკარე უღებს მას, ცხვარი უსმენს მის ხმას, იგი სახელით მოუხმობს თავის ცხვრებს და გამოჰყავს ისინი. როცა თავისებს გამოუშვებს, იმათ წინ მიუძღვის და ცხვარიც მისდევს მას, რადგან იცნობს მის ხმას. უცხოს არ გაჰყვება, გაექცევა, რადგან უცხოთა ხმას არ იცნობს“. როგორც იოანე მახარებელი გვაუწყებს, ეს იგავი იუდეველებს იესომ უთხრა, მაგრამ მათ ვერ გაიგეს, რას ეუბნებოდა, ამიტომაც კვლავ მიმართა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხვართა. ყველა, ვინც ჩემზე წინ მოვიდა, ქურდი და ავაზაკია, და ცხვარმა არ მოუსმინა მათ. მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით, გადარჩება, შევა და გამოვა და საბოძვარს ჰპოვებს. ქურდი მხოლოდ იმისთვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. მე იმისთვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ და უხვად ჰქონდეთ. მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გაწირავს ცხვართათვის. მოჯამაგირე კი, რომელიც არ არის მწყემსი და არც ცხვარი ეკუთვნის, მოსული მგლის დანახვაზე სტოვებს ცხვრებს და გარბის. მგელი კი იტაცებს მათ და ფანტავს. მოჯამაგირე კი გარბის, რადგან მოჯამაგირეა იგი და არ ზრუნავს ცხვრებზე. მე ვარ მწყემსი კეთილი. მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე, როგორც მამა მიცნობს. მე ვიცნობ მამას. ჩემს სულს ვწირავ ცხვართათვის. მე სხვა ცხვრებიცა მყავს არა ამ ფარეხისა. მე ისინიც უნდა მოვიყვანო. მოისმენენ ჩემს ხმას და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი“...

გვესაუბრება არქიმანდრიტი **მაკარი** (აბესაძე):

— ეს არის არა კონკრეტულად რაიმე იგავი, არამედ იგავური სწავლება. მაცხოვარი ხშირად საუბრობდა იგავით. ერთი მხრივ, ეს გაცილებით ქმედითია ადამიანის სამხილებლად, ვიდრე პირდაპირი მხილება: იგავური ამბის მიღმა ის საკუთარ თავს ამოიცნობს, ეს სინანულს ჰგვრის. საერთოდაც, იმ პერიოდში და მოგვიანებითაც, გავრცელებული იყო იგავური საუბრები. სახარების ეს ადგილიც იგავური საუბარია, სადაც მაცხოვარი, პირველ რიგში, საკუთარ თავზე საუბრობს, გამოაქვს თავისი სწავლება. „კარში“ უნდა ვიგულისხმოთ სჯული, „კარით შემსვლელ მწყემსში“ — მაცხოვარი, იესო ქრისტე; ასევე — ყველა ის მწყემსი, რომელიც სჯულს აღასრულებს. უფალმა ძველი აღთქმის ადამიანები შემოზღუდა სჯულით და დაუტოვა ერთი კარი — ანუ სწავლება ქრისტეზე. როგორ უნდა ეცნოთ ადამიანებს ქრისტე, მესია? ვიცით, რომ უმეტესობამ ქრისტე ვერ იცნო; მასში მესია ვერ შეიცნეს არა იმის გამო, რომ სწავლება იყო არასწორი, არამედ თავად ადამიანები აღარ იყვნენ მიმღებნი ჭეშმარიტი სწავლებისა; თავად მაცხოვრის გამოჩენის წინა პერიოდშიც იყვნენ „ცრუმწყემსები“, მაგალითად, იუდა გალილეველი და თევდა, რომლებმაც საკუთარი თავი გამოაცხადეს ქრისტედ, მესიად და ჰყავდათ მიმდევრები, მაგრამ ისინი არ შედიოდნენ „კარით“ — ანუ არ იყვნენ სჯულის აღმასრულებლები, რომლითაც უნდა შეეცნოთ მხსნელი.

უფალი ამბობს — ვინც კარით არ შევა, ის მპარავი და ავაზაკიაო. პირდაპირი მნიშვნელობითაც რომ გავიგოთ, სახლის პატრონი კარიდან შედის და არა ქურდის მსგავსად, ზღუდიდან ან ფანჯრიდან. ასევე, როდესაც მოვიდოდა კაცობრიობის მხსნელი, მესია, უნდა შემოსულიყო „კარით“ — სჯულით. ყველა ის სწავლება, რაც თავად უფალმა დაუდო ადამიანებს, რაც ნაწინასწარმეტყველები იყო, ყველაფერი აღესრულა, რათა ადამიანებს ეცნოთ, რომ იესო ქრისტე არა „მპარავი“, არამედ ჭეშმარიტი მწყემსი იყო. „მეკარეში“ უნდა ვიგულისხმოთ ძველი აღთქმის სასულიერო ელიტა — მღვდელმთავრები და სჯულისმოძღვრები. პირველ რიგში, სწორედ მათ უნდა ეცნოთ თავიანთი მწყემსი — მაცხოვარი, მაგრამ ამქვეყნიური ამაოებებით გონება ისე ჰქონდათ დაბინდული, რომ ვერ იცნეს იგი. ეს „კარი“ მათ ადამიანებისთვისაც დაეხშოთ — არ აწვდიდნენ ჭეშმარიტი ღვთის სიტყვას. იყვნენ ისეთი „მეკარეებიც“ — იგივე სვიმონ ღვთისმიმრქმელი, შემდგომში გამალიელი, იოსებ არიმათიელი, იოანე ნათლისმცემელი, — რომლებმაც პირველად გაუღეს ამქვეყნად მოსულ მხსნელს კარი — ე.ი. პირველად მათ აუწყეს კაცობრიობას, პირველ ყოვლისა კი რჩეულ ერს, რომ მაცხოვარი მოვიდა, მაგრამ ასეთები მხოლოდ ერთეულები თუ იყვნენ...

მაცხოვარი ამ იგავური სწავლების პირველ ნაწილში იმასაც გვაუწყებს — ცხვარიც იცნობს თავისი მწყემსის ხმას და გაჰყვება მასო. კვლავ იუდა გალილეველი გავიხსენოთ: როდესაც ის მოვიდა, მხოლოდ 400 კაცი გაჰყვა. ჭეშმარიტმა „ცხვრებმა“ „ცრუმწყემსი“ ვერ იცნეს... მართალია, თავიდან ქრისტეს მოწაფეთა რიცხვი 120 კაცს შეადგენდა, მაგრამ სულ მალე, მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის დღესვე, პეტრე მოციქულის ქადაგებით, 3 ათასი ადამიანი მოექცა, მეორე დღეს — 5 ათასი. ეს ადამიანები იყვნენ ჭეშმარიტი „ცხვრები“ — სამწყსო, რომელსაც მოსმენილი ჰქონდა ღვთის სიტყვა; მაცხოვრის ჯვარცმამ, აღდგომამ და მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლამ ის თესლი, რომელიც მათ გულებში იყო დათესილი, უცბად გააღვივა. ისინი არ იყვნენ განათლებული ადამიანები, ძველი აღთქმის სჯულში განსწავლულები, მაგრამ მათ გულით იცნეს მაცხოვარი და გაჰყვნენ — როგორც ცხვარი ცნობს თავის მწყემსს ისე,

რომ ამისთვის არავითარი განათლება არ სჭირდება.

შემდეგ უფალი ამბობს, — ყველა, ვინც ჩემზე წინ მოვიდა, ქურდი და ავაზაკია, და ცხვარმა არ მოუსმინა მათო, — ე.ი. ჩემამდე ვინც იყვნენ, ცრუმწყემსები იყვნენო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათ არავინ გაჰყოლია. გამალიელი სინედრიონს მიმართავს: ვიცით — თევდა იყო, იუდა იყო, მაგრამ როგორც კი ისინი მოკვდნენ, მათი სწავლებაც განქარვდა, მათი მიმდევრებიც გაიფანტნენ. სწორედ ამას ამბობს უფალი: თუ ისინი ჭეშმარიტი მწყემსები, ჭეშმარიტი მხსნელები იყვნენ, მაშინ მათი სწავლება არ უნდა გამქრალიყო; თქვენც ნახავთ, ჩემი სწავლება არათუ განქარვდება, არამედ კიდევ უფრო გამრავლდება და გაძლიერდებაო.

„მე ვარ კარი; ვინც შედის ჩემით, გადარჩება. შევა და გამოვა და საძოვარს ჰპოვებს“ — თუკი იგავური სწავლების დასაწყისში „კარად“ იწოდება სჯული ანუ ის სწავლება, რომლითაც ადამიანებს უფალი, მესია უნდა შეეცნოთ, აქ უკვე უფალი „კარს“ საკუთარ თავს უწოდებს. ის არის მიმყვანებელი მამასთან. შეიძლება ითქვას, რომ ამ იგავური სწავლებით, ძველი აღთქმიდან გადავდივართ ახალ აღთქმაში. ძველ აღთქმაში ადამიანები ელოდნენ მაცხოვარს და კარში მაცხოვარი უნდა შესულიყო, ახალ აღთქმაში თავად გახდა კარი და სწორედ ამ კარითაა შესაძლებელი სასუფეველში შესვლა — ვინც მაცხოვრის მიერ მოცემულ მცნებებს აღასრულებს, ის გადარჩება და „საძოვარს“ — მარადიულ ნეტარებას ჰპოვებს, სასუფეველს დაიმკვიდრებს.

„ქურდი მხოლოდ იმისთვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს, მე იმისთვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ“, — ბრძანებს მაცხოვარი: ყველა, ვინც ქრისტეს სახელით მოვიდა, მაცხოვრის მოსვლამდე თუ მის შემდგომ გაჩენილი ცრუმწყემსნი, ეშმაკის შთაგონებით სწორედ იმ ადამიანების მოსაწყვეტად და საუკუნოდ დასაღუპავად იყვნენ მოსულნი, ვინც მათ მიჰყვებოდნენ.

„მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს დასდებს ცხოვართათვის“, — უფლის ეს იგავური სწავლება არის წინასწარმეტყველება მაცხოვრის ჯვარცმის, კაცობრიობის გამოხსნის შესახებ.

ამასთან, მწყემსი კეთილია — ყველა ის სასულიერო პირი, ვინც უანგაროდ მწყემსავს ცხვარს, ვისაც თავის დადება შეუძლია სამწყოსთვის; ხოლო ვინც „სასყიდლით დადგენილია“ — ანგარებით, მიწიერი კეთილდღეობისთვის მწყემსობს — როდესაც ეკლესიას ან პირადად მას რაიმე განსაცდელი დაატყდება თავს, მაშინვე გარბის და სამწყსოს ტოვებს. ასეთ მწყემსებს, როგორც მპარავს, როგორც ავაზაკს, ისე მოეკითხებათ ყველაფერი, რადგან მპარავი, ცრუმწყემსი იყო და მწყემსობას იბრალებდა.

როგორც მე ვიცი მამა, ასევე მიცნობს მამა მე და იცის, რომ ჩემს სულს დავდებ ცხვართათვისო — ამ იგავური თქმით, მაცხოვარი გვაუწყებს, რომ ის არ არის ჩვეულებრივი ადამიანი, არამედ — განკაცებული ღმერთია. ღმერთი ყველა ადამიანის მამაა, მაგრამ როდესაც მაცხოვარი ამბობს „მამას“, ამით გაუწყებს, რომ მამა მისთვის არ არის ისეთივე მამა, როგორიც ადამიანებისთვის. „მე ვიცი მამა და მამა მიცნობს მე“, — ამით გვაუწყებს: მამა, ძე და სულიწმიდა არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ცოდნით, მცნობელობითა და შესაძლებლობებით ანუ ღმერთი არსობრივად არის ერთი და მხოლოდ ჰიპოსტასურად — სამი.

შემდეგ უფალი მიმართვას იუდეველებს — „მე სხვა ცხვრებიცა მყავს არა ამ ფარეხისა. მე ისინიც უნდა მოვიყვანო“, — ეს არის წინასწარმეტყველება წარმართთა მოქცევის შესახებ. მართლაც, ვიცით, რომ მაცხოვრის ჯვარცმის, აღდგომის, ამაღლებისა და სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ უამრავი წარმართი მოექცა ქრისტიანობაზე და ღვთის სამწყსო, ღვთის ცხვრები შეიქმნენ. ე.ი. უფალი წინასწარმეტყველებს — ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი იქნებაო. ერთ მწყემსში უნდა ვიგულისხმოთ მაცხოვარი, რომელიც მწყემსავს ერთ სამწყსოს — ქრისტიანებს. „ერთ ფარაში“ იგულისხმება სწორედ ახალი ერი — ქრისტიანი ერი, რომელიც ყველა ეროვნებიდან მოქცეულ ადამიანებს აერთიანებს.



იგავური საუბრის დასასრულს მაცხოვარი წარმოთქვამს: „იმიტომ ვუყვარვარ მამას, რომ ჩემს სიცოცხლეს ვწირავ, რათა კვლავ დავიბრუნო იგი. ვერავინ წამართმევს მას, მაგრამ მე თვით ვწირავ მას. მე მაქვს ხელმწიფება მის გასაწირავად და მაქვს ხელმწიფება მის დასაბრუნებლად. ეს მცნება მამაჩემისგან მივიღე“ — ე.ი. ჩემს სულს ჩემი ნებით დავდებ — ჩემი ნებით ვეცვა ჯვარს, ჩემი ნებით მოკვდე როგორც კაცი და ჩემი ნებითვე დავ ძალითვე აღვდგე. როდესაც ნახავთ, რომ მე დამსჯიან და ჯვარზე გამაკრავენ, არ იფიქროთ, თითქოს ეს ჩემ წინააღმდეგ აღძრულმა ადამიანებმა თავიანთი ძალმოსილებით გააკეთეს; ეს ყველაფერი ჩემი ნებით მოხდებაო. მაცხოვარი აქ კიდევ ერთხელ გვიჩვენებს თავის ღვთაებრიობას, ყოვლისშემძლეობასა და თანასწორობას — ერთარსობას მამასთან. ■

„საიდუმლო კუნძულზე“ დიდხანს ვცხოვრობდი“

„ბოლოს წიგნი როდის წავიკითხე, არ მახსოვს. სამსახურში ტვინი ისე მეღლება, რომ საღამოს კითხვის თავი აღარ მაქვს — წიგნის წაკითხვას კი ვცდილობ, მაგრამ მეძინება ხოლმე“, — აღიარა „კომედი-შოუს“ მსახიობმა, ნიკა გრიგოლიამ. ბავშვობაში აქტიური მკითხველი ყოფილა. ცოტა უცნაურია, მაგრამ კითხვაც და მეცადინეობაც სახლის სახურავზე ჰყვარებია. ყველაზე ხშირად სათავგადასავლო ლიტერატურას ეცნობოდა, მოგზაურთა ცხოვრებისეული ამბები იტაცებდა. ამბობს, რომ არასდროს „გაიზრდება“ — მისი საყვარელი ავტორი ჟიულ ვერნია.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ჟიულ ვერნმა რით დაგაინტერესა?

— მის „საიდუმლო კუნძულზე“ დიდხანს ვცხოვრობდი. ამ ავტორს დღესაც ისე შევიგრძნობ, როგორც ბავშვობაში. ჟიულ ვერნის ამა თუ იმ ნაწარმოების კითხვისას მის გმირებს ავედევნებოდი ხოლმე და მათ თავგადასავალს ისე განვიცდიდი, როგორც საკუთარს.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— მეგობრობის რა მოგახსენოთ, მაგრამ სიამოვნებით ვიმოგზაურებდი ჟაკ ივ კუსტოსთან ერთად.

— წიგნი მოგიპარავს?

— არა... წიგნი საჩუქრად არაერთხელ მიყიდია. მახსოვს, რუსეთში „კავეენზე“ რომ დავდიოდით, ერთი გოგო მომეწონა და მასთან ერთად გავისეირნე. მას თვალი გასაყიდად გამოტანილი წიგნებისკენ გაექცა, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი მათგანით დაინტერესდა და მეც ვუყიდე. სხვათა შორის, წიგნებს მეც მჩუქნიან ხოლმე.

— დასვენებას სად აპირებ?

— ევროპის რომელიმე ქვეყანას ვესტუმრები. ბათუმი სიგიჟემდე მიყვარს, მაგრამ ზაფხულში — არა, იქ ვერ ვისვენებ. ზამთარში მივდივარ ხოლმე, მეგობრებს ვნახულობ, კლუბებში შევდივარ, ცოტა ალკოჰოლს ვწრუპავ. მოკლედ, 2-3 დღე კარგად ვერთობი. ვისვენებ მაშინ, როცა საქართველოდან მივდივარ.

— ბევრ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?

— 25-მდე ქვეყანაში და ჯერ არ მომხდარა, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას ქართველები არ შემხვედროდნენ.

— უცხო ქვეყანაში ფულის გარეშე დარჩენილხარ?

— (*იცინის*) ეს რა გამახსენე. ერთხელ თბილისში მთვრალს დამეძინა და დილით ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქში გამეღვიძა. ჯიბეში ორი 10-ლარიანი მქონდა. მეგობრებმა მიშველეს. სხვათა შორის, იქაც კარგად გავერთე და 2 დღეში სამშობლოში დავბრუნდი.

— ისტორიულ წყაროებში საქართველოს ეს ქალაქი პირველად XVI საუკუნის 60-იან წლებში მოიხსენიება; ამავე საუკუნის 20-იან წლებში კი იქ კაზაკთა ჯარის პოსტი იყო. ქალაქად 1926 წელს გამოცხადდა. მცირე ხნის განმავლობაში რევოლუციონერის — ჯუღელის სახელს ატარებდა. ისტორიული სახელწოდება მალე დაიბრუნა. ზღვის დონიდან 160 მეტრზე მდებარეობს. რომელ ქალაქზეა ლაპარაკი?

— ე.ი. დასავლეთ საქართველოშია. ზღვასთან ახლოსაა?

— არა.

— წარმოდგენა არა მაქვს.

— არადა, იქ დაიბადე და გაიზარდე. ეს ინტერვიუ თუ წაიკითხეს, ზესტაფონში აღარ ჩაგიშვებენ.

— მართლა? ვაა!!! პირველად გავიგე.

— ლეგენდის თანახმად, ზესტაფონის მიდამოები ტყითა და ჭაობით იყო დაფარული. მოსახლეობა სახლების გადასახურად ყავარს აკეთებდა და ამიტომაც, ერთ-ერთ უბანს ეწოდა...

— საყვარია.

— როგორ მოიხსენიებდნენ ამ ადგილს 1921 წლამდე?

— არ ვიცი.

— ყვირილა.

— ჩემს ქალაქზე რამდენი რამ არ მცოდნია. მადლობა, რომ მასწავლე. რაც შენ მითხარი, ეს ბევრ ზესტაფონელს არ ეცოდინება.

— კარგი, ახლა ზესტაფონიდან ევროპაში გადავიანაცვლოთ. მას უწოდებენ ყველაზე დიდ სახელმწიფოს ჯუჯათა შორის.

— პატარა ევროპულ ქვეყნებს გავიხსენებ და გიპასუხებ.

— მიგანიშნებ, მისი დედაქალაქი ქვეყნის სახელს ატარებს.

— ლუქსემბურგი.

— გამოიცანი. ეს ნაწარმი აბრეშუმის უწვრილესი ძაფებით, ნაწილ-ნაწილ იქსოვებოდა. მისი მოქსოვის ტექნოლოგია XVI საუკუნის დასაწყისში ერთმა პარიზელმა მკერავმა შექმნა. დაასახელე მისი გვარი.

— ახლაც ქსოვენ თუ უკვე დავიწყებას მიეცა?

— ქსოვენ.

— გობელენი, ასეა?

— დიახ. ადამიანის ამ ორგანოს 24 კუნთი აქვს და ყველაზე სწრაფად მოძრაობს. რომელ ორგანოზეა ლაპარაკი?

— გულზე.

— ცდები, სწორი პასუხია — ენა.

— ზოგს ენაზე მეტი კუნთიც ექნება (*იღიმის*).

— ერთხელ ჰიპოკრატეს ჰკითხეს: „მართალია, რომ გენიალურობა ავადმყოფობაა?“ — დიახ, — უპასუხა მან. — ეს იშვიათი ავადმყოფობაა და სამწუხაროდ, არ არის...“

— „...გადამდები“.

— არსებობს მთა ტონგა, რომელიც მცირედით პატარაა ევერესტზე, მაგრამ მას ჩვენ ვერ ვხედავთ. რატომ?

— აქედან ვერ ვხედავთ?

— აქედან კი არა, საერთოდ ვერ ვხედავთ.

— ნუ გადამრიე, ევერესტის სიმაღლეა და ვერ ვხედავთ? (*პაუზის შემდეგ*) ა! მივხვდი, წყალქვეშ იქნება.

— გამოიცანი. იქნებ ისიც მითხრა, სად მდებარეობს?

— მაგდენი არ ვიცი, რომელიმე ოკეანეში იქნება.

— წყნარ ოკეანეშია. როცა ეს ადამიანი კანის ფესტივალზე მოხვდა, სმოკინგის უქონლობის გამო, კედლიდან წარწერა — „ნო სმოკინგ“ — მოხსნა და ფესტივალზე ისე შევიდა. დაასახელე ეს პიროვნება.

— ვერ გიპასუხებ.

— სერგო ფარაჯანოვი. რას უწოდა ამერიკელმა პუბლიცისტმა ვენს პაკარდმა „ხელოვნება დაუმიზნო თავში და მოარტყა საფულეში“?

— როგორ? (*კითხვის გამეორების შემდეგ*) არ მითხრა, გამოვიცნობ.

— მიგანიშნებ, ის გვხვდება ტელევიზიაში, პრესაში, ქუჩაშიც...

— რეკლამა. მაგარი ნათქვამია, მომეწონა.

— ბოდრუმი თურქეთის ცნობილი პატარა ქალაქია. მსოფლიოს 7 საოცრებიდან ერთ-ერთი ამ ქალაქში იყო. დღეს მისი ნანგრევების მოსანახულებლად ბევრი ტურისტი მიდის. დაასახელე ეს საოცრება.

— ვერ დავასახლებ.

— ჰალიკარნასის მავზოლეუმი. ერთხელ კომპოზიტორმა ჯუზეპე ვერდიმ განაცხადა, რომ ეს არის მუსიკის ზოგიერთი სახეობის განუყოფელი ნაწილი და მისი პარტიტურაში ჩაწერაც კი მოითხოვა. რის შესახებ ლაპარაკობდა ვერდი?

— მინიშნებას ვერ მეტყვი?

— ამ რაღაცას თქვენც იღებთ ხოლმე.

— აპლოდისმენტები. სისულელეს ვამბობ?

— არა, ეს სწორი პასუხია. კოლექციონერები მათ ხელში ჩასაგდებად საათობით დგანან რიგში, წერენ წერილებს და ზოგჯერ, ქურდობასაც არ ერიდებიან. რაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— ავტოგრაფებზე, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე მათი 85% ყალბი ყოფილა.

— მართლა? დღეს რამდენი რამ გავიგე.

— ავტოგრაფს შენც ხშირად გთხოვენ?

— თითქმის ყოველდღე, მაგრამ მე ისეთი მეთოდი მაქვს შემუშავებული, რომ ჩემს ავტოგრაფს ვერ გააყალბებენ.

— ასეთს რას აკეთებ?

— საავტორო, თმაგაბურძგნილი „სმაილი“ მაქვს.

— ეს მუსიკალური საკრავი ორნაირია — ენიანი და უენო.

— საქსოფონი.

— ცდები, ის ხალხურ საკრავებში შედის.

— სალამური.

— საუდის არაბეთში ეს უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ნავთობი.

— წყალი.

— და-ძმა ერთ ოთახში არიან. ძმა კომპიუტერთან ზის და თამაშობს, ხოლო და — წიგნს კითხულობს. სინათლე ითიშება, ძმა თამაშს წყვეტს, და კი წიგნის კითხვას აგრძელებს. როგორ?

— (*ფიქრობს*) ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ დღეა და წასაკითხად განათება არ გჭირდება.

— გამოიცანი. წამში ერთხელ არის და წუთშიც, მაგრამ თვეში არ არის, წელიწადში კი ორჯერაა. რა არის?

— რაო, რაო, როგორ თქვი (*იცინის*)?

— გაგიმეორო?

— (*პაუზის შემდეგ*) არა, მივხვდი „წ“ ასოზეა ლაპარაკი.

— ყოჩაღ! შემდეგი შეკითხვა კი ასეთია: დაასახელე ცხოველი, რომელსაც ხტომა არ შეუძლია.

— სპილო.

— ის თუ იცი, რა არ შეუძლია ნიანგს?

— არა.

— ენის გამოყოფა.

— ვაა!!! (*იცინის*) რა კარგ ხასიათზე დამაყენე. ასეთი კითხვები ბლომად გაქვს?

— საკმაოდ. რატომ მეკითხები?

— ერთი იდეა უნდა მოგაწოდო: შეგიძლია მიიღო ადამიანები, რომლებიც თავიანთ ცოდნას, ინტელექტს, სწრაფი აზროვნების უნარს გადაამოწმებენ და ამაში ფული გადაახდევინე, თუნდაც — 100 ლარი. ცუდია?

— შენ ამაში ფულს გადაიხდიდი?

— რატომაც არა?! რამდენიმე წუთში იმდენი რამ მასწავლე...

— იდეისთვის მადლობა. დროა, შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ. ამ სითხეს ბერძენი ჰიპოკრატე მედიკამენტის სახით არაერთ დაავადებასთან საბრძოლველად იყენებდა. რომელ სითხეზეა ლაპარაკი?

— ალკოჰოლურია?

— დიახ.

— ღვინო.

— ალკოჰოლთან „მეგობრობ“?

— ერთი პერიოდი ღვინო არ მიყვარდა, სხვა ალკოჰოლურ სასმელზე კი უარს არ ვამბობდი. ახლა ჩემი მეგობრები „ვინოთეკაში“ მუშაობენ და მათთან რომ მივდივარ, ღვინოს ვწრუპავ ხოლმე ანუ ღვინის გემო გავიგე. ისინი, ვინც სუფრასთან სხდებიან და ამ სასმელს ლიტრობით ისხამენ, იმის გაგებაში არ არიან, თუ როგორ უნდა დალიო ღვინო: ჯერ სურნელი უნდა შეიგრძნო, მერე ნელ-ნელა მოსვა, დაგემოვნო. მერწმუნეთ, სწორედ ამას აქვს მუღამი და არა — 5 ლიტრის ჩასხმას.

— თავად ბევრი არასდროს დაგილევია?

— ალკოჰოლით გავთიშულვარ კიდეც, მაგრამ ღვინით — არა. ნასვამი კიდევ უფრო მხიარული და ენერგიული ვხდები.

— XVII საუკუნეში რომელია ისეთი წელი, რომელიც თავდაყირა რომ დააყენო, მაინც არ შეიცვლება.

— 1661.

— ცდები, თავდაყირა რომ დავაყენოთ 1991 გამოდის.

— მართალია (კალამს და ფურცელს იღებს, წერს 16-ს, მერე ფურცელს აყირავებს და ისევ 16-ს წერს) 1691 გამოვიდა.

— ზესტაფონი, ქუთაისი, თბილისი, გორი — ამ ქალაქებიდან, რომელია ყველაზე ძველი?

— ზესტაფონი არ არის. ქუთაისი იქნება.

— დაბოლოს, დაასრულე აინშტაინის ცნობილი გამონათქვამი: „ინტელექტუალები წყვეტენ პრობლემებს, ხოლო გენიოსები...“

— ეს გამონათქვამი არ ვიცი,

— „...თავიდან იცილებენ“.

■

„ბადაბერის აჯანყების გამო განგაში 5-6 საათს გრძელდებოდა“

პაკისტანის ყიშლაყ ბადაბერის მახლობლად ტყვეთა ბანაკში 1985 წლის 26 აპრილს მომხდარი აჯანყების შესახებ გამოქვეყნებულ ჩემს სტატიას („გზა“, №27) მალევე მოჰყვა გამოხმაურება — რედაქციაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და მთარგმნელი, თეიმურაზ ნადარეიშვილი გვესტუმრა. მას საბჭოთა არმიაში სამსახურმა სწორედ მაშინ მოუწია, როდესაც უსახელო ქართველმა ტყვეებმა ავღანელი მოჯაჰედების წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყეს, ბანაკის რადიოსადგური აიღეს და შეეცადნენ, საბჭოთა სარდლობას დაჰკავშირებოდნენ, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო.

თეიმურაზ ნადარეიშვილი (მარჯვნივ) ჯარში, ამხანაგთან ერთად

მიხეილ ლაბაძე

ბატონი თეიმურაზი კავშირგაბმულობის ნაწილში მსახურობდა. მისი ვარაუდით, საბჭოთა რადიოსადგურებმა ტყვეთა გამოგზავნილი სიგნალი დააფიქსირეს და როგორც წესი, ამის თაობაზე უმაღლეს სარდლობას აცნობეს. თუ რა მოხდა ამის შემდეგ ერთ-ერთ საბჭოთა სამხედრო ბაზაზე, სადაც თეიმურაზ ნადარეიშვილი მსახურობდა, ამას უშუალოდ მისგან შეიტყობთ.

თეიმურაზ ნადარეიშვილი:

— 1979 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დავამთავრე და როგორც წესი, ლეიტენანტის წოდება მომენიჭა. ჩვენ კავშირგაბმულობის ჯარების შორეული კავშირის (კავშირგაბმულობაში შორ მანძილად 2 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი მიიჩნევა) რეზერვის ოფიცრებად ვითვლებოდით და ამის გამო, 1985 წლის აპრილში, რეზერვში მეორედ გამოგვიძახეს. ეს იყო 55-დღიანი შეკრება, რომელიც ტარდებოდა სომხეთში, ქალაქ კიროვაკანში. იქ რეზერვისტები მთელი ამიერკავკასიიდან იყვნენ ჩამოსული — სულ, ალბათ, 100 კაცამდე ვიქნებოდით. ჩვეულებისამებრ, გვავარჯიშებდნენ, გვამეცადინებდნენ, მაგრამ ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, განგაში გამოცხადდა...

— განგაშის მიზეზი რა იყო?

— ზედმეტი ახსნა-განმარტება არ დაუწყიათ: ყაზარმებში შეგვიყვანეს და გვითხრეს, ჩაიცვითო; თან მშრალი საკვები დაგვირიგეს და გაგვაფრთხილეს, — მზად იყავით და შემდგომ ბრძანებას დაელოდეთო. იმ დროს ავღანეთში ომი იყო და ჩვენ, რაღა თქმა უნდა, დავიძაბეთ. გაგონილი კი გვქონდა, რომ მათ, ვინც ავღანეთში მიჰყავდათ, ჯერ შუა აზიაში, მოსამზადებელ ცენტრში გზავნიდნენ და მერე გადაჰყავდათ იქ, თუმცა ისეც ხდებოდა, რომ ზოგჯერ ბიჭები პირდაპირ მიჰყავდათ. რამდენადაც რეზერვის ოფიცრები ვიყავით, ვიფიქრეთ, რომ სწორედ ასე — პირდაპირ წაგვიყვანდნენ. განგაში 5-6 საათი გრძელდებოდა; ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გაურკვევლობაში ვიყავით...

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს განგაში ბადაბერის აჯანყებას უკავშირდებოდა?

— დიახ, მაგრამ მაშინ ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს. უკვე ყველა და ყველაფერი მზადყოფნაში იყო, მანქანებიც კი დაქოქილი გვყავდა, როცა განგაში ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო. ვინაიდან არაფერს გვეუბნებოდნენ, ვიმარჯვეთ და ერთ-ერთ იქაურ სამხედროს — ეროვნებით სომეხ პრაპორშჩიკს ვკითხეთ, რა ხდებოდა. მასთან ძალიან ახლოს ვიყავით და ამიტომაც, საიდუმლო გაგვანდო: — ავღანეთში, სადღაც ყანდაარის სიახლოვეს ტყვეების აჯანყება მოხდა და იქ გადასაყვანად გვამზადებდნენო; თუმცა, თავადაც ვერ მიხვდა, რატომ შეწყდა განგაში და მისთვის აღარც ჩვენ გვიკითხავს რაიმე. ახლა — 26 წლის შემდეგ, როცა თქვენი სტატია წავიკითხე, მივხვდი, რაშიც იყო საქმე: როგორც ჩანს, ბადაბერში გადასასხმელად გვამზადებდნენ, მაგრამ მერე თავი შეიკავეს...

— თქვენი აზრით, ბადაბერის ტყვეთა ბანაკში მომხდარი მოვლენების შესახებ საბჭოთა კავშირში მაშინვე შეიტყვეს?

— ამაზე დარწმუნებით ვერაფერს გეტყვით, თუმცა ვვარაუდობ, რომ აჯანყებულთა მიერ გაშვებული SOS-სიგნალი საბჭოთა რადისტებმა დააფიქსირეს და ცხადია, ცენტრს გადასცეს, მაგრამ ვინაიდან ამ ინციდენტის გახმაურება ხელს არავის აძლევდა, შესაბამისი ზომების მიღება გადაიფიქრეს. სხვათა შორის, იმ პრაპორშჩიკის გარდა, მეთაურებსაც ვკითხეთ, რა ხდებოდა, მაგრამ ხმაც კი არ გაგვცეს...

— შეგიძლიათ, უფრო დაწვრილებით მოგვიყვეთ, სახელდობრ, რა გითხრათ იმ სომეხმა პრაპორშჩიკმა?

— გვითხრა, — სადღაც ყანდაართან ახლოს (*სინამდვილეში, ბადაბერი ყანდაარიდან მოშორებით, თანაც — პაკისტანის ტერიტორიაზე მდებარეობს. — ავტ.*), ტყვეთა ბანაკში, აჯანყება მომხდარა და ამასთან დაკავშირებით მთელ საბჭოთა კავშირში მობილიზაციაა გამოცხადებული და რა ნაწილიც დასჭირდებათ, სწრაფადვე უნდა გადაისროლონ ავღანეთშიო. მან ისიც გაგვიმხილა, რომ მეთაურებმაც კი არ იცოდნენ, თუ რას აპირებდა სარდლობა...

— თავად ხომ არ ყოფილხართ ავღანეთში?

— არა. რაც ავღანეთთან მაკავშირებს, მხოლოდ ეს ეპიზოდია. თქვენი სტატია კი მართლაც, ძალიან საინტერესო იყო.

— დიდი მადლობა. ადრე არასოდეს გსმენიათ ბადაბერის აჯანყების შესახებ?

— მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მის შესახებ რუსებმა რამდენიმე ფილმი გადაიღეს, მაგრამ არც მიფიქრია, თუ სარეზერვო შეკრების დროს გამოცხადებული განგაში ამ აჯანყებას უკავშირდებოდა. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ექვსი საზაფხულო საფრთხე

ზოგიერთი ადამიანი, მოუცლელობის გამო, მთელ ზაფხულს ქალაქში ატარებს, უწევს გავარვარებულ სახლსა თუ ოფისში ყოფნა და ვინ მოთვლის, სულის მოსათქმელად რას აღარ იგონებს. ჰოდა, ახლა სწორედ მათ საყურადღებოდ ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ დავიზღვიოთ თავი რამდენიმე სეზონური უსიამოვნებისგან.

საფრთხე I — კონდიციონერი

არასწორად გამოყენების შემთხვევაში კონდიციონერი ისეთივე საშიშია, როგორიც გახურებული უთო ან გაზქურა.

კონდიციონერმა შეიძლება, გაგვაცივოს. მისგან გამოდინებული ცივი ჰაერის ნაკადი ისევე საშიშია, როგორც ორპირი ქარი.

ზოგიერთ კონდიციონერში არაჩვეულებრივად მრავლდება ბაქტერია ლეგიონელა, რომელიც აღწევს წყლის აეროზოლში და ცივი ჰაერის ნაკადთან ერთად გარემოში იფანტება. ეს ბაქტერია იწვევს ისეთ მძიმე დაავადებას, როგორიცაა ლეგიონელოზი, რომელიც სიმპტომებით ფილტვების ანთებას ან ბრონქიტს მოგვაგონებს. ლეგიონელოზს მკვეთრი სეზონურობა ახასიათებს. აფეთქება უმეტესად, ზაფხულობით შეინიშნება, რაც სწორედ კონდიციონერების ინტენსიური ამუშავების ბრალია.

გამოსავალი: არ დასხდეთ კონდიციონერთან ახლოს და არც მეტისმეტად დაბალ ტემპერატურაზე დააყენოთ იგი. გახსოვდეთ, ზაფხულში გარემოსა და ოთახს შორის ტემპერატურული სხვაობა 4-5 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს — ასეთ შემთხვევაში გადახურებაც და გადაცივებაც გამორიცხულია.

ლეგიონელასგან თავის დასაზღვევად შეიძინეთ კონდიციონერი, რომელიც ბაქტერიასაწინააღმდეგო ფილტრითაა აღჭურვილი.

საფრთხე II — ორპირი

სიცხეში სუსტი სიოც კი ბუნების საჩუქრად აღიქმება, ორპირი ქარი კი საერთოდ, სასწაულია, მაგრამ არცთუ უვნებელი სასწაული.

სიცხეში, როდესაც სხეული გადახურებული და გაოფლილია, ზურგის, კისრისა და წელის კუნთებისთვის ნიავიც კი საშიშია. სავსებით შესაძლებელია, გაციოთ ნერვები და მეტიც, არც ფილტვების ანთებაა გამორიცხული.

გამოსავალი: ორპირის მოწყობა მხოლოდ შენობის განიავებისასაა რეკომენდებული. ამ დროს ჯობს, ოთახიდან გახვიდეთ. ვენტილატორი კი სასურველია, თქვენგან 1,5-2 მეტრის მოშორებით დადგათ.

საფრთხე III — ნაყინი

სიამოვნების რამდენიმე წუთი შეიძლება, ორკვირიან ანგინად შემოგვიბრუნდეს. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ნაყინი მეტისმეტად კალორიულია.

გამოსავალი: ნაყინი კი არ მოკბიჩოთ, არამედ ლოკეთ — ასე სიამოვნებასაც გაიხანგრძლივებთ და ყელსაც არ გაციებთ. თუ გახდომაც გსურთ, ნაკლებცხიმიანი ნაყინი მიირთვით.

საფრთხე IV — FAST FOOD

თუ დილას წახემსება ვერ მოასწარით და ვერც სადილად მოსწყდით საქმეს, საღამოს შიმშილის გრძნობა ყველა ინსტინქტს გადაწონის, მაგრამ გახსოვდეთ, სწრაფი კვების ობიექტებს სათოფეზეც არ უნდა გეკაროთ. წარმოიდგინეთ, რომ ეს სოსისი მთელი დღე, 30-გრადუსიან სიცხეში იდო და მადა უმალვე დაგიცხრებათ.

გამოსავალი: თუ შიმშილს ვერ უმკლავდებით, მიირთვით ისეთი საკვები, რომელიც არ ფუჭდება: ორცხობილა ან მარილიანი ჩხირები. თუ თქვენი პრეტენზიული კუჭი მხოლოდ ხორცს მოითხოვს, შებრძანდით კაფეში — იქ იმის გარანტია მაინც გექნებათ, რომ ყველა პროდუქტი ახალია.

საფრთხე V — ალკოჰოლი

ზაფხულში დალევის საბაბს რა გამოლევს? ერთი თანამშრომლის შვებულებიდან დაბრუნება, მეორის — დასასვენებლად გამგზავრება, მეგობრების დაბადების დღეები ან უბრალოდ, უქმეები. მნიშვნელობა არა აქვს, რას მიირთმევთ — არაყს, ღვინოს, ლუდსა თუ კოქტეილს, სიცხეში ალკოჰოლის მინიმალურმა დოზამაც კი შეიძლება, სავალალო შედეგი გამოიღოს: საერთო სისუსტით დაწყებული, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით დამთავრებული.

გამოსავალი: არავინ გაიძულებთ, დარჩენილი ცხოვრება ფხიზელმა გაატაროთ. სვით მხოლოდ ჩრდილში, უმჯობესია, მზის ჩასვლის შემდეგ და არამც და არამც — მშიერ კუჭზე.

საფრთხე VI — ორგანიზმის გაუწყლოება

თუ საღამოს შეზარხოშებული დაწექით, დილით კი მხოლოდ მაგარი ყავით ისაუზმეთ, ბუნებრივია, უგუნებოდ იქნებით, გადაქანცულ სახეზე კი თვალებქვეშ მუქი რგოლები გაგიჩნდებათ — ეს ორგანიზმის გაუწყლოების ბრალია.

ზოგიერთი ცდილობს, სიცხეში ცოტა წყალი დალიოს, რომ არ გაოფლიანდეს. ეს შეცდომაა — თქვენ მაინც გაოფლიანდებით, თანაც ორგანიზმი სითხის გამოდევნას სასიცოცხლო მარაგიდან დაიწყებს.

გამოსავალი: სიცხეში ადამიანს გაცილებით მეტი სითხე სჭირდება, მაგრამ არა ყოველგვარი. ერიდეთ მაგარ ყავას, ჩაის და ნებისმიერ სხვა კოფეინიან სასმელს. სასარგებლოა უგაზო მინერალური წყალი და მწვანე ჩაი. ეცადეთ, დღეში 2 ლ სითხე მაინც მიიღოთ. ამ ოდენობაში შედის წვნიანი კერძები, მაწონი და ხილიც. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეთევანი თქარ ივანიძე

1. მაია ჩიბურდანიძე ქუთაისშია დაბადებული.

2. ავთანდილ ცქვიტინიძე განათლებით მხატვარია.

3. ალ კაპონე 1947 წელს, საკუთარ ვილაში მოკვდა.

4. ხიმში და უყეში სოფლებია ამბროლაურის რაიონში.

5. სუხორუკი რუსი სახალხო გმირის, კუზმა მინინის ნამდვილი გვარია.

6. შამპანური რენეტი, იგივე „ბროდსკი“ ვაშლის დასავლეთევროპული ჯიშია.

7. შაითანი ავი სული, დემონი, ეშმაკი და სატანაა მუსლიმანურ მითოლოგიაში.

8. „ნელზია იზ ჩელოვეკა სდელატ დურაკა, იესლი ონ უჟე დურაკ“, — ამბობენ რუსები.

9. თანამედროვე ცხვარი 8 ათასი წლის წინ მოშინაურებული მუფლონის შთამომავალია.

10. განთქმული დამასკური ხმლების დამზადების ტექნოლოგია XVI საუკუნეში დაიკარგა.

11. „ცისანა“ ბალახოვან მცენარეთა გვარია ლაშქარასებრთა ოჯახისა; მას მეორენაირად „კესანეს“ ეძახიან.

12. მომღერალი თეოდორ შალიაპინი ბავშვობაში მეწაღის შეგირდად, შემდეგ კი გადამწერად მუშაობდა, თან — საეკლესიო გუნდში მღეროდა.

13. „იქნებ არც ისე დიდი იყო აქილევსი, მაგრამ დიდ მაქებელს შეხვდა ჰომეროსის სახით“, — ამბობდა ალექსანდრე მაკედონელი.

14. ტერორისტული აქტების გახშირების გამო, 2006 წლიდან მოყოლებული, ტაჯ-მაჰალი და მისი მიმდებარე ტერიტორია მავთულხლართებით არის შემოღობილი და 24-საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

15. ავსტრალიაში მობინადრე მექოხია მგალობელი ფრინველია. გამრავლების პერიოდში დედალი პარტნიორის მისაზიდად მიწაზე ცრუბუდეებს აშენებს, რომელშიც ლურჯ და მომწვანო ფერის ნივთებს ეზიდება. ამგვარ ბუდეებში ორნითოლოგებს სხვადასხვა დროს აღმოუჩენიათ სამშენებლო მასალად გამოყენებული სარეცხის სამაგრები, პლასტმასის ბოთლის სახურავები, კბილის ჯაგრისი, პრეზერვატივის შესაფუთი ქაღალდი და ათდოლარიანი კუპიურაც კი. ერთხელ ერთმა მექოხიამ ბუდეში საიდანღაც, კაზინოს პლასტიკური „ფიშკების“ მთელი არსენალი მიზიდა. რამდენიმე დღეში კი ეს „ფიშკები“ ყველა ბუდეში იყო ჩაკერებული, რაც იმის უტყუარი ნიშანი გახლდათ, რომ მამრები ერთმანეთს საშენ მასალას ჰპარავდნენ.

ლამბლიოზი — უმარტივესებთან ბრძოლის ტაქტიკა

ლამბლიები უმარტივესი მიკროორგანიზმები არიან. ეს ციცქნა პარაზიტები ყველაზე მეტად, 2-დან 5 წლამდე პატარებს ემტერებიან. ჭუჭყიანი ხელებიდან ორგანიზმში მოხვედრილები ნაწლავებში იდებენ ბინას და იწყება: კუჭ-ნაწლავის მოშლილობა, ხანგრძლივი მოუწესრიგებელი კუჭის მოქმედება — ხან შეკრულობა, ხან — ფაღარათი; მუცლის ტკივილი, უმადობა, ძილის დარღვევა... მიზეზის დადგენა კი ზოგჯერ, საკმაოდ ძნელია.

არც ისე მარტივები უმარტივესები

ლამბლიებს უმარტივესებად კი მოიხსენიებენ, მაგრამ მათ ერთი საოცრად მზაკვრული თვისება აქვთ: როგორც კი არახელსაყრელ გარემოში მოხვდებიან, გარსს იკეთებენ და ცისტებად გადაიქცევიან, ცისტები კი მოგეხსენებათ, ბევრად უფრო გამძლენი და სიცოცხლისუნარიანნი არიან. ასეთ მდგომარეობაში ისინი წყალში 5 კვირას ძლებენ, ნიადაგში — 3 კვირას, ხილსა და ბოსტნეულზე კი 2 დღეც შეუძლიათ იარსებონ.

ზრდასრულ ადამიანს ლამბლიებიანი ვაშლის ჭამამ შეიძლება, ვერც ვერაფერი დააკლოს — მისი კუჭის წვენი იოლად მოერევა ბოროტმოქმედს, პატარებს კი შედარებით დაბალი კუჭის მჟავიანობა აქვთ და ლამბლიასაც ამ ბიოქიმიური ბარიერის გადალახვა ისე არ უჭირს. გარდა ამისა, შოკოლადებსა და ნამცხვრებზე ლამბლიებიც გიჟდებიან — ტკბილი გარემო მათ ცხოველმყოფელობისთვის შესანიშნავ პირობებს უქმნის.

როგორ მოვიქცეთ

ეცადეთ, ბავშვს ჩააგონოთ, რომ ყველაფრის და მათ შორის, დაუბანელი ხელების პირში ჩადება არ შეიძლება. თავად ადევნეთ თვალყური მის სისუფთავეს და ყოველი ჭამის წინ ან შინ შემოსვლისას დააბანინეთ ხელი, რაც თანდათანობით, ჩვევად ექცევა.

საგულდაგულოდ გარეცხეთ ხილი და ბოსტნეული, რომელიც ბავშვმა უმად უნდა მიირთვას. უკეთესი იქნება, თუ მათ მდუღარე წყალსაც გადაავლებთ. შეიძლება, დამდუღრული ყურძნის მტევანი ცოტა უცნაური მოგეჩვენოთ, მაგრამ დაიხსომეთ: პატარას ინფიცირებისთვის ათი ცისტაც კმარა.

დივერსანტების მთელი ჯარი

ლამბლია ბავშვის ორგანიზმში მოხვედრისთანავე გასაოცარი სისწრაფით იწყებს დაყოფას, სახლდება თორმეტგოჯა ნაწლავში, წვრილი ნაწლავის ზედა ნაწილში და სანაღვლე სადინარებშიც კი. მართალია, ამ პარაზიტს ნაღვლის წვენი ანადგურებს, მაგრამ მასთან ერთად მეორეული ბაქტერიული ინფექციაც ხვდება, რაც თავის მხრივ, ქოლეცისტიტს (ნაღვლის ბუშტის ანთებას) და სანაღვლე გზების დისკინეზიას იწვევს.

ნაწლავის 1 კვსმ-ზე მილიონამდე ლამბლიამ შეიძლება დაიბუდოს, ეს უზარმაზარი ლაშქარი კი ნაწლავის კედელზე არსებულ ხაოებს აზიანებს და კედლისმიერი მონელების პროცესს არღვევს; უფრო მძიმე შემთხვევებში კი ვითარდება ფერმენტული უკმარისობაც, ფერხდება ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მიკროელემენტების შეწოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ საკვები ბავშვის ორგანიზმში ვერ შეაღწევს.

შეტევა დაიწყო

ადვილად დაღლა, გაღიზიანებადობა, ყურადღების გაფანტვა, თავის ტკივილი, უმადობა, არარეგულარული კუჭის მოქმედება — აი ლამბლიოზის პირველი და ყველაზე ზოგადი ნიშნები.

ზოგჯერ ინვაზია აშკარა გამოვლინებების გარეშე მიმდინარეობს და სიმპტომები მხოლოდ სხვა დაავადების გადატანის შემდეგ მეჟღავნდება. ეს იმიტომ, რომ როცა იმუნიტეტი სუსტდება, ლამბლიები მაშინვე აქტიურდებიან და მათი არსებობა თვალსაჩინო ხდება. ინფექცია მწვავედაც შეიძლება დაიწყოს, რაც ინფიცირებიდან 1-3 კვირის შემდეგ ხდება: საერთო მდგომარეობა მკვეთრად უარესდება, თავს იჩენს მწვავე გასტროენტერიტი, ბავშვს აწუხებს გულისრევის შეგრძნება, საჭმელს აღარ ეკარება, იშვიათად, მაგრამ მაინც აწუხებს ღებინება, აღენიშნება ტკივილი მუცლის ზემო ნაწილში და ჭიპთან. ტკივილი მეტწილად, სუსტი და მღრღნელია, იშვიათად — მოვლითი, შეტევისმაგვარი. ძლიერდება აირების წარმოქმნის პროცესი, რის გამოც პატარას მუცელი შებერილი აქვს, ისმის ყურყურიც; დამახასიათებელია ბოყინი (ლაყე კვერცხის სუნით); ბავშვი დღეში რამდენჯერმე გადის კუჭში, მოყვითალო-მომწვანო, ქაფიანი განავლით, რომელიც დიდი რაოდენობით ლორწოს შეიცავს; ავადმყოფი ბევრ სითხეს კარგავს, კანი უშრება, თვალები უცვივდება და თვალსა და ხელს შუა ხდება — ეს მწვავე პერიოდია, რემისიის დროს (დაავადების დროებითი ჩაწყნარებისას) კი, აშლილობის ნაცვლად, ყაბზობისადმი მიდრეკილება ჩნდება. თავს იჩენს ქრონიკული ინტოქსიკაციის ნიშნები — მადისა და წონის

დაქვეითება, საერთო სისუსტე, სილურჯე თვალების ირგვლივ, გაღიზიანებადობა და ადვილად დაღლა.

როგორ მივაგნოთ ეჭვმიტანილს

ეს არც ისე ადვილია. ლამბლიის ცისტები ფეკალიებთან ერთად გამოიყოფა, თუმცა განავლის ანალიზით მათი აღმოჩენა ყოველთვის ვერ ხერხდება. ასე რომ, ანალიზის უარყოფითი პასუხი ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, საჭიროა განმეორებითი ანალიზი.

მათი აღმოჩენის ალბათობა მეტია თორმეტგოჯა ნაწლავის წვენში, ამიტომ ორივე ანალიზის ერთდროულად ჩატარება გამომწვევის დადგენის შანსს ზრდის.

მატარებლობა

ხანგრძლივი არარეგულარული კუჭის მოქმედება სავსებით საფუძვლიანი მიზეზია იმისთვის, რომ ლამბლიოზზე გაგიჩნდეთ ეჭვი. ერთი შეხედვით, ასეთი უსიმპტომო მატარებლობა ირგვლივ მყოფთათვის საკმაოდ საშიშია — ბავშვი, რომელსაც პრაქტიკულად, ჯანმრთელად მიიჩნევენ, ინფექციის აქტიური წყაროა და შეუძლია შინ ან საბავშვო ბაღში სხვები დაასნებოვნოს. იგი ყოველდღიურად 18 მილიარდ (!) ცისტას გამოყოფს, ინფიცირებისთვის კი, როგორც გითხარით, ათიოდეც საკმარისია.

ბრძოლის ტაქტიკა

თუ ეჭვი ანალიზმაც დაადასტურა, მაშინ დროა, მკურნალობა დაიწყოთ, ოღონდ — კურსი აუცილებლად ექიმმა უნდა დაგინიშნოთ, თქვენი მოვალეობა კი მისი რეკომენდაციების პირნათლად შესრულებაა.

იმ შემთხვევაში, თუკი დიაგნოზი დროულად დაისმევა და დანიშნულებაც ზუსტად შესრულდება, დაავადებას იოლად დაამარცხებთ — 48 საათში კლინიკური ნიშნები გაქრება, 10 დღეში კი ავადმყოფობისგან კვალიც აღარ დარჩება.

მართებული მკურნალობის გარეშე ლამბლიოზი ქრონიკული გახდება და მასთან გამკლავება გაგიჭირდებათ.

თუ ექიმი საჭიროდ მიიჩნევს, შესაძლებელია, 10 დღის შემდეგ პატარას მკურნალობის განმეორებითი კურსი ჩაუტარონ; იმუნოდეფიციტის მქონე და დასუსტებულ პატარებს კი უფრო ხანგრძლივად მკურნალობა დასჭირდებათ. ადრინდელისგან განსხვავებით, ახლა ლამბლიებთან ბრძოლა საავადმყოფოში ყურყუტის გარეშეც შეიძლება, ოღონდ — ერთი პირობით: ჰიგიენა ძალზე მკაცრად უნდა დაიცვათ.

ბავშვს ცალკე ჭურჭელი, თეთრეული და სათამაშოები გამოუყავით.

მისი ღამის ქოთანი, სველი წერტილები, ონკანები, კარის სახელურები ქლორის შემცველი სარეცხი საშუალებით დაამუშავეთ.

პატარა პაციენტს დამზოგველი და ვიტამინებით მდიდარი საკვები სჭირდება: მოხარშული ხორცი, მაწონი, ხაჭო, კომბოსტო, სტაფილო, ხილი. მკაცრად უნდა შეუზღუდოთ ძეხვეული, შებოლილი პროდუქტი, ცომეული და ტკბილეული. ლამბლიები ტკბილ გარემოში მშვენივრად გრძნობენ თავს, მჟავე კი არ უყვართ, ამიტომ კარგი იქნება, თუ პატარას ხშირად გაუმასპინძლდებით ფორთოხლის, ლიმონის, პომიდვრის წვენით და რძემჟავა პროდუქტებით.

ლამბლიოზის საწინააღმდეგო რეცეპტი „კარაბადინიდან“

შემოგთავაზებთ ლამბლიების საწინააღმდეგო საშუალებას თამარ მამაცაშვილის წიგნიდან — „კარაბადინი“. ამ წიგნში განთავსებულია ხალხის მიერ მოწოდებული რეცეპტები, რომლებსაც ექიმის კომენტარიც თან ახლავს:

„მინდა შემოგთავაზოთ ლამბლიების საწინააღმდეგო ეფექტიანი რეცეპტი: ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 0,5 ჭიქა ნიორი, დაასხით 250 გ არაყი, დადგით ბნელ ადგილას 1 კვირის განმავლობაში, ხშირ-ხშირად შეანჯღრიეთ. მიიღეთ თითო ჩ/კ დილით, ჭამამდე ერთი საათით ადრე. ნაყენის მიღებისთანავე ცოტა ხნით უნდა დაწვეთ. დღის განმავლობაში ამის გარდა უნდა მიიღოთ მეჭეჭიანი არყის ხის ფოთლების ნაყენი. 1 ს/კ ნორჩ ფოთლებს დაასხით ჭიქაზე ოდნავ მეტი მდუღარე წყალი, წამოადუღეთ 2-3 წუთი, დადგით თავდახურული 40 წუთი, გადაწურეთ და სვით 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში, 15-20 დღის განმავლობაში. ნაყენის მიღება უმჯობესია ჭამამდე 20 წუთით ადრე. ლამბლია ჭიები ორგანიზმიდან გამოიდევნება.

მკითხველი, ი. მ.

ექიმის კომენტარი: ლამბლიოზი ბავშვებში საკმაოდ გავრცელებული პარაზიტული დაავადებაა. ეს მცირე ზომის პარაზიტი ადამიანის სანაღვლე გზებში იბუდებს, მნიშვნელოვან დისკომფორტს უქმნის კუჭ-ნაწლავის სისტემას და მთელ ორგანიზმს. ხშირად მშობლები ვერც კი ხვდებიან, რომ ბავშვის ჭირვეულობის მიზეზი ლამბლიოზია. დაავადების დიაგნოსტირებაც რთულია — ერთჯერადი ანალიზის უარყოფითი პასუხი სულაც არ ნიშნავს, რომ ბავშვს ლამბლიოზი არ სჭირს, რადგან პარაზიტს განვითარებისა და გამრავლების გარკვეული პერიოდები აქვს. თუ ანალიზის აღების მომენტი ლამბლიების სანაღვლე გზებიდან ნაწლავებში გადმოსვლის პერიოდს არ დაემთხვა, განავლის ანალიზში შეიძლება ეს ჭიები არც კი აღმოჩნდეს. მკითხველის მიერ მოწოდებული რეცეპტი უსაფრთხო და უვნებელია ორგანიზმისთვის. ნიორი ხალხურ მედიცინაში ცნობილია, როგორც პარაზიტული დაავადებების სამკურნალო საკმაოდ ეფექტიანი საშუალება.“ ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეთევანი თოქაურ ივანიძე

16. „სლოვო ლიუბოვნიცა პრაიზაშლა ატ სლოვა „ლიუბოვ“, ა სლოვა „ჟენა“ ვაბშენე იზვესტნა ატ კაკოვა სლოვა პრაიზაშლა“, — ამბობს მიხაილ ზადორნოვი ფილმში „ხაჩუ ვაშეა მუჟა“, რომელშიც სატირიკოსი მწერალი მექალთანე ქმრის როლს ასრულებს.

17. ამორძალები მეომარ ქალთა მოდგმაა ბერძნულ მითოლოგიაში. გვარის გასაგრძელებლად ისინი დროთა განმავლობაში, მეზობელი ქვეყნის მამაკაცებს იწვევდნენ, რომლებსაც შეუღლების შემდეგ უკანვე უშვებდნენ. ახალშობილ ვაჟებს მამებს უგზავნიდნენ (ან ხოცავდნენ), გოგონებს კი იტოვებდნენ და მამაც მეომრებად ზრდიდნენ. მათ ყმაწვილქალობაშივე ამოსწავდნენ მარჯვენა ძუძუს (ან ორივეს), რათა უფრო თავისუფლად ეხმარათ მშვილდი, ორპირი ნაჯახი, ხელშუბი, ნახევარმთვარის მოყვანილობის ფარი, სამკერდე ღვედით დაკიდებული ხმალი და სხვა იარაღი.

18. პიტერ პაულ რუბენსს ხელოვნებათმცოდნეები „ბაროკოს მეუფესა“ და „მსოფლიო ხელოვნების მზეს“ ეძახიან და დასძენენ, — სწორუპოვარ ხელოვანს მითოლოგიურ სიუჟეტებზე შექმნილი სურათების სინატიფითა და სიუხვით ტიციანი და რემბრანდტი თუ შეედრებოდნენო.

19. გერმანელი კომპოზიტორი გეორგ ჰენდელი განთქმული იყო სიძუნწით. ცნობილია ფაქტი, რომ ლონდონში ცხოვრებისას, იგი სტუმრებს დაბალხარისხიანი ღვინით გაუმასპინძლდა, თავად კი დროდადრო მეზობელ ოთახში გადიოდა, საუკეთესო ღვინის მისართმევად.

20. კახეთის აჯანყების დროს ბახტრიონიდან გაქცეული ირანელები ალაჯერდისკენ გარბოდნენ, ალაჯერდიდან გაქცეულები — ბახტრიონისკენ. ადგილს, სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, დღეს გაწყვეტილას ეძახიან. ამბობენ, ქართველებმა ყველაზე მეტი ყიზილბაში სწორედ აქ ამოჟეჟესო.

21. ინგლისელი მთარგმნელი, ქართული კულტურისა და მწერლობის დიდი პოპულარიზატორი მარჯორი უორდროპი 7 ენას ფლობდა. მრავალმხრივი განათლების მქონე მწერალმა ქალმა ქართული დამოუკიდებლად შეისწავლა და მრავალი ნაწარმოები თარგმნა ქართულიდან ინგლისურ ენაზე; მათ შორის აღსანიშნავია „ქართული ხალხური ზღაპრები“, რომელიც ლონდონში 1894 წელს დაიბეჭდა და „წმინდა ნინოს ცხოვრება“, რომელიც 1900 წელს, ოქსფორდში გამოიცა. „ვეფხისტყაოსნის“ სრული პროზაული მარჯორისეული თარგმანი მისმა ძმამ ლონდონში, დის გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა და მკითხველთა საზოგადოება პირველად გაეცნო რუსთაველის პოემას ინგლისურ ენაზე.

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

სანთელლო ქარაფებისა



მყავ ყველა დავიწყებული
ამქვეყნად გარდა ერთისა,
მის გამო გულის დარდები
ზღვათა მდინარეს ერთვისა;
მე ჩემ ქუდს ვფიცავ თავზედა
ქალავ, შენ თავზე – მერდინსა,
არ სჩანდი – ჩემთვის
ბნელ იყვა,
გხედავდი – გამითენდისა;
ულდის თავზე თეთრო
ყვავილო,
სანთელლო ქარაფებისა.

ხალხური

საახსოვარი

ქართული ანდაზები

- ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა ქვეყნის ამომგდები.
- თოვლი მიდის, მიწა რჩება.
- მელა ყურძნის დამწიფებას არ დაელოდა, თქვა მჟავეაო.
- ზღვა ფაფად იდგა, უბედურს კოვზიც არ ხვდაო.
- თუ სარკე არა გაქვს, წყალში ჩაიხედეო.
- თუგინდ უკუღმა დაჯექი, ოღონდ სწორე თქვიო.
- პატარძალმა კოკა გატეხა და — ნეტავი, ბავშვი მყავდეს, იმას დავაბრალოო.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ლ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-28, 2011

ლისი — ქაობებში, ტენიან ადგილებში გავრცელებული მცენარე.

ლიტანია ბერძ. — საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან. იმართება დიდი რელიგიური დღესასწაულის დროს.

ლიტაო — სწორად აზრდილი უტოტებო ხე.

ლიტონი — 1. (წიგნ.) დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო; 2. (ძვ. წიგნ.) უბრალო, მარტივი.

ლიტრა — თიხის პატარა, ვიწროყელიანი წყლის ჭურჭელი.

ლიფლიფი — მკრთალი ნათება, ციმციმი.

ლიფლიფანა — (ჩვეულებრივ მრავლ.) ლიფლიფანები — ლითონის პატარა მრგვალი ფირფიტები, დაირის რკალზე დაკიდებული.

ლიქნა (ძვ.) — იგივეა, რაც მლიქვნელობა.

ლიყიანი (საუბ.) — ენაჩლუნგი, რომელიც რ ბგერის ნაცვლად ლ-ს გამოთქვამს.

ლიცენცია ლათ. — მხატვრული მიზნით გადახვევა გრამატიკული ან სტილისტიკური ნორმებიდან პოეტურ ნაწარმოებში, ლექსში.

ლიცლიცი — 1. წყლის ზედაპირის ნელი მოძრაობა, რხევა; 2. ციმციმი.

ლიქყი — წვიმისაგან ახლად ატალახებული ნიადაგი, რომელზეც ფეხი სხლტება.

ლიხი — ფრიად მაღალი შამბი (საბა) (შამბი — მაღალი და მსხვილი ბალახი).

ლოგიკა ბერძ. — 1. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; 2. შინაგანი კანონზომიერება.

ლოთიანი (ვულგ.) — შნოიანი. ლაზათიანი, ვაჟკაცური.

ლოთი-შფოთი (საუბ.) — შფოთის, აურზაურის, ჩხუბის მოყვარული ლოთი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩემი რჩეული

ვახტანგ ჯავახაძე
მოგონებები გალაკტიონ ტაბიძეზე

* * *

ჩვეულებრივთა გვერდით იდგა. ხშირად უკანაც. ძნელია გულისტკივილის გარეშე წაიკითხოთ 1945 წლის ერთი განცხადება და მის მიერვე ხაზგასმული სიტყვები:

გთხოვთ ჩემი წიგნის „რჩეული“-ს გამოცემასთან დაკავშირებით გასწორებულ იქნას ჩემთან საბოლოო ანგარიში. თქვენის გამოანგარიშებით წიგნში არის 15492 სტრიქონი. სტრიქონში მე ვთხოულობ 15 მანეთს, როგორც ამას იღებენ სხვა პოეტები თქვენგან. მით უმეტეს, რომ ჩემი წიგნი იბეჭდება თითქმის სამი წლის განმავლობაში და აღებული მაქვს 80000 მანეთამდის. აღარაფერი მრჩება. ასეთ წიგნს კი ყოველთვის ვერ დავწერ (სახელგამი მე მაძლევს სტრიქონში 10 მანეთს).

ალბათ იცანით: ასმანეთიან რჩეულზეა საუბარი.

ამ წიგნის ხელშეკრულება 1943 წლის 13 ნოემბერს გაუფორმებია და, როგორც სჩვეოდა, შეუნახავს. სტრიქონში ათი მანეთია განსაზღვრული, მაგრამ გამოცემათა რიგის შესაბამისად პროცენტები დაექვითებოდა და საშუალოდ ხუთ მანეთს მიიღებდა ხელზე.

სურათი რომ უფრო ნათელი გახდეს, განვმარტოთ: პოეტური ნაწარმოებისათვის სტრიქონში მაქსიმალური განაკვეთი 20 მანეთი იყო და გალაკტიონის თანამედროვე პოეტს ეს მაქსიმუმი მიუღია...

ასე ცხოვრობდა — ჰონორარიდან ჰონორარამდე.

— ეს ლექსები ხომ ჩემი ვალუტაა.

ფინანსების სკალა ხასიათივით სწრაფად ეცვლებოდა.

— გუნება-განწყობილების ხშირი ცვალებადობა ახასიათებდაო. — პირადი მკურნალიც დაგვიდასტურებს უკანასკნელ თუ პირველ დღესვე...

ფულიანი დღეებიც ბევრჯერ გაუთენდა და უფულოც ბევრჯერ დაუღამდა.

მახსოვს: სახელგამის მესამე სართულის კიბეებზე ჩამოდიოდნენ და წითელი ასმანეთიანებით გატენილი გულისჯიბიდან გასამრჯელო გადაუთვალა პირად მდივანს.

ხმელეთით გინდ ყელს ჩააბი
თოკი,
არ ჩამოგყვება ხომალდში
ზოგი,
მე და შენ კი ზღვის არ
გვეშინია,

რას იტყვი ამის შესახებ,
გოგი?

ისიც მახსოვს: გროშებს ესესხებოდა ავანსად მორიგ ჰონორარამდე მინა-მოლარეს.

1959 წლის 17 მარტს კი ჯიბეში



281 მანეთი, ანუ ახლანდელი კურსით 28 მანეთი და 10 კაპიკი ედო და შემნახველ სალაროში დღევანდელი ანგარიშით 2629 მანეთი და 46 კაპიკი ერიცხებოდა (ალბათ, ჩვენი რჩეულის ჰონორარიდან).

ყაირათიანი მხარჯველი ვერ იყო და ვერც იქნებოდა.

ამიტომ უფულო დღეები სჭარბობდნენ ფულიანებს.

საქმეს უსაქმობა სჯობს
და გმირობას — ლაჩრობა,
პოეზიით სუნთქვას სპობს
პოეზიით ვაჭრობა.

მისი დღიურების ლექსიკაში ყველაზე პოპულარულია: ჰონორარი, ხელშეკრულება, ბუღალტერია და ბუღალტერი, მოლარე და სალარო, გაცვლა-გამოცვლის სალარო, განცხადება, მინდობილობა, სესხი, ავანსი, პენსია, ლიტფონდი, ბიუჯეტი, ლომბარდი და, რა თქმა უნდა, ფული, ფული, ფული, ანუ „ფლური“, როგორც მწარედ ხუმრობდა ხოლმე:

— ფლური, ფული, ეს წყეული ფული!

პოეზიაში ფ-ს და ბ-ს
აღარ გაარჩევს ბულბული,
მღერის: სულ ფულ-ფულ,
ფულ-ფულ-ფულ, ფულ-ფული.

* * *

რასაც ფიქრობდა, წერდა.

— ო, ჩემო დღიურო, ბევრი რამ, ბევრი კარგი უნდა აღნუსხო შენ, რომ წლის დამლევს გადავხედო ჩემს გზას ისეთი სიამაყით, როგორც მთავარსარდალი გადახედავს გამარჯვებული ბრძოლის ველს! დიდებული იქნება ეს წელიწადი, გალაკტიონ! — ასე ამთავრებს 1939 წლის პირველი იანვრის დღიურს, ოთხი იანვრისას კი:

— ვნახოთ, რას იტყვის ხვალინდელი დღე!

პირადად არასოდეს შემიმჩნევია და, როგორც ირკვევა, ჩაწერას აწარმოებდა ყველგან და ყოველთვის. მისი ჩანაწერების დიდი ნაწილი უშუალოდ შემთხვევის ადგილზეა აღნუსხული და აღბეჭდილი. არა მარტო ექსპრომტებს წერდა სხვაგან.

იშვიათი შემთხვევაა: ყველაფერს წერდა.

— მას უცნაური ჩვევა აქვს, მუდამ გატენილი დააქვს ჯიბეები წიგნებით, გაზეთებით, ბლოკნოტებით, ხელნაწერებით და ფანქრებით, — ვკითხულობთ პოეტის მეუღლის ოლია ოკუჯავას დღიურში.

მთელი მისი ჩანაწერები, ფაქტიურად, დღიურებია, ოღონდ ყოველთვის ვერ აძლევდა სათანადო ფორმას, რადგან არა მარტო სახლში წერდა. ამიტომაც ატარებდა ჯიბით ბლოკნოტებსა და ფანქრებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

წერდა ყველგან და ყოველთვის: სახლში, აკადემიაში, მწერალთა კავშირში, საავადმყოფოში, ქუჩაში, ბაღში, ბაზარში, მატარებელში, მანქანაში, ნებისმიერ დაწესებულებაში... წერდა დღისით-მზისით, საღამოს, ღამით, შუაღამისას, განთიადისას... ■

მორიგანი
ეჩხდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-28, 2011

მარი ჯაფარიძე

შინ რომ დავბრუნდი, მასპინძლებს უკვე ეძინათ. ნახევარი საათი ეზოში გავჩერდი და უკან გავბრუნდი. მინდოდა, გია შემეჩერებინა, თუ გაპარვას გადაწყვეტდა. იმიტომ არა, რომ მის დაპატიმრებას ვაპირებდი. პირიქით, მინდოდა, გადამერჩინა — მას რომ გაქცევა მოეხერხებინა, დაიღუპებოდა, მე კი შველა შემეძლო. მის სახლთან მივედი და გარეთ, ღობესთან მდგარ ძელსკამზე ჩამოვჯექი. შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. სინათლე ჩამქრალი იყო და როგორც ჩანს, ყველას ეძინა. ჯერ შუაღამეც არ დამდგარიყო, მაგრამ სოფელში ადრე იძინებენ — მთელი დღის ნაჯაფი ადამიანები საღამოს ადრე წვებიან, რადგან დილით ისევ ალიონზე უნდა ადგნენ, საქონელს, ყანას, ვენახს მიხედონ.

სიჩუმეს დაესადგურებინა, აქა-იქ ძაღლის ყეფა თუ ისმოდა. ეს ჩემი პირველი, შედარებით ხანგრძლივი ურთიერთობა იყო სოფელთან. მხოლოდ ახლა გავიგე, როგორ ცხოვრობენ იქ, სადაც ცივილიზაციას შედარებით ნაკლებად აქვს ფეხი მოკიდებული.

შუბლი ღამის სასიამოვნო ნიავს მივუშვირე და შინაგანად შევემზადე საიმისოდ, რომ მთელი ღამე აქ ჯდომა მომიწევდა. გულხელი დავიკრიბე და ცას ავხედე.

ზუსტად არ ვიცი, რა დრო გავიდა. ფიქრებიდან ხმაურმა გამომარკვია. ცოტა დავიძაბე და ღამის სუნთქვაც კი შევწყვიტე. ხის ჩრდილი ისე მეცემოდა, სიბნელეში თითქმის არ ვჩანდი. თუ კარგად არ დამაკვირდებოდა, გამვლელი ვერც კი შემამჩნევდა. ჭიშკარი ხმაურით გაიღო და ვიღაც ეზოდან გამოვიდა. სილუეტით ვიცანი, რომ გია იყო. პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა და თავზე დამადგა.

— ასეც ვიცოდი, — გვერდით მომიჯდა, — მდარაჯობ, რომ არსად გავიქცე?

— ჰო, გდარაჯობ. მინდა, შენი საქმის შესახებ ყველაფერს მომიყვე, — ღიად ლაპარაკი ვამჯობინე.

— ჩემს „ასაყვანად" ხარ აქ ჩამოსული?

— კი.

— მერე, რას ელოდები? დამადე ხელბორკილი, — ხელები ერთმანეთს მიატყუპა და წინ გამოიშვირა.

— რატომღაც მგონია, რომ უდანაშაულო ხარ. თუ მომცემ იმის საშუალებას, რომ ამის დამტკიცება შევძლო, ვეცდები, სიტუაციიდან გამოგაძვრინო...

მთელი ღამე სკამზე დამსხდრებმა გავატარეთ. გია დილამდე მიყვებოდა თავის თავგადასავალს. მზემ რომ ამოსვლა დაიწყო, დავემშვიდობე, პირობა ჩამოვართვი, რომ ვიდრე მე არ ვეტყოდი, აქედან არსად წავიდოდა, ტელეფონის ნომერი ჩავიწერე და შინ დავბრუნდი.

რამდენიმე საათის შემდეგ „მარშრუტკაში" ვიჯექი და თბილისისკენ მივქროდი.

2 თვე მოვუნდი გიას საქმის დეტალების გარკვევას. როგორც იქნა, მოვაბი თავი და მისი დაძვრენა მოვახერხე. სასამართლო შედგა, საპროცესო გარიგება გაფორმდა, 10.000 ლარი გადაიხადა და 3 წელი პირობითი სასჯელი მისცეს.

გია არ ელოდა, თუ საქმე ასე შემობრუნდებოდა, ამაზე ვერც ვიოცნებებდიო, — ამბობდა. სულ მცირე, 5-წლიანი სასჯელი ელოდა.

ჩემი და გიას ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა. მასთან ურთიერთობისას მივხვდი, რას ნიშნავდა ნამდვილი გრძნობა. როგორც ჩანს, რაც მანამდე სიყვარული მეგონა, მხოლოდ გატაცება ან ვნება ყოფილა.

გიასთვის ჩემი წარსულისა და აწმყოს შესახებ არაფერი დამიმალავს. ყველაფერს დაწვრილებით მოვუყევი. კომენტარი არაფერზე გაუკეთებია, არც საყვედური უთქვამს და არც ჭკუის დარიგება დაუწყია.

ლალისაც გავაცანი. მოეწონათ ერთმანეთი. — როგორც იქნა, ღირსეული ადამიანი იპოვეო, — კმაყოფილმა აღნიშნა ჩემმა დედობილმა.

გიამ იმდენი მოახერხა, რომ თავის საქმეებთან ერთად, ჩემი ბინის რემონტიც ბოლომდე მიიყვანა და საცხოვრებლად ორივე იქ გადავედით. გამუდმებით იმის გამო წუხდა, რომ სანდროსგან ახალ-ახალ დავალებებს ვიღებდი და შიშობდა, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე არ შეჰქმნოდა.

ერთ დღეს სანდრომ თავისთან დამიბარა. მისგან გავიგე, რომ თურმე გიას ინიციატივით, ერთმანეთს შეხვედრიან. გიას უთხოვია, გავეთავისუფლებინე ჩემზე დაკისრებული მოვალეობებისგან. რაღა თქმა უნდა, ვერ შეთანხმებულან.

როგორც ჩანს, სანდრო გააღიზიანა გიას წინადადებამ და სცადა, ჩემთან გაერკვია, ვინ იყო გია და ჩემი დავალებით ან თხოვნით მოქმედებდა თუ თავისი ინიციატივით. არ ვიცი, დამიჯერა თუ არა, რომ მე არც კი ვიცოდი მათი შეხვედრის შესახებ, მაგრამ გამაფრთხილა, აქ მოსული აღარ ვნახოო.

სანდრო ძალზე აგრესიული მომეჩვენა და ვიცოდი, თუ შევეკამათებოდი, შესაძლოა, ამას ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. წინათ ამის გამო უკან არ დავიხევდი და სანდროს შევებმებოდი, მაგრამ ახლა არ ღირდა, რადგან კარგად იცოდა, სად შეიძლებოდა ჩემთვის „დაერტყა", რომ ეტკინა. გიასთვის ავის გაკეთება მისთვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენდა და მას გავუფრთხილდი.

ჩემი და გიას ერთწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, შემოდგომაზე თავი ცოტა შეუძლოდ ვიგრძენი. ისეთი სიმპტომები მქონდა, მეგონა, ფეხმძიმედ ვიყავი. როცა გიას ჩემი ეჭვი გავუმხილე, გაიხარა. შვილზე ვოცნებობ, მაგრამ რომ არ ორსულდებოდი, ამ თემაზე არ ვლაპარაკობდი, არ მინდოდა, შენთვის გული მეტკინაო, მითხრა.

ვინაიდან თავს სუსტად ვგრძნობდი და ორსულობა ჩემზე უარყოფით-

ად მოქმედებდა, რამდენიმე კვირის შემდეგ ექიმთან მისვლა გადავწყვიტე. გიამ მარტო არ გამიშვა.

კლინიკაში, კიბეზე ასვლისას ხელს მაშველებდა, მიფრთხილდებოდა.

ექიმმა გასინჯვის შემდეგ თქვა, რომ ორსულად არ ვიყავი. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ შოკში ჩავვარდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბავშვს ველოდი. გიას შევხედე. სახეზე ისეთი იმედგაცრუება ეწერა, ტირილი მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან ჩემი გრძნობების გამჟღავნების შემრცხვა.

რაღა თქმა უნდა, ექოსკოპიაზე გამგზავნეს. იქიდან გამოსული გიამ მანქანაში ჩამსვა, გადაღლილი სახე გაქვს, ცოტა ხანს დაისვენე, ექიმს ექოსკოპიის პასუხს მე შევუტან და თუ საჭიროდ მიიჩნევს, კიდევ გაგსინჯოს, დაგიძახებო.

კარგა ხანს შეაგვიანდა. მანქანისკენ მომავალს სახე შეშლილი ჰქონდა. საჭეს უხმოდ მიუჯდა და კარგა ხანს დუმდა.

— რა გითხრეს, ბოლოს და ბოლოს? — ვეღარ მოვითმინე.

— ჯერ კიდევ საჭიროა გამოკვლევების ჩატარება. ამ ეტაპზე ექიმი ვერაფერს ამბობს.

— ასე ცუდ ხასიათზე რატომ ხარ?

— გახარებული ვიყავი, რადგან მეგონა, შვილი გვეყოლებოდა და მაგრად მეწყინა, ასე რომ არ აღმოჩნდა.

ამის გამო, ბუნებრივია, მეც ვნერვიულობდი და ეჭვი არ გამჩენია, რომ გიას უგუნებობის მიზეზი სწორედ ეს იყო.

მეორე დღესვე დამატებითი გამოკვლევები ჩამიტარეს. ეჭვი გამიჩნდა, რომ ჩემს თავს რაღაც აუგი ხდებოდა. გიას სიტყვა ვერ დავაცდენინე — ექიმი ცუდს არაფერს მეუბნება და გული ცუდს რატომ გიგრძნობს, არ ვიცი, — მეუბნებოდა. იმედს ის მაძლევდა, რომ გამოკვლევებისთვის ონკოლოგიურ კლინიკაში არ მგზავნიდნენ. თუმცა, ბოლოს გავიგე, რომ გია ყოფილა ამის წინააღმდეგი და ცდილობდა, სხვა კლინიკაში მივეყვანე.

ნათქვამია, კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო. საბოლოოდ საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დამისვეს.

მოგვიანებით, ვიდრე ავადმყოფობა საწოლზე მიმაჯაჭვავდა, თბილისში ჩემი სახლი გიას გადავუფორმე და საცხოვრებლად მასთან, რაიონში გადავედით. სუფთა ჰაერზე ყოფნა მერჩივნა — იქ, სადაც ძველი ნაცნობებიდან არავის შევხვდებოდი.

ჩემი ერთადერთი ნუგეში და პატრონი გია იყო, რომელიც პატარა ბავშვივით მივლიდა და მანებივრებდა.

1 წლის განმავლობაში თავს თითქოს კარგად ვგრძნობდი — ალბათ ქიმიოთერაპიის წყალობით, შემდეგ კი სენმა გასაქანი აღარ მომცა, ერთბაშად მომცელა და ლოგინს მიმაჯაჭვა.

სიკვდილის მოლოდინს შევეჩვიე, იმის გამო აღარ ვნერვიულობდი, რომ სულ მალე ჩემი აღსასრული დადგებოდა. უხერხულობას ვგრძნობდი იმის გამო, რომ გიას ჩემი მოვლა უწევდა. იმის საშუალება იყო, რომ მომვლელი აეყვანა, მაგრამ არ ინდომა — მირჩევნია, თავად მოგხედო, ასე უფრო მშვიდად ვიქნებიო.

ასე იოლი და უფრო მარტივი მოსაყოლია ჩემი აღსასრულის მოლოდინის მოყოლა, ვიდრე ჩემი წარსულის.

P.S. მკითხველმა იცის, რომ ამ-

ჩემი ცხოვრება იყო ჭაობი, საიდანაც გიას დახმარებით ამოვედი და მივხვდი, რა დიდი სიამოვნებაა, როცა სუფთა ხარ და სინდისი არ გქენჯნის

ბავი რეალურ ფაქტებზეა აგებული. როდესაც მარგოსთან ინტერვიუ ჩავწერე, ის უკვე ლოგინს იყო მიჯაჭვული. ლაპარაკი უჭირდა, სვენებ-სვენებით საუბრობდა. გია გვერდით ეჯდა, თავს წამოუწევდა და როგორც კი გამშრალ ენას ააწკლაპუნებდა, მაშინვე წყალს ასმევდა. მარგო მარტში გარდაიცვალა. 40 დღის გასვლის შემდეგ გია დამიკავშირდა და მისი წერილი გადმომცა — ჩემი ხელითაა დაწერილი, მაგრამ ის მკარნახობდაო, — მითხრა. დასასრულ ამ წერილს შემოგთავაზებთ.

„მართალია, ძალაგამოცლილი ვარ, შესაძლოა, დღეებს კი არა, საათებს ვითვლი აღსასრულამდე, იმედის ნაპერწკალიც კი აღარ ღვივის გულში, მაგრამ სიცოცხლე მაინც მიხარია და რაღა თქმა უნდა, მწყურია კიდეც. მიხარია, რადგან გვერდით საყვარელი ადამიანი მყავს, რომლის მკლავზეც სულს დავლევ და მწყურია იმიტომ, რომ ვერ მოვასწარი ბედნიერებით ტკბობა. როცა ვიფიქრე, რომ ჩემი ცხოვრება დალაგდა, როცა ვიფიქრე, რომ ყველაფერი ცუდი წარსულს ჩაჰბარდა, სწორედ მაშინ დავასრულე სიცოცხლეც. ობლის კვერი გვიან გამოცხვაო, ერთი ანდაზა ამბობს, ჩემი კი სულ არ გამოცხვა. წარსულის გადახედვის მეშინია... მასზე ფიქრი არ მინდა, რადგან თვითმკვლელობის სურვილი მიპყრობს. ნუ გაგეცინებათ... მომაკვდავ ადამიანს რომ თვითმკვლელობის სურვილი აქვს, წარმოიდგინეთ, როგორი წარსული ჰქონდა მას. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ გაჭირვებულის დახმარებას, დაჩაგრულის გვერდით დგომას ვცდილობდი, მაინც უამრავი ცუდი რამ მაქვს გაკეთებული, ჩემი ნების წინააღმდეგ. ალბათ ამისთვის მომეზღო. სისასტიკე, დაუნდობლობა, სიცრუე, თვალთმაქცობა — აი, თვისებები, რომელიც ცხოვრებამ გაცილებით სრულყოფილად ჩამოაყალიბა ჩემში. ვცდილობდი, გულახდილი ვყოფილიყავი, ჩემს წარსულზე საუბრისას, მაგრამ ბოლომდე გულის გადაშლა ვერ შევძელი. მრცხვენოდა იმის აღიარება, რომ ხშირად ხორციელ სურვილებს ავყოლივარ... ხშირად ჩემი პრინციპებისთვის მიღალატია, რადგან ვერ მოვერიე იმას, ვინც ჩემზე ზეწოლასა და ძალადობას ახდენდა. ჩათრევას ჩაყოლას ვამჯობინებდი, საკუთარი ტყავი რომ გადამერჩინა. როდესაც ჩემს თავგადასავალს გარედან შევხედე, მივხვდი, რომ მარიმ დამინდო, ბევრი ისეთი ფაქტი დამალა, რომელიც საზოგადოებას ჩემ წინააღმდეგ განაწყობდა. გაცილებით კეთილშობილია ის პერსონაჟი, რომელიც „რეალურშია“ აღწერილი. ყველაფერი ასე ლამაზად არ ყოფილა. ჩემი ცხოვრება იყო ჭაობი, საიდანაც გიას დახმარებით ამოვედი და მივხვდი, რა დიდი სიამოვნებაა, როცა სუფთა ხარ და სინდისი არ გქენჯნის. ჩემი წერილით მინდოდა, ბოდიში მომეხადა მათთვის, ვინც ამომიცნო, ვის წინაშეც თავს დამნაშავედ ვგრძნობ და ვისთვისაც რაიმე ზიანი მიმიყენებია. რამდენიმე დღის წინ მოვინათლე და აღსარებაც ჩავაბარე მოძღვარს, მაგრამ ვიცი, განწმენდილი ვერ წარვდგები უფლის წინაშე, რადგან სული უმძიმესი ცოდვებით მაქვს დამძიმებული. იქნებ თქვენმა პატიებამ მიშველოს და სამუდამოდ ჯოჯოხეთის ცეცხლში არ ვიტანჯო. ახლა მივხვდი, რომ ადრე თუ გვიან, ყველა ადამიანის ცხოვრებაში დადგება განკითხვისა და სინანულის ჟამი, რომელსაც მომზადებული უნდა შევხვდეთ. უფალო, შემიწყალე!“

დასასრული

დასაწყისი იხ „გზა“ №19-28

რუსუდან ბერიძე

შინ გვიან საღამოს დაბრუნებულ ორდენიძეს კარი მარიმ გაუღო. ქალს გატანჯული სახე ჰქონდა.

— რა მოხდა? — შეშფოთდა გამომძიებელი. — ბავშვს ხომ არაფერი დაემართა?

— ბავშვს — არა.

— რატომ გაქვს ასეთი სახე?

— ქვებს რომ არ ვისვრი, არ გიკვირს?

— აღარ მეტყვი, რა მოხდა?

— უკვე მესამე საათია, შენს ვაუბატონს ხან მე დავატარებ ხელით და ხან — ძიძა, მაგრამ ვერ დავაძინეთ.

— ლეილა აქამდე აქ არის? — გაუკვირდა ორდენიძეს, თან ქურთუკი გაიხადა და იქვე მდგარ სკამზე მიაგდო.

— აბა, მარტო ხომ არ დამტოვებდა? უკვე ორივე ჭკუიდან გადაგვიყვანა. ხელში თუ გვიჭირავს, იცოცხლე, ტკბილად ფშვინავს, მაგრამ საკმარისია, საწოლში ჩავაწვინოთ, რომ მაშინვე წივილ-კივილს იწყებს.

— იცი, რატომ არ იძინებს? — გაგულისებული ცოლი გულში ნაზად ჩაიკრა ორდენიძემ.

— ეგ რომ ვიცოდე, რაღა მიჭირს, — ქმრის მკლავებში სიამოვნებით გაიტრუნა მარი.

— მე მელოდებოდა.

— ვითომ ხუმრობ, მაგრამ ბავშვი უშენობას მართლა გრძნობს, — ამოიოხრა ქალმა და მეუღლეს დაღვრემილი გასცილდა.

— აბა, დედამ და ძიძამ თვალებში „მაზოლები“ გაუჩინეს და რა ქნას? — გაეღიმა ორდენიძეს და ცოლი ისევ თავისკენ მიიზიდა.

მოგვიანებით, როცა მამასთან თამაშით გული იჯერა, უმცროსი ორდენიძე საწოლში მორჩილად ჩაწვა და მალე ტკბილადაც ჩაეძინა. მარიმ კი ძიძა გააცილა და ისევ ბავშვის ოთახში შებრუნდა.

— გადი, ცოტა რამე შეჭამე, — ჩურჩულით უთხრა ქმარს, — სადილი გაზქურაზეა.

— ჯერ შხაპს მივიღებ, — ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა ორდენიძე.

გამომძიებლის სააბაზანოში შესვლა და კარზე ზარის დარეკვა ერთი იყო.

„ლეილა იქნება. როგორც ჩანს, ისევ რაღაც დარჩა...“ — გაიფიქრა მარიმ და შემოსასვლელი კარი ფრთხილად გამოაღო.

ზღურბლზე ანდრო ლეკიშვილი გამოჩნდა.

— ანდრო? — გაუკვირდა ქალს.

— მაპატიეთ, ქალბატონო მარი, ასე გვიან რომ მოგადექით კარზე, მაგრამ საქმე ხვალამდე არ ითმენს და...

— რას მებოდიშები? შემოდი! — მაშინვე განზე გადგა ქალი და სტუმარს სახლში შეუძღვა. — ოღონდ, ცოტა ხმადაბლა უნდა ვილაპარაკოთ, თორემ ტარტაროზმა ორდენიძემ თუ გაიღვიძა, დავიღუპები.

— ბატონ ოთარს უკვე სძინავს? — შეწუხდა ანდრო.

— ოთარზე კი არა, ანდრიაზე, გეუბნები, შენს ნათლულზე. ნახევარი საათიც არ იქნება, რაც რის ვაი-ვაგლახით დავაძინეთ, — სასტუმრო ოთახში შეუძღვა სტუმარს მარი, — ოთარი კი შხაპს იღებს და მერე ორივემ ერთად ივახშმეთ.

— რომ არ მშია? — სავარძელში მორიდებით ჩაეშვა ლეკიშვილი.

— რა თქმა უნდა, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია მარიმ, — შენ და ჩემს ქმარს არც ჭამა გახსოვთ და არც ძილი და მოსვენება.

— რა ვქნათ? — დამნაშავესავით აიჩეჩა მხრები ლეკიშვილმა. — ისეთი პროფესია გვაქვს, რომ...

— რას გეტყვი იცი, ჩემო კარგო? — ხმა გაიმკაცრა ქალმა. — იმის წინააღმდეგი კი არ ვარ, რომ კაცმა თავისი საქმე კარგად აკეთოს, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? გგონიათ, ამ თავდაყირა დაყენებულ ქვეყანას თქვენ ორნი უშველით?

— არ გვგონია, მაგრამ...

— ძალიან გთხოვ, ანდრო, — ისევ გააწყვეტინა მარიმ სტუმარს, — ოთარს დაელაპარაკე.

— რაზე?

— გამუდმებით ლომის ხახაში ნუ ყოფს თავს. ბოლოს და ბოლოს, შვილი ჰყავს გასაზრდელი.

— ვიცი, ქალბატონო მარი, მაგრამ ჩვენი საქმე სხვანაირად არ გამოდის და რა ვქნათ? აი, ახლაც ისეთი რამე მოხდა, რომ...

— მაინც რა მოხდა? — ოთახში მყოფთ მოულოდნელად წამოადგა თავზე სააბაზანოდან გამოსული გამომძიებელი.

— აუ, შეფ, ცუდი ამბავია, — მაშინვე ფეხზე წამოხტა ლეკიშვილი.

— დაჯექი და ისე მომიყევი ყველაფერი.

— სეხნიაშვილი კინაღამ საკანში ჩამოახრჩვეს, — სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა ანდრო.

— რაო? — გაოგნდა ორდენიძე.

— ასეა... — ხელები დამნაშავესავით გაშალა ანდრომ, — შენთვის ამ ამბის ტელეფონით შეტყობინება ვერ გავრისკე და იმიტომაც დაგადექით თავზე ასე გვიან.

— სწორადაც მოიქეცი. ხომ ხედავ, ხალხს უკვე წიწილებივით ახრჩობენ და ჩემი ტელეფონის მოსმენას რა უნდა?

— დაიწყო... — ამოიოხრა ქმრის სიტყვების მოსმენის შემდეგ მარიმ და ფეხზე წამოდგა, — წავალ, ვახშამს გავაცხელებ.

— კარგს იზამ, — დაადევნა ოთახიდან გასულ ცოლს ორდენიძემ და ისევ ხელქვეითს მოუბრუნდა: — ეს როდის მოხდა?

— დღეს.

— საკანში მარტო იყო?

— არა. მაგრამ მეორე ეჭვმიტანილი იმ დროს დაკითხვაზე ჰყავდათ გაყვანილი და უკან რომ დააბრუნეს, სეხნიაშვილი უკვე ფანჯრის გისოსზე იყო ჩამოკიდებული და ხრიალებდა, მაგრამ მისი გადარჩენა მაინც მოხერხდა. როგორც ჩანს, მკვლელებმა მეორე ეჭვმიტანილის უკან დაბრუნების დრო ზუსტად ვერ გათვალეს ან სეხნიაშვილი აღმოჩნდა იღბლიანი.

— ეგ თუ იღბლიანია, უიღბლო ვინღაა?

— ვის ჩამოკიდებასაც მართლა ასწრებენ.

— ახლა სად არის?

— ვინ?

— სეხნიაშვილი.

— რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სახმო სიმები აქვს სერიოზულად დაზიანებული და, როგორც ექიმები ამბობენ, კარგა ხანს ვერ შეძლებს ლაპარაკს.

— წერილობით მაინც ხომ შეუძლია იმის ახსნა, რა დაემართა?

— წერილობით — კი, მაგრამ მაინც არავინ ჩქარობს მის დაკითხვას.

— აბა, შენ საიდან ამტკიცებ, რომ მისი მოკვლა უნდოდათ? იქნებ სეხნიაშ-

ვილმა თვითონ გადაწყვიტა იმ ქვეყნად გადაბარგება?

— არც ეგ ვარიანტი იქნებოდა გამორიცხული, ეს რომ არა, — სასკოლო რვეულიდან ამოხეული უჯრედებიანი ფურცელი გაუწოდა ლეკიშვილმა ორდენიძეს.

— ეს რაღაა?

— სეხნიაშვილის წერილი, რომლის ადრესატიც შენ ხარ.

— მე-ე? — გაუკვირდა ორდენიძეს და თანაშემწეს ფურცელი ჩამოართვა.

„გადაეცით გამომძიებელ ორდენიძეს, რომ ჩემი მოკვლა უნდოდათ...“ — ოკრობოკროდ იყო წაწერილი ფურცელზე.

— ეს ფურცელი შენთან როგორ მოხვდა?

— ჩემი მეზობელი ქალისგან, რომელიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექთანად მუშაობს. ამ საღამოს, სამუშაოს შემდეგ, შინ რომ დაბრუნებულა, დედაჩემთან შემოუვლია და უთქვამს, შენი შვილიც ხომ გამომძიებელია და შემთხვევით გამომძიებელ ოთარ ორდენიძეს ხომ არ იცნობსო? როცა დედაჩემს უკითხავს, ორდენიძისგან რა გინდაო, მეზობლის ქალს დაწვრილებით მოუყოლია, როგორ გადაიყვანეს მათთან ვიღაც უბედური პატიმარი, რომელსაც საკანში თავის ჩამოხრჩობა უცდია. ბიჭს ისეთი შეწუხებული სახე ჰქონია, რომ ექთანს კითხვები დაუყრია, — იქნებ გშია ან გწყურიაო... როცა ყველაფერზე, უარის ნიშნად, თავი გაუქნევია, მაშინ ქალს ფურცელი და კალამი მიუცია: — დაწერე, რა გაწუხებს და აუცილებლად დაგეხმარებიო. ჰოდა, რაც დაწერა, კი ხედავ. კიდევ კარგი, რომ ის ქალი ჩემი მეზობელია და არა უჯმაჯურიძის, თორემ ხომ დაღუპავდა სეხნიაშვილს.

— აბა-აბა... — ნაწერი კიდევ ერთხელ გადაიკითხა ორდენიძემ და ჩაფიქრდა.

ამასობაში მარიმ ვახშამი შემოიტანა და ანდროს და თავის მეუღლეს სუფრასთან უხმო. მამაკაცები დანაყრდნენ და მსჯელობა განაგრძეს.

— ჰა, შეფ, რას ფიქრობ? — დაიწყო ანდრომ.

— რთული სიტუაციაა, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ორდენიძემ, — როგორც ჩანს, სეხნიაშვილს ხელი სერიოზულად მოჰკიდეს და სანამ საწადელს არ მიაღწევენ, აღარ მოასვენებენ.

— ჩვენ რა უნდა ვქნათ?

— შენ — ჯერჯერობით არაფერი, მე კი ხვალ დილით ურთმელიძესთან შევალ და დაველაპარაკები.

— ამით რას გახდები?

— არა, ახლავე დავურეკავ და გავაფრთხილებ, რომ თუ სეხნიაშვილს რამე დაემართა, მართლა დიდ ხმაურს ავტეხ-მეთქი, — თითქოს ხელქვეითის კითხვა საერთოდ არ გაუგონიაო, ისე განაგრძო ხმამაღლა ფიქრი ორდენიძემ და მაგიდიდან მობილური ტელეფონი აიღო.

— შეფ, მოიცა! — ტელეფონიან ხელზე ხელი სტაცა ლეკიშვილმა. — არ გავაფუჭოთ ყველაფერი! იქნებ ჯერ კარგად მოგვფიქრებინა, რა უნდა უთხრა?

— უკვე მოფიქრებული მაქვს, — ნომერი სწრაფად აკრიბა ორდენიძემ.

ზარი მალევე გავიდა.

— კახაბერ, ორდენიძე ვარ... — ჩასძახა ყურმილში გამომძიებელმა, — ვიცი, რომ გვიანაა, მაგრამ... ირაკლი სეხნიაშვილის გამო გირეკავთ... რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, რომ ვიღაცამ საკანში მისი ჩამოხრჩობა სცადა... უტყუარი სამხილი მაქვს... ტელეფონში ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თუ ინებებთ, თუნდაც ახლავე გეახლებით და... კარგი, ბატონო კახაბერ, ხვალ დილიდანვე თქვენს განკარგულებაში ვიქნები...

ორდენიძემ ტელეფონი გათიშა და ლეკიშვილს კმაყოფილმა გადახედა:

— ვფიქრობ, მიზანი ნაწილობრივ მაინც მიღწეულია.

— გაცოფდა?

— ძალიან. სულ რეგვნები და უვიცები გვიძახა.

— მეც საქმეში გამიყვანა?

— გაგიყვანა რომელია?

— აი, დარდი! — იხტიბარი არ გაიტეხა ლეკიშვილმა. — მაინც კმაყოფილი ვარ, რომ შენი ზარის შემდეგ ამ „უკეთილშობილეს გვამს“ უძილობა და თავის ტკივილი გარანტირებული აქვს.

— ისე შენც კარგად შეგამკო. ხომ იცი? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ორდენიძემ. — სულ მაგ წითურის მოჩმახული იქნება ყველაფერიო, — გაჰყვიროდა. როგორც ჩანს, გუმანით მიხვდა, ამ საქმის მთავარი ამრევი რომ შენ ხარ.

— კარგი რა, შეფ, რა დროს ხუმრობაა?

— სერიოზულად კი იმას გეტყვი, ჩემო ანდრო, რომ წინ დიდი და მგონი, გადამწყვეტი ბრძოლა გველის.

— კონკრეტულად რა უნდა გავაკეთო?

— ჯერ არ ვიცი. ურთმელიძისგან რომ გამოვალ, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა კი დავიძინოთ, თორემ ხვალ ვეღარ ვივარგებთ.

— მაშინ მე წავედი, — სკამიდან წამოიწია ანდრომ.

— არც იფიქრო! — უცბად ზღურბლზე გამოჩნდა მარი. — ახლა იმაზეც მანერვიულე, სახლამდე როგორ მივა-მეთქი. ლოგინი უკვე გაგიშალე. ახლავე შიგ ჩახტი და შენი ხმა არ გავიგონო!..

— არ შეეპასუხო, — ხმადაბლა გადაულაპარაკა ორდენიძემ ხელქვეითს, — თორემ ამაღამ არც მე მიწერია ძილი...

მეორე დღეს გამომძიებლები სამსახურში ადრიანად გამოცხადდნენ. ორდენიძემ კაბინეტის კარის შეღება ძლივს მოასწრო, რომ ურთმელიძემ მაშინვე თავისთან უხმო.

— ოჰო! — ხელები მოიფშვნიტა კმაყოფილმა ლეკიშვილმა. — მგონი, ამჯერად მაგრად შეენთო ცეცხლი, ხომ იცი?

— ვნახოთ, ვნახოთ... — თავისთვის ჩაილაპარაკა გამომძიებელმა და ოთახიდან დინჯად გავიდა.

— ასეთი პირქუში პოლკოვნიკი ორდენიძეს მანამდე არასდროს ენახა. ურთმელიძე კაბინეტში მძიმე ნაბიჯებით გადიგამოდიოდა და, თან, თავსაც უკმაყოფილოდ აქნევდა.

— კარი მიხურე და დაჯექი! — უბრძანა მან ხელქვეითს.

ორდენიძე ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილა.

— აბა, ახლა წესიერად ამიხსენი, წუხელ რას მიედ-მოედებოდი?

— სეხნიაშვილის მკვლელობის მცდელობას გულისხმობთ თუ იმ ნივთმტკიცებას, რომელიც ამ ფაქტთან დაკავშირებით მოვიპოვე? — მშვიდად ჰკითხა პოლკოვნიკს გამომძიებელმა.

— სეხნიაშვილის მოკვლა არავის უცდია, — ხმას აუწია ურთმელიძემ, — უბრალოდ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და თავის მოკვლა სცადა.

— დარწმუნებული ხართ, ბატონო კახაბერ?

— რა თქმა უნდა, — მაგიდიდან

რაღაც ფურცელი აიღო პოლკოვნიკმა და ხელქვეითს მიუგდო: — აი, მისი წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელიც ამ დილით საავადმყოფოში ჩამოვართვით.

— ამ დილით? — საათზე გაკვირვებით დაიხედა ორდენიძემ. — ოპერატიულობაც ამას ჰქვია, — შემდეგ ფურცელი მშვიდად აიღო და სტრიქონებს თვალით სწრაფად გადაურბინა.

— დავაკმაყოფილეთ შენი ინტერესი თუ კიდევ რამეს გვიბრძანებ? — აგდებულად ჰკითხა ურთმელიძემ.

— ბრძანების უფლება არ მაქვს, ბატონო კახაბერ, მაგრამ აი, ამ დოკუმენტის საქმისთვის დართვას კი მოკრძალებით გთხოვდით, — საქაღალდიდან თაბახის ფურცელი მშვიდად ამოიღო გამომძიებელმა და პოლკოვნიკს წინ დაუდო.

— ეს რაღაა? — ფურცელს გაკვირვებით დააშტერდა პოლკოვნიკი.

— სიტყვები, რომლებიც სეხნიაშვილმა მდგომარეობიდან გამოსვლისთანავე დაწერა. როგორც ხედავთ, ეს მხოლოდ დოკუმენტის ასლია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში...

— ამის საჭიროება არასდროს დადგება! — უცბად მაგიდას მუშტი გამეტებით დასცხო ურთმელიძემ. — საქმეში სეხნიაშვილის ახსნა-განმარტება და, რაც მთავარია, მისი აღიარებითი ჩვენება უკვე დევს და ამით ყველაფერია ნათქვამი! ახლა კი ცოტა შენც გაირჯები, სეხნიაშვილის აღიარებითი ჩვენების ოქმს ხელს მოაწერ და აქედან გაქრები, გასაგებია? — კიდევ ერთი ფურცელი ესროლა გაცოფებულმა პოლკოვნიკმა ხელქვეითს.

— ამ ჩვენების ჩამორთმევას არ დავსწრებივარ, — ფურცლისთვის არც კი დაუხედავს, ისე გასწია გვერდზე ორდენიძემ.

— მერე?

— მერე ის, რომ...

— მოიცა-მოიცა! — უცბად თვალები გადმოკარკლა პოლკოვნიკმა. — იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ოქმს ხელს არ მოაწერ?

— სწორად მიმიხვდით, ბატონო კახაბერ. სეხნიაშვილს აღიარებითი ჩვენება ჩემი თანდასწრებით არ გაუკეთებია და, ამდენად, არც ის ვიცი, რა გარემოებაში მოხდა მისთვის ამ ჩვენების ჩამორთმევა.

— რა თქმა უნდა, არაფერი იცი და არც არაფერში მიგიღია მონაწილეობა! — აყვირდა ურთმელიძე. — ამას რატომ იკადრებ, როცა ყველა შავ საქმეს სხვები აკეთებენ, შენ და შენისთანები კი ყოველთვის და ყველა სიტუაციიდან თეთრი ხელთათმანებით გამოდიხართ!

— შავი საქმეების კეთება არავისთვის მითხოვია.

— მაგრამ არც დიდი წინააღმდეგობა გაგიწევია.

— გეთანხმებით, მაგრამ ეს ყველაფერი მანამდე იყო, სანამ სეხნიაშვილის მოკვლას გადაწყვეტდით.

— რა თქვი? — უცბად მიტკალივით გაფითრდა პოლკოვნიკი. — მმე... შშენ... ვერ ხვდები, რომ ყველა ზღვარს გადახვედი?!.

— ვხვდები.

— იცოდე, გაგსრეს, გაგანადგურებ!

— ეგეც ვიცი, — კვლავ მშვიდად უპასუხა ორდენიძემ, — მაგრამ აღარც მე ვიჯდები მთლად გულხელდაკრეფილი.

— მაინც რის გაკეთებას აპირებ?

— აქედან პირდაპირ სამინისტროში წავალ და ვისაც ჯერ არს, ყველაფერს დაწვრილებით მოვახსენებ.

— რაო, რაო, სად წავალო? — სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა ურთმელიძეს.

— „ზემოთ“, როგორც თქვენ გიყვართ ხოლმე თქმა.

— მერედა, შენისთანა წარსულის გადმონაშთს იქ ვინ მოუსმენს?

— ვინ და მინისტრის მოადგილე.

— მინისტრს ბევრი მოადგილე ჰყავს. შენ მაინც რომელი გყავს შეგულებული? ვისთვის აპირებ გულის გადაშლას?

— თქვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს?

— რა თქმა უნდა.

— ვაჟა სხულუხიას უნდა დაველაპარაკო.

— ბრავო! — მოწონების ნიშნად ტაშიც კი შემოჰკრა ურთმელიძემ. — მთლად პირველი მოადგილისთვის დაგიმიზნებია ანუ, როგორც იტყვიან, თუ ქეიფია, ქეიფი იყოს, ხომ?

— ქეიფის და დროს ტარებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბატონ ვაჟას სულ პატარაობიდან ვიცნობ. შეიძლება ითქვას, რომ ჩემ თვალწინ გაიზარდა. მე და მამამისმა გიორგიმ, ღმერთმა აცხონოს მისი სული, მთელი 10 წელი ერთ განყოფილებაში ვიმუშავეთ.

— შენ რა, სხულუხიას მთელ საგვარეულოს იცნობ? — დამცინავად გაეღიმა ურთმელიძეს.

— მთელს — არა, მხოლოდ მამამისზე მოგახსენებთ. ბატონ ვაჟას კი ამას წინათ სამინისტროს დერეფანში სრულიად შემთხვევით შევხვდი და თვითონ რომ არ ვეცნე, გამოლაპარაკებასაც კი ვერ გავუბედავდი.

— ვერც უნდა გაუბედო! სად — შენ და სად — მინისტრის პირველი მოადგილე?!.

— მეც მაგას არ ვამბობ? — ახლა ორდენიძეს ჩაეღიმა დამცინავად.

— მაინც რა გითხრა?

— ვინ?

— თავს ნუ იგდებ, სხულუხიაზე გეკითხები!

— დაინტერესდა, კონკრეტულად სად ვმუშაობდი და ჩემი უშუალო უფროსი ვინ იყო. შემდეგ კი ისიც დასძინა, რომ თუ სამსახურში რამე პრობლემა შეგექმნება და ჩემი დახმარება დაგჭირდება, არ მოგერიდოსო.

— ხუმრობ, ხომ?

— არც მიფიქრია. მის შეწუხებას მართლა ყველანაირად ვერიდებოდი, მაგრამ ახლა ვატყობ, სხვა გზა აღარ დამრჩენია, — ფეხზე დინჯად წამოდგა ორდენიძე.

— სად მიდიხარ? — გაუკვირდა პოლკოვნიკს.

— ხომ გითხარით, პირდაპირ ვაჟა სხულუხიასთან-მეთქი.

— აბა, ახლავე დაჯექი! — მთელი ხმით იღრიალა უცბად ურთმელიძემ. — ჯერ ლაპარაკი არ დამიმთავრებია!

— კი, ბატონო, — ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა გამომძიებელი.

— მაშანტაჟებ, ხომ?

— აქამდე არც ეს მიფიქრია.

— მაშინ გამაგებინე, ახლა რა ბზიკმა გიკბინა? რა გინდა ჩემგან? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა პოლკოვნიკმა ხელქვეითს.

— პირდაპირ გითხრათ?

— პირდაპირ.

— ხომ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რომ სეხნიაშვილს არც იოსებიძე მოუკლავს და არც — ლაზიშვილი. ბებია კი სრულიად შემთხვევით ემსხვერპლა...

— უაზრო შესავლებს მოეშვი და საქმეზე გადადი!

— მაშინ მოკლედ გეტყვით: იოსებიძის საქმე ძიებაში უნდა დავაბრუნოთ, სეხნიაშვილი კი ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გავათავისუფლოთ.

— ვერ ხვდები, რომ თითქმის შეუძლებელს მთხოვ?

— ვხვდები, მაგრამ ამჯერად უკან ველარ დავიხევ.

— რატომ? შენ უკან უკვე „მოსკოვია“? — აქირქილდა პოლკოვნიკი.

— წაეედი! — ისევ წამოიწია ორდენიძე.

— დაჯექი-მეთქი! — კბილებში ავად გამოცრა ურთმელიძემ. — შენი ბედი, რომ სეხნიაშვილის ამბავი ჯერ „ზემოთ“ არავინ იცის და არც პროკურატურისთვის გადამიცია მისი საქმე...

— მაშინ შევეშვათ ამ უბედურ ბიჭს და საქმეს მართლა სერიოზულად მივხედოთ.

— მერე გამოძიებას რომ დაემალოს?

— ვინ? სეხნიაშვილი? — გაეღიმა ორდენიძეს.

— რა გაგიკვირდა? მართლა ანგელოზი ხომ არ გგონია?

— პირადად ვუდგები გარანტად, რომ ამას არ გააკეთებს.

— იოსებიძის საქმეს როდის დაასრულებ?

— როგორც კი მის ნამდვილ მკვლელს ვიპოვი. სხვათა შორის, არც მე გამოვრიცხავ, რომ მისი და ლაზიშვილის მკვლელი მართლაც ერთი და იგივე პიროვნება იყოს.

— იცოდე, ერთ კვირაში იოსებიძის საქმეში ყველაფერი გარკვეული უნდა გქონდეს!

— მექნება.

— მაშინ წადი და საქმეს მიხედე!

— დიდი მადლობა, ბატონო კახაბერ, — დინჯად წამოდგა ორდენიძე.

— ჩვენი კამათის დეტალებზე სიტყვა არავისთან დაგცდეს! — დააწია კართან მისულ ხელქვეითს ურთმელიძემ.

— სამარე ვარ, ბატონო კახაბერ... — მრავალმნიშვნელოვნად ჩაელიმა გამომძიებელს და კარი უხმაუროდ გაიხურა...

— რას შვრები?.. როგორაა საქმე?.. გადავრჩით თუ ვერა?.. — კაბინეტში შესვლისთანავე კითხვები დააყარა ორდენიძეს ლეკიშვილმა.

— ამჯერად, მგონი, მართლა ბეწვის ხიდზე გავიარე... — სამუშაო მაგიდას მიუჯდა დაღლილი გამომძიებელი.

— მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა ლეკიშვილმა. — თორემ ურთმელიძის კაბინეტიდან ისეთი ხმები გამოდიოდა, ვიფიქრე, ცოცხლად ჭამს-მეთქი.

— შეჭმამდე ჯერ საქმე არ მისულა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა მაინც მყიფეა.

— უკეთესად როდის იყო, რომ?.. — ფეხი-ფეხზე არხეინად გადაიდო ანდრომ. — არა, ასეთი მაინც რა უთხარი, რომ კინალამ...

— ზედმეტი კითხვების დასმას მოეშვი! — შეუღრინა ხელქვეითს ორდენიძემ. — ხომ იცი, როგორ არ მიყვარს, ჭორიკანები!

— თუ გინდა, დავმუნჯდები, შეფ, მაგრამ ურთმელიძის ღრიალი მთელ განყოფილებას ესმოდა და უკვე ისედაც ათასი ჭორი აგორდა.

— აგორდა და აგორდეს. ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ. დრო ცოტა გვაქვს და, ამიტომაც, ყოველი დღე, საათი და წუთიც რაც შეიძლება ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ.

— გამოვიყენოთ მერე, რა პრობლემაა? მითხარი, რით დავიწყოთ?

— თუ ცოტა ხნით მაინც გაჩუმდები და დაფიქრების საშუალებას მომცემ, გეტყვი.

— სამარე ვარ! — პირზე ხელი გამეტებით მიიჭირა ლეკიშვილმა.

— სამარე კი არა, მასხარა ხარ, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია გამომძიებელმა და მცირეოდენი ფიქრის შემდეგ დასძინა: — მაშ ასე, იოსებიძის საქმეს უკან ვიბრუნებთ...

— ასეც ვიცოდი, შეფ! — სიხარულით შეჰყვირა ლეკიშვილმა. — მაგრები ვართ!

— მაგრები მაშინ ვიქნებით, მკვლელს რომ ვიპოვით და სეხნიაშვილს უჯმაჯურიძისნაირების ხელიდან გამოვიხსნით.

— ისე, ყველაფერს აჯობებდა, პირდაპირ უჯმაჯურიძისნაირების ჩაყუდებაზე გადავსულიყავით...

— ასე მაღლაც ნუ აფრინდები...

— რა ვქნა, შეფ, ფორთხვა თუ უკვე მიჭირს?

— შენ ჩემი იკითხე... — ამოიოხრა ორდენიძემ.

სწორედ ამ დროს მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა. ეკრანზე უცნობი ნომერი გამოჩნდა.

— გისმენთ, — ჩასძახა ყურმილში გამომძიებელმა, — რომელი ნატა?.. ა-ა, რა თქმა უნდა, გიცანით... გმადლობ. თავად როგორ გიკითხოთ?.. დღეს?.. რატომაც არა... თუნდაც ახლავე... ოღონდ იცით, როგორ მოვიქცეთ?.. მოდი, ამჯერად მე მოვალ თქვენთან... მისამართი ჩამაწერინეთ...

როგორც კი გამომძიებელმა მისამართი ჩაიწერა და ქალს დაემშვიდობა, ლეკიშვილი მაშინვე ეცა:

— არ მითხრა ახლა, ნატა სტაშკოს ველაპარაკეო?

— კი, სტაშკო იყო.

— მასთან მივდივართ?

— არა, მარტო მე მივდივარ.

— მარტო?

— ჰო, მე ნატას და დედამისს დაველაპარაკები, შენ კი სეხნიაშვილთან წახვალ საავადმყოფოში და მკაცრად გაფრთხილებ, რომ ჩვენ გარეშე ხელი არაფერზე მოაწეროს.

— კარგი რა, შეფ, მკლავ?

— რა იყო?

— ხომ იცი, იმ გოგოს კიდევ ერთხელ ნახვა როგორ მინდა და შენ კიდევ...

— სისულელეებს მორჩი! — გააწყვეტინა ორდენიძემ ხელქვეითს. — ხომ არ გავიწყდება, რომ ნატა სტაშკო მკვლელობის საქმეზე უნდა დავკითხო?

— არ მავიწყდება, მაგრამ რომ დავკითხო, ვითომ რა მოხდება?

— ანდრო! — ხმას აუწია ორდენიძემ. — დღეს ისედაც მძიმე დღე მაქვს და შენ მაინც ნუ გადამრევ!

— ყველაფერი გასაგებია, შეფ! — დანებების ნიშნად ორივე ხელი ასწია ლეკიშვილმა. — როგორც იტყვიან, მე სეხნიაშვილის გასაფრთხილებლად წავბრძანდები, შენ კი...

ნატასთან მისულ ორდენიძეს კარი დედამისმა, ნინომ გაუღო და სასტუმრო ოთახში შეუძღვა, სადაც ნატა და მისი საქმრო — მაქსი რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ, თუმცა გამომძიებლის დანახვისთანავე გაჩუმდნენ. ცოტა ხანში კი მაქსიცა და ნინოც ოთახიდან გავიდნენ და ნატა და გამომძიებელი მარტო დატოვეს. გოგონა აღელვებული ჩანდა.

— ცუდ დროს ხომ არ მოვედი? — ჰკითხა მას ორდენიძემ.

— ჩემი და მაქსის ჩხუბს გულისხმობთ?

— მე კამათს დავარქმევდი.

— შეიძლება, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლებოდა, — ამოიოხრა ნატამ, — უკვე ყოველდღე ვკამათობთ და ვჩხუბობთ კიდეც.

— ასეც ხდება, მაგრამ ალბათ, გაგიგონიათ, რომ ცოლ-ქმრის ჩხუბი მხოლოდ რეგვენს თუ ჰგონია მართალი.

— ჩვენ ოფიციალურად არ ვართ ცოლ-ქმარი.

გამომძიებელი ხვდებოდა, რომ მათი საუბარი სხვა მიმართულებას იღებდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, ნატასთვის სულის მოთქმის საშუალება მიეცა:

— მესმის, მაგრამ არა მგონია, ამ ფორმალობის მოსაგვარებლად ვინმესგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდეს.

— უკვე შეხვდა.

— თუ საიდუმლო არაა, მაინც ვისგან?

— ჩემგან.

— თქვენგან?

— დიახ. იმიტომ, რომ მეტი აღარ შემიძლია. რაც აქ ჩამოვედით, მაქსი უკვე ყველასა და ყველაფერზე ეჭვიანობს.

— რას იზამთ? — მოწყალედ გაეღიმა ორდენიძეს. — ეს ყველა ლამაზი ქალის ქმრის მძიმე ხვედრია.

— არა, — უარის ნიშნად თავი გამეტებით გააქნია ნატამ, — მაქსი ჩემი ქმარი არ გახდება. იცით, წელან ვისზე იეჭვიანა?

— წარმოდგენა არ მაქვს, — ვერც ამჯერად შეიკავა ღიმილი გამომძიებელმა.

— ირაკლიზე.

— ირაკლი ვინ არის?

— იონა ბიძიას მეზობელ ირაკლი სეხნიაშვილს ვგულისხმობ.

— სეხნიაშვილს? — ყურები ცქვიტა ორდენიძემ. — აი, აქედან კი რაც შეიძლება, დაწვრილებით უნდა მიამბოთ ყველაფერი...

დასასრული შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გზა №23-28

ვგრძნობდი, ასე დიდხანს ვერ გავძლებდი. დედაჩემის ნახვამ ძალიან იმოქმედა ჩემზე. საოცარი ფსიქოლოგიური სტრესი მივიღე. დიდხანს რომ გამეგრძელებინა ამ სახლში სიარული, ალბათ ჩემი ბოლო ან ფსიქიატრთან ვიზიტი იქნებოდა, ან სულაც, საგიჟეთში ამოვყოფდი თავს. სწორედ ეგ მაკლდა სრული ბედნიერებისთვის. არადა, რაღაც ძალა უკან მეწეოდა. არა და არ ჩამივარდა ხელსაყრელი მომენტი, მასთან ჩემთვის საჭირბოროტო თემაზე მესაუბარა. პირდაპირ ხომ არ მივახტებოდი და ვეტყოდი, იცით რა, ქალბატონო ნინო... ასე არაფერი გამოვიდოდა.

ახლა უკვე კვირაში ორჯერ მიწევდა მათთან მისვლა — ოთხშაბათს და კვირას. საშინლად ვიღლებოდი, ემოციურადაც და ფიზიკურადაც. ლამაზ ქალბატონს, რომელმაც მშობა, ჩემთან უფრო დაახლოების დიდი ინტერესი არ გამოუჩენია.

არც მეორე შეხვედრის დროს აღმოვჩნდით მარტონი. ტასიკო ავადმყოფ ქალს გვერდიდან არ შორდებოდა. არ ვიცი, რას წარმოადგენდა იგი ჩემი „ახალი“ ოჯახისთვის, მაგრამ გამუდმებით რომ იქ იყო, ამას ვხედავდი. ნეტავ, საკუთარი ოჯახი ჰყავს თუ არა? სულ აქ რატომ ტრიალებს? ეს კითხვა მოსვენებას მიკარგავდა, თუმცა არანაირი უფლება არ მქონდა, ამის შესახებ მისთვის მეკითხა.

უგუნებოდ ვიყავი. უფრო მეტიც, ზედმეტად დაძაბული, ვიდრე წინა მოსვლაზე. მოუსვენრობამ შემიპყრო. თან მიხაროდა, ნინოსთან ხშირი კონტაქტის საშუალება რომ არ მეძლეოდა, თან ცნობისმოყვარეობა მკლავდა, მინდოდა, დღის განმავლობაში რამდენჯერმე მომეკრა მისთვის თვალი და მეყურებინა, რას აკეთებდა, რას ლაპარაკობდა, როგორ ხასიათზე იმყოფებოდა...

მე და ტასიკო სამზარეულოში ვტრიალებდით. შუადღემ მოატანა და შესვენება მეკუთვნოდა, ერთად რომ გვესადილა. ტასო ენას არ აჩერებდა, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, თითქოს რადიო ჰქონოდა გადაყლაპული. ერთი საათი ჰყვებოდა, რატომ დაუნიშნა ასეთი ძლიერი დამაწყნარებელი აბები აქაურმა ექიმმა მის დაქალს. ის სადილს ამზადებდა, მე კი ვეხმარებოდი. უეცრად გაჩუმდა, მომიტრიალდა და საოცრება მკითხა.

— ანა, რაღაც არ მომწონხარ... შემთხვევით ქალური ციკლი ხომ არ დაგეწყო? ჩაშავებული გაქვს თვალის უპეები.

მისმა უტაქტობამ გამაოგნა.

— არა! — ზედმეტად უხეშად გამომივიდა.

— იცი რა? ასეთ რამეებს ინტუიციით ვგრძნობ. ჩემთან რას მალავ, მეც ქალი არა ვარ? ახალგაზრდობაში მეც შენსავით ვიყავი, მენსტრუაციის დროს ტკივილები მკლავდა, — ჯიუტად გააგრძელა და ჩაშუშული ხორცის კოვზით მორევა გააგრძელა, — მომკლავს, სადილი რომ დავუგვიანო, ერთ ამბავს ატეხავს.

— მალე იქნება მზად? — გამიხარდა, სხვა თემაზე რომ გადაერთო, ჩემი ციკლური დღეები რა მისი გასარჩევი იყო.

— ერთი წუთი და გამოვრთავ. მიდი, პური დაჭერი და ერთი ცალი პომიდორი გარეცხე, სხვას მაინც არაფერს შეჭამს. ყველაფერი მისხალ-მისხალ აქვს გათვლილი, გრამს არ გადაყლაპავს ზედმეტს, ისეთი პრინციპულია. ჩვენ მერე ვისადილოთ, გემრიელად, მაგას რომ შეუტანო.

— მე უნდა შევუტანო?

— ასე მოითხოვა თვითონ, ჩემი ბრალი არ არის.

გამაჟრჟოლა... არა, უფრო სწორად, დამსუსხა, თითქოს ჭინჭარი გადამკრესო ზურგზე. ნინოსთან სიახლოვე იდუმალ შიშს მგვრიდა რატომღაც.

...რამდენიმე წუთის შემდეგ, სინზე დადებული სადილით მისი საძინებლის კარზე გაუბედავად დავაკაკუნე.

— შემოდი! — მომეჩვენა, რომ მისუსტებული ხმა ჰქონდა.

როცა შევედი, ფანჯარასთან იდგა, ხელები მკერდზე გადაეჯვარედინებინა და ცას ასცქეროდა.

— საჭმელი მოგიტანეთ... — მიკნავებული ხმით ამოვთქვი.

— დიდი მადლობა, ანა, — მითხრა, თავი მოაბრუნა და ყინულივით ცივი მზერით შემათვალიერა, — შეგიძლია წახვიდე, თავისუფალი ხარ.

ასე უცებ „გათავისუფლებას“ არ ველოდი, უხმოდ შევბრუნდი და ფეხაკრეფით გამოვიძურწე ოთახიდან. თითქოს რაღაცას გრძნობდა, არ მაძლევდა საშუალებას, ორიოდე წუთით მაინც დავრჩენილიყავი მასთან მარტო. საუბარი რომ გაება, იქნებ თავი მომეება სათქმელისთვის, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ჩემთან განმარტოებას გაურბოდა.

ოთახიდან გამოსულმა საოცარი ზიზღი ვიგრძენი. არა, ის დედაჩემი არ იყო! არ შეიძლებოდა, ასეთი ცივი ადამიანი ჩემი დედა ყოფილიყო! აქ რაღაც შეცდომაა. არანაირი კავშირი ჩვენ შორის არ არსებობს. მე არც ერთი თვისებით მას არ ვგავდი, ამასთან — არც გარეგნულად, თუ არ ჩავთვლით თვალებს... უკვე ერთი სული მქონდა, აქაურობას სამუდამოდ გავშორებოდი და მისთვის ერთი სიტყვაც არ მეთქვა. იმწუთას რამის გარკვევის ყველანაირი სურვილი გამიქრა.

სამზარეულოში დაბრუნებულს ნუკრი დამხვდა. ეს კიდევ მეორე უკიდურესობა იყო. ამ ბიჭს რომ დავინახავდი, უცნაურად შემიტოკდებოდა გული. ვერაფრით ავხსენი, რა მემართებოდა.

— ანა! — შესძახა მან ჩემს დანახვაზე, — რა ლამაზი ხარ დღეს! — და ხელებგაშლილი ჩემკენ გამოემართა.

ადგილზე გავხევდი. მოვიდა და გადამეხვია. ფეხის ფრჩხილებამდე გავწითლდი, მგონი.

— როგორ არის დედაჩვენი? — მკითხა, მხრებში ხელები ჩამავლო, თავი

უკან გადასწია და თვალებში ჩამაცქერდა.

„დედაჩვენი“ საშინლად მტკივნეულად მომხვდა გულზე. ის არც დაფიქრებულა, როგორ შეეძლო ამ ერთ სიტყვას ჩემზე ემოქმედა... ისე წარმოთქვა, შინაურულად, მე კი ჩემი დამემართა.

— სადილობს, — ყრუდ ვუპასუხე და შევეცადე, მისი ხელებისგან გავთავისუფლებულიყავი.

— რატომ გამირბიხარ? — მოფლირტავე მამაკაცის ტონით მკითხა.

— იმიტომ, რომ მე თქვენი მეგობარი არ ვარ, — მკვახედ მივუგე.

— რატომ არ ხარ? ამ სახლში ყველა ჩემი მეგობარია. ასე არ არის, ტასიკო? — მიუბრუნდა დედის დაქალს, რომელიც სუფრას შლიდა.

— ნუ შეუწუხე ადამიანს გული, ისედაც შეღონებულია დედაშენის გადამკიდე, — უკმეხად უპასუხა ტასომ, — მოდი, ახლა, დავსხდეთ.

— მე... არ მშია, ქალბატონო, წავალ, ჩემს საქმეს მივხედავ, — საცოდავად ავლუღლუღდი და მიუხედავად ორივეს ხვეწნისა, სადილზე უარი ვთქვი და სააბაზანოში შევედი, დალაგება რომ გამეგრძელებინა.

შემდეგი ორი კვირის განმავლობაში ლევანი და ვასიკო ოთხჯერ იყვნენ თუ ხუთჯერ ჩემთან. რაც უფრო ხშირად მოდიოდნენ, მით უფრო მიმძაფრდებოდა სიყვარული ბავშვის მიმართ. ისეთი გაბრწყინებული თვალებით მიყურებდა ხოლმე, გული მეთუთქებოდა, თითქოს ჩემში ხედავდა ხსნას, შველას... თითქოს ჩემ იქით მისთვის სხვა, უფრო ძვირფასი ადამიანი არ არსებობდა. ვგრძნობდი, ჩემ გვერდით ყოფნა ბედნიერებას ანიჭებდა. პირველ ხანებში თავს ვიჭერდი ზედმეტი ემოციებისგან, მოფერებისგან, რადგან ლევანის მრცხვენოდა. მერე და მერე, ნელ-ნელა გავთავისუფლდი შებოჭილობისგან და ხანდახან ისე მოწყურებულად ჩავკოცნიდი ბიჭუნას, თითქოს მთელი წლის უნახავი მყოლოდა. 2-3 საათი რჩებოდნენ ჩემთან. ხან მულტფილმებს ვაყურებინებდი, ხან წიგნებს ვუკითხავდი, ხანაც ისე, უბრალოდ, ვსაუბრობდით. მათი წასვლის შემდეგ გუნება მიფუჭდებოდა. თუ საშკა მოვიდოდა, ხომ კარგი, თუ არა და, მთელი ღამე არ მეძინა და გათენებამდე ვბორგავდი ლოგინში. ერთი სიტყვით, ვასიკოსთან ურთიერთობა სულს მიშფოთებდა. გული მიგრძნობდა, რომ ასე ადვილად არ დამთავრდებოდა ეს მისვლა-მოსვლა, რომ რაღაც სერიოზული ამბავი უნდა მოჰყოლოდა ამ ვიზიტებს.

საშკა სულ მეჩხუბებოდა. რაში გჭირდება, რისთვის შეიჩვიე ეგ ბიჭი, რა ძალა გადგას, აუტკივარ თავს რისთვის იტკივებო. შეიძლება მართალიც იყო, მაგრამ მაინც არ ვიშლიდი ჩემსას. თავს მხოლოდ ერთი რამით ვიმართლებდი — სახლში მოსულ სტუმარს კარს ხომ არ მივუკეტავ-მეთქი? არადა, შინაგანად გამოუცნობი ძალა მეწეოდა მისკენ. ის კი არა, თუ ზუსტად დათქმულ დროზე არ მოვიდოდნენ ორივენი, მოუსვენრობა მიპყრობდა, რატომ დააგვიანეს-მეთქი.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მე და საშკამ კიდევ ერთხელ ვიჩხუბეთ. ისიც კიდევ ერთხელ ადგა და წავიდა. ამჯერად არ შემიჩერებია. მერჩივნა, საშკა დამეკარგა, ვიდრე ვასიკოსთვის ჩემთან მოსვლა ამეკრძალა. თავს არ ვუტყდებოდი, მაგრამ გუმანით ვგრძნობდი, თავგადასავალს ვეძებდი და ეს შესაძლო თავგადასავალი ვასიკოს ვიზიტებს უკავშირდებოდა.

იმ დღესაც, მეხუთედ რომ მესტუმრნენ, ლევანმა გამომცდელი მზერა მესროლა და უცებ მომახალა.

— ყოველ ჩვენს მოსვლაზე უფრო და უფრო ცუდად გამოიყურებით, ანა...

მისმა კომენტარმა იმდენად განმაცვიფრა, რომ თვალებდაჭყეტილმა ტუჩი ავიბზუე. არც ისეთი ახლო ურთიერთობა გვქონდა, ასე მოემართა ჩემთვის.

— მანდილოსანს ასეთ რამეს არ ეუბნებიან, — ჭკუის სწავლება დავუწყე.

— სუფთა ჰაერი გჭირდებათ, ეს აშკარაა, — უკან არ დაიხია.

— რას მელაპარაკებით, — დამცინავად ვუპასუხე.

— არ არის საჭირო ირონია, მართალს გეუბნებით. იქნებ გაგვესეირნა? მშვენიერი საღამოა, პარკში გავლა არ გვაწყენდა, ვასიკოსაც გაუხარდება.

სანამ რამეს ვიტყოდი, ბიჭუნა ახმაურდა, ფეხები სიხარულით დააბაკუნა იატაკზე, მერე მომვარდა და ხელები წელზე შემომხვია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ლევანის წინადადებას უნდა დავთანხმებულიყავი.



„ამ კაცს ხომ არ შევუყვარდი, შემთხვევით“, — გამიელვა გონებაში და შეშინებულმა ავხედე ლადოს „ლაქიას“, იქნებ რამე მსგავსი შევატყო-მეთქი და მაშინვე დავმშვიდდი. „სასიყვარულო შუქჩრდილები“ სულაც არ ციმციმებდა მის არც თვალებში და არც გამოხედვაში.

— კარგი, გავისეირნოთ, წინაალმდეგი სულაც არ ვარ, — მოულოდნელად დავთანხმდი შემოთავაზებას და გავემზადე.

პარკის კენჭებით მოკირწყლულ წითელ ბილიკზე მე და ვასიკო ხელიხელჩაკიდებული მივსეირნობდით და გუშინ ნანახ მულტფილმზე გატაცებით ვსაუბრობდით. მიხაროდა, ბავშვი ასე კარგად რომ გრძნობდა ჩემთან თავს. მერე ნაყინი ვუყიდე. ლევანი უკან მოგვყვებოდა დაცვასავით.

— ძალიან ნუ გაანებივრებთ, — გამაფრთხილა „დაცვამ“.

— გგონიათ, მას ერთი ნაყინი გაანებივრებს? და თუკი ასეა, გამიხარდება კიდეც. თუ არა მე, მაშ ვინ? სხვა, მე მგონი, არც არავინ ზრუნავს მასზე, — მწარედ გადავუკარი.

უეცრად ჩემი მზერა ვიღაცის ნაცნობმა სილუეტმა მიიპყრო. თითქოს სადღაც მენახა ეს ვიღაც, მაგრამ სად, ვერაფრით აღვიდგინე მეხსიერებაში. ის ვიღაც ჩვენკენ მოემართებოდა ნელი ნაბიჯებით. მერე შედგა და ჩემზე შეაჩერა მზერა... შემდეგ ისევ დაიძრა და ნაბიჯსაც აუჩქარა.

გავფითრდი... რაც უფრო მიახლოვდებოდა მამაკაცი, მით უფრო მეკვეთებოდა მუხლები და მიჩქარდებოდა გული. ამ სახეს რა დამავიწყებდა! ეს ლადო იყო, ვასიკოს „ლეგენდარული“ ბიძა, პირველსავე შეხვედრაზე სიცოცხლე რომ გამინახევრა!

— ლადო ბიძია! — ვასიკოს შეშინებული ხმა აღმოხდა... როგორც ჩანს, მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა „დემონის“ პარკში გამოჩენა.

ახლა კი ყველაფერს მივხვდი. ჩვენი „მოულოდნელი“ შეხვედრა ჩაწყობილი ამბავი იყო. ლევანმა ეს ყველაფერი იცოდა და იმიტომაც გამომიტყუა პარკში. რატომ, რა საჭირო იყო? თუ ამ „ნეანდერტალელს“ ჩემი ნახვა უნდოდა, ხომ შეეძლო, დავებარებინე და ჩემი ფეხით მივსულიყავი მასთან? მაგრამ მივიდოდი? არა, არ მივიდოდი! ეს მან მშვენივრად იცოდა

და იმიტომაც ჩაიფიქრა მზაკვრული გეგმა! ასე „შემთხვევით“ შეხვედრის შემდეგ, ხომ ვერ ვეტყოდი, სპეციალურად მოიქეცი ასე-მეთქი? რით დავუმტკიცებდი? ვერაფრით!

თავზარდაცემული „ვეომებოდი“ მის გამჭოლ მზერას. როგორც ჩანს, მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე! რა უნდა? რას გადამეკიდა? ჩემი დევნის მეტი სხვა საქმე არაფერი აქვს? ვიგრძენი, როგორ გამიოფლიანდა ხელისგულები და ბავშვს უნებლიეთ შევუშვი ხელი. საუკეთესო ვარიანტი, რაც იმწუთას მომაფიქრდა, დაუპატიჟებელ სტუმარზე თავდასხმა იყო. დავასწარი, სანამ რამეს მეტყოდა და კუშტად მივმართე.

— თქვენ რა, მე მითვალთვალებთ?

— თქვენ არ გითვალთვალებთ, — ჩემდა გასაოცრად, მშვიდი და იმავდროულად, თბილი ხმით მომიგო.

— ნუთუ? — ხელოვნურად გავიკვირვე და საბოლოოდ ავიყვანე თავი ხელში, ახლა უკვე აღარაფრის მეშინოდა.

— უბრალოდ, თქვენთან დალაპარაკება მინდა, მეტი არაფერი, — გულღიად კი გამოუვიდა.

„აჰა!.. დალაპარაკება! ჰო, რა თქმა უნდა! იმისთვის, რომ „დემონი“ არ განვარისხოთ, სასურველია, მოვუსმინოთ მას!“ — „მოვეთათბირე“ საკუთარ თავს ფიქრებში და გაბედულად შევხედე ვასიკოს პირქუშ, თუმცა კი ერთობ სიმპათიურ ბიძას.

— მიუხედავად იმისა, რომ თქვენთან საშინლად უსიამოვნო მოგონება მაკავშირებს, მზად ვარ, მოგისმინოთ! — ოფიციალური ხასიათი მივეცი ჩემს ნათქვამს და თვალი თვალში ჯიქურ გავუყარე, თუმცა ბოლომდე ვერ გავუძელი მის მზერას და ჩავიმუხლე, რათა ჩემს კალთაზე მოტმასნილი ბავშვისთვის ხელი მომეხვია. ამით ადვილად შევძელი, მის დაჟინებულ მზერას გავქცეოდი.

ვითომ აქ არაფერი, ვასიკოს ლოყაზე მსუბუქად ვუჩქმიტე, თავზე ხელი გადავუსვი და ჩურჩულით ვუთხარი.

— ცოტა ხანს ლევანთან მიდი, მე და ბიძაშენს სალაპარაკო გვაქვს, — და ხელით ვუბიძგე შორიახლოს მდგარი მამაკაცისკენ.

ბიჭუნა ერთ ადგილას იდგა ტუჩებგაბუშტული და ყოყმანობდა.

— მიდი! ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება! — შევაგულიანე და მიმავალს თვალი გავაყოლე.

— კარგი აზრია, — მომიწონა საქციელი „დემონმა“.

— რას გულისხმობთ? — ვითომ ვერ მივუხვდი.

— ბავშვი ლევანთან რომ გაგზავნე, — განმიმარტა.

— ეს მისი კეთილდღეობისთვის გავაკეთე და არა თქვენ გამო. ასე რომ... — ცივად ავხსენი ჩემი საქციელი.

ტუჩები რაღაცნაირად მოეღრიცა, გაიღიმასავით.

— ესე იგი, ომს მიცხადებ? — კვლავ გამჭოლი მზერა ვიგრძენი.

— ღმერთო ჩემო! თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ მე თქვენთან შებრძოლება შემიძლია, თუ დამცინით? — აღვშფოთდი.

— შენი სიტყვები იმას ნიშნავს, რომ მზად ხარ, მომისმინო?

— არჩევანს არ მიტოვებთ და სხვა რა გზაა? უკვე მერამდენედ, დაჟინებით მოითხოვთ ერთსა და იმავეს! მაგრამ თუ მხედველობაში თქვენს სახლში მომხდარი ინციდენტის განხილვა გაქვთ, ამაზე საუბარი არ მსურს!

— რომელ ინციდენტზე მელაპარაკებით, პოლიციით რომ მემუქრებოდი?

— თუნდაც... მე არ ვაპირებ...

— ვიცი, ვიცი, — შემაწყვეტინა, — გეშლება, თუ ფიქრობ, რომ ამის გარშემო მსურს შენთან ლაპარაკი. მე სულ სხვა რამის თქმა მინდა. შენი მუქარა მხედველობაში არც მქონია.

ცოტა არ იყოს, დავიბენი. აბა, სხვა რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან? რა, ვასიკოს გაშვილებას ხომ არ აპირებს?

— გისმენთ.

— იცი, რა ვიფიქრე? სამსახური მინდა შემოგთავაზო.

— რა-ა? — გაოგნებისგან თვალები დავაჭყიტე, ასეთ წინადადებას ნამდვილად არ ველოდი.

— სამსახურს გთავაზობ-მეთქი. რა ვთქვი ასეთი გაუგებარი?

— მენეჯერად მნიშნავთ, თუ... — ირონია არ დავიშურე, მიუხედავად იმისა, რომ განცვიფრებას ვერ ვმალავდი.

— არა, მენეჯერად არა. შედარებით დაბალ თანამდებობაზე, თუმცა, არცთუ ურიგო ანაზღაურებით.

სიცილი ვერ შევიკავე. ახლა ამანაც დამლაგებლობა რომ შემომთავაზოს!

— რამე არასერიოზული ვთქვი?

— ჯერ არა, მაგრამ გული მიგრძნობს, დაახლოებით მსგავსს მოვისმენ, თუმცა წინასწარ არ მინდა დასკვნები გამოვიტანო. გისმენთ, ბატონო ლადო, გულისყურით გისმენთ!

— მინდა ვასიკოს აღმზრდელი გახდე. ეს ჩემი წინადადებაა.

კიდევ უფრო გავოგნდი, საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. ხომ არ მომესმა? იქნებ სიზმარში ვარ და ეს ყველაფერი მელანდება? რა უბედურებაა ჩემს თავს? იქ მოსამსახურეო, აქ აღმზრდელიო... რა უცნაურ საქმიანობებს მთავაზობენ ბოლო ხანებში? ამისთვის დავამთავრე „მეფისტოლა“ უნივერსიტეტი? აფსუს, ანა, რა დღე დაგიდგა?!

— არ მესმის თქვენი... მაგრამ რატომ? რატომ მაინცდამაინც მე?

— იმიტომ, რომ, ჩემთვის ჯერ კიდევ აუხსნელი მიზეზის გამო, ჩემმა ძმისშვილმა შენ გამოგიცხადა ნდობა. შეიძლება ძალიან ოფიციალური ფორმულირება გამომივიდა, მაგრამ ფაქტი სახეზეა, რასაც ვერ გავექცევი, — მხრები აიჩეჩა ლადომ.

ოჰ! ამაში მართალი იყო, არ ტყუოდა. ეს მეც დიდი ხანია, შევამჩნიე, ჩვენი გაცნობის დღიდან... ბავშვი უკვე ველარ ძლებდა უჩემოდ. და რა იყო, პირველ რიგში, ამის მიზეზი? ის, რომ საკუთარ ბიძასთან ვერ შეძლო საერთო ენის გამონახვა. ვერ შეძლო კი არა, ტყვიასავით ეშინოდა მისი. ეს კარგად გამოჩნდა იმ დღეს, როცა მის სახლში მივედი ბავშვთან ერთად. ერთიც კი არ მიახლოებია ვასიკოს, არც კი უკითხავს, როგორ ხარო, მაშინვე სადღაც ოთახში გამოამწყვდევინა ლევანს, მაგას რა დამავიწყებს! თან როგორ ცივად ამბობს „ჩემი ძმისშვილი“... თითქოს ძმისშვილი კი არა, ვიღაცის ნაბიჭვარი იყოს!

— ცოტა უფრო თბილი რომ ყოფილიყავით ვასიკოს მიმართ, თავად მოიპოვებდით მის ნდობას და არც მას მოუწევდა „ნდობით აღჭურვილი პირის“ სხვაგან ძებნა! — გავკაპასდი.

სახე უცნაურად დაეღმიჭა.

— მე არ ვაპირებ შენთან ბავშვთან ჩემი დამოკიდებულების განხილვას. ეს შენი საქმე არ არის, — უკმეხად მომიგო.

მივხვდი, რომ აკრძალულ ტერიტორიაზე შევიჭერი.

— გასაგებია... უკაცრავად, თუკი ზედმეტი წამომცდა, — ვამჯობინე, არ დამეძაბა სიტუაცია და შევეცადე, მშვიდად გამეგრძელებინა, — და რას მთავაზობთ? რაში გამოიხატება ჩემი აღმზრდელობითი საქმიანობა? რა მევალება? ეს მაინც ხომ არის ჩემი საქმე? — მაინც ვერ მოვითმინე ბოლოს და წავუგველე.

— გამოდის, უკვე თანახმა ხარ? — გაეღიმა.

— არა, რა თქმა უნდა, — უარის ნიშნად თავი გავაქნიე, — ჯერ უნდა დავფიქრდე, თუმცა წვრილმანები მაინტერესებს. ხომ უნდა ვიცოდე, რას მთავაზობთ და მიღირს თუ არა თქვენი წინადადება რამედ, — და იქვე სასწრაფოდ დავამატე, — ხომ უნდა მიღირდეს ჩემი სამსახურის მიტოვება ამად?

— გასაოცარი სიფრთხილეა შენი მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცი, რა მხურვალე გრძნობებიც გაკავშირებს ჩემს ძმისშვილთან, — ხაზგასმით აღნიშნა.

— ეს თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, — შევეწინააღმდეგე.

— რაც ვიცი, ისიც საკმარისია ჩემთვის, — კვლავ გაიღიმა, — თუმცა, არ ვიცოდი, თუ მუშაობდი. იქნებ მითხრა, რას საქმიანობ და რამდენი გაქვს ხელფასი?

— ამის დაკონკრეტების აუცილებლობას ვერ ვხედავ, ბატონო ლადო, — არ ვუთხარი, შემეშინდა, იქნებ უკვე გაიკითხა და ყველაფერი იცის-მეთქი, — ჯერ თქვენ მითხარით, რას მთავაზობთ და მერე დავფიქრდები. მით უმეტეს, ჩემთვის ადვილი არ იქნება თქვენი წინადადების მიღება, რაც უნდა მაცდუნებელი იყოს იგი და როგორი მაღალი ხელფასიც უნდა დამინიშნოთ.

— ვითომ რატომ? — კოპები შეკრა.

— იმიტომ, რომ, თუ თქვენს შემოთავაზებას დავთანხმდები, გამუდმებით თქვენს სიახლოვეს მომიწევს ყოფნა, ძალაუნებურად ხშირი შეხება მექმნება თქვენთან, რაც, არ დაგიმალავთ და, უკიდურეს დისკომფორტს შემიქმნის. გარკვეული შთაბეჭდილება უკვე ჩამომიყალიბდა თქვენზე, ხომ იცით, არა? — თამამად გადმოვულაგე ჩემი შეხედულება მასზე, რადგან ამჯერად არც ისე საშიში მეჩვენა, როგორც პირველ შეხვედრაზე. ყოველ შემთხვევაში, მთლად მონსტრი რომ არ იყო, მივხვდი.

ცოტა კი გავთამამდი და თავი ვერ შევიკავე, მაგრამ უკან უკვე ვეღარ დავიხევდი. სათქმელი გამექცა და ახლა აზრი არ ჰქონდა, ენას კბილს დავაჭერდი თუ არა.

უცნაურად სხვანაირი მზერა მესროლა და მივხვდი, აუცილებლად მაზღვევინებდა ჩემი სიტყვების გამო. ასეც მოხდა.

— მომბეზრდა ეს მასკარადი! — იფეთქა უცებ, — გადავიფიქრე. უკან მიმაქვს ჩემი წინადადება და ბიჭისთვის სხვა ვინმეს მოვძებნი. დღეიდან კი, რომ იცოდეთ, ვუკრძალავ მას შენთან მოსვლას. კარგად ბრძანდებოდე, ანა! — კბილებში გამოცრა, გაბრუნდა და ფართო ნაბიჯებით გაუყვა ბილიკს.

მივხვდი, რომ დავიღუპე. ადვილად გამშიფრა! იცოდა, რომ ვასიკო უკვე ჩემი სუსტი წერტილი იყო და მასთან კავშირის გაწყვეტით დამაშანტაჟა. წარმოვიდგინე, რა დღეში ჩავარდებოდა ბიჭუნა, როცა ამის შესახებ გაიგებდა. მკერდში ტკივილი ვიგრძენი. თვალწინ ვასიკოს თავზარდაცემული სახე დამიდგა — საწყალი, უიმედო და სასოწარკვეთილი. ჩემი სითამამისთვის დამსაჯა! არადა, ამ დროს, ჩემზე მეტად ბავშვი დააზარალა! ჩემზე ჯავრს ვეღარ იყრის, მას კი რას უზამს, კაცმა არ იცის. შეიძლება უკანაც დააბრუნოს, ბავშვთა სახლში! რა, ჭკუა დაუშლის თუ გონება? აქამდე იქ არ ჰყავდა გამომწყვდეული? ახია ჩემზე, რატომ ჩავიგდე თავი ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში? რა მრჯიდა? მაგრამ ახლა სინანულის დრო არ იყო, როგორმე უნდა გამომესწორებინა ვითარება.

დრო არ ითმენდა. ერთი ღრმად ამოვიოხრე, გაოფლიანებული ხელისგულები ერთმანეთს გავუსვი და სწრაფად მიმავალს უკან გავეკიდე.



— მოიცადეთ! ერთი წუთით, თუ შეიძლება! — მივდევდი და ვეძახდი.

როგორც იქნა, შეჩერდა და თავი ნელა მოაბრუნა, მერე მთლიანად შემოტრიალდა. მივუახლოვდი და ჩემი უმწეობა ხელის აქნევით გამოვხატე.

— იცით, რა... მე... მოდი, მოვილაპარაკოთ როგორმე, — ამოვთქვი შეშინებულმა, — რა უცნაური ადამიანი ხართ... ყოველთვის ასე აწარმოებთ მოლაპარაკებებს? მიკვირს, აქამდე რომ არ გაკოტრდით!

წარბები უკმაყოფილოდ აზიდა და ხმადაბლა თქვა.

— მე არ მიყვარს, როცა ჩემდამი სიძულვილს ასე დაუფარავად გამოხატავენ. შესახვევი არაფერი მაქვს, ეს ბიზნესწინადადება კი არ არის, — ცინიკურად დაამატა.

— მე კი არ მიყვარს, როცა მაშანტაჟებენ, — არ დავუთმე.

— გაშანტაჟებენ? — გაიკვირვა.

— კარგი რა, — უკმაყოფილება დამეტყო ხმაში, — ძალიან კარგად ხვდებით, რაც ვიგულისხმე. უნდა ვაღიარო, რომ ადამიანების გადაბირების არაჩვეულებრივი სტრატეგია გქონიათ. იცით, ანკეესი სად ჩააგდოთ. არ ვარ მართალი?

ორივენი ჯიქურ მივაჩერდით ერთმანეთს.

— მოდი, ჩემს სტრატეგიულ ცოდნას თავი დავანებოთ. ბავშვი ძალიან მოგეჩვია, ამის უარყოფა სისულელე იქნება. ამას მეც კარგად ვგრძნობ და შენც. როცა შენგან მოდის, ისეთი აჟიტირებულია, ძლივს ვაწყნარებთ ორი კაცი. შენი თანხმობა ყველა პრობლემას ადვილად გადაჭრიდა.

— ვისთვის გადაჭრიდა პრობლემას, თუ საიდუმლო არ არის? — ავიმრიზე.

— ჩემთვისაც და მისთვისაც, — ვასიკოსკენ გაიხედა.

თვალები დავხუჭე. ვყოყმანობდი. არ ვიცოდი, დავთანხმებოდი თუ არა მის წინადადებას. თან ასე მალე. ღირდა კი? ან საშკა როგორ შეხვდებოდა ამ ამბავს? ან იქ რა უნდა მექნა, დედაჩემის სახლში? იქიდან ჯერ წამოსვლა არ მინდოდა. ჯერ კიდევ გასარკვევი მქონდა ყველაფერი.

— კარგი, ეგრე იყოს, — ყოველგვარი დაფიქრების გარეშე წამოვროშე მაინც...

— ეგრე იყოს ნიშნავს, რომ თანახმა ხარ? — დაკონკრეტება მოითხოვა „დემონმა“.

— ძალიან გთხოვთ, ირონიის გარეშე.

— ირონია რა შუაშია. უბრალოდ, ბედნიერი გამხადა შენმა გადაწყვეტილებამ, — აი, ეს კი მართლა ირონია იყო.

— ეჭვიც არ მეპარება ამაში! — მის ირონიას ირონია დავუხვედრე და ცალი წარბი ავზიდე, — ოღონდ მე ჩემი პირობები მაქვს და თუ ამ პირობებს არ გაითვალისწინებთ, უარს ვიტყვი შემოთავაზებაზე.

— რა პირობები? — ცნობისმოყვარეობა აღებეჭდა სახეზე.

— ჯერ თქვენ მითხარით, რაში გამოიხატება ჩემი ახალი სამუშაო, რა მევალება და ჩემსას მერე გეტყვით.

მომეჩვენა, რომ შეაცბუნა ჩემმა ნათქვამმა. რამდენიმე წამის განმავლობაში თვალი არ მოუშორებია, წამწამებიც კი არ დაუხამხამებია.

— შენს მოვალეობაში შედის ჩემი ძმისშვილისთვის თვალყურის დევნება. სანამ სკოლაში იქნება, თავისუფლად შეგიძლია იყო, რაც გინდა, აკეთო, მაგრამ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მთელ დღეს მის გვერდით უნდა იყო. არ მინდა, წარამარა ფეხებში მედებოდეს. გასაგებად ვლაპარაკობ?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— ლევანს შეუძლია, სკოლის შემდეგ ვასიკო ჩემთან გამოიყვანოს და საღამომდე დატოვოს. მე მივხედავ მას.

— არა! — მკაცრად შემაწყვეტინა, — შენ ჩემთან უნდა იარო, სახლში. ან საერთოდ, დარჩე და იცხოვრო, ერთ ოთახს გამოგიყოფ, პრობლემა არ არის. მთავარია, მის გვერდით იყო და მეც ორივეს გადევნოთ თვალი. ეს აუცილებელი პირობაა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უჩვეულო თავგადასავალი

მარი ჯაფარიძე

მივესალმები ყველა მკითხველს, „ადულებული“ თბილისიდან. როგორ ხართ? აქ დარჩენილებსაც მოუფიქრებიათ გაგრილების საშუალება — ზოგი თბილისის ზღვაზე დადის, ზოგი — კუს ტბაზე, ზოგი კი პირდაპირ შუა ქალაქში, შადრევნებზე ბანაობს. ახლა გამახსენდა, ბავშვობაში, მარტის არდადეგებზე სოფელში რომ ჩავდიოდი, ბოსტანში, ჩემს შემოკავებულ ადგილზე ყვავილებს ვრგავდი და მწვანილს ვთესავდი ხოლმე. შემდეგ, ზაფხულის არდადეგებამდე, ბებია უვლიდა ჩემს ბოსტანს. ზაფხულში კი — ძალიან რომ ცხელოდა, წყალს ვაცივებდი და ისე ვრწყავდი მცენარეებს. ახლა სასაცილოდ არ მყოფნის, მაგრამ მაშინ მიმაჩნდა, რომ კეთილ საქმეს ვაკეთებდი და ჩემს ყვავილებს აღარ დასცხებოდათ. როდესაც ჩემს მოყვანილ მწვანილს სადილში ვიყენებდით, ბებია ხუმრობდა ხოლმე — სულ ცივი წყლით „ჰყავს“ ჩემს გოგოს მოყვანილი, ნახეთ, რა გემრიელიაო...

სასაცილო ავარია

„ჩემი მეგობრის თავგადასავალზე მინდა გიამბოთ. ლიკა 36 წლისაა. ადრე გათხოვდა და ამიტომ, დიდი შვილი ჰყავს. დათუნა 3 წლის იყო, როცა ქმარს გაშორდა და იმის შემდეგ აღარ გათხოვილა. რამდენიმე წელი ამერიკაში ცხოვრობდა, ცოტაოდენი ფული დააგროვა და რომ ჩამოვიდა, სახლი გაარემონტა, მანქანა იყიდა და პატარა ბიზნესიც წამოიწყო. თავზე საყრელად არ ჰქონდა, მაგრამ იმდენ ფულს კი შოულობდა, რომ თავსაც და შვილსაც ინახავდა, გასართობადაც ჰყოფნიდა და გაჭირვებულებსაც ეხმარებოდა. მთხოვნელები ჰყავდა, მაგრამ ამბობდა, ქმარს რა თავში ვიხლი, ზედმეტი ბარგია, ჩემს შვილს მამად მაინც არავინ გამოადგება და ამიტომ ჯობია, თუ მეგობარი მამაკაცი მეყოლებაო. 4 წლის წინ მართლაც მშვენიერი, წარმოსადეგი, ჭკვიანი და სერიოზული მამაკაცი გაიცნო. ცოტა ხანში დამეგობრდნენ და ერთმანეთიც ძალიან უყვართ. ერთი კია, ის კაცი ცოლიანია, მაგრამ ამას მათი ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია. მის ოჯახს ლიკას მხრიდან საფრთხე არ ემუქრება და ურთიერთობასაც ისე საგულდაგულოდ მალავენ, რომ ცოლი არც კი ეჭვიანობს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ გაზაფხულზე, ერთ საღამოს, მე და ლიკა კუს ტბაზე ავედით, ცოტა ხანს კაფეში დავსხედით, ვიჭორავეთ და უკანა გზაზე, ვაკეში პატარა ავარია მოგვიხდა — უკნიდან მანქანა დაგვეჯახა. აღმოჩნდა, რომ იმ მანქანის საჭესთანაც ქალი იჯდა. გადავედით მანქანებიდან, ვუტრიალეთ გარშემო, ჩვენი მანქანა კარგა გვარიანად იყო შეჭეჭყილი და ფარიც ჩამსხვრეული ჰქონდა. სანამ პატრული მოვიდოდა, მანქანები მოფარებულ ადგილზე გადაიყვანეს. კარგა ხანს იკამათეს, ვინ იყო დამნაშავე. ლიკა აპილპილდა, ახლა ამას შუაზე გავგლეჯ, თვითონ უკნიდან დამარტყა და მე მადანაშაულებს, საჭის მართვა არ იციო. ის ქალი ლიკას ეჩხუბებოდა, დებილივით დაგყავს მანქანა, წინ დამიმუხრუჭე და იმიტომაც შეგასკდიო. მოკლედ, ვერც მტყუან-მართალი გაარკვიეს და ვერც მორიგდნენ, ვის ვისი მანქანა უნდა გაეკეთებინა. ლიკა ნანობდა, ავარიის ადგილი არ უნდა მიმეტოვებინა, პატრული მოვიდოდა და ეს დებილი ნახავდა, ვის დააჯარიმებდნენ 200 ლარით და ვის გაუხდებოდა მანქანები შესაკეთებელიო, მაგრამ უკვე აღარაფერი ეშველებოდა ამ საქმეს. შემდეგ ის ქალი დაგვემუქრა, ახლავე ჩემს ქმარს დავურეკავ, მოვა და ყველაფერს ის მოაგვარებს, ნახავ, შენ თუ არ მოგიწევს ჩემი მანქანის გაკეთებაცო. დაურეკა, მიშველე, ავარია მომივიდა და საშინელ დღეში ვარო (გეგონება, ვკლავდით). რამდენიმე წუთში შავმა ჯიპმა გადმოუხვია ჩვენკენ. — აი, ჩემი ქმარი მოვიდა და ახლა ნახავთ, რაც მოგივათო, კიდევ ერთხელ დაგვემუქრა. ჩვენ კი პირი დავაღეთ. ლიკამ მხარი გამკრა, უყურე, ვინ მოვიდაო. მანქანიდან ვახო გადმოვიდა — ლიკას ბოიფრენდი და ჩვენკენ გამოემართა. მას თავისი მეგობარიც ახლდა, რომელსაც ასევე კარგად ვიცნობდით. როგორც ჩანს, ვახომ შორიდანვე შეგვნიშნა და უკვე იცოდა, რომ თავისი ცოლი და საყვარელი დასჯახებოდნენ ერთმანეთს. მივხვდი, ეცინებოდა და თავს ძლივს იკავებდა. ლიკამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს პირველად ხედავდა და ცოლს დააცადა, თავისი პრეტენზიები გამოეთქვა. ვახო თვალს გვარიდებდა, რომ არ ახარხარებულიყო, ვახოს მეგობარი და ჩვენ კი გულიანად ვიცინოდით. ბოლოს, მამაკაცმა ვერდიქტი გამოიტანა — დაწყნარდით, დაშვიდდით, ასაღელვებელი არაფერია, ორივე მანქანას მე შევაკეთებ, რადგან დამნაშავე მაინც ჩემი ცოლი გამოდის. წესით, ვინც უკნიდან ეჯახება, ის იხდისო. ასე ხალისიანად დამთავრდა ჩვენი ავარია. ბედი არ გინდა? ამხელა ქალაქში ვიღაც დაგეჯახოს და ისიც შენი ბოიფრენდის ცოლი აღმოჩნდეს. ლიკამ მაშინ ნახა ის ქალი პირველად, შემდეგ, მანქანები ერთ „პროფილაქტიკაში“ ჰყავდათ და იქ შეხვდნენ რამდენჯერმე, შემდეგ იმ ქალმა ლიკასთან დაახლოება გადაწყვიტა — ხშირად ურეკავდა, შინაც ეპატიჟებოდა, მაგრამ ლიკამ ამ

„მეგობრობას“ თავი აარიდა. ალბათ ხვდებით, რის გამო. პატივისცემით, ლამარია“.

წინასწარ განსაზღვრული მომავალი

„ერთი პატარა ქალაქის პატარა ეზოში პატარა ბიჭი თამაშობდა და შემთხვევით მიწაზე დაგდებულ ფოტოს მოჰკრა თვალი. ბიჭმა ფოტო აიღო, გაასუფთავა და დაინახა, რომ იქიდან მისივე ასაკის, კიკინებიანი გოგონა უღიმოდა. ბიჭმა თამაშს თავი დაანება, მაშინვე სახლში გაიქცა და ფოტო თავის ალბომში ისე დამალა, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს. იმ დღის შემდეგ სულ იმ გოგონაზე ფიქრობდა, ხანდახან საათობით ეჭირა ფოტო და ესაუბრებოდა. ფოტოზე გამოსახული გოგონა სულ მალე მისი „საუკეთესო მეგობარი“ გახდა, ბიჭმა კი მისი სახელიც კი არ იცოდა. გავიდა რამდენიმე წელი, ბიჭმა სკოლა დაამთავრა, სტუდენტი გახდა და თანდათან დაავიწყდა ის კიკინებიანი, პატარა გოგონა, რომელზე ფიქრშიც ღამეებს ათენებდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი ერთი ძალიან ლამაზი გოგონა გაიცნო და შეუყვარდა. გოგონა მალე მისი ცოლი უნდა გამხდარიყო. ერთ დღესაც შეყვარებული შინ მშობლების გასაცნობად წაიყვანა. ამ დღეს მოხდა სწორედ მის ცხოვრებაში დაუჯერებელი და გასაოცარი რამ: როდესაც გოგონამ ბიჭის ფოტოალბომის დათვალიერება დაიწყო, გაოცებულმა ჰკითხა: საიდან მოხვდა ჩემი ბავშვობის ფოტო შენს ალბომშიო? P.S. ეს ამბავი ერთ-ერთ საიტზე ვნახე. როგორც მივხვდი, ბიჭი წერდა თავის შესახებ. არ ვიცი, რამდენად დაიჯერებთ, მაგრამ მე დავიჯერე, თან ისე მომეწონა, რომ სურვილი გამიჩნდა, თქვენთვისაც მომეწერა. მიყვარს, როდესაც ყველაფერი კარგად მთავრდება, როდესაც ოცნებები მართლა ხდება... შოკოლადა“.

ესპანელი და რაგბის მოყვარულები

„ადრე რაგბიზე დავდიოდი, მერე თავი დავანებე ჯანმრთელობის პრობლემების გამო, მაგრამ ამ სპორტისადმი სიყვარული არ გამნელებია. ჩვენი ნაკრების თამაშებს თითქმის არ „ვმაზავ“. უფრო მეტიც — ჩემი სამეგობროც ავიყოლიე და ერთად გავყვირით — ლელო, ლელო, საქართველო!

მარტში, საქართველო-ესპანეთის შეხვედრისას, „ლოკომოტივზე“ დიდი ამბები მოხდა. ჯერ ჩვენ წინ მაგარი ალქაჯი გოგონები დასხდნენ და იმათი საცოდაობით დავიწვით — რაღაც გაურკვეველ ხმებს გამოსცემდნენ და სიცილით კინაღამ ჩავბჟირდით. თავიდან სოფლელი „ხიხოების“ როლს თამაშობდნენ და რბილი „ლ“-ებით გაკიოდნენ „ლელოს“. ბიჭების გაკვირვებული მზერა რომ შენიშნეს, სახეები შეეცვალათ და — აუ, რა იყო, ლელო, ლელო საქართველოო (უკიდურესად გატყლარჭული ტონით). მოკლედ, მაგარი ხოხმა იყო. თამაშიც ფრიად საინტერესო აღმოჩნდა, პირველი ტაიმის ბოლოს უკვე 35:0 ვიგებდით. გვერდით ესპანელი გულშემატკივარი შევნიშნე. ვიფიქრე, მეგობრების თვალში გავიმარიაჟებ და ჩემი „განწირული“ ესპანურით გამოველაპარაკები-მეთქი და ასეც მოვიქეცი. ?C?mo?? te gusta del juego? (მოგწონს თამაში) — ძლივს ამოვილუღლუღე. ძალიან გაუკვირდა და გაუხარდა, მშობლიურ ენაზე რომ დაველაპარაკე. — არ მომწონს, მეგონა, კარგი გუნდი გვყავდა, თურმე ვცდებოდიო. გავაბით საუბარი, მას ნოე ერქვა, ვალენსიიდან იყო ჩამოსული სამსახურებრივ საქმეზე. ინგლისური ცუდად ვიცი, შენი ესპანური უკეთესიაო. ჩემი მეგობრებიც გავაცანი და ამასობაში თამაშიც დამთავრდა. 60:0 გავანადგურეთ ესპანელები. ერთად გამოვედით სტადიონიდან, გოგონები გავაცილეთ და გაჩერებაზე დავდექით მე და ჩემი ძმაკაცი. ეს ესპანელიც იქ იდგა. ecesito su ayuda (დამეხმარე), არ მინდა ტაქსით წავიდე და ამა და ამ

ქუჩაზე როგორ მოვხვდეო? — ერთად წავიდეთ, ჩვენც მაქეთ მოვდივართ-მეთქი, ვუპასუხე. დავსხედით 4 ნომერ „მარშრუტკაში“. გზაში არ მოგვეშვა, ჩემთან ამოდით, Bebamos, queremos felicitar a su victoria (დავლიოთ, თქვენი ნაკრების გამარჯვება მინდა მოგილოცოთ). ნუ, არ გვინდოდა, მაგრამ ბაკარდი რომ ახსენა, დავთანხმდით. ძლივს, ტანჯვა-წამებით ვაყალიბებდით ინგლისურ-ესპანურ სადღეგრძელოებს. აქეთ, ამ ავანტიურაში შემთხვევით ჩათრეულ ჩემს ძმაკაცს, ლევანას ვუთარგმნიდი, რომელიც მხოლოდ ამ სიტყვებს გაიძახოდა: — სი, სი... ცოტა ხნის შემდეგ ნოე ჩემ გვერდით დაჯდა. მივიჩოჩე, მოიჩოჩა. დავიბენი... განწირული თვალებით გავხედე ლევანს, რომელიც უკვე კაი გადაკრულში იყო. ავდექი და ვთქვი — tengo que ir (უნდა წავიდეთ). არა, რაც დარჩა, ეგეც დავლიოთო. ახლა ჩემს ძმაკაცს მიუჯდა. თან ეუბნება, არ გინდა, შხაპი მივიღოთო? გამოვშტერდი! წამოვვარდი, დროზე წავედით-მეთქი, ვიღრიალე და იქიდან მოვძუძგეთ. რას ვიფიქრებდი, იმხელა ახმახს ბიჭები თუ მოსწონდა? ლევანა თურმე ვერაფერს მიხვდა და რომ ავუხსენი, ძარღვები დაებერა — წამოდი, დავბრუნდეთ, სიფათი უნდა ავახიოო. ძლივს დავაკავე. :) სასტუმროს დაცვა ჰყავდა და რომ გვეცემა, უეჭველი დაგვიჭერდნენ. სულ თავბედი ვიწყევლე, რატომ არ მომტყდა ის ენა, რას ვეტენებოდი იმ ესპანელს-მეთქი. ჩვენი ამ უცნაური თავგადასავლის გამო მეგობრები დღემდე გვეღადავებიან. ნიკოლო“.

ძველი და სევდიანი ამბავი

„გაზის კაცს“ ქართველები მოფერებით იმ ადამიანს ეძახიან, რომელიც მრიცხველის მაჩვენებელს ამოწერს ხოლმე. ჰოდა, ერთ დღეს კარზე ზარის ხმა გაისმა. გამოვაღე. — გამარჯობა, მე „გაზის კაცი“ ვარ, — გამიღიმა უცნობმა, 70-75 წლის, სანდომიანმა მამაკაცმა. ავათვალიერ-ჩავათვალიერე... ეს ის „გაზის კაცი“ არ გახლდათ, რომელიც მრიცხველის ჩვენებას იწერდა ხოლმე. ალბათ მიხვდა, რომ ვერ ვიცანი და მალევე დაამატა: — მრიცხველისა და წყლის გამათბობელის შესამოწმებლად ვარო... ოთახში შემოვიდა, მითითებები მომცა, რაღაც ფურცელზე მომაწერინა ხელი და რამდენიმე წუთში გავიდა. ცოტა ხანში ისევ ზარის ხმა გაისმა, ისევ ის ადამიანი დამხვდა კართან და მორიდებით მკითხა: — შვილო, რაღაც დავკარგე და ვნახავ, თქვენთან ხომ არ დამრჩაო? ბუნებრივია, დავინტერესდი, რა დაკარგა, მაგრამ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღე. შემოსვლის ნება ითხოვა და ოთახს, სადაც რამდენიმე წუთის წინ იმყოფებოდა, თვალიერება დაუწყო, მაგრამ ვერაფერი იპოვა. შევატყვე, რომ ძალიან შეწუხდა, აფორიაქდა. დახმარება შევთავაზე. დაფიქრდა და შემდეგ მითხრა, ერთი ადამიანის ფოტო მქონდა ამ დაწყევლილ საბუთებთან ერთად, თქვენგან რომ გამოვედი, ვეღარსად ვნახე, ეს ფოტო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანიაო. საუბრისას ხმა ისე აუკანკალდა, შემეცოდა. საქმე მაინც არაფერი მქონდა და შევთავაზე — თქვენ მრიცხველების შემოწმება გააგრძელეთ (ორი სართული ჰქონდა კიდევ შესამოწმებელი), მე კი მეზობლებთან და სადარბაზოში მოვძებნი ფოტოს-მეთქი. რამდენიმეწუთიანი მადლობისა და დალოცვის შემდეგ, ის ზემოთ წავიდა, მე კიბეს ჩავუყევი და ჯერ სადარბაზოში დავიწყე ფოტოს ძებნა. გამიმართლა და მეზობლებთან სტუმრობამ არ მომიწია — ფოტო სადარბაზოს შემოსასვლელთან ვიპოვე. ძალიან ძველი, გაცრეცილი ფოტოდან ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მომხიბლავად იღიმოდა, მეორე მხარეს კი წარწერა ჰქონდა: „ამბორით გიგზავნი ამ ფოტოს, ჩემო გულის ერთავ“. გამეღიმა, მივხვდი, რასაც ნიშნავდა მოხუცისთვის ეს ფოტო. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო — რას ნიშნავდა ეს ქალი მისთვის? რატომ დაატარებდა ფოტოს თან? ახლა მის გვერდითაა თუ არა? და ა.შ. ექვსი სართული ისე ავიარე, ფოტოსთვის თვალი არ მომიცილებია. ჩემი სართულის კიბესთან დაველოდე მოხუცს. რომ დამინახა, თვალები აუციმციმდა. ფოტო დავანახვე და გავუღიმე. მაშინვე გამომართვა, ხელი ნაზად გადაუსვა, ოხვრა აღმოხდა და კიბეზე ჩამოჯდა.

გვერდით მივუჯექი და გავუბედავად ვკითხე, ვინ იყო ეს ქალბატონი. კითხვაზე პასუხის მოლოდინში გავისუსე. ცოტა ხანს დუმდა, ალბათ ფიქრობდა, მოეყოლა თუ არა ჩემთვის. შემდეგ გაიღიმა, თავზე დამაგრებული, ძველმოდური მზის სათვალე მოიხსნა, საბუთებთან ერთად იქვე დადო, ისევ ფოტოს დააცქერდა და დაიწყო: — რამდენჯერ მიოცნებია, ისევ 25-30 წლის ვიყო... ჩემზე ბედნიერი ადამიანი ალბათ არ იქნებოდა. როგორც ხედავ, შესაშური სილამაზე ჰქონდა ამ ქალს, ბევრ ვაჟს უყვარდა, მათ შორის — მეც. სხვებისგან განსხვავებით, მე გამიმართლა და მასაც შევუყვარდი. ლექსებს მიწერდა, ხეებზე დავძვრებოდით და იქ მიკითხავდა. ათასი უცნაური ქმედებით ვაფერადებდით ისედაც ფერად სიყვარულს. ამის ასე გადმოცემა ძალიან ძნელია. ერთს ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი ულამაზესი იყო. ლეგენდები დადიოდა ჩვენს სიყვარულზე. მეამაყებოდა მასთან ერთად ქუჩაში სიარული. ჩემი თანატოლი ბიჭები შურით მადევნებდნენ თვალს. მალე ჯარში გამიწვიეს. ერთხანს სასიყვარულო წერილებით ვეფერებოდით ერთმანეთს, შემდეგ მან წერა შეწყვიტა, ჩემი წერილები უკან მიბრუნდებოდა. ოჯახის წევრებს, მეგობრებს ვწერდი, ვკითხულობდი მის ამბავს, მაგრამ მათგან პასუხი არ მომდიოდა. გაუგებრობასა და ტანჯვაში გავიდა ორი წელი. დავბრუნდი, გავიგე, რომ სხვაზე გათხოვილა და ვაჟის დედაც იყო. ბუნებრივია, ამან ცუდად იმოქმედა ჩემზე, გავწამდი... რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახი დაენგრა, ვერ გაუძლო ქმრის უხასიათობას. ერთხელ მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მშობლებმა ძალით გაათხოვეს. ყველაფერი დაწვრილებით მიამბო და თავისი სიყვარული შემომთავაზა. წყენისა და გაბრაზების მიუხედავად, ისევ მიყვარდა და სურვილიც მქონდა მისი ქმრობის, მაგრამ რას იტყოდა ხალხი? ოჯახი? მეგობრები? შვილიანი ქალი ვერ შევირთე. ერთი სიტყვით, ვერ ვუღალატე ჩვენს მენტალიტეტს და მისი სიყვარული სამუდამოდ უარვყავი. მე ოჯახი არ შემიქმნია მეტად — არც მას. შვილი ჰყავს და ამით ბედნიერია, მე კი რაც ასაკში შევდივარ, უფრო მიჭირს. ეს ფოტო ჯარში ყოფნის დროს, წერილთან ერთად გამომიგზავნა და მას შემდეგ ასე დამაქვს... მოხუცი გაჩუმდა, მეც ვდუმდი. არ ვიცოდი, რა მეთქვა, რით მენუგეშებინა. ბოლოს თვითონ მითხრა: — თუ შეიძლება, წყალი დამალევინე, შვილო, პირი გამიშრაო. თითქოს გამოცოცხლდა... მხნეობა, ღვთის წყალობა მისურვა და სწრაფად დაეშვა კიბეზე... ლაკვასტი“.

უშვილობის გამო დატრიალებული ტრაგედია

„ოთხმა თვემ თედოსთვის შეუმჩნევლად გაირბინა. შინ გვიან მიდიოდა, ივახშმებდა, აბაზანას მიიღებდა და დასაძინებლად წვებოდა. მთელი დღე ქმრის მოლოდინით დაღლილი ცოლი კი ცდილობდა, არ

შეემჩნია, რომ მათ შორის გაუცხოება დაიწყო. თედო დაღლილობას იმიზეზებდა და საწოლში ეკას ზურგს შეაქცევდა ხოლმე. იტყუებოდა, ვითომ მაშინვე იძინებდა, სინამდვილეში გათენებამდე თვალის მოხუჭვას ვერ ახერხებდა. თედო მისი მომავალი შვილის დედაზე ფიქრებს ჰყავდა შეპყრობილი. ახალგაზრდა და უზომოდ მომხიბვლელ ქალთან, რომელიც თედომ დედის დახმარებით გაიცნო, სულ რამდენიმე ღამე გაატარა. ეს, ერთი შეხედვით, იძულებითი „ბიზნესაქტი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თედოს ასეთი ცეცხლოვანი ღამეები არასდროს ჰქონია. ქალი ისეთი ვნებიანი, ისეთი ახალგაზრდა და ლამაზი იყო, რომ თედოს მისი დავიწყება აღარ შეეძლო. როცა გაირკვა, რომ ნანა ფეხმძიმედ იყო, თედოს თავისზე ბედნიერი არავინ ეგონა. მისი შვილი, იმ უცაბედად ნაპოვნი სიყვარულის ნაყოფი იქნებოდა, რომელიც თედოს თავს დაატყდა და ყველა და ყველაფერი გადაავიწყა. — თედო, ვიცი არ გძინავს, — ცოლის ხმა ჩაესმა და მისკენ შებრუნდა. — იპოვე ის ქალი, ვისგანაც შვილი გვეყოლება? მამაკაცი დაიბნა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო. — ამაზე ნუ იფიქრებ, როცა დრო იქნება, ბავშვს მე თავად მოვიყვან, — უხერხულად გაიღიმა მამაკაცმა და ცოლს თავზე ხელი გადაუსვა, — ახლა დაიძინე, გვიანია. — ოთხი თვეა, მხოლოდ შენს ზურგს ვუყურებ... — ეკას ენა დაება, — თუ რამე პრობლემა გაქვს, მითხარი. — ყველაფერი კარგადაა, — ჩუმად ჩაილაპარაკა მამაკაცმა და ისევ კედლისკენ იბრუნა პირი. ცოლმაც ზურგი შეაქცია ქმარს, თუმცა დაძინება არც ერთს არ უფიქრია — ერთი ნაპოვნ სიყვარულზე ფიქრობდა, მეორე დაკარგულზე... ეკამ დარდსა და მარტოობაში კიდევ რამდენიმე თვე გაატარა. ბოლოს, თედოს ლოდინით დაიღალა და გადაწყვიტა, თავად გაერკვია, რის დამალვას ცდილობდა ქმარი. ეკამ მეუღლის თვალთვალი დაიწყო. რამდენჯერმე უკან გაჰყვა სამსახურიდან გამოსულ თედოს. მამაკაცი იმ კორპუსამდე მივიდა, სადაც დედამთილი ცხოვრობდა. თედომ დედის სადარბაზოს გვერდი აუარა და მეორეში შევიდა. ეკა სუნთქვაშეკრული გაჰყვა უკან. მეოთხე სართულამდე კიბე აირბინა და კარზე დააკაკუნა. ეკამ გარკვევით დაინახა, როგორ გამოხედა მის ქმარს ახალგაზრდა, ორსულმა ქალმა. უკან გამობრუნება გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და იმ კარის წინ აღმოჩნდა, რომლის მიღმაც ცოტა ხნის წინ მისი ქმარი გაუჩინარდა. ზარის ღილაკს თითი დააჭირა. რამდენიმე წუთში მასპინძელმაც გამოხედა. სტუმარი მიპატიჟებას არ დალოდებია, ქალი უკან ჩამოიტოვა და ოთახში შევარდა. თედო სავარძელში იჯდა, თვალებგაბრწყინებული. ცოლი რომ დაინახა, ელდანაკრავივით ფეხზე წამოხტა და ქალს მიაჩერდა. — შენ აქ რა გინდა? — გეტყობა, დრო უქმად არ დაგიკარგავს, — ჩაილაპარაკა ეკამ და ქალს მუცელზე მიაჩერდა. მასპინძელი გაკვირვებული უყურებდა დაუპატიჟებელ სტუმარს. — ეს ვინ არის? — იკითხა ბოლოს გაოცებულმა. — ეს ჩემი ცოლია. — დედაშენს ცოლის შესახებ არაფერი უთქვამს, — გაიკვირვა ფეხმძიმემ. — არაფერი უთქვამს? — წამოენთო ეკა. მამაკაცს ახლა ორი ქალის თავდასხმის მოგერიება მოუწევდა. — მე კი ის ვიცოდი, რომ ეს საქმიანი გარიგება იყო, — თავი იმართლა თედომ და ეკას შეხედა, — დედამ ორივეს დაგვიმალა სიმართლე. — საქმიანი გარიგება?! — თვალები გაუფართოვდა ფეხმძიმეს, — შენ რა, არ გიყვარვარ?! — თედომ იგრძნო, რომ კუთხეში მიამწყვდიეს. ახლა ან ცოლს დაკარგავდა, ან ქალს, რომელიც მუცლით მის შვილს ატარებდა. — ამაზე მერე ვილაპარაკოთ, — თავის დაძვრენა სცადა მამაკაცმა, მაგრამ ეკას მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. წინ გადაუდგა და პერანგის საყელოში ჩააფრინდა ქმარს. — ლაჩარი ხარ, დედიკოს ბიჭი, ფულის გამო მიმატოვე და ახლა სიმართლის თქმაც არ შეგიძლია. თქვი, რომ აღარ გიყვარვარ, ამ ქალსაც, უთხარი, რომ მასთან სექსი ფულის დაკარგვის შიშმა გადაგაწყვეტინა. უთხარი, რომ კაცი არ ხარ, საყვარლებსაც დედიკო გირჩევს! — ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე ქალი თედოსგან ითხოვდა პასუხს. — ეკა, მაპატიე, მაგრამ აღარ მიყვარხარ, — ამოთქვა ბოლოს და ნანას შეხედა, — ამის გამო ყველაფერს დავკარგავ, დამიჯერე, ეს ნამდვილი სიყვარულია. — კი მაგრამ, მეც ხომ გიყვარდი? — ეკას თვალებში განრისხება გაქრა და ბავშვივით მოიბუზა. — მიყვარდი, მაგრამ დამთავრდა. დედაჩემმა სწორი არჩევანი გააკეთა, როცა ნანა გამაცნო, თანაც, — თედო ნანას მიუახლოვდა და მუცელზე დაადო ხელი, — ის ჩემი შვილის დედა იქნება. — უშვილო ეკასთვის ეს ყველაზე საშინელი მოსასმენი იყო. ქალი, რომელიც დედა ვერასდროს გახდებოდა, თითქოს დაილია, წელში მოხრილმა ნანას შეავლო თვალი. მასპინძელი ისე იღიმოდა, ეკა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თედოს შესახებ ნანამ ყველაფერი თავიდანვე იცოდა და მისი ცოლის მოშორება მომავალ დედამთილთან ერთად დაგეგმა. მაგრამ ახლა ამის გარკვევას რა აზრი ჰქონდა. — ასე ნუ მიყურებ, შენ რომ შვილის გაჩენა არ შეგიძლია, ჩემი ბრალი არ არის, — ქალმა წარბები აზიდა და ზევიდან გადახედა მასზე ერთი თავით დაბალ, დამარცხებულ მეტოქეს. — ყველაფერი დამთავრდა, — გაიფიქრა ეკამ და შებრუნდა, მაგრამ ნაბიჯი არ გადაუდგამს. სისხლი საფეთქლებზე აწვებოდა, ფეხქვეშ იატაკი ერყეოდა და საკუთარი უმწეობის განცდით გამოწვეული სპაზმები სუნთქვას უძნელებდა. ოთახი მოათვალიერა, მაგიდაზე მდგარ, სპილენძით მოპირკეთებულ ბროლის ლარნაკს მოჰკრა თვალი, ხელი წამოავლო, ქმრისკენ შებრუნდა და პირდაპირ საფეთქელში შემოსცხო. მამაკაცი წაბარბაცდა, შეტორტმანდა და მოწყვეტით დაენარცხა იატაკზე. — შვილის გაჩენა რომ არ შემიძლია, ჩემი ბრალი არ არის, — ჩუმად, ჩურჩულით თქვა ატირებულმა ქალმა და აკანკალებული სხეულით ქმრის ცხედართან დაიჩოქა. ფერდაკარგული ნანა ჯერ ცოლ-ქმარს დასჩერებოდა, შემდეგ გაბზეკილ მუცელზე ხელი ჩამოისვა, ჯიბიდან მობილური ამოიღო და პოლიციის ნომერი აკრიბა. ბიანკა“.

■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „როცა ოჯახის უფროსი ქალია“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინაალმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

„მშობლები შენს სულს დიდ ზიანს აყენებენ“

„გზის“ №27-ში დაიბეჭდა 18 წლის მარიამის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ოჯახის წევრებს ვერ უგებს; ჰგონია, რომ მათგან ძალიან განსხვავდება და ეჭვობს — შესაძლოა, აყვანილი ვიყოო. „ბებია-ბაბუას არ ვუყვარვარ. ისინი გამუდმებით ცდილობენ, დამამცირონ და ჩემი და-ძმისგან განსხვავებით (მე უფროსი ვარ), არანაირ პატივს არ მცემენ. მაგალითად, როცა სოფლიდან ნობათს გზავნიან, ჩემი დედმამიშვილებისთვის საჩუქრის ან ფულის გამოგზავნა არასდროს ავიწყდებათ, მე კი არ მახსოვს, ჩემთვის ოდესმე ლარიანი მაინც ეჩუქებინოთ... მშობლებსაც ხომ შეუძლიათ, მათ ამის გამო უსაყვედურონ, მაგრამ ამის გაკეთება თავში აზრადაც არავის მოსდის... დედ-მამა ჩემი და-ძმისთვის ყველაფერს ისე ყიდულობს, რომ მათ არაფრის თქმა არ სჭირდებათ, მე კი ახალი „შმოტკები“ რომ მიყიდონ, ამისთვის მთელი თვე უნდა ვეღრიჯო ჯერ მამას (რათა ფული მომცეს) და მერე დედას, რათა ბაზრობაზე გამყვეს და მირჩიოს, რა მიხდება და რა — არა“. გოგონას თქმით, სიყვარულს მხოლოდ შუათანა ძმისგან გრძნობს, რომელიც გამუდმებით ცდილობს, ასიამოვნოს. „ვფიქრობ, ყველამ იცის, რომ მე ამ ოჯახის ღირსეული წევრი არა ვარ და მრცხვენია (კაცმა არ იცის, რატომ). უკვე ლაპარაკის კომპლექსიც კი გამიჩნდა, უკონტაქტი გავხდი და შესაბამისად, მეგობრებიც დავკარგე... რადგან უფროსი ვარ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უნდა დამჩაგრონ?..“

„სიყვარულს ყველა სხვადასხვანაირად გამოხატავს“

ლუნა:

„ჩემო კარგო, იქნებ ეს ყველაფერი გეჩვენება? როგორ შეიძლება, მშობლებმა შვილები გამოარჩიონ? ეს ხომ არაადამიანობაა! ისე, ტანჯვას სჯობია, ოჯახის წევრებს დაელაპარაკო და ყველაფერი გულახდილად უთხრა. ვინ იცის, იქნებ ცუდად რომ გექცევიან, ამას ვერც კი აანალიზებენ...“

კეკლუცა:

„ნაშვილებიც რომ იყო, მშობლებს მაინც ეყვარები. მგონია, მოჩვენებები დაგეწყო და დედ-მამას უთხარი, გიმკურნალონ. არ მჯერა, რომ ბებია-ბაბუა „იგნორს“ გიკეთებს. უბრალოდ, ახლა უკვე დიდი გოგო ხარ და საჩუქრად ლარიანის ან კევის გამოგზავნას ერიდებიან, რადგან შესაძლოა, ამან თავმოყვარეობა შეგილახოს. კარგად დაფიქრდი, რას ამბობ...“

ნიკოლო:

„დამშვიდდი და ყველაფერს ნუ აზვიადებ. გატყობ, ძალიან მგრძნობიარე ხარ და პატარა დეტალსაც კი შეუძლია, გული გატკინოს. შენ თქვი: ბებია და ბაბუა მამცირებსო, მაგრამ არ გითქვამს, ეს რაში გამოიხატება. ნუთუ, ასე მხოლოდ იმიტომ ფიქრობ, რომ ფულს არ გიგზავნიან? არ დაგავიწყდეს, რომ შენ უმცროსი და-ძმა გყავს და პატარებს მეტი სითბო, ყურადღება სჭირდებათ. ჰოდა, ამის გამო კი არ უნდა იეჭვიანო, არამედ უნდა გიხაროდეს, რომ პატარა გოგოდ აღარ მიგიჩნევენ და ფოჩიანი კანფეტებით აღარ განებივრებენ“.

გრუზინკა:

„ასე მგონია, ოჯახის წევრების მიმართ სითბოსა და სიყვარულს ვერ გამოხატავ, მშობლებსა თუ ბებია-პაპებს კი მოსიყვარულე შვილები და შვილიშვილები უფრო უყვართ. ეცადე, მათ ხშირ-ხშირად აკოცო, მიეფერო, ასიამოვნო. დედას საოჯახო საქმეებში დაეხმარე და მერწმუნე, შენ მიმართ მალე შეიცვლებიან“.

ნაფნაფა:

„შენი ძალიან კარგად მესმის. ეჭვებში ცხოვრებას არ გირჩევნია, მშობლებს დაელაპარაკო? უკვე დიდი ხარ! გკოცნი“.

აუტანელი:

„ჩემი აზრით, ცოტას ამეტებ. მეც ვფიქრობდი, რომ არავის ვჭირდებოდი და ყველასთვის ზედმეტი ვიყავი, მაგრამ 15 წლის ასაკში მსგავსი აზრები ყველას უჩნდება; შენ კი იმ ასაკში ხარ, როცა წესით, ყველაფერს რეალურად უნდა აფასებდე. ალბათ, ძალიან ემოციური ხარ და ყველაფერი ამის ბრალია. აუცილებლად დაელაპარაკე დედას და აუხსენი, რასაც განიცდი. P.S. თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

ნევროზიანი:

„არ გიცდია, მშობლებს დალაპარაკებოდი? 18 წლის გოგო წესით, აბიტურიენტი უნდა იყო და ამ ამბავში როგორ ხარ?.. დედას დაელაპარაკე და გულისტკივილი გაუზიარე“.

ვახო:

„მგონი, რაღაცას აზვიადებ. დარწმუნებული ვარ, მშობლებს ნამდვილად უყვარხარ, მოხუცები კი, ალბათ, შენს პატარა და-ძმებთან შედარებით, დიდ ქალად მიგიჩნევენ და არ თვლიან საჭიროდ, კევი ან ლარიანი გაჩუქონ. ეცადე, სწავლით გამოიჩინო თავი, უფროსებს დაუჯერო და მერწმუნე, ფორტუნა ისევ შენს მხარეს იქნება“.

ქავჯანა:

„ცუდია, შენი მშობლები ასე რომ იქცევიან, მაგრამ გულს მაინც ნუ გაიტეხ, იბრძოლე იმისთვის, რომ ყველაფერი გქონდეს და კიდევ, ნუ ამბობ, რომ ოჯახის წევრებს არ უყვარხარ. იცოდე, სიყვარულს ყველა სხვადასხვანაირად გამოხატავს“.

CRAZY GIRL:

„საყვარელო, არ ვიცი, რა უნდა გირჩიო. ვინ იცის, იქნებ მათი ბიოლოგიური შვილი მართლაც არ ხარ (ნუ, ერთ-ერთის მაინც) და ეგაა ყველაფრის მიზეზი, მაგრამ... დავიბენი... ცოტა ხნით მონასტერში წადი, სადაც სულიერად, ფსიქოლოგიურად დაისვენებ და მერე ცხოვრებაც უფრო საინტერესო გახდება. ღმერთი გფარავდეს, გკოცნი“.

თეო ლაზი:

„მე მესმის შენი, რადგანაც მსგავს სიტუაციაში ვარ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ალბათ, ორივე აყვანილები ვართ. P.S. სახლიდან გაპარვაც დავაპირე, მაგრამ ძმაკაცმა გადამაფიქრებინა“.

უცნობი:

„ჩემს ნაცვლად რჩევას ნაირა გელაშვილის „დედის ოთახი“ მოგცემს. ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხო“.

თათუშკები:

„გირჩევ, მშობლებს უთხრა, თავიანთი საქციელით შენს სულს რამხელა ზიანს აყენებენ, ბებია-ბაბუას კი ხშირად მიეფერე და თუ შენ მიმართ მაინც არ შეიცვლებიან, მაშინ შენი ეჭვები მშობლებს გაუზიარე. წარმატებები!“ ■

არჩევანი დაქალსა და შეყვარებულს შორის

„გზის“ №27-ში დაიბეჭდა მემეს მესიჯი. იგი გვწერდა: „შეიძლება ახლა ბევრმა გამიცხოს, მაგრამ ამის ღირსი გახლავართ და ყველაფერს ავიტანო. მერწმუნეთ, ძალიან ცუდად ვარ, რადგანაც მიყვარს ადამიანი, რომელზეც ჩემი საუკეთესო დაქალი აფანატებს... ერთი პერიოდი ამ ბიჭს ვემესიჯებოდი კიდეც, მაგრამ ბოლო დროს ცუდი ურთიერთობა გვაქვს; უკვე ორჯერ ვიჩხუბეთ (ჩემი ინიციატივით), მაგრამ მასთან ყოველი განშორების შემდეგ ვხვდებოდი, რომ ძალიან მჭირდებოდა და შესარიგებლად პირველ ნაბიჯს თავადვე ვდგამდი...“ თურმე, მემეს „ლოვე“ ხშირად უხსნის სიყვარულს, მაგრამ გოგონას მისი მაინც არ სჯერა და ამიტომაც გთხოვთ, ურჩიოთ რაიმე.

„როცა სისხლი ღელავს, ენა ფიცით არ იღლება“

თათუშკები:

„კარგია, რომ საკუთარ საქციელს ნანობ. დაფიქრდი, დაქალთან ურთიერთობა გირჩევნია თუ იმ ბიჭთან ყოფნა, რომლის არც კი გჯერა?..“

კეტრინა:

„ვაი, შენ, ჩემო თავო, რა სულელი ყოფილხარ... 2 წლის წინ ცოლობა მთხოვა ადამიანმა, რომელიც მეც მიყვარდა, მაგრამ ვინაიდან ის ბიჭი ჩემს მეგობარს მოსწონდა, „ლოვეზე“ უარი ვთქვი. შენ კი, იმ ბიჭის სიყვარულში დარწმუნებულიც არ ხარ და მიუხედავად ამისა, მზად ბრძანდები, მის გამო დაქალი დაკარგო. გოგო, აზრზე მოდი. მერწმუნე, შეყვარებულს ყოველთვის „იშოვი“, ნამდვილი მეგობრის პოვნა კი გაგიჭირდება!“

მემე:

„ჩემო კარგო სეხნიავ, გრძნობა უკითხავად მოდის და ამის გამო ვერავინ გაგიცხავს, მაგრამ შენზეა დამოკიდებული, უდროოდ და უალაგოდ გაჩენილ გრძნობას გასაქანს მისცემ (მეგობრის დაკარგვის ხარჯზე) თუ სიყვარულს გულში ჩაიკლავ. ჯერ ჩამოყალიბდი, რომელი უფრო ძვირფასია შენთვის. თავად შენს მეგობარს თუ აქვს მასთან ურთიერთობა (ამაზე არაფერი გითქვამს)?.. P.S. ძალიან გთხოვთ, დამიბეჭდეთ. არ მინდა, მგზავნელებს მე ვეგონო. მართალია, აღარ „ვმგზავნელობ“, მაგრამ უკვე რამდენიმემ მკითხა, ასეთი რა გაგიჭირდაო?..“

ნიკა:

„თუ იმ ბიჭს შენ უყვარხარ, დაქალმა უნდა გაგიგოს და მასზე ლაპარაკით ტვინი არ უნდა გამოგიჭედოს. არ მესმის, სიმართლეს რატომ უმალავ? იქნებ იმ გოგოს შენი დაკარგვა არ უღირს და იმ ტიპს გითმობს კიდეც? ვფიქრობ, ერთმანეთს გულახდილად უნდა დაელაპარაკოთ და პრობლემაც უმტკივნეულოდ მოაგვაროთ. P.S. თუ მიხვდები, რომ მისი დათმობა ეძნელება, მაშინ უთხარი: მოდი, ჩვენს რჩეულს არჩევანის უფლება მივცეთ და ჩვენ შორის თამაშგარე მდგომარეობაში ვინც აღმოჩნდება, ის ყოველგვარი სკანდალისა და აურზაურის გარეშე, რეალობას უნდა შეეგუოს-თქო. იმედია, ამ წინადადებას მიიღებს. წარმატებები!“

კეკელა:

„ვერ გავიგე, სხვისი რჩევა რაში გჭირდება ან საერთოდ, იმ ბიჭს შენ თუ უყვარხარ, რატომ გგონია, რომ ეს დაქალის ღალატია? ისე, ძალიან რომ უყვარდე, შესარიგებლად პირველ ნაბიჯს თავადვე გადმოდგამდა. დაფიქრდი“.

ვანო:

„არ მესმის, აუტკივარ თავს რატომ იტკივებ? თუკი მის სიყვარულში ეჭვი გეპარება, დაქალს კი მასზე აფანატებს, საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ საერთოდ შეეშვები. შეეცადე, ისეთი ადამიანი შეიყვარო, ვისაც ნამდვილად ეყვარები და ვის გამოც უსიამოვნებას არ შეხვდები“.

მარი:

„ძალიან ცუდ მდგომარეობაში ყოფილხარ. ჩემი აზრით, დაქალს უნდა დაელაპარაკო და აუხსნა, რაც ხდება. ის უნდა შეეგუოს იმას, რომ იმ ბიჭს შენ უყვარხარ. თავს უფლება მიეცი, ბედნიერი იყო. „ლოვეს“ დაუჯერე. წარმატებები!“

გლამურროზ (GLAMURROSE):

„მაოცებს ამ ხალხის ფსიქიკა, რა. გენაცვალე, დაქალი ახლა გაგახსენდა? ქალი შენ ყოფილხარ, ტო (ცუდი გაგებით, რა თქმა უნდა). არ მესმის, რა რჩევებს ითხოვ? P.S. ვაი-სინანულის ნაკლებად მჯერა. მეგობრების ღალატითა და გაუბედურებით ნეტავ ვინ გაბედნიერებულა?..“

შამანკა:

„არ გეწყინოს, მაგრამ მაგარი ცანცარა ხარ (ასე შენი მესიჯიდან გამომდინარე ვფიქრობ). ამბობ, — მიყვარსო და მისი არც კი გჯერა, თან იცოდი, რომ შენს დაქალს მოსწონდა. მგონი, აჯობებს, თუ არჩევანის გაკეთებას შენს „ლოვეს“ მიანდობ. არ გეწყინოს, მაგრამ სულაც არ გამიკვირდება, შენ თუ არ აგირჩევს. P.S. და მაინც, წარმატებებს გისურვებ!“

გრუზინკა:

„ჩემი აზრით, დაქალს სიმართლე უნდა უთხრა, წინაალმდეგ შემთხვევაში, თუ ყველაფერს სხვისგან გაიგებს, ამას არასდროს გაპატიებს. ჩემი აზრით, იმ ბიჭს არ უყვარხარ და ჯობია, მის გამო დაქალიც არ დაკარგო!“

ნიკოლო:

„თავს მახე დაუგე, რომელშიც ძალიან მალე გაებმები და იმედია, ჭკუასაც ისწავლი, მანამდე კი მე მომისმინე: 1. დაქალები ბიჭთან ურთიერთობაში ერთმანეთს არ ეღობებიან. 2. გოგოს, რომელიც თავადაა ჩხუბის და შემდეგ — შერიგების ინიციატორი, რბილად რომ ვთქვა, თავმოყვარეობა არ გააჩნია. 3. გოგო, რომელიც ხვდება, რომ ბიჭს არ უყვარს, რომ თავისი რჩეული ატყუებს და მას მაინც კისერზე ეკიდება, ნამდვილი სულელია! 4. სიამოვნებით გამოვიყენებდი და მოვისვრიდი გოგოს, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს აკმაყოფილებს. P.S. ხომ არ გამეცნობი?“

ლუნა:

„როცა შენი ნიკი წავიკითხე, მეგონა, მგზავნელი მემე იყავი, მაგრამ „ესემესის“ წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ შევცდი. ახლა, რაც შეეხება შენს პრობლემას: ჩემო კარგო, კარგად გაარკვიე, იმ ბიჭს უყვარხარ თუ არა. თუ არ უყვარხარ, გირჩევ, დაივიწყო; მის გამო ნურც დაქალს ატკენ გულს“.

გიო (DEVILLION):

„ნათქვამია, როცა სისხლი ღელავს, ენა ფიცით არ იღლება. ჰოდა, თუ ხედავ, რომ იმ ბიჭს არ უყვარხარ, და მისი არ გჯერა, შეეშვი, რა“. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №27, მე-19 სმს-ის ავტორის ტელეფონის ნომერი.

2. გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს, ოჯახის შექნის პერსპექტივით, საჭირო ინტელექტითა და ფინანსური მდგომარეობით. 42 წლის. ბავშვით. ბინით. მარი.

3. ვეხმაურები „გზა“ №28, 22-ე სმს-ის ავტორს. ვარ 33 წლის. მახინჯი არა ვარ. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი. 160/50. განქორწინებული. დანარჩენი — პირადად.

4. ვისაც სჯერა ერთგულებისა და სიყვარულის, ენატრება წარსული და იმედი აქვს მომავლის, მხოლოდ ასეთი ქვრივი მამაკაცები შემეხმიანეთ, ქუთაისიდან. ვარ ქვრივი, 43 წლის.

5. ვარ 35 წლის, უმაღლესი განათლებით, სიმპათიური. მყავს 5 წლის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-45 წლის, სერიოზულ, დამოუკიდებელ მამაკაცს, რომელიც მამობას გაუწევს ჩემს შვილს.

6. ვარ მარი, 177სმ/72, სიმპათიური. გავიცნობ 26 წლამდე, 185 სმ სიმაღლის, ჭკვიან, თბილისელ ბიჭს.

მამაკაცები

7. ვარ 24 წლის, დასაქმებული და პერსპექტიული მამაკაცი. :) გავიცნობ 18-36 წლამდე ქალბატონს, რა თქმა უნდა, სიმპათიურს.

8. ვარ 34 წლის. ვეძებ ოჯახის შექმნის მიზნით ახალგაზრდა გოგონებს. მატერიალურად უზრუნველყოფილი ვარ. ვცხოვრობ კარგად. დამიმესიჯეთ. გიორგი.

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ გოგოს, 27 წლამდე, თუნდაც განათხოვარს. ვარ 25 წლის.

10. გავიცნობ დაოჯახების მიზნით თბილისელ გოგოს, ზრდილობიანს და წესიერს, 25-დან 33 წლამდე, თუნდაც განათხოვარს. ვარ 35 წლის, სიმპათიური და დასაქმებული მამაკაცი.

11. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №27, მეოთხე მესიჯის ავტორის, ნინოს ნომერი.

12. სამეგობროდ, არახშირი შეხვედრებისათვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, არამსუქან, თავისუფალ ქალბატონს, 40 წლის ზევით.

13. ვარ 28 წლის, 186 სმ სიმაღლის, სიმპათიური, კარგი ადამიანი. ლამაზი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მაღალ და მომხიბვლელ გოგოს. გავუგოთ და გავაბედნიეროთ ერთმანეთი ლ.მ.

14. ვარ 186/85, დასაქმებული, სიმპათიური, თბილი და მოსიყვარულე. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით მაღალ, ეშხიან გოგოს. გავუგოთ და გავაბედნიეროთ ერთმანეთი.

15. გთხოვთ, მომცეთ 28-ე ნომრიდან მე-4 სმს-ის ავტორის ნომერი. წინასწარ მადლობა.

16. პირველად გწერთ და იმედია, ნორმალური გამომეხმაურება. ვარ 26 წლის მამაკაცი. გელით დიდი გულითა და სულით.

17. გავიცნობ ერთგულ და მოსიყვარულე გოგონას, 25-დან 35 წლამდე, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 35 წლის, სიმპათიური და ნორმალური, კარგი, ქართველი მამაკაცი.

18. გავიცნობ გორელ მანდილოსანს, ვისაც სითბო და სიყვარული გაკლიათ.

19. გავეცნობი 17-18 წლის მანდილოსანს. სიმპათიური ვარ, სპორტსმენი, ჯარში ვარ ოღონდ ჯერ.

20. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №28, მე-7 სმს-ის ავტორის ტელეფონის ნომერი. კობა. ქუთაისი.

21. „გზა“ №28, მე-5 მესიჯის ავტორის ნომერი მინდა.

22. „გზა“ №28, მე-5 მესიჯის ავტორის ნომერი მინდა. თუ შეიძლება, დაუკავშირდით ახლავე და გამომიგზავნეთ.

23. ვარ 21 წლის, ქერათმიანი, ცისფერთვალება ბიჭი. დასაქმებული, კარგი შემოსავლით. გავიცნობ სიმპათიურ მანდილოსანს.

24. ვარ 38/173/78, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 28-33 წლამდე ასაკის, სიმპათიური გარეგნობის მანდილოსანი. კარგი მეოჯახე, თბილი და მხიარული ბუნების.

25. გავიცნობ ახალგაზრდა გოგონას. ვარ 20 წლის, ცოლს გაშორებული. მხოლოდ პატიოსან გოგონას. ბაკური.

26. მაინტერესებს „გზა“ №28, მე-7 მესიჯის ავტორის გაცნობა. მიეცით ჩემი მობილურის ნომერი.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

27. მაინტერესებს გავიგო „გზა“ №28, მე-7 მესიჯის ავტორის ნომერი. გთხოვთ, მომცეთ ან მას მიეცით ჩემი ნომერი. ვალერი.

28. ვარ 23 წლის, ქერა, მომწვანო თვალებით, სპორტული აღნაგობით, სერიოზული ბიჭი (დასაქმებული). გავიცნობ სერიოზულ, პატიოსან, ლამაზ გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით.

29. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №28-ში გამოქვეყნებული, მეათე მესიჯის ავტორის ნომერი.

გისოსებს მიღმა

• პატარავ, დედას სიხარულო, როგორ ხარ? 20-ში უნდა დავწერო განცხადება და ალბათ 28-29-ში გნახავთ. ისინი კარგად არიან, დადიან შაორზე და საბა ისე გაშავებულა, საღამოს აღარ ჩანსო. ბიძაშენმა დამირეკა, არც ვიცოდი, ფულის ჩარიცხვა თუ შეიძლებოდა და აწი ყოველთვე დავურიცხავ, რასაც შევძლებო. მიხარია, აქ რომ დარბის ეზოში ბავშვი, შენზე და ბესოზე მითხრა, ეგენიც ხომ აქ გაიზარდნენ, საწოლში მიწვებოდნენო. შენ რას შვრები, დე? ხომ ხარ ვაჟკაცურად? მენატრები, ძალიან მინდა შენი ნახვა. უფალი გფარავდეს. გეხუტები და გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• 3.198გი, პეტრე-პავლობას გილოცავ. უფალი გფარავდეს და გწყალობდეს. ძალიან დიდი ტკივილი ხარ ჩემი, უსაზღვრო მონატრება და დარდი. მიყვარხარ. გკოცნი, ბუუს. გამაგრდი. თეე.

• 3.198გი, გვენატრები ყველას: საბას, ნიას, ნათიას. დღეს ნიკოლოზმა თქვა, გია ჩემს ქორწილში თამადად უნდა იყოს, სად დაიკარგა ამდენ ხანსო? აბა, მე როგორ მომენატრები, წარმოიდგინე. თეე.

• კვაჭიიიი, როგორ ხარ? ძაან მეეენაატრებიიიი! მე ახლა ოზურგეთში ვარ, ბიჭებთან ერთად. მოგიკითხა ყველამ. გვენატრები და გვიყვარხარ. დეა.

• იკა, როგორ ხარ? ძალიან მენატრები. ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერე. მალე ჩვენთან იქნები. ჩაგეხუტე და გაკოცე ბევრი. გულიკო.

• 3.198გი, ნეტავ როგორ ხარ? საშინლად მაკლიხარ. დღეებს ვითვლი. ამ კვირაში მეცოდინება ზუსტად, როდის უნდა გნახო. ისევ მოვიდა პასუხი გადაყვანასთან დაკავშირებით. ისევ ზრდილობიანად — არ ვიცითო. გი, ადვოკატმა ალბათ სექტემბრამდე გააჩერებენო. ვნახოთ. წიგნებსა და წერილებს იმედია, იღებ. ვცდილობ მაქსიმალურად, თავი მარტო არ იგრძნო. მომენატრე, ბუუს. რთულია ასე ცხოვრება, ტკივილით, დარდით, მუდმივი ფიქრით, დრო თითქოს არ გადის, უსაშველოდ იწელება. ძაან მინდოდა, ასე არ მომხდარიყო, მშვიდად გვეცხოვრა, მაგრამ რაც არის, არის. მთავარია, ძალიან მიყვარხარ. მთავარია, ჯანმრთელობას გაუფრთხილდი და თავს მიხედე. მე მუდამ შენზე ვფიქრობ და შენ გელოდები. გკოცნი. შენი თეე.

• იკა, დე, რუსიკომ 50 რომ ჩაგირიცხა, მერე მე ჩაგირიცხე 60 და ნატოსაც ჩაურიცხავს 40 ლარი. დოდომ და ციურიმ გამოგზავნეს 40 ლარი, ჩასარიცხად. რაც გინდოდა, თუ იყიდე? 30-ში დამირეკე.

• იკა, ეთერი და გიო სექტემბრიდან ოზურგეთში გადადიან. დაბრუნდეს უნდა სკოლაში გიო და იქ მოემზადოს. ყველაფერი აგვერია, რა იქნება, არ ვიცი. ღმერთმა ქნას, მალე დაგვიბრუნდე.

• 3.198გი, უკვე 7 თვე გავიდა და ცოტა მეტი. რა საშინელებაა. მიიწელება დღეები უშენოდ. თითქოს ვცხოვრობთ, თუ ამას ცხოვრებას დავარქმევ. რაღაც ისევ დეპრესიამ შემომიტია. გუშინ მთელი დღე ყვავილები გადამქონდა ქოთნიდან ქოთანში, ბევრი რომ არ მეფიქრა. თან სუსტად ვარ, სურდო, ხველა და მისთანები ამ სიცხეში. ძალიან მომენატრე. მინდა მალე გნახო და ველოდები მოუთმენლად, თვის ბოლოს. გი, თავს გაუფრთხილდი, ძლიერად იყავი. ამ დეპრესიული განწყობილების მიუხედავად, მწამს, რაღაც იქნება. გკოცნი. ჩვენს ჯესის სასიძო გამოუჩნდა — ირლანდიური სეტერი. აკითხავს ყოველდღე და ჭიშკრიდან ელამუნებიან ერთმანეთს. ვიცინით. ვისია ის ძაღლი, არ ვიცით. ხედავ? თეე.

• 3.198გი, 27 ივლისს მოგვიწევს შენი ნახვა. აბა, შენ იცი, ძლიერად დაგვხვდი. ძალიან მენატრები, ბუუს. გკოცნი, მიყვარხარ. შენი თეე.

სხვადასხვა

• გამარჯობა, მარი. გამიხარდა, ჩემი სმს-ი რომ ვნახე. გთხოვ, მომცე სალის ნომერი. კარგი ადამიანია და მსურს მასთან მეგობრობა. წინასწარ გიხდით მადლობას. მიყვარხართ.

• ნაომი, ჩემო კარგო, ვერ გავიგე შენი, მაგრამ სასხვათაშორისოდ გითხარი, მაინტერესებს შენი გარეგნობა-მეთქი. კუნკულა.

• რა ჯანდაბად მინდა პრინცი? მე მეფე მჭირდება! ატარექსია.

• უნდა შევუნდოთ და მივუტევოთ ხოლმე მტერსაც, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩამოახრჩობენ. ატარექსია.

• ღმერთო, იმდენი წელი მაცოცხლე, რამდენჯერაც დღემდე მოვმკვდარვარ... ატარექსია.

• რას ბეჭდავთ? ვერ გრძნობთ, რომ ჟურნალს აბინძურებს, ეგ სულაყროლებული მისტერი? რა არის, ჟურნალის ფურცლები შეივსოს, იმას ფიქრობთ მარტო?

• შენი პირადი ტელეფონის ნომერი გამომიგზავნე, დალაპარაკება მინდა შენთან. თუ არ დამელაპარაკები, ჩემი მესიჯები, რაც გამოგზავნილი მაქვს, აღარ დაბეჭდო!!!

• თუ ვინმემ ჩემი ნომერი მოითხოვოს, უარს ნუ ეტყვი, მარი, გადაეცი. სიბინძურეში მე რა მესაქმება თან გარითმული აქვს... ხელფასსაც ხომ არ უხდით? პირდაპირ მეტყოდი, დაგვტოვეო, ეს რა გააჩალიჩეთ? ვის მოუვიდა თავში აზრად? გახრწნილი პიროვნება მსმენია და მინახავს კიდეც, მაგრამ ეგეთი? ისე, საინტერესოა, ზაციებში აქამდე არ შემოდიოდა თუ ბლოკავდით? სააკაშვილიც მეტია ამ ხალხისთვის. (თავს უფლებას მივცემ, კუნკულას ვუპასუხო, ვინაიდან პირადად მე მომმართავს. ჩემთვის ყველა მგზავნელი თანაბარი უფლებებით სარგებლობს. შეგახსენებ შენს პოემებს, რომელსაც ინტენსიურად გვიგზავნიდი... სიმართლე რომ გითხრა, მე ის ამბავი უფრო ამაზრზენი მგონია, როცა შენს „ნაწარმოებში“ დედა-შვილი ერთ საწოლში ჩააწვინე, ვიდრე მისტერის მესიჯი. აქედან გამომდინარე, არც შენი მესიჯები უნდა დამებეჭდა, რადგან ჩემთვის გულის ამრევი იყო მაგის წაკითხვაც, გასწორებაც და დაბეჭდვაც. ასე რომ, ჯობია, სხვების ქილიკს და ჩემს საქმეში ცხვირის ჩაყოფას, სხვის თვალში ბეწვის დანახვას, საკუთარში — დირეს დაუნახაობას მოეშვათ (ამას მხოლოს კუნკულაზე არ ვამბობ). ცხარე ძმარი თავის ჭურჭელს თავად გახეთქავს და ყველას თავისი ზრდილობა თან გაჰყვება. შენი მესიჯებიდან (ადრეც და ახლაც) რომ არ ამომეღო გარკვეული ფრაზები, სხვებიც ისევე შეეცდებოდნენ შენს შეურაცხყოფას, როგორც შენ სცადე — სხვისი).

• კაცუნავ, შენს მამაკაცურ სიტყვით გამოსვლას სულ არ მოუხდა შენი ნიკი. იქნებ უფრო ღირსეული სახელი შეგერჩია? ჯ. ხავი, არ ვარ მაისურაძე, ისე, რაჭველი ვარ. ბამბუჩა.

• ძალიან მინდა ქვრივის გაცნობა და იქნებ გამომეხმაუროს, :) მხოლოდ და მხოლოდ სამეგობროდ. ბუცა.

• აუ, ნიკოლო, ქლიავი კი არა, ძალიან მაგარი ტიპია. ალბათ გშურს მისი. ეგეთი ჭკვიანი ბიჭი ჯერ არ მინახავს. მგონი, მისი სახით რუისპირს კონკურენტი გამოუჩნდა. ისე, მე ორივეს გაცნობა მინდა. გამეცნობით, ბიჭებო? ახალი ვარ. P.S. და სხვებთანაც დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი. MISS BEHOLDER.

• პეპ, როგორ ხარ? რატომ დამეკარგე, ხომ მშვიდობაა? დამირეკე, როგორც მოახერხებ. მიყვარხარ, მეგობარო! შენ აზრზე არა ხარ, როგორ მენატრები. სულელი ვარ, არა?

• მე ყველას ყველაფერი ვაპატიე, მე კი არავინ დამინდო.

• მე ახლა სასწრაფოდ ცოლი მინდა, ერთი კვირით და იმას ვფიქრობ, რომელ გოგოს ვტაცო ხელი. მარი, ეს მესიჯი ჩუმად დაბეჭდე, ნიკოლომ არ გამიგოს. კუნკულა.

• თქვენ ყველამ, თითოეულმა თქვენ-განმა 200 წელიც რომ იცხოვროთ სულ განცხრომაში და ყოველდღე სიყვარული იძახოთ, რა არის სიყვარული, ვერ გაიგებთ. მდაბიო სული გაქვთ. კუნკულა.

• ტაქტი, ეს არის დაუწერელი შეთანხმება სხვისი შეცდომების შეუმჩნევლობისა და მათი გაუსწორებლობის შესახებ, ე.ი. საცოდავი კომპრომისი. ხოლო ვინც ახსნა-განმარტებას იძლევა, ის თავს იმართლებს. არ იყო საჭირო. აკი გითხარი, რომ მე შენნაირი ტიპები უფრო მეხიბლავებიან, უტაქტო სკეპტიკოსო. P.S. OK, აწი აგარ გახსენებ. ნიკოლო.

• იცი, მეც ვფიქრობდი, ნეტავ აქ რა მინდა-მეთქი, მაგრამ უკვე ვიცი — შენ უნდა მოგიშალო ნერვები. :) უი, და ხომ ხვდები, რომ ნიკის დამალვა ძალიან დიშოვი საქციელია? ნიკოლო.

• შენნაირი ვარ, CRAZY GIRL? რა ვიცი, არა მგონია. :)) მოკლედ, ან ფეისზე მიპოვე (წინა ნომრებში წერია — როგორ) ან აჰა, შენ, მეილი: niccolo.roTTi@hoTmail.com. ნიკოლო.

• „გზა“ ძალიან მაგარი ჟურნალია, განსაკუთრებით მომეწონა სევდიანი ქალის ლექსები. გაიხარეთ, მიყვარხართ, გენაცვალეთ. შავთვალება ნონა.

• მაარ, იცი, დღეს უცნობმა ბიჭმა სიყვარული ამიხსნა. აუ, მაგარი დაბნეული ვარ. კი მომწონს, მაგრამ... BLACK GIRL.

• მენატრები, სიგიჟემდე მენატრები... მელანდები, ყველგან მე შენ მელანდები, დავფარფატებ, სანთელივით ნელა ვდნები, იმიტომ რომ ყველგან მე შენ მელანდები. BLACK GIRL.

• ეს ბოლო მესიჯია. ორივე პოემა საუკუნის შედევრებია. დეფექტით კი დამიბეჭდე. მათ სიდიადესა და გენიალურობას რომ დაყრანჩდებით, მაშინ გაიგებთ. ჯეკ ლონდონი ცაშია. კუნკულა.

• დიდი მადლობა გერასიმე. მეც მიყვარხართ. ბედნიერი დედა იყავით მუდამ. კაცუნა, მე გოგო ვარ, მაგრამ გეთანხმები, თუმცა არც ყველა ქალია ერთ ტაფაში შესაწვავი. პარიჟანკა.

• ჩვენი წინაპრები ნგრევას ამზადებდნენ სიცილით, ჩვენ კი ვიღიმით ნანგრევებს შორის. მოახდინეთ ჭეშმარიტების ლიკვიდაცია და ნახავთ, რომ ისიც გაკოტრებულია. ნიკოლო.

• რომელია, განურჩეულად ყველა გოგოს რომ ლანძღავს? გენაცალეეე, ყველა ერთნაირი არაა და თუ სხვისი აზრი არ გაინტერესებდა, შენი ულტრა-თანამედროვე აზრი შენთვისვე დაგეტოვებინა. თუ წესიერი გოგო ვერ ნახე, არ ეძებ იქ, სადაც საჭიროა ალბათ. ახალი ვარ, მიმიღეთ, ლაააა. ნიკოლო მაგარია.

• აქ რუისპირის ორიენტაციაზე ლაპარაკობდით, თურმე. ადრე კლასელებმა მაგის ტელეში ამაზრზენი სმს იპოვეს, ბალი-ჩათიდან. ბიჭი სწერდა. დასკვნები თავად გააკეთეთ. სკოლელი.

• ჰილდას ვერავის დავუთმობ, ვერც დილის მგზავრს, ვერც ღამისას, ჰოდა, მამუკა იცოდე, შენსას ვერასდროს გაიტან. ჰილდ, მამუკასი კი არა, ჩემი ბუსუსუნა ხარ.

• ახალი ვარ. იმედია, კარგად მიმიღებთ. მართალია, არ გიცნობთ, მაგრამ უკვე შემიყვარდით.

• მარიამულ, საღამო მშვიდობისა. აღარც მახსოვს, ბოლოს როდის დაგიმესიჯე და ალბათ ახლაც გაგაკვირვებს ჩემი მესიჯი. ძველ ნომრებს გადავხედე და 2-3 კვირის წინანდელ ნომერში რუისპირის გზავნილი ვნახე და აღვშფოთდი. გიოო, მინდა გთხოვო, რომ ნურავის ნურაფერს აუხსნი, ნურც ყურადღებას მიაქცევ, ყველამ თავის ცხოვრებას მიხედოს. ადამიანის ენა გრძელია და სამწუხაროდ, მისი სწორი გამოყენება ბევრმა არ იცის. ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ და შეეშვით სხვებზე ჭორაობას. არ მოგბეზრდათ, ამდენი ერთი და იგივე? ეშმაკუნა.

• ერთ კუნძულზე ცხოვრობდა მსოფლიოში არსებული ყველა თვისება (გრძნობა). ერთ მშვენიერ დღეს თვისებებს გამოუცხადეს, რომ კუნძული იძირებოდა. როცა სიყვარული თითქმის დაიფარა წყლით, მან შველა ითხოვა. ახლომახლო დიდებული ნავით ჩაიარა განცხრომამ. სიყვარულმა თხოვნით მიმართა: განცხრომავ, ამიყვანე შენს ნავზე! არა, უპასუხა განცხრომამ, ჩემს ნავზე იმდენი სიკეთეა, რომ ადგილი არ მაქვს! სიყვარულმა გადაწყვიტა, მიემართა თხოვნით სხვა ლამაზი ნავში მჯდომისთვის. პატივმოყვარეობავ, ამიყვანე შენს ნავში. არაფერი არ შემიძლია, სიყვარულო, შენ მთლად სველი ხარ, დამისვრი ჩემს ლამაზ ნავს! უპასუხა პატივმოყვარეობამ. შორიახლო გაცურა მწუხარებამ. მწუხარებავ, ნება მომეცი, შენთან ერთად წამოვიდე! ოჰ, სიყვარულო, მე ძალიან დამწუხრებული ვარ, მინდა მარტო ვიყო. მაშინ სიყვარულმა დაუძახა ბედნიერებას, მაგრამ ის იმდენად აღფრთოვანებული იყო თავისი ბედნიერებით, ვერც კი გაიგონა სიყვარულის ძახილი... უცებ მოესმა ხმა... მე აგიყვან ჩემს ნავზე! ეს იყო მოხუცი. სიყვარული იმდენად აივსო სიხარულით, რომ დაავიწყდა სახელი ეკითხა მისთვის. როცა ისინი ნაპირს მიუახლოვდნენ, მოხუცი თავის გზით წავიდა. როცა სიყვარული მიხვდა, რამდენად დავალებული იყო მოხუცისგან, სხვა მოხუცს — ცოდნას მიმართა: ვინ დამეხმარა მე? ეს იყო დრო, უპასუხა ცოდნამ. დრო? მაგრამ რატომ დამეხმარა დრო? ცოდნამ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და უპასუხა: იმიტომ, რომ მხოლოდ დროს შეუძლია შეაფასოს, თუ რამდენად დიდებულია სიყვარული...

• მის რეალმა გაგვილექსა ისევ, რითმა ისევ მოიპარა სხვისი, ლიმონამაც გვისახსოვრა ლექსი, განა თვისი? მანაც სხვისიიი. ეს რა ხდება, ეს რა ხდება, სასწაული აგვიხდება, მოვაშოროთ „გზიდან“ მელა და სიზმარიც აცხადდება. ერთი, ორი, სამი, გადისროლეთ უკან ცუდი, ვინც ცრუ ვერ გაარჩიოს, შევარცხვინე მისი ქუდი. სად წავიდა ნეტავ სადეთ, ერთად ვნახოთ, ყველამ სცადეთ! მელა მელას ეპარება, მათი ცნობა მე ერთს მანდეთ. თქვენ არც ძველი, არც ახალი არ ხართ, არც ცისა და არც მიწისა არ ხართ, არც „გზაში“ თავზე და გაგისტუმრეთ ჩატეხილ ნავზე. :-) თქვენ თუ წახვალთ, დაწყნარდება ქარი, დამიბეჭდე, დამიბეჭდე, ჯაფარიძე მარი.

• მარიამულ, გენიოსი ხარ, რა! გე-ნიოსი! მაგრამ, არც მე ვარ უტვინო :)). შენს ანკესზე არ წამოვეგები. ძალიან გამახარე. იცი შენ, რატომაც. ქედს იხრის შენ წინაშე ყველაზე ურჩი მგზავნელი კი არა და (მდგმური) ნაომი. P.S. მოკითხვა ტირიფი73-ს, გრუზინკას, ქვრივს, სევდიან ქალს და ჰოლმსს.

• ალბათ ეს გზავნილი რომ დაიბეჭდება, მე საქართველოში აღარ ვიქნები... მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდით მედგა, მამხნევებდა და მომავლის იმედს მინერგავდა. მათი დახმარებით ვეწიე ბედნიერებას, სრულყოფილების განცდა ვიგემე. პირველ რიგში, ჩემს დაიკოს, თათია ბაქრაძეს, რომელიც გაცნობის დღიდან დამპირდა, რომ ჩემი დედა მგელი იქნებოდა, შემდეგ, ლაკვასტს (ნათი ქიმაძეს), რომელიც ჩემი უსაყვარლესი მეგობარია და ნამდვილ, წმინდა, ჭეშმარიტ მეგობრობას მიწევს, მისი დახმარებით გავბედე ჩემი სათქმელის საქვეყნოდ თქმა, გამაცნო რუისპირი (გიო ჯიქური). ის გულისყურით მოეკიდა ამ საქმეს და დიდებული გზავნილი გამოაცხო. „უპატრონოს“ დაბეჭდვის შემდეგ ძალიან ბევრი მგზავნელი და არა მარტო მგზავნელი გამომეხმაურა და ისინიც თანაგრძნობით ეკიდებოდნენ, რაც ჩემთვის ბევრს ნიშნავდა და მაძლიერებდა. ესენი არიან ჩემი უსაყვარლესი ქაჯმაჯუნა (ქეთევან ხაფთანი), ფლამინგო (ნინიკო ნიკოლეიშვილი), ფატი ხაფთანი, კლეოპატრა, ელენე პირველი, გრუზინკა და ბევრი სხვა. მაპატიოს, თუ ვინმე გამომრჩა... მადლობა ჟურნალ „გზას“ და „გზავნილების“ ავტორს, მარი ჯაფარიძეს... მთელი გულით მინდა მადლობა გადავუხადო და მოვიკითხო ეკო (ეკატერინე) შაქარაშვილი, რომელიც ასევე გვერდით მედგა, სტკიოდა და უხაროდა ჩემი დადებითი და უარყოფითი განცდა. მე არ მყოფნის სიტყვები მადლიერების გამოსახატავად, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ და ყოველთვის ჩემს გულში გექნება ადგილი, რაც უნდა მოხდეს. ეს ხომ შენთვის

არასდროს მითქვამს: ძალიან უყვარხარ ბექას. :) ასევე მადლობა ჩემს უსაყვარლეს თამთა სულაქველიძეს, ისე ნათლად და ჭეშმარიტად გამოხატავდა განცდას ჩემი ამბის გამო, ზოგჯერ გაოცებაში მოვყავდი, რა ბედნიერია ეს ადამიანი, ასეთი სიკეთე და სათნოება რომ აქვს გულში. მიყვარხარ, ჭინკاااااა! :)

• მართალია, ყველა გოგო ერთნაირია, მაგრამ მათ შორისაც არიან პატიოსნები და ისეთები, რომლებსაც ადამიანი უყვართ, მათი გული უყვართ, მე ასეთ ადამიანს მხოლოდ ათს თუ ვიცნობ და ბედნიერი ვარ, რომ ღმერთი კარგ ადამიანებს მაცნობს. ისე, ცხოვრებაში რაც მინატრია, ასე თუ ისე, ამისრულდა. ჰოდა, კიდევ ვინატრებ ერთს და ალბათ ამისრულდება. ლამაზი კუნძული, მაგარი ვილა, მაგარი აუზი, მზიანი დილა და გვერდით ის ადამიანი, რომელიც გიყვარს და უყვარხარ. რა ჯობია ამას თქვენი აზრით? ჩემი აზრით, არაფერი ჯობია, რადგან როცა საყვარელი ადამიანის ხმა გესმის და ის შენ გვერდითაა, ეს ნამდვილი ნეტარებაა. P.S. მე გიო მქვია, ამის მერე ნამდვილი სახელით მოგწერთ! კაცუნა.

• ძაან მაინტერესებს, ეს ხალხი რატომ არის ასეთი შტერი და დაკომპლექსებული? ქართველმა ბიჭმა თმა რომ შეიღებოს ან თვალებში ლინზები ჩაისვას, უეჭველი პედერასტის სახელი აქვს აკიდებული. უცხოეთში კი ეს ყველაფერი ჩვეულებრივი მოვლენაა. ჰოდა, ძაან მაინტერესებს, აქაური ხალხი ასე რამ გამოალენჩა და სრულიად მოსწყვიტა თანამედროვეობას? მთავარია, ჩემს გემოზე გამოვიყურებოდე და სხვისი აზრი სულ არ მაინტერესებს! ჰო, კიდევ ერთი: ვინმე ტვინნაღრძობს პედერასტი არ ვეგონო, სრულიად ნორმალური ადამიანი ვარ! უბრალოდ, ამ ცხოვრებაში ცოტა მეტი სითამამეა საჭირო. იმისათვის, რომ ეს ცხოვრება ცოტათი გავიხალისოთ! ერთი თხოვნა მაქვს მგზავნელებთან: ვინც ჩემნაირად ფიქრობთ, გთხოვთ, გამომეხმაურეთ. ჰო, კიდევ ერთი: მგზავნელებიდან ვინმე პატიოსანი, ლამაზი გოგო გამომეხმაუროს. :) გიო (კაცუნა).

• უჩვეულო თავგადასავალზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვეულებრივზე კი მოგახსენებთ — ადრე პატარა რო ვიყავი, ძაან მაგრად მინდოდა თუთიყუში. ჰოდა, ვნატრობდი ან ეყიდათ, ან ეჩუქებიათ ჩემთვის. დიდი დრო გავიდა ამ ოცნებასა და ნატვრაში და ერთ დღესაც ბიძაჩემმა სახლში მომიყვანა ყვითელი თუთიყუში, თავისი გალიით. აუ, ძაან მაგრად გამიხარდა, იმ წუთში გამიხარდა იმიტომ, რომ პატარა ვიყავი (10-12 წლის), ახლაც გამახარებს, ლამაზი თუთიყუში რომ მაჩუქონ, მაგრამ ახლა დიდი ვარ და მაინცდამაინც არ გამიხარდება, მაგრამ სიმართლე მაინც უნდა ვთქვა: საყვარელი ადამიანის მიერ მორთმეული საჩუქარი, რაც უნდა უბრალო იყოს, მაინც გამიხარდება, რადგან იგი ჩემმა საყვარელმა ადამიანმა მაჩუქა. მე ვფიქრობ, აუცილებელი არაა, ადამიანმა რამე სამახსოვრო საჩუქარი გიძღვნას. თუ გიყვარს, ისედაც დაგამახსოვრდება. მასთან გატარებული ტკბილი მოგონებები გემახსოვრება. მე ყოველ შემთხვევაში ასე ვარ და დანარჩენი თქვენ იცოდეთ, გკოცნით ყველას, ყველა მიყვარხართ, ძვირფასებოო. :) გიო (კაცუნა).

• ერთი ადამიანი მენატრება. ნეტავ, მასაც ვენატრები? ლიზი123.

• აუ, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რუისპირი გავიცნო. იქნებ ნომერი მითხრათ? პატივისცემით, ქეთი.

• რა ვიცი, რა ვიცი... თითქოს გადირია სამყარო :) და ეს მგზავნელები რამ მიაყუჩა?! ეჰ, ოჰ, უჰ. მცხელა. ბექა ქავთარაძე, რა გქვია? ვაი და ვუი. აბდაუბდა.

• მარიამულო, ჩემო სიხარულო, ხომ კარგად ხარ? აქაც ისე ცხელა, ლამის მოვიხარშო... სად შევძვრე, აღარ ვიცი, თან სტუმრები მყავს და ვარ ასე, ერთ ამბავში. გეხუტები. ლუნა.

• ერთად უფრო კარგი არის,/ შენი გული, ჩემი გული,/ იქნებ ისევ დავიბრუნოთ/ დაკარგული სიყვარული.../ შენი ხელი ჩემს სახეზე,/ ლამაზია, როგორც ღამე/ ჩამჩურჩულე ისევ ყურში,/ ისევ მითხარ ჩუმად რამე.../ შენი სახე ჩემს სახესთან/ და ტუჩები ჩემს ტუჩებთან,/ ღამით შენთან ჩახუტება,/ ხეტიალი შენს ქუჩებთან.../ რა კარგია, რა ლამაზი,/ იგრძნო სხვისთვის დაფარული,/ შენი ხელი ჩემს სახეზე/ და ნამდვილი სიყვარული.../ ერთად უფრო ლამაზია/ შენი გული, ჩემი გული,/ დავიბრუნოთ! დავიბრუნოთ!/ დავიბრუნოთ სიყვარული!.. ლუნა.

• რუისპირ (YELLOW), შენი გაცნობა მომინდა. ძაან კარგი ვინმე ჩანხარ. სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან. თუ თანახმა ხარ, მარის შენს ნომერს გამოვართმევ.

• არ ვიცი, ვინ დაინტერესდა ჩემი LOVESTORY-თ მაგრამ თავს შევიკავებ ჯერ, ცუდად არ გაიგოთ, მაგრამ ძალიან საინტერესო ისტორია აქვს ჩემს სიყვარულს და ერთხელაც საჯაროდ და ერთხელაც აქ ყველას მოგიყვებით, ოღონდ ლამაზ ჩანახატად გადმოგცემთ და თუ მარი ინებებს და დაბეჭდავს, თქვენც იხილავთ. ყველას გისურვებთ ისეთ სიყვარულს, როგორიც მე მაქვს და დამიჯერეთ, უბედნიერესები იქნებით, მე ეს სიყვარული მაცოცხლებს და მადლობა უფალს. შეიძლება გავიგო, ვინ დაინტერესდა ასე ჩემი ცხოვრებით?

• ნუგო30-ს: რამდენი იფიქრე იმაზე, რომ გოგონების ყურადღება მიგექცია, შენი ვითომ სევდიანი ისტორიით? შენი არ მჯერა და ვერც თანაგიგრძნობ. პატიმრებზე დიდი ხანია, შემეცვალა აზრი. გოგონებო, ისინი ერთობიან და თქვენთან მესიჯობით ციხის ცხოვრებას ილამაზებენ. ბიჭებში ბლატაობენ, ვინ უფრო მეტი გოგო შეაბა. რომ გამოვლენ, არც კი გაახსენდებით. თუ არ გინდათ გული გეტკინოთ, მათთან ურთიერთობას მოერიდეთ. რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ. ეს მათ, ვინც თავს გვაცოდებს. თქვენი კეთილის მსურველი, თეთრო. გაკოცეთ.

• ადამიანი მოვლენა და ადამიანი ლეგენდა მე მყავს ამქვეყნად. :) ეჰ, რომ იცოდეთ როგორ მიყვარს, მაგრამ ძალიან, ძალიან შორსაა ჩემგან. იმეე, მიყვარხარ უუუუუზომოდ. ნ.ა.

გილოცავ!

• ბატონ ამირანს: გილოცავთ საყვარელი ვაჟიშვილის, გვარის გამგრძელებლის დაბადების დღეს, 21 ივლისს! გაიზარდოს ჯანმრთელი და გამოვიდეს წარმატებული ვაჟკაცი. მრავალ დაბადების დღეს დასწრებოდეს, მშობლებთან და დაიკოსთან ერთად. უფალი ჰფარავდეს!

• ჩემო პაწაწუნავ, ჩემო სიხარულო, ჩემო ცქნაფო და ერთადერთო, გილოცავ იუბილეს. წინსვლას და წინსვლას გისურვებ, მომავალში. გფარავდეს უფალი. მიყვარხარ. კეთილი ფერია.

• 23 ივლისს ვულოცავ ჩემს თავს, HAPPY BIRTHDAY TO ME. :) ნიკოლო, ძლივს გიპოვე, როგორ გამიხარდა, იცი? ნაომი, სიამოვნებით გაგიცნობდი. ქაჯების დედოფალს დიდი მოკითხვა. ლი23.

• თამარ ანანიაშვილს: ჩემო საყვარელო და მონატრებულო დედა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. გფარავდეს უფალი. ძალიან მენატრები. თამილა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

ფეხბურთელი თერთმეტნომრიანი მაისურით

ათასწლეულთა მიჯნაზე ჩატარებული გამოკითხვისას, ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინეს. ნომინაციები მრავალგვარი იყო, ყველა საპატიო, თუმცა ერთი მაინც გამოირჩეოდა, ობიექტურობით და ალბათ თავისი უბრალოებით; ეს გახლდათ — „გულშემატკივართა რჩეული“. ჟურნალისტები, პირველ რიგში, სპორტსმენების შედეგების მიხედვით ვმსჯელობდით, რიგითი ქომაგები კი ალბათ — გულის კარნახით. როგორც აღმოჩნდა, ქართველი გულშემატკივრების აბსოლუტური უმრავლესობის რჩეული — თბილისის „დინამოს“ ფორვარდი მიხეილ მესხი ყოფილა. სხვანაირად რომ ვთქვათ, XX საუკუნის ქართველ სპორტსმენთა შორის, ყველაზე მეტად ხალხს მიხეილ მესხი ჰყვარებია. ასეთი აღიარება ნებისმიერი სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა.

გოგი ფრანგიშვილი

მესხის დიდების მწვერვალი ჩემს ბავშვობას დაემთხვა. დაწყებით კლასებში ვსწავლობდი, მამას ბოლო გაკვეთილიდან რომ გამოვყავდი და მთელი ეზოს ახალგაზრდებთან ერთად, სტადიონზე მივდიოდით. მეორე იარუსის პირველ რიგში ვისხედით ხოლმე, უმეტესად — იმ მხარეს, სადაც მიხეილ მესხი თამაშობდა. მეორე ტაიმში, თუ საშუალება იყო, საწინააღმდეგო ტრიბუნაზე გადავდიოდით, ახლოდან რომ გვეყურებინა „დინამოელთა“ მე-11 ნომრის თამაშისათვის. მოგვიანებით „დინამოს“ სტადიონზევე, კალათბურთის სექციაში დავიწყე ვარჯიში და როდესაც მწვრთნელმა მაისურების ნომრების არჩევა შემოგვთავაზა, დაუფიქრებლად 11 ავირჩიე, ალბათ — ინსტინქტურად. იმ წლებში ჩემნაირი ბავშვი საქართველოში ძალზე ბევრი იყო. ყველას უნდოდა, მიშა მესხი ყოფილო, თუნდაც კალათბურთში, მაგრამ მაინც — მესხი.

წლების შემდეგ, როცა წამოვიზარდე და გ. მეტრეველის ბროშურა — „მინდორზეა მეთერთმტე ნომერი“ წავიკითხე, იქიდან შევიტყვე, თუ რატომ ყოფილა მიხეილ მესხისთვის №11 გამორჩეული.

„დაიბადა 1937 წლის 11 იანვარს, დღის 11 საათზე. თერთმეტი კლასის დამთავრების შემდეგ თერთმეტ ნომრად ჩარიცხეს თბილისის „დინამოში“. თერთმეტში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე და თერთმეტში იქორწინა. გუნდში სიმაღლის მიხედვით, მეთერთმეტეა, მისი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა არასდროს ასცდენია მიზანს, მისი მანქანის ნომერიც ორმოცდახუთი-თერთმეტია. და, ბოლოს და ბოლოს, მისი სახელი და

მესხის დიდების მწვერვალი ჩემს ბავშვობას დაემთხვა

გვარიც ხომ თერთმეტი ასოსაგან შედგება: მიხეილ მესხი.

საოცარი დამთხვევაა.

თბილისის „დინამოს“ მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი ყოველთვის, ეზოს ნაკრებიდან მოყოლებული, მსოფლიოს ნაკრების კანდიდატობამდე, მუდამ თერთმეტი ნომერი გახლდათ“.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ისეთი პოპულარული სპორტსმენის შესახებ წერა, როგორიც მიხეილ მესხი იყო, თითქოს ადვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა. მესხი ჩვენთვის ქართული ფეხბურთის, საფეხბურთო ხელოვნების, მეტოქეზე გამარჯვების სიმბოლოა, რომლის შესახებაც ყველამ ყველაფერი იცის, გადმოცემით მაინც, და რაიმე ახლის თქმა შეუძლებელია. არც ვაპირებ, მე უფრო მინდა, თქვენთან ერთად გავიხსენო იგი.

მის ცხოვრებაში იყო კიდევ ერთი რიცხვი — 16 — ალბათ ყველაზე არასასიამოვნო მისთვისაც და უამრავი ქართველი გულშემატკივრისთვისაც: 16 ივლისს იგი გაიცილეს დიდი ფეხბურთიდან. უფრო სწორად, ეს მისი გაშვება, გუნდიდან გაგდება იყო და მას შემდეგ იგი 11-ნომრიანი „დინამოს“ მაისურით აღარც გამოსულა საფეხბურთო მინდორზე.

ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ. ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, ბევრიც მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა. ამიტომ ჩემი პირადი ვიდეოარქივი გადმოვიღე და კიდევ ერთხელ გავიხსენე მისი თამაშის ფრაგმენტები. პირველ რიგში, 1969 წლის 16 ივლისის იმ მატჩის ფრაგმენტები ვნახე — თბილისის „დინამოსა“ და ურუგვაის „ნასიონალის“ გუნდებს შორის. მიშა გააცილეს, „ლოკომოტივის“, ახლანდელი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონიდან, მესხ-

მა პირველ ტაიმში ითამაშა, შემდეგ კი შესვენებაზე საზეიმო გაცილების ცერემონია მოეწყო. თანაგუნდელებმა ხელში აყვანილი გაიყვანეს მოედნიდან. ვაკვირდები მის სახეს, რომელზეც ყველაფერი ჩანს. მიშას ერთხელაც არ გაუღიმია. არც მაშინ, ქართული ფეხბურთის პატრიარქი — ბორის პაიჭაძე მომავალი ცხოვრების გზას რომ ულოცავდა; არც მაშინ, თაიგულები და საპატიო სიგელი რომ გადასცეს; და არც მაშინ, სლავა მეტრეველი რომ ამშვიდებდა და ისე გაიყვანა მოედნიდან. მიშამ იმ სეზონში საკავშირო ჩემპიონატის სულ 4 მატჩი ითამაშა, თუმცა 1 გოლი მაინც გაიტანა. ვიღაცას იქ, „ზევით“ უნდოდა, გულშემატკივრები დაერწმუნებინა — მესხი დაბერდა და თამაში აღარ შეუძლიაო. მაგრამ იმ დღეს, „ნაციონალთან“ მან თავისი ქომაგებიც მოხიბლა და ურუგვაელებიც. როდესაც სამხრეთამერიკელთა მწვრთნელს უთხრეს, მესხი დიდი ფეხბურთიდან მიდისო, გაუკვირდა — აბა, ვინღა უნდა ითამაშოსო?!.

დიდ ფეხბურთში მიხეილ მესხი 1955 წელს გამოჩნდა. თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში პირველი მატჩი 7 ივლისს, კიევში, ადგილობრივ თანაკლუბელებთან ითამაშა. საკავშირო ჩემპიონატის ის მატჩი მასპინძლებმა 2:1 მოიგეს, მაგრამ დებიუტანტმა კარგად ითამაშა. მატჩის წინ ნერვიულობდა. გუნდის კაპიტანმა ავთანდილ ღოღობერიძემ დაამშვიდა და თამაშიც გამოუვიდა. ერთ მომენტში მცველს დაუსხლტა, ზუსტად ჩააწოდა კიეველთა საჯარიმოში და ბასამაც (ღოღობერიძე) გოლი გაიტანა.

...ისევ ჩემს ვიდეოარქივს ვუყურებ. ჩემპიონატის ბოლო მატჩი: თბილისის „დინამო“-მოსკოვის „სპარტაკი“. თბილისელებმა ეს შეხვედრაც წააგეს 1:2, მაგრამ მესხმა ამჯერადაც დაამახსოვრა თავი გულშემატკივრებს. ფეხის ტრავმის მიუხედავად, ერთთავად მეტოქის კარისაკენ იჭრებოდა; სპარტაკელთა მეკარემ წამით დაასწრო, თორემ პირისპირ გასული, ანგარიშსაც გაათანაბრებდა. ამ მატჩის შესახებ გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ წერდა: „თბილისელთა შეტევები უფრო მწვავე იქ იყო, სადაც ახალგაზრდა მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი თამაშობდა“.

1955 წლის ზაფხულში თბილისში რიო-დე-ჟანეიროს „ატლეტიკო პორტუგეზე“ ჩამოვიდა. ამ მატჩში მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს. მასპინძელთა ორივე გოლის თანაავტორი მიხეილ მესხი იყო. მომდევნო წლის შემოდგომა გამორჩეული იყო მიხეილ მესხის, ქართული ფეხბურთისა და საერთოდ, ფეხბურთის ისტორიაში: სწორედ მაშინ „დაიბადა“ „მესხის ფინტი“. „დინამოელებს“ ტურნე ჰქონდათ ბულგარეთში. სოფიის თანაკლუბელებთან შეხვედრისას მასპინძელთა მარცხენა გარემარბმა ვლადიმერ ელოშვილის წინააღმდეგ რაღაც უჩვეულო, თუმცა ეფექტიანი ფინტი გამოიყენა. მიშას მოეწონა, შემდეგ თავისებურად გადააკეთა, ელოშვილს სთხოვა, ფინტის დამუშავებაში დახმარებოდა. საათობით ვარჯიშობდნენ ერთად, საბოლოოდ ისე დახვეწა, რომ მცველები ან ძირს ეცემოდნენ, ან ორიენტაციას კარგავდნენ.

1960 წელს „დინამოელებმა“ ჯერ ინგლისის „შეფილდ უენსდეის“ უმასპინძლეს, ხოლო შემდეგ — სანსალვადორის „ბაიას“. ქართველმა ფეხბურთელებმა ორივე მატჩი მოიგეს. ორივეში ლომის წილი მიხეილ მესხმა დაიდო და ორივეში მან თავისი ფინტებით თავგზა აუბნია მცველებს. აი, ეს კინოკადრებიც. ბრიტანელთა მარჯვენა მცველს — ჯონსონს ზედ პირით ხაზთან გასცდა, იმდენად სწრაფად და მოულოდნელად, რომ ჯონსონი აიჭრა და მინდორზე მოსრიალდა, მესხმა კი ძლიერად და ზუსტად ჩააწოდა „შეფილდის“ საჯარიმოში. ამჯერად სტუმართა მეკარემ — სპრინჯეტმა ივაჟკაცა. მაგრამ გოლი მას მიშამ მაინც გაუტანა — 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით. მეკარისაგან მარჯვენა ცხრიანში დაარტყა და „დინამოელებმაც“ — 1:0 გაიმარჯვეს.

კიდევ უფრო საოცრება იყო ბრაზილიელებთან მატჩი. უკვე მე-12 წუთზე ნახევარმცველი ალბერტო პერეირა თავისი ფინტით ჩამოიტოვა უკან, საჯარიმოში შეიჭრა და ზუსტად მოძებნა კაპიტანი. ავთანდილ ღოღობერიძემ პირველი გოლი გაუტანა კარდოსოს. მეორე ტაიმში ზაურ კალოევმა ორამდე გაზარდა ანგარიში. ხუთიოდ წუთში — ისევ მიშას გარღვევა; კვლავ მარცხნიდან აუარა გვერდი პერეირას, კვლავ ზედ პირით ხაზთან. ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ მეკარემ მოიგერია, მერე კი კალოევმა დაასწრო ყველას და — 3:0... ეს კადრები კი აღარ მახსოვდა: მესხი გასცდა ორ ფეხბურთელს (ერთ-ერთი მათგანი — პერეირაა) და მიშას ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს, ბრაზილიელი ორივე ხელით იჭერს თავდამსხმელს. წელზე შემოეხვია, კარგა ხანს უჭირავს, არ უშვებს, „ლოკომოტივის“ სტადიონის ტრიბუნები კი ხარხარებს... დაბოლოს, მეოთხე ბურთი თავად მესხმა გაიტანა. მარცხენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში, მახვილი კუთხიდან, ცაციათი დაურტყა და კორდოსომ ვეღარაფერი მოასწრო.

თამაშის შემდეგ ბრაზილიელთა კლუბის პრეზიდენტმა — ოზორიო ვილას ბოასმა აღიარა, რომ თბილისში მისი გუნდი მიხეილ მესხმა „დასაჯა“.

თანაგუნდელებმა ხელში აყვანილი გაიყვანეს მოედნიდან

ბრაზილიელებთან მატჩი 1960 წლის აგვისტოში შედგა. მანამდეც იყო ევროპის თასის (*ევროპის ჩემპიონატი. — ავტ.*) ფინალი პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე, საბჭოთა კავშირი-იუგოსლავია. პირველ ტაიმში საბჭოთა ნაკრების მეკარემ, ლევ იაშინმა გალიჩის სუსტი თავური დარტყმა ვერ მოიგერია. მეორე ტაიმში სლავა მეტრეველმა ანგარიში გაათანაბრა. დამატებით დროში მიშამ დიდებულად ითამაშა. მარცხენა ფრთაზე 2 მცველი მოატყუა, „პოდ სებიას“ (უკაცრავად რუსულისათვის) რომ ვეძახით, ის გაუკეთა და ფილიგრანული სიზუსტით ჩააწოდა ბალკანელთა საჯარიმოში. მოგვიანებით ვიქტორ პონედელნიკი იტყვის: მიშამ ისე ზუსტად დამასვა თავზე ბურთი, რომ აღარაფრის გაკეთება არ მჭირდებოდა. საბჭოთა ნაკრებმა 2:1 გაიმარჯვა ევროპის თასის პირველ გათამაშებაში და მიხეილ მესხმა, სლავა მეტრეველმა და გივი ჩოხელმა კონტინენტის ჩემპიონების ტიტული მოიპოვეს. ფინალური მატჩის შემდეგ იუგოსლავიელების მწვრთნელმა ტინანიჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ ტურნირში თავდამსხმელთაგან ყველაზე მეტად მოეწონა საბჭოთა ნაკრების მარცხენა და მარჯვენა გარემარბები — მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი, რომ-

ლებმაც გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაშიც და თბილისის „დინამოშიც“ მიხეილ მესხს საკმაოდ ბევრი აქვს ნათამაშები: ნაკრებში — 35 მატჩი, „დინამოში“ კი — 285. თუმცა გოლი არც ისე ბევრი აქვს გატანილი. ნაკრებში — 4, ხოლო „დინამოში“ — 53. მესხი გარემარბი იყო და მას ზუსტი საგოლე გადაცემებით უნდა მოემარაგებინა ცენტრალური თავდამსხმელები. სამწუხაროდ, სტატისტიკამ არ შემოგვინახა ასეთი ზუსტი გადაცემებით პარტნიორებმა რამდენი ბურთი შეაგდეს მეტოქეთა კარში. თუმცა „დინამოელთა“ სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ, რომ მიშას ჩაწოდებებით ბევრი გოლი აქვს გატანილი ზაურ კალოევს. ქართველი ფორვარდის შეტევებით გოლები გაჰქონდათ საბჭოთა ნაკრების თანაგუნდელებსაც. ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩშიც სწორედ მიხეილ მესხის დროული გადაცემით გაიტანა გოლი მამიკინმა თურქეთის ნაკრების კარში და საბჭოთა გუნდმა 2:1 დაამარცხა მასპინძელთა ნაკრები. ამ გამარჯვებით ევროპის თასის მფლობელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვეს.

სტამბოლიდან საბჭოთა კავშირის ნაკრები სამხრეთ ამერიკაში გაფრინდა, სადაც 3 საკონტროლო მატჩი გამართა — არგენტინის, ჩილესა და ურუგვაის გუნდებთან და სამივეში იმარჯვა. განსაკუთრებით საინტერესო ბუენოს-აირესში ჩატარებული შეხვედრა აღმოჩნდა, რომელიც 2:1 მოიგეს სტუმრებმა. ორივე ბურთი ქართველი გარემარბების ჩაწოდებებით გაიტანა ვიქტორ პონედელნიკმა: პირველი — მესხის ზუსტი გადაცემით შეაგდო, ხოლო მეორის თანაავტორი მეტრეველი იყო. მესხი რომ ბურთს მიიღებდა, მისი თამაშით მოხიბლული 120-ათასიანი „რივერ პლეიტი“ გამუდმებით გუგუნებდა. მატჩის შემდეგ ადგილობრივი პრესა წერდა: „არგენტინელებს არაერთი დიდი ვარსკვლავის თამაში უნახავს, მაგრამ რაც მესხმა აჩვენა, „რივერ პლეიტზე“, ამის დავიწყება შეუძლებელია. იგი სუპერვარსკვლავია“. გაზეთი Convencer-ი მიხეილ მესხს „რუსების გარინჩას“ უწოდებს — Carrincha de los Rucoc.

1962 წლის ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატისათვის საბჭოთა ნაკრების ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მას ფავორიტადაც მიიჩნევდნენ, ხოლო ბრაზილიელთა მწვრთნელმა აიმორემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „საბჭოთა ფეხბურთელები ჩვენთან ერთად ჩემპიონატის ფავორიტები არიან, დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან“. სამწუხაროდ, არც აიმორეს და არც საბჭოთა ნაკრების მწვრთნელის გავრილ კაჩალინის ვარაუდი არ გამართლდა. გუნდის მეკარის — ლევ იაშინის უხეში შეცდომების გამო, საბჭოთა ნაკრებმა მეოთხედფინალში 1:2 წააგო მასპინძლებთან და ტურნირს გამოეთიშა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებისა თუ სპეციალისტთა გამოკითხვით შედგენილ მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში მარცხენა გარემარბთა შორის, პირველ ნომრად მიხეილ მესხი იქნა დასახელებული.

1963 წლის 23 ოქტომბერი მიხეილ მესხის კიდევ ერთი ტრიუმფის დღე უნდა ყოფილიყო. ფეხბურთის 100 წლისთავთან დაკავშირებით, ლონდონში გაიმართა „საუკუნის მატჩი“ ინგლისისა და მსოფლიოს ნაკრებებს შორის. მსოფლიოს ნაკრების ჩილელმა მწვრთნელმა ფერნანდო დიერამ ალფრედო დი სტეფანოსთან, ფერენც პუშკაშთან, რაიმონ კოპასთან, უვე ზეელერთან, ჯალმა სანტოსთან და ეუსებიოსთან ერთად, მიხეილ მესხიც მიიწვია. მაგრამ მოსკოვმა, — მესხი კარგ სპორტულ ფორმაში არ არისო და მის ნაცვლად, ინგლისში ლევ იაშინი გაუშვეს.

ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, შესარჩევ ტურნირში მიხეილ მესხმა თითქმის ყველა მატჩი ითამაშა, 2 გოლიც გაიტანა, მაგრამ ნაკრების ახალმა მწვრთნელმა — ნიკოლაი მოროზოვმა ფინალურ ტურნირზე აღარ წაიყვანა. ნაკრების მაისურით ის ბოლოს, 1966 წელს ბაზელში გამოვიდა მინდორზე, შვეიცარიელთა წინააღმდეგ, მაგრამ ბოლომდე არ უთამაშია. გალიმზინ ჰუსაინოვმა შეცვალა. არც თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში უთამაშია ბოლომდე ურუგვაის „ნასიონალთან“ თავისი გამოსათხოვარი მატჩი.

ყველამ ვიცით, რომ მიშა ნაადრევად გაუშვეს. ქართულ ფეხბურთში, და არა მარტო ქართულში, მიხეილ მესხი საუკეთესო №11 იყო. მსოფლიოსი რა მოგახსენოთ და, ჩვენს ფეხბურთში მსგავსი მოვლენა არავინ იცის, როდის გამოჩნდება, თუკი საერთოდ, იქნება.

...ამ დღეებში მიხეილ მესხზე სტატიას რომ ვწერდი, დროდადრო ეზოში გადავიხედავდი. ქუჩაშიც ვაკვირდებოდი. სკვერშიც, შვილიშვილს რომ ვასეირნებდი. თერთმეტნომრიანი მაისურით ბავშვი არ დამინახავს... ეგებ თქვენ იპოვოთ... ■

ზაფხულის

ლუდის მოყვარულები

ინგლისელმა პიტერ დაუდსვილმა ლუდის ფესტივალზე 6 წამში 2 ლიტრი ლუდი დალია. 1 წლის შემდეგ 1,4-ლიტრიანი კათხა 5 წამში გამოცალა, ხოლო 1,1 ლიტრი სასმელი — 2,3 წამში. მასვე ეკუთვნის შემდეგი რეკორდი — თავდაყირა მდგომმა, 4,49 წამში 2 ლიტრი ლუდი დალია.

ამერიკელმა მწერალმა — ჰენრი ლუი მენკენმა კანადურ კინოკომპანიას საკუთარი ნაწარმოების ეკრანიზაციისათვის უცნაური პირობა წაუყენა. კინოკომპანიას მწერლისთვის, მთელი ცხოვრების მანძილზე, ყოველთვე 2 ყუთი ლუდი უნდა გაეგზავნა.

33 წლის ახალზელანდიელ — ჯეკ მანაკაუს ლუდის სმის რეკორდის მოხსნა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ... 77-ე კათხის დალევის შემდეგ მანაკაუს გული გაუჩერდა.

კოლექციონერები

ნორვეგიელი იან სოლბერგის კოლექციაში ლუდის ბოთლის 350 ათასი ეტიკეტი ინახება. ვენის მკვიდრი ლეო პისკერი ლუდის კათხის დასადებებს აგროვებს. მის კოლექციაში 155 ქვეყნის 140 ათას ეგზემპლარს შეხვდებით. აღსანიშნავია, რომ ლეო ლუდს საერთოდ არ სვამს. დანიელი ჰელგა ფრიხოლმი 1950 წლიდან ბოთლის რკინის საცობებს (172 ქვეყნის 60 ათასი საცობი) აგროვებს.

1990 წლის 23 მარტს ავსტრალიაში ერთმა ლუდის კოლექციონერმა 25 ათას დოლარად გაყიდა 103 ქვეყანაში ჩამოსხმული 2503 გაუხსნელი ლუდის ქილა.

უცნაური ისტორიები

იაპონიის ქალაქ მაცუძაკის ფერმერები ე.წ. „მარმარილოს“ ხორცის მისაღებად ძროხებს ყოველდღიურად ლუდს ასმევენ და დილაობით მასაჟს უკეთებენ.

იაპონიის ქალაქ მატსუშიროს ერთ-ერთ ბარში კი ლუდით უმასპინძლდებიან კლიენტს, რომელიც 3-ბალიანი მიწისძვრის დროს ბარში დარჩება.

ჰამბურგში კომპანია — „131 სახეობის ლუდის სახლი“ ლუდის ბოთლების ეტიკეტზე ლამაზმანების ფოტოებს ათავსებს და ხელის გასმის შემდეგ ეტიკეტზე გამოსახული ლამაზმანები „შიშვლდებიან“.

სასმისები

1985 წელს კუალა-ლუმპურში

სასმელი

(მალაიზია) კომპანია „სელანგორ პიუტ-მა“ ლუდის გიგანტური კათხა დაამზადა. 198,7 სმ-იან სასმისში 2796 ლიტრი ლუდი ეტევა.

გერმანიის ქალაქ ბიტბურგში ყოველწლიურად ლუდის კასრის დაგორების შეჯიბრება იმართება. მასში ლუდის მხარშველები, საგზაო პოლიციელები და მეხანძრეები მონაწილეობენ.

ჩეხეთის ლუდის მუზეუმში ლუდის კასრი ინახება, რომელშიც 1400 წელს მოხარშული სასმელი ინახება.

ლუდი

ლუდსახარში — „ფროგ ენდ პაროტი“ 1985 წლიდან ყველაზე მაღალგრადუსიან (16,9) ლუდს „როჯერ ენდ აუტი“ ასხამს.

გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრილი გიგანტური (140 კგ) საშობაო პუდინგის დასამზადებლად, 13 ლიტრი ირლანდიური ლუდი გამოიყენეს.

ფრანგმა მიშელ დებუსმა წითელი და მწვანე შეფერილობის ლუდი ჩამოასხა. სასმლის ექსპორტზე გერმანიამ უარი განაცხადა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ლუდსახარში კომპანია — „ანხეიზერ-ბუშ ინკორპორეიტედი“ სენტ-ლუისში (მისურის შტატი, აშშ) მდებარეობს. კომპანია 12 ლუდსახარშს ფლობს და ყოველწლიურად 11 მლრდ ლუდს ასხამს.

ყველაზე პატარა ლუდსახარში ქარხანა ჩეხეთის ლუდის მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარეობს. მას 30 ლიტრი ლუდის წარმოება შეუძლია.

ყველაზე მეტი ლუდსახარში კომპანია ბავარიაშია.

უძველეს ლუდის კომპანიად გერმანული „ვაიენშტეფანი“ მიიჩნევა. იგი ლუდს 1040 წლიდან ასხამს. ■

აჯატა

ნაკლებად ცნობილი მსოფლიო საოცრებები

• ფილიპინებზე, იფუაგოს მთებზე, ზღვის დონიდან 1524 მეტრზე, 400 კვ/მეტრზეა გადაჭიმული ბრინჯის პლანტაციები. ადგილობრივები ამ ადგილს „მსოფლიოს მერვე საოცრებას“ უწოდებენ და ეს ადგილი ბრინჯის მოსაყვანად 2000 წლის წინ გააშენეს.

• საბერძნეთში, მთის სვეტების თავზე, უნიკალური სამონასტრო კომპლექსი მეტეორა — „დაკიდებული ქვები“ მდებარეობს. სამონასტრო ცხოვრება აქ X საუკუნიდან დაიწყო. 1988 წელს მეტეორა იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს.

• სიგირია ჰქვია კლდეში ნაკვეთ ციხესიმაგრესა და სასახლის ნანგრევებს შრი-ლანკაზე. ადგილობრივები მას „ლომის კლდესაც“ უწოდებენ. კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები, როგორც მონასტრები, ბუდისტებმა ძვ. წ V საუკუნეში ააგეს. იქ მოიპოვება უძველესი ფრესკები, რომლებიც ინდოეთში, აჯატის მღვიმეში აღმოჩენილ მხატვრობას წააგავს. სიგირიაც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია.

• „ჰერკულესის კოშკი“ გალისიაში, ესპანეთში მდებარეობს. ნაგებობის სიმაღლე 55 მეტრია. უძველეს ნაგებობას რესტავრაცია 1791 წელს ჩაუტარდა და იგი დღესაც შუქურად გამოიყენება. ფარო დე ჩიპონას შემდეგ იგი ესპანეთის მეორე ყველაზე მაღალი შუქურაა.

• აჯატა — კლდეში გამოკვეთილი ბუდისტური მონასტერი — ინდოეთში, მაჰარაშტრას შტატში მდებარეობს. იგი განთქმულია სკულპტურებითა და ფრესკებით. ბუდისტი ბერების საცხოვრებელი ორ ნაწილად იყოფა: ჩაიტია (სამლოცველო დარბაზი) და ვიჰარა (კვადრატული დარბაზები), რომელსაც 3 მხრიდან ბუდას სხვადასხვაგვარი გამოსახულება ამშვენებს. გამოქვაბულში მეორე საუკუნიდან ცხოვრობდნენ ადამიანები, საუკუნეების შემდეგ იქ ბუდისტი ბერები დასახლდნენ. ერთი პერიოდი გამოქვაბული ყველამ მიივიწყა და 1819 წელს ნადირობის დროს, ბრიტანელმა ოფიცერმა ის შემთხვევით აღმოაჩინა.



პაგანი

• ისტორიული ქალაქი ტორუნი პოლონეთში, მდინარე ვისლის ნაპირზე მდებარეობს. ამ ქალაქში დაიბადა პოლონელი ასტრონომი — ნიკოლაი კოპერნიკი. არქეოლოგების აზრით, იქ ადამიანები ჩვ. ერამდე 1100 წელს დასახლდნენ.

• უძველესი ქალაქი პაგანი ბირმაში მდებარეობს. იგი ცნობილია ათასზე მეტი უძველესი მონასტრით (მათ შორისაა მოოქრულგუმბათიანი). ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარეობს არქეოლოგიური და აღდგენითი სამუშაოები. პოლიტიკური მიზეზების გამო იუნესკომ პაგანი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ვერ შეიტანა. ■

ანეკდოტები

* * *

ცოლი პაემანზეა პატიმარ ქმართან.

— ბავშვი თუ მგავს? — ეკითხება ქმარი.

— ძალიან. სახლი მეზობელი ბავშვების სათამაშოებით არის სავსე!..

* * *

— რამდენს მომცემთ, ბატონო მოსამართლევ?

— ასე ოცდახუთიდან ოცდაათამდე.

განსასჯელს ინფარქტმა ჰგლიჯა.

— ეს რა ჩაიდინეთ, მას ხომ მხოლოდ ხუთწლიანი მუხლი უდგებოდა? — აყვირდა ადვოკატი.

— მეგონა, თავის ასაკზე მეკითხებოდა.

* * *

კრიმინალური ქრონიკა: „სვანმა ქუჩაში გამვლელ ქალს ხელიდან ჩანთა წაჰგლიჯა, იქვე სადარბაზოში შევარდა, ლიფტში ჩაჯდა და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა“.

* * *

ცოლ-ქმარი კინოში აპირებს წასვლას. ცოლი სარკესთან ტრიალებს:

— ნახე, ეს ვარცხნილობა როგორ მაახალგაზრდავებს!.. — ეუბნება ქმარს.

— ჰო, მაგრამ იცოდე, ნამეტანი არ მოგივიდეს, თორემ იმ ფილმზე არასრულწლოვნებს არ უშვებენ.

* * *

— მამაჩემს ვუთხარი, პოეტი რომ ხარ და გაუხარდა.

— ასე უყვარს პოეზია?

— არა, უბრალოდ, ჩემი პირველი საქმრო, რომელიც სახლიდან გააგდო, მოკრივე აღმოჩნდა!

* * *

გამომძიებელი ეკითხება ბრალდებულს:

— ესე იგი, შენ შეესწარი, როგორ სცემდა შენი ძმაკაცი სიდედრს და არ მიეშველე.

— ერთი შტერი დედაკაცის ცემას რა მიშველება უნდოდა?!.

* * *

— მთელი ზაფხული ვჭყუმპალაობდით, ვცურავდით, ვგრილდებოდით და ასე უღიმღამოდ გავატარეთ ზაფხული ჩვენი სახლის სააბაზანოში!

* * *

— აბა, გამოიცანი, რა არის: თეთრ მაქმანებშია, ზმუის და მიწაზე ფორთხავს.

— საკუთარ ქორწილში არყით გამტყვრალი პატარძალი.

* * *

მამა ეკითხება შვილს:

— შვილო, მართლა ნატაშასთან დადიხარ, მეორე კვარტალში რომ ცხოვრობს?

— ჰო, რა მოხდა, მერე?!.

— არაფერი. ახალგაზრდა რომ ვიყავი, მეც მაგასთან დავდიოდი...

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. დაასახელეთ ქალაქ ამსტერდამის უბანი, სადაც ფოტო და ვიდეოგადაღება კანონით არის აკრძალული.
2. ვინ არის „ანტრეპრენიორი“?
3. რას შეისწავლის „მიოლოგია“?
4. რუსების მიერ შექმნილი მხატვრული ფილმის, „დონ-კიხოტის“, გადაღებისას საგანგებოდ გამოძებნეს ბებერი ცხენი, რომლისგანაც ძვალი და ტყავიღა იყო დარჩენილი. პირუტყვი იმდენად უბადრუკად გამოიყურებოდა, რომ უკლებლივ ყველამ მის გამოკვებას მიჰყო ხელი. რა პრობლემა შეიქმნა ამის შედეგად?
5. ვინ არის „ამქმელი“?
6. ვინ ასრულებს ტარსაიჭ ორბელის როლს მხატვრულ ფილმში — „დიმიტრი II“?
7. 1616 წელს შაჰ-აბასმა სისხლში ჩაახშო კახეთის აჯანყება. ერთ დღეს „ირანის ლომი“ საკუთარი კარვის წინ იდგა ამალით გარშემორტყმული, როცა მის წინ ტყვე ქართველების მორიგი „ჯოგი“ ჩაატარეს. მათ უკან სპარსელი მეომრები მოსდევდნენ მათრახების ცემით. უცებ ერთი ყიზილბაში მხედარი წინ გამოიჭრა, ხელში 2 აბაზიანი აათამაშა და შესძახა: „ეჰეი, დიდო შაჰ-აბას, მომყიდე ერთი წყვილი გურჯი ხათუნი!“. რა პასუხი გასცა მას შაჰმა?
8. რას ნიშნავს სიტყვა „თოხუმი“?
9. რომელი მთები ყოფს საბერძნეთსა და ბულგარეთს?
10. დაასახელეთ საავტომობილო ფირმა, რომლის გამოშვებული მანქანები გაყიდვამდე მარანელოს განთქმულ სარბოლო ტრეკზე გადიან გამოცდას.
11. დაასახელეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მშობლიური სოფელი.
12. რა არის „ვილაიეთი“?
13. ზოგჯერ, ნადირობის დროს აფრიკული ტურები წვებიან და თავს იმკვდარუნებენ. რისთვის?

* * *

ზარი კარზე:

— გამარჯობა, მე პიანინოს ამწყობი ვარ.

— მე რომ არ გამომიძახებიხართ!

— ვიცი, თქვენმა მეზობლებმა გამომიძახეს!

* * *

მდივანი ბიზნესმენთან შედის:

— გარეთ ვიღაც კაცი გელოდებათ. ამბობს, ჩემი 100.000 დოლარი მართებსო.

— როგორ გამოიყურება?

— ისე გამოიყურება, რომ ჯობია, ფული გადაუხადოთ!

* * *

— შვილო, რამდენჯერ გითხარი, თავში ჩაქუჩს ნუ ირტყამ-მეთქი!

— რატომ, მამი?

— ხმაური ხელს მიშლის!

* * *

ქალაქის ცენტრში ახალი მაღაზია გაიხსნა: „ყველაფერი პატარისთვის“. ასორტიმენტში ყოველთვის არის: ყვავილები, შამპანური, ლიქიორიანი შოკოლადი, დივიდი, დისკები ფრანგული ეროტიკით, ვიაგრა, გახვრეტილი პრეზერვატივები და ა.შ.

* * *

ნარკომანი სარკეში იყურება და ფიქრობს:

— ცუდადაა ჩემი საქმე: თმა გამიჭაღარავდა, კბილები გამიყვითლდა, სახეზე ნაოჭები გამიჩნდა.

ამ დროს დედამისი ეძახის:

— შვილო, მოშორდი საწყალი ბაბუაშენის სურათს, რა სიყვარულის ბუშტი გაგისკდა?!

* * *

— სახელმწიფო მოხელის შეურაცხყოფისათვის 500 ლარის ოდენობით დაჯარიმდებით. ბრალდებულო, ხომ არ გსურთ რაიმე თქვათ საქმესთან დაკავშირებით?

— როგორ არ მსურს, მაგრამ თქვენთან ისეთი ფასებია!..

* * *

მაღაზიაში:

— ეს არის მომსახურება?!. მომიტანეთ საჩივრის წიგნი!

— რომელი ტომი მოგართვათ?!.

* * *

მიხო უყვება მიტოს:

— გუშინ ზაქრუას სახლი დაეწვა. თავიდან ვიფიქრე, რა ჩემი საქმეა-მეთქი, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც მესიამოვნა.

* * *

ჩუქჩამ ცოლს დაბადების დღეზე ყუთით მიართვა საჩუქარი. ცოლმა ყუთი გახსნა და იქიდან საბანაო კოსტიუმი და ძალაყინი ამოიღო.

— ეს რა არის?

— საბანაო კომპლექტი.

— ძალაყინი რაღა საჭიროა?

— აბა, ყინული რითი უნდა ამოამტვრიო?

* * *

იურიდიული კონსულტაცია:

— მეზობელმა გამოტვინებული სქელუა მიწოდა. რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?

— წონაში უნდა დაიკლოთ.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „წითელი ფარნების უბანი“, რომელიც განთქმულია თავისი საროსკიპოებით.
2. ასე ეძახიან სათეატრო წარმოდგენების, კონცერტების მომწყობ კერძო პირს.
3. „მიოლოგია“ ანატომიის ნაწილია, რომელიც კუნთებს შეისწავლის.
4. ჯარგი კვებისგან ცხენი ცოტა ხანში ისე მოსუქდა, რომ მხატვარი იძულებული გახდა, სიგამხდრის წარმოსაჩენად მისთვის ფერდებზე ნეკნები მიეხატა.
5. „ამქმელი“ და „ბებიაქალი“ სინონიმებია (ადამიანი, ვინც ფეხმძიმე ქალს აშშობიარებს).
6. ოთარ კობერიძე.
7. ამგვარ თაყვანისცემაზე შაჰ-აბასს სახე რისხვით წამოენთო, თუმცა უმალვე მოლბა, რადგან გაახსენდა საკუთარი ფიცი — ქართველებს ისეთ დღეს დავაყრი, რომ ტყვეთა ბაზარზე მათი ფასი თითო აბაზი იყოსო. შაჰმა მხედარს ფული გამოართვა და უფლება მისცა ტყვეთაგან 2 ქალი აერჩია.
8. „თოხუმი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და შთამომავლობას, ჯილაგს ნიშნავს.
9. როდოპის მთები.
10. „ფერარი“.
11. მატანი (ახმეტის რაიონი).
12. მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთში.
13. ფრინველების ახლოს მისატყუებლად.

ჩვენი ფოტო გაღვრეა

ჰოროსკოპი

21-27 ივლისი

ვეძიკი

მიზნებისა და იდეების განსახორციელებლად დამოუკიდებლად იმოქმედეთ. სხვათა რჩევებმა შეიძლება, გაგაღიზინოთ კიდეც.

ჯუჯი

კვირა მეგობრებთან და ნათესავებთან შეხვედრებით იქნება დატვირთული. მათგან მიღებული საჭირო ინფორმაცია თქვენს სასიკეთოთ გამოიყენეთ. შეიძლება საერთო საქმეც წამოიწყოთ.

ტყუპი

თუ ყურადღების ცენტრში ყოფნა გსურთ, თქვენს სფეროში საუკეთესო უნდა იყოთ. მეტი დრო დაუთმეთ განათლებას. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დარეგულირდება.

ჯიგრეხიტი

წარმატება თქვენს აქტიურობაზეა დამოკიდებული. მეგობრებისა და ნაცნობების დახმარებით ახალი იდეების განხორციელებას შეძლებთ.

ლომი

ამაღლებულ განწყობილებაზე ხართ. საქმეში ახალი პარტნიორები ჩართეთ. დილაობით ივარჯიშეთ და აუზს ეწვიეთ. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანებთან ერთად.

ყანგწუდი

ნათესავების დახმარებით ახალ ნაცნობებს შეიძენთ და მეგობრობა შეიძლება სიყვარულში გადაიზარდოს. მეტი დრო დაუთმეთ თვითგანვითარებას. მეგობრებთან ერთად გართობისთვისაც გამონახეთ დრო.

ხანსწიგრი

ძველ შეყვარებულს შეხვდებით და ურთიერთობას აღადგენთ. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გაემგზავრეთ. უქმეებზე ნათესავები შინ მიიპატიჟეთ და საოჯახო წვეულება მოაწყვეთ.

ბოგრიბეგი

კვირის დასაწყისი შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვენით. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. განწყობილებას აგიმაღლებთ ბავშვებთან ურთიერთობა.

ბუვიდდოსანი

საოჯახო საქმეების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ეცადეთ, ნათესავებთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. სამსახურში დაუფიქრებელ ნაბიჯებს ნუ გადადგამთ. ყველაფერი გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ.

ოხრა რეკ

კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. საკუთარი ემოციები და განცდები ფურცელზე გადაიტანეთ. ხანმოკლე მოგზაურობა განწყობილებას აგიმაღლებთ. კვირის ბოლოს ჯანმრთელობას მიხედეთ, ივარჯიშეთ და თქვენთვის შესაფერისი დიეტა დაიცავით.

ბეგრწყუდი

ფინანსური ოპერაციები სასიკეთოდ წაადგება თქვენს ბიზნესს. ეცადეთ, არ გათქვათ სხვათა საიდუმლოებები. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ. საკუთარი კეთილდღეობისთვის იბრძოლეთ.

ოგვეზებრი

კოლეგებთან ურთიერთობისას მაქსიმალურად მშვიდად და დიპლომატიურად იმოქმედეთ. საყვარელი ადამიანი მეგობრებს გაგაცნობთ. კვირის ბოლოს საკუთარ თავს მიხედეთ.

როგორ ხატავთ ადამიანს?

ფსიქოლოგთა აზრით, ნახატის მიხედვით, მხატვრის ხასიათის გამოცნობაა შესაძლებელი. სცადეთ, დახატეთ კაცუნა და ამოიცანით საკუთარი თავი.

• მრგვალთავიან კაცუნას მათემატიკური ნიჭის მქონე ადამიანი ხატავს, ოვალურს — ჰუმანიტარულის, სამკუთხედს — ტექნიკური საგნებისადმი მიდრეკილი, ხოლო გრძელთავიანს — ლინგვისტი.

• კაცუნას თავზე თმის რამდენიმე ღერს ანალიტიკურად მოაზროვნე „მხატვარი“ უხატავს, ხვეულ თმას — შემოქმედი. თუ მხატვარმა კაცუნა თმის გარეშე დატოვა, მას კარგი მეხსიერება აქვს.

• დიდპირიან, გაღიმებულ კაცუნას ოპტიმისტი და გარშემო მყოფებისადმი კეთილგანწყობილი პიროვნება ხატავს. თუ მხატვარმა პატარაპირიანი, გაღიმებული კაცუნა დახატა, იგი კეთილი და მოწყალეა. პესიმისტი კაცუნას პირის გარეშე დატოვებს. პირის ადგილას ტირეს რეალისტი დახატავს. იგი გარშემო მყოფებისგან მუდმივად ითხოვს ყურადღებასა და დახმარებას.

• მორიდებული ადამიანი კაცუნას თვალების ადგილას წერტილებს მიუხატავს. მრგვალთვალებს ემოციური „მხატვარი“ ხატავს, რომანტიკოსი ლამაზად გამოყვანილ თვალებს წამწამებსაც უკეთებს.

• კეთილშობილი ადამიანი კაცუნას რკალისებრ წარბებს უხატავს, მკაცრი, კონსერვატორი კი წარბის ადგილას სწორ ხაზს გაავლებს.

• კაცუნას მრგვალ ტანს კეთილი ადამიანი უხატავს, ოვალურს — შრომისმოყვარე. ტანის ნაცვლად სწორ ხაზს კი ეგოისტი და ჯიუტი პიროვნება გაავლებს. კაცუნას ტანზე ჭიპს იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ტიპაჟი უხატავს.

• თუ კაცუნას სქელი ხელები აქვს, მხატვარი მხოლოდ ფულის გამო მუშაობს. კონსერვატორი ხელების ნაცვლად სწორ ხაზებს ავლებს. გარდა ამისა, ის კარგი თანამშრომელია და დაწინაურებას შრომით მოიპოვებს. სხარტად მოაზროვნე, შემოქმედი ადამიანი კაცუნას ხელებს მოძრაობაში უხატავს.

• მოკრძალებული და ზრდილობიანი ადამიანი კაცუნას ტანსაცმელს დეტალებით დაამშვენებს. მფლანგველი ადამიანი კაცუნას შიშველს დატოვებს, პუნქტუალური, მაგრამ საკუთარ თავში ჩაკეტილი, საათითა და სამკაულებით შეამკობს.

• აქტიური ტურისტი კაცუნას ფეხსაცმელს მოარგებს, ოჯახურ სიმყუდროვეს მოყვარული კი ფეხშიშველს დატოვებს.

• მხიარული, აზარტული პიროვნება პერსონაჟს სქესის გარეშე არ დატოვებს. ■



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. უნიკალური. 2. ნიქოზია. 3. კოლბა. 4. ბულიონი. 5. უროლოგია. 6. ამადუ. 7. ბია. 8. არია. 9. კომა. 10. ლატავრა. 11. ეგიდა. 21. ლაპარაკი. 13. ბარაქა. 14. ემინემი. 15. გრიგალი. 16. იახტა. 17. ჰელე. 18. ერა. 19. ბრიჯი. 20. ბახალა. 21. კენია. 22. ბაია. 23. კამეჩი. 24. მექა. 25. ჩაკვესი. 26. ლილიპუტი. 27. რეცხვა. 28. მატლი. 29. კარაველა. 30. ალაკერდი. 31. წიწაკა. 32. გვირილა. 33. ბაზა. 34. კარამელი. 35. სპა. 36. რიკული. 37. დასტა. 38. კრისტინა. 39. ძრავა.
სურათებზე: 1. უგულავა; 2. ალასანია.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. „ხევისბერი ...“; **ზ**. ხასიათი, ბუნება, თვისება; **ა**. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; **გ**. ძლიერი ქარიშხალი; **ზ**. წითელი ღვინო, რომელსაც ზიარების დროს ხმარობენ; **ი**. ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის, დედალოსის მიერ გაკეთებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან. ფრენისას ძალზე მიუახლოვდა მზეს, რის გამოც ცვილი, რომლითაც ფრთები ჰქონდა მიმაგრებული გალღვა და ზღვაში ჩავარდა; **ს**. სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **თ**. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ვ**. აზნაურის ტიტული, საშუალო ბარონსა და გრაფს შორის; **ი**. საზაფხულო საძოვარი მთაში; **ს*** . თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ა*** . ხის სარწევი საწოლი ჩვილი ბავშვისთვის; **ო*** . რა ერქვა ხევისბერ გოჩას შვილს? **ბ*** . ესპანეთის დედაქალაქი; **ჯ*** . საგვარეულო გაერთიანება ირლანდიასა და შოტლანდიაში; **ი*** . მდინარე ჩინეთში; **თ*** . რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი საკუთარი რძით გამოკვება? **ხ*** . მდინარის ფსკერზე ჩასმული ძელი ხიდის საყრდენად; **ვ*** . ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე*** . ლითონის საჟღარუნებელი, რომლის შებმასაც კატას უპირებდნენ თაგვები; **ლ*** . ძველი ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული, უდრიდა ოთხ კილომეტრს; **ი*** . ინგლისური საავტომობილო ფირმა; **ს*** . საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **თ*** . დამოკლეს მახვილი, არიადნეს ძაფი, ავგიას — ?; **ვ*** . მალტის დედაქალაქი; **ი*** . იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ს*** . გამოცდა, გამოცდების პერიოდი უმაღლეს სასწავლებელში; **ა*** . პომიდვრის სამშობლო; **ო*** . ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული, რომელიც იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად (ხმარობდა ლუარსაბ თათქარიძე).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ* . გუცაევი; **ა*** . ანხელი; **ე*** . ებრაელი; **რ*** . რეალი; **თ*** . თემიდა; **ე*** . ელე; **თ*** . თოქმაჩი; **დ*** . დიონისე; **ა*** . ასთმა; **დ*** . დუნაი; **ა*** . ამერიკა; **ი*** . იოსები; **ს*** . სუეცი; **ვ*** . ვარძია; **ე*** . ერთაოზი; **ნ*** . ნამქერი; **ე*** . ეტალონი; **თ*** . თემური; **გ*** . გიტარა; **ზ*** . ზნეობა; **ა*** . არხოტი; **ს*** . სტეპი; **თ*** . თელავი; **ა*** . არმანდო; **ნ*** . ნიანგი; **ე*** . ეპარქია; **რ*** . როჯერი; **თ*** . თაობა; **ა*** . ალბიონი; **დ*** . დრაკონი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ცხრა მექოთნეს ერთმა მტეხელმა აჯობა

იაპონური სენსაცია sudoku

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

5	9	6	4	3	8	2	1	7
1	3	2	5	7	6	4	9	8
8	7	4	2	9	1	5	6	3
9	5	3	6	8	2	7	4	1
4	6	7	1	5	3	9	8	2
2	1	8	7	4	9	3	5	6
7	8	1	9	2	4	6	3	5
6	4	5	3	1	7	8	2	9
3	2	9	8	6	5	1	7	4

8	9	7	4	2	3	6	1	5
1	3	6	8	5	9	7	4	2
5	2	4	6	1	7	8	3	9
7	1	5	3	4	6	9	2	8
3	6	8	2	9	1	5	7	4
9	4	2	5	7	8	3	6	1
2	7	3	9	8	4	1	5	6
6	5	9	1	3	2	4	8	7
4	8	1	7	6	5	2	9	3

7	1	5	3	8	9	4	2	6
6	2	9	7	4	1	8	3	5
3	8	4	5	6	2	1	7	9
9	7	3	8	2	4	6	5	1
4	6	2	1	9	5	3	8	7
1	5	8	6	7	3	9	4	2
2	4	7	9	3	6	5	1	8
8	9	1	4	5	7	2	6	3
5	3	6	2	1	8	7	9	4

* მარტივი

		6	4					
	3			7				8
	7				1	5		
9		3	6				4	
		7		5		9		
	1					3		6
		1	9				3	
6				1			2	
					5	1		

** საშუალო

	9			2			1	
			8			7		
	2			1		8		
		5	3				2	
	6			9			7	
	4		5		8	3		
		3		8			5	
		9			2			
	8			6			9	

*** რთული

		5		8		4		
6							3	
3	8				2			9
9								1
4					5			7
1				7				2
2			9				1	8
	9							3
		6		1		7		

ფოტოკუჩიოზები



უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!
50
წიგნი
როგორც ადამიანი, ისე ადამიანური
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
როგორც ადამიანი, ისე ადამიანური
50
ეროვნული ბიბლიოთეკა
როგორც ადამიანი, ისე ადამიანური
50
ეროვნული ბიბლიოთეკა
WORKBOOK

როგორც ადამიანი, ისე ადამიანური
50
ეროვნული ბიბლიოთეკა
კონსტანტინე გამსახურდია
დიდოსტატის ჯონსტანტინეს მაჩჯვენა

როგორც ადამიანი, ისე ადამიანური
50
ეროვნული ბიბლიოთეკა
სეიფანტესი
დონ ჯიხოტი

ეროვნული ბიბლიოთეკა
50
სეიფანტესი
დონ ჯიხოტი

8-დან 15 აგვისტომდე
სეიფანტესი (ტომი I)
22-დან 29 აგვისტომდე
სეიფანტესი (ტომი II)
წიგნი 17
კონსტანტინე გამსახურდია
1 – 25 ივლისიდან აგვისტომდე
ეროვნული ბიბლიოთეკა
WORKBOOK
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი
8 000 მომხმარებელს- მოსწონს ეს
მაჩვენე 180-ვე კომენტარი
ანი ჯორბენაძე – ძალიან მომწონს, თან რა ლამაზი გამოვიდა! მართლა კარგად შევარჩიეთ...
ПАЛИТРА

რეიტინგი

- გემრიელი ჩანართი
- დედა-შვილი
- აქტუალური თემა
- ერთი დღე
- სკანდალური რომანი
- DJ ბუკლე
- პოზიცია
- მოსაზრება
- ცხოვრებისეული გამოცდილება
- პროექტი
- რჩეული

- პრესრეიტინგი
- კვირა
- საოჯახო ალბომი
- მსახიობი
- წყვილი
- ცხოვრება
- მემუარები

კიდევ უფრო ფერადი და განახლებული, განსხვავებული ჟურნალი „რეიტინგი“, ორშაბათობით!

ბილაინი®

გადმოდი ნათელ მხარეზე

ჩაერთე «ბილაინის ბრანდიოზულ გათამაშებაში»

23 სექტემბრამდე და მოიგე

- ორი ახალი ტოიოტა პრადო
- სამი ორკაციანი საგზური ბარსელონაში, კლუბ «ბარსელონას» თამაშზე დასწრებით

მონაწილეობისთვის აკრიფე:

*500#

06 11 2 20 06 11

www.beeline.ge

რეგისტრაცია უფასოა

*მომსახურება «მოგებლური გადარიცხვის» სარგებლობის შემთხვევაში ბილეთი არ ბერიცხება ბალანსის ერთჯერადად ყოველი 3 ლარით შევსებისას მიიღეს გათამაშების 1 ბილეთს

გათამაშება გაიმართება 25 სექტემბერს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში

ნებართვის №19-03/271